ჩერქეზთა გენოციდის აღიარების მიზანი და შედეგები

ჩერქეზთა გენოციდის აღიარების მიზანი და შედეგები

გამომცემელი:
აიპ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ©
თბილისი, 2013 წელი

UDC(უაკ)343.337(=352.3)+94(470.631)
ჩ-491

ISBN 978-9941-0-5314-6

შესავალი

ნებისმიერ ქმედებას აქვს მიზანი. ერთი შეხედვით ეს აქსიომაა, მაგრამ ინფორმაციულ ბრძოლაში აღნიშნული წესი არც თუ ისე იშვიათად იგნორირებულია. ასეა ამ შემთხვევაშიც. საუბარია რუსეთზე გაძლიერებულ შეტევაზე XIX საუკუნეში ჩადენილი „ცოდვებისთვის“, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიის შემოერთებაზე, განსაკუთრებით კი ჩერქეზეთის (ადიღეის) მიწების; რომ ამ რეგიონში რუსების გადაადგილებას თან ახლდა „ენით უთქმელი სისასტიკე“, „მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“ და ა. შ.

რა თქმა უნდა, შეიძლება იმ ადამიანების გაგებაც, რომელთაც მშობლიური მიწის, წინაპართა ადგილების, თავიანთი აულების დატოვება უმძიმდათ, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ, მაგრამ მათ ხომ უდაბნოში არ მიერეკებოდნენ, სასიკვდილოდ არ წირავდნენ! მთიელებს გამოუყვეს საცხოვრებელი ადგილები, ნაყოფიერი მიწები მდ. ყუბანისა და ლაბას გასწვრივ! მაშ, რა გენოციდზეა საუბარი?

და კიდევ, რაც უნდა თქვან, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ჩერქეზებმა რუსეთის ფრთის ქვეშ შექმნეს თავიანთი დამწერლობა და სწორედ აქედან იწყება მათი კულტურული და ლიტერატურული განვითარება. რეგიონში სამი ფედერაციული სუბიექტი ჩამოყალიბდა, რომელთა მოსახლეობის უმრავლესობას ჩერქეზები წარმოადგენდნენ: ადიღეის, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის,

ყაბარდო-ბალყანეთის. დედამიწის ზურგზე სხვაგან არსად ჩერქეზებს არ გააჩნიათ საკუთარი ეროვნული ადმინისტრაციული წარმონაქმნები.

ისტორიაში მრავლადაა ფაქტები, რომელთა სისასტიკესა და არაადამიანურობაზე აქ არ ვისაუბრებთ. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნაც, რომ უკვე XX საუკუნეში სპეციალური ზონდერბრიგადებიც კი შეიქმნა ნაციონალური ნიშნით მოსახლეობის გასანადგურებლად. იმავე სერიიდანაა დასავლელი იდეოლოგის განცხადებაც, რუსეთის მოსახლეობის 50 მილიონამდე შემცირების თაობაზე, რაც სავსებით შეიძლება მივიჩნიოთ ნაციის გაქრობის მიზანმიმართულ პოლიტიკად.

იმის თქმა, რომ რუსეთი ანადგურებდა მთიელ ხალხებს... წმინდა წყლის სიცრუეა. თუნდაც იმიტომ, რომ, თუკი ასეთი მიზანი მართლაც არსებობდა, მაშინ დღეს რამდენი ეროვნება საერთოდ აღარ იარსებებდა. არადა, ფაქტი ხომ ფაქტად რჩება: **რუსეთისა და საბჭოთა კავშირის გარშემო განვლილი საუკუნეების განმავლობაში არც ერთი ერი არ გამქრალა, ყველაზე პატარაც კი.** ასიმილაცია? — კი, ბატონო, ამაზე საუბარი ღირს, მაგრამ ეს სხვა საკითხია და მოცემულ თემასთან არაფერი აკავშირებს.

XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლება ადგილობრივი ხალხისგან ჩრდილოეთ კავკასიაში მოითხოვდა მხოლოდ ზოგიერთი მოთხოვნის შესრულებას; სამაგიეროდ მთიელ ტომებს

აღუთქვამდნენ რწმენის თავისუფლების შენარ-ჩუნებას, თავიანთი ადათ-წესების მიხედვით ცხოვრებას, მათ ისევ თავიანთი წარმომადგენ-ლები, ეროვნული ლიდერები ეყოლებოდათ... ეს იყო პრაქტიკა, რომელსაც იყენებდა ყველა ყო-ველთვის. აქ საუბარი მხოლოდ მორალზეა და არა გენოციდზე.

ამასთან, პირობები, რომელთა შესრულებას რუსეთის იმპერია ამ მთიელი ტომებისგან მო-ითხოვდა, უფრო ცივილიზებული იყო. მთიე-ლებს ეკრძალებოდათ დარბევა როგორც რუსი, ასევე კაზაკი მოსახლეობისა, ასევე თავდასხმა სხვა ხალხების დასახლებებზე (პირველ რიგში — ქართველებზე); იკრძალებოდა ადამიანის გატა-ცება, როგორც გამოსასყიდის მიღების მიზნით, ასევე ტყვედ გაყიდვის თვალსაზრისით... ცა-რიზმის ხელისუფლება ცდილობდა, შავი ზღვის სანაპიროების „ველური ხალხისთვის“, ჩერქეზე-ბისთვის, აბაზგებისთვის და სხვებისთვის, დაე-ნახვებინა „ევროპული მრეწველობისა და ვაჭ-რობის“ უპირატესობა მონებით ვაჭრობის ბარ-ბაროსობის წინაშე.

ამდენად, ეს მოთხოვნები მხოლოდ ერთზე მი-ანიშნებდა: იცხოვრე მშვიდობიანად და ხელს არავინ გახლებს!

ამაში დასარწმუნებლად საკმარისია იმპერა-ტორ ალექსანდრე ნიკოლოზის ძის ჩერქეზთა წარმომადგენლებთან შეხვედრის დოკუმენტე-ბის გაცნობა, რომლებიც შედგენილია 1861 და 1862 წლებში; პეტერბურგი ჯიუტად ცდილობ-და რეგიონში მშვიდობის დამყარებას — ეს ფაქ-

ტია!

საერთოდ, ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ ეროვნული ტრადიციები და ჩვეულებები გარკვეულ ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე. საიდან ჩამოუყალიბდათ მთიელებს მეზობლების დარბევის ჩვეულება? ყველაფერი ძალზედ მარტივია: მწირი და მცირემიწიანი მათი აულები არ იძლეოდა საშუალებას მოსახლეობის გამოსაკვებად, ამიტომ ამ თავდასხმებით, ერთის მხრივ, ისინი მეზობლებს ართმევდნენ მოსავალს, მეორე მხრივ კი ამცირებდნენ მჭამელთა რაოდენობასაც. ხოლო ქალების მოტაცება მცირერიცხოვანი ერების გენოფონდში ახალი სისხლის გადასხმის ტოლფასი იყო.

ჩერქეზ ხალხს რუსეთის იმპერიის ხელში საშუალება მიეცა, ჩამოსახლებულიყო ბარში, მშვიდად ეშრომა, ხელი მიეყო ვაჭრობისთვის... სანაცვლოდ მხოლოდ ერთი მოთხოვნის შესრულება იყო საჭირო: უნდა ეცხოვრათ მშვიდად და დაეცვათ ზოგადსაკაცობრიო კანონები. აი, ვისაც ეს არ უნდოდა, მათ სხვაგვარად ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ჩნდება კითხვა: განა ასე არ იქცეოდა ყველა ხელისუფლება მსგავს შემთხვევაში?

ნებისმიერი სახელმწიფო ყალიბდებოდა მეზობელი ტომებისა და მიწების მიერთებით. არც რუსეთია გამონაკლისი! ისტორიამ შემოინახა მრავალი ფაქტი, როდესაც მომხდური, უბრალოდ, ანადგურებდა დაპყრობილ ხალხებს და გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე ასახლებდა თავის ქვეშევრდომებს. რუსეთი ასე არ იქცეოდა.

ისტორიის დამახინჯება არ შეიძლება, არც ის

არის სასურველი, რომ რაიმე დაივიწყო. არც ის, ჩერქეზებმა აფხაზეთის ომში ქართველთა წინააღმდეგ რა წვლილი შეიტანეს და საერთოდ, ვინ იბრძოდა აფხაზეთის ომში და 2008 წელსაც. „ნაციონალური მოძრაობა“ გაუთავებლად საუბრობდა იმაზე, რომ რუსებმა ტერიტორიები წაგვართვესო, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზეთის ომში მებრძოლთა დიდი ნაწილი ჩრდილოკავკასიელები იყვნენ და, პირველ რიგში, ჩერქეზები. ჩეჩნები მეტად ჩანდნენ იმიტომ, რომ კარგი მეომრები არიან, თორემ რაოდენობრივად უფრო მეტი ადიღეელი, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მკვიდრი ჩერქეზები იბრძოდნენ. ასეთი ამბების დავიწყება შეუძლებელია.

ჩერქეზთა გენოციდის თემამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოიწია — ხან მიჩუმდებოდა, ხან გააქტიურდებოდა. როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მისით სპეკულირება და, რაც მნიშვნელოვანია, ეს არ იყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილით გადადგმული ნაბიჯი.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის მაისში ჩერქეზთა გენოციდის აღიარებიდან მცირე დრო გავიდა და პირველმა რეაქციებმაც გადაიარა, მაგრამ კითხვები — **რას მოუტანს კავკასიას ჩვენი, ქართველების, ეს ნაბიჯი — ეს აღიარება? შეიცვლება თუ არა**

დამოკიდებულებები და მიდგომები თუ საქართველოს მიერ წარმოებული კავკასიური პოლიტიკა უბრალო სიმბოლურობის ფარგლებს ვერ გასცდება? ზოგადად, რეგიონში რა პროცესებს უნდა ველოდოთ? — კვლავაც დისკუსიის საგანია. უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს, გარკვეულწილად, სარისკო ნაბიჯი იყო, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება რისკფაქტორები, ამის დაზუსტებით თქმა მაინც საკმაოდ რთულია. შესაბამისად, პროგნოზებიც საფრთხილოა, ვინაიდან საქმე ჩვენი რთული რეგიონისთვის სათუთ თემას ეხება. თანაც, მიუხედავად ნალჩიკში დემონსტრაციაზე გამოჩენილი თითო-ოროლა ქართული დროშისა, ჩერქეზებს რაიმე მკვეთრი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიულმა მემკვიდრეობამ“ წინამდებარე კრებულით სცადა პასუხი გაეცა კითხვაზე თუ რა მიზანს ემსახურებოდა სინამდვილეში ჩერქეზების ე.წ. გენოციდის აღიარება და რას მოუტანს საქართველოს ეს ცალსახად პოლიტიკური, სუბიექტური გადაწყვეტილება.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია «ჩერქეზების ე.წ. გენოციდის აღიარება: მიზანი და შედეგები»

2013 წლის 25 სექტემბერს თბილისში, სასტუმრო BETSY'S HOTEL-ის საკონფერენციო დარბაზში არასამთავრობო ორგანიზაციამ „ისტორიული მემკვიდრეობა“ ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიზანსა და შედეგებს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიუძღვნა. კონფრენციის მონაწილეებმა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი ვარაუდი გამოთქვეს, მაგრამ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიანი პოლიტიკური სვლაა, რომლისგანაც მივიღეთ კიდეც ახალი „სიურპრიზები“ — თავსატეხი და თავშისაცემი საკმაოდ დაგვიგროვდა.

კონფერენციაზე ქართველი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მოწვეული სტუმრების წინაშე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოხსენებებით წარსდგნენ. კონფერენციას უძღვებოდა ღონისძიების ორგანიზატორი, **არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ტარიელ გაგნიძე**.

ტარიელ გაგნიძე: ჩერქეზების გენოციდის წამოწევის მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა

ჩერქეზების გენოციდის აღიარების შესახებ დადგენილება საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მაისს მიიღო. ძალიან ხელოვნურობის ელფერი კი დაჰკრავდა თავიდან ამ ყველაფერს, ხოლო, როცა ამის შემდეგ მსოფლიოში მნიშვნელოვანი პროცესები განვითარდა, ახლებურად დავინახეთ ე. წ. ჩერქეზული გენოციდი, მიმდინარე პროცესები და ისიც, თუ რა იდგა რეალურად ამ საკითხის უკან.

როდესაც ბოლო სამი წლის განმავლობაში განვითარებულ პროცესებზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს, უპირველეს ყოვლისა, ე. წ. არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალებები რიგ არაბულ ქვეყნებში. ზოგან უცხოური ინტერვენციით და ზოგან შიდაშეიარაღებული ამბოხების გზით ამ ქვეყნებში სათავეში მოვიდნენ რადიკალი ისლამისტები ძმები მუსლიმების სახით. თუ რა არის ეს რადიკალური ისლამი, მაგის ახსნას ახლა ჩვენ აქ არ შევუდგებით. ვიტყვი მარტო ერთს, რომ

ეს არის ზენაციონალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც ცდილობს, მსოფლიოს ყველა მუსლიმანის გაერთიანებას თავის გარშემო. მათ ერთობ აგრესიული მისწრაფებები, აგრესიული თვისებები და ხასიათი აქვთ და მათი კრიტერიუმი მდგომარეობის შემდეგში, რომ ყველა მუსლიმანი არის ძმა, ჩვენ უნდა გამოვესარჩლოთ ყველა მუსლიმანს და, თუკი სადმე მუსლიმანს ჩაგრავენ, მჩაგვრელს საკადრისი პასუხი გავცეთ, როგორც წესი, ტერორის, იარაღის და ა. შ. გზით. აი, ამ ყველაფრის ფონზე, როდესაც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებაზე მიდგება საქმე, არ შეიძლება ადამიანს არ დაგებადოს კითხვა: დავუშვათ და მოხდა ჩერქეზების ეს გენოციდი, რა შუაშია აქ საქართველო და რა კავშირი აქვს ამასთან საქართველოს?

ჩემი ღრმა რწმენით, ჩერქეზების გენოციდის წამოწევის მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა, რათა შემდგომში განახორციელონ ექსპანსია რუსეთის ფედერაციის იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც არ არის ჩრდილოკავკასიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები; მაგალითად, ჩეჩნეთის ან

დაღესტნის რესპუბლიკების მსგავსი. ასევე, ეს ყველაფერი, ვფიქრობ, უკავშირდება იმ გლობალურ პროექტს, რომელიც „ანაკონდას მარყუჟის“ ან „დაძაბულობის რკალის“ სახელითაა ცნობილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში და გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სამხრეთი და დასავლეთი საზღვრების გასწვრივ მუდმივი დაძაბულობის კერების შექმნას და მათით მანიპულირებას.

აქვე ერთი რამ მინდა ვთქვა: როდესაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ამ ავანტიურაში აბამდა საქართველოს, არ ვიცი, შეგნებულად, არ ვიცი, გაუცნობიერებლად, ისინი აბსოლუტურად არ ითვალისწინებდნენ შესაძლო შედეგებს. გავიხსენოთ თუნდაც ის ავადსახსენებელი პერიოდი საქართველოს წარსულიდან, რომელიც ლეკიანობის სახელითაა ცნობილი და რომელიც გამოწვეული იყო ჩრდილოკავკასიელი ტომების გამუდმებული თარეშით საქართველოში საუკუნეების განმავლობაში, რამაც ქვეყნის აბსოლუტური გაპარტახება გამოიწვია — ეს ერთი და მეორეც: **გადავავლოთ თვალი იმ პროცესებს, რომლებიც განვითარდა „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში, რა ბედი ეწიათ იქ მოსახლე ქრისტიანებს, კერძოდ, მართლმადიდებლებს და იქ არსებულ ქრისტიანულ სიწმინდეებს — როგორ ამოწყვიტეს ადამიანები და დაანგრიეს ყველაფერი.** ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტის კოპტების მაგალითი და სულ ახლახან სირიის ერთ სოფელში ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტის მოწყობა, მე მგონი, 30 ადამიანს მოაჭრეს თავი საჯაროდ

და ყველას დასანახად. ეს ვიდეოზეც გადაიღეს და გაავრცელეს ინტერნეტსივრცეში იმის დასადასტურებლად, როგორი „ყოჩაღები“ არიან ისინი და რომ, ადამიანებო, ძრწოდეთ და თრთოდეთ, ჩვენ მოვდივართ!

რადიკალური ისლამისტები არ ცნობენ სახელმწიფოთა საზღვრებს და აცხადებენ, რომ ყველა მუსლიმანის დამცველები არიან. აქედან გამომდინარე, მათ ეძლევათ იდეოლოგიური საფუძველი, რომ თქვან, თითქოს რუსეთმა გენოციდი მოუწყო მათ ძმებს და ამიტომ უნდა გადაუხადონ სამაგიერო.

რაც შეეხება კონფერენციის მიზანს, ჩვენ გვინდა, კარგად გავიაზროთ და გავაანალიზოთ საქართველოს როლი აღნიშნულ პროცესში და, თუკი ასე გაგრძელდება, რა ბედი ელის ჩვენს ქვეყანას.

ამ გადასახედიდან **საქართველოს აღნიშნული პროცესებიდან სახარბიელო არაფერი ელოდება. 2011 წელს ჩერქეზების გენოციდის აღიარებით მაშინდელმა მთავრობამ საქართველო ძალიან ცუდ პროცესებში ჩართო.**

დღევანდელი კონფერენცია არის მცდელობა, ახლებურად გავაანალიზოთ არსებული ვითარება და საქართველოს როლი ზემოაღნიშნულ პროცესებში.

ვალერიან დოლიძე,
თსუ-ს პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ისტორია და თანამედროვეობა: ჩერქეზების საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სპექტრში

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის დაწყება ემთხვევა იმ ახალი გეოპოლიტიკური გარემოს შექმნას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიშვა. თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა, რომლებიც ადრე ერთ საერთო ფედერაციულ სახელმწიფოში იყვნენ გაერთიანებულნი, როგორც სუვერენული რესპუბლიკები, უცბად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ. ამ ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებებმა არა მხოლოდ შეცვალა, არამედ გაართულა კიდეც პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური ლანდშაფტი. დროის უმოკლეს ვადაში აქ გაჩნდნენ დიდი და პატარა სახელმწიფოები, განსხვავებული ინტერესებით, რესურსებითა და შესაძლებლობებით. ისტორიის საკუთრებად იქცა მოძმე რესპუბლიკის ცნება და ის პრინციპები, რომლებიც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს

არეგულირებდა ფედერაციულ სახელმწიფოში, ამიტომ საქართველოს წინაშე დადგა ამოცანა, რომ ახალ პრინციპებზე აეგო ურთიერთობები ყოფილ მოძმე რესპუბლიკებთან, როგორც უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. ეს ყველაზე რთული აღმოჩნდა რუსეთის, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე უფრო ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფოს, შემთხვევაში.

1. ისტორიის გათანამედროვება: ნეგატიური სტერეოტიპები და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზების პრობლემა

მთავარი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზებას — ეს არის ურთიერთნდობის დეფიციტი, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია საქართველოს დიდი ხნით ყოფნით ჯერ რუსეთის იმპერიაში, ხოლო შემდეგ — საბჭოთა კავშირში, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი არასწორად აიგივებდა რუსეთთან.

მაგრამ მხოლოდ ეს არ არის ამ ქვეყნებს შორის

არსებული უნდობლობის ერთადერთი მიზეზი. მის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც ორივე ქვეყნის საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის მიერ მათი ისტორიული თანაცხოვრების გააზრების სპეციფიკამ, ასევე საქართველოში არსებული სეპარატიზმისთვის რუსეთის აქტიურმა მხარდაჭერამ. ყოველივე ამან წარმოშვა რუსეთის სახელმწიფოს, როგორც კოლონიზატორისა და მჩაგვრელის, სტერეოტიპი. საქართველო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთის იმპერიაში, რომელმაც გააუქმა ქართული სამეფო-სამთავროები, ხოლო ქართულ ეკლესიას წაართვა ავტოკეფალია, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოში დამყარდა მშვიდობა, საერთო ქართულ კულტურულ სივრცეს დაუბრუნდა დაკარგული ტერიტორიები, მოისპო ლეკიანობა — ადამიანების მოტაცება და მონებად გაყიდვა. დაიწყო ქვეყნის მოდერნიზაციისა და ბატონყმობის გაუქმების პროცესი: რუსეთის ხელისუფლებამ ყმა აზნაურებს თავისუფლება მიანიჭა და აზნაურები უფლებრივად თავადებს გაუთანაბრა, დაბალი სამღვდელოება ყმური დამოკიდებულებისგან გაათავისუფლა. 1824 წლის 28 ნოემბერს, ერმოლოვის წარდგინებით, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაამტკიცა ბრძანება, რომელიც ყმა-გლეხებს მათი საჯარო გაყიდვის დროს თავის გამოსყიდვის უფლებას აძლევდა. ამისთვის მათ ეძლეოდათ შესაძლებლობა, ხაზინიდან მიღებული სუბსიდიის საშუალებით თავის სასარგებლოდ გადაეხადათ საჯარო ვაჭრობისას მოთხოვ-

ნილი თანხა და თავი გამოესყიდათ საკუთარი ქონებითურთ. აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი 1847 წელს საფუძვლად დაედო ანალოგიურ დოკუმენტს, რომელიც ასეთივე წესს ამკვიდრებდა რუსეთის გუბერნიებში. ყმების გათავისუფლების პროცესი საბოლოოდ დასრულდა ბატონყმობის გაუქმებით. რუსეთმა მოსპო ფეოდალური პარტიკულარიზმი, შემოიტანა თანამედროვე განათლება. რუსეთის იმპერიაში დაიწყო თანამედროვე ქართული კულტურის განვითარება, ეროვნული სამეცნიერო, პროფესიონალი სამხედრო და ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული კადრების მასობრივი ფორმირება და ა. შ. რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგაც, თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, საქართველო და რუსეთი განაგრძობდნენ თანაცხოვრებას საერთო პოლიტიკური სტრუქტურის საზღვრებში, მაგრამ უკვე ფედერაციულ სახელმწიფოში, რომელიც რუსეთის იმპერიისგან არსებითად განსხვავებული პრინციპებისა და იდეოლოგიის საფუძველზე იყო ორგანიზებული. მაგრამ საზოგადოება ვერ ხედავდა იმ ცვლილებას, რომელიც რუსეთის პოლიტიკურმა სტატუსმა განიცადა ფედერაციულ სახელმწიფოში, სადაც ის სხვა რესპუბლიკებთან ერთად ფედერაციის ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ რუსეთი იყო ფედერაციის ყველაზე უფრო დიდი სუბიექტი, ხოლო რუსული ენა საკავშირო ენას წარმოადგენდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის შემოსვლისა და საქართველოს დე-

მოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შედეგად. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოების მიერ თავისი წარსულის გააზრებაში ჯერ საჯაროობისა და გარდაქმნის დროს, ხოლო შემდეგ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა არსებითად შეიცვალა კლასობრივი სტრუქტურა, ერის შიგნით გაქრა კლასობრივი წინააღმდეგობა, მნიშვნელოვნად შემცირდა სოციალური დისტანცია საზოგადოების წევრებს შორის, მანამდე არნახულად განვითარდა ეკონომიკა და კულტურა, გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სიამაყის გრძნობა, დაიწყო მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის, ისტორია გადაიქცა პოლიტიკური მიზნის — საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევის იდეოლოგიური დასაბუთების საშუალებად. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა გორბაჩოვის დროინდელი საჯაროობაც, რომელმაც საზოგადოებას საშუალება მისცა, თავისუფლად განეხილა ტაბუდადებული ისტორიული თემები, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა საზოგადოების ისტორიული ცნობიერება, რომლის ფორმირებაშიც მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს არაპროფესიონალებმა. ამ დროს **საზოგადოება ისტორიაში ეძებდა იმას, რაც მის თანამედროვე პოლიტიკურ პოზიციას გაამყარებდა, რომელიც მას უკვე ჰქონდა ჩამოყალიბებული. ამან გამოიწვია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ნეგატიური მხარის წინ წამოწევა დადებითის, პროგრესულის მიჩქმალვის საფუძველზე. ამას ხელს უწყობდა**

ისიც, რომ რუსეთი აქტიურად უჭერდა მხარს სეპარატისტულ მოძრაობებს საქართველოში, რაც საზოგადოებას მის საწინააღმდეგოდ განაწყობდა. ასეთ პირობებში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ჩამოყალიბდა რუსეთის, როგორც მტრის, სტერეოტიპი. თავის მხრივ, რუსეთშიც ასევე ცალმხრივად ხდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის გააზრება. თუ ქართველები მასში მხოლოდ ნეგატიურ მხარეს ხედავდნენ, რუსები — მხოლოდ დადებითს. ამას დაემატა ისიც, რომ საქართველომ საბჭოთა კავშირი ერთ-ერთმა პირველმა დატოვა, რაც რუსეთში აღქმული იქნა არა მხოლოდ როგორც უმადურობა, არამედ როგორც ანტირუსული აქტი, რადგანაც საბჭოთა კავშირი როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც არასწორად იყო იდენტიფიცირებული რუსეთთან. ასეთ პირობებში რუსეთში შეიქმნა ქართველების, როგორც უმადური და რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ხალხის, სტერეოტიპი.

ქართველებისა და რუსების მიერ ისტორიის ასეთმა ცალმხრივმა, არაობიექტურმა გააზრებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთსა და საქართველოს შორის ნდობის დეფიციტის წარმოშობაში, რაც სერიოზულ პრობლემად იქცა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების ნორმალიზების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ რუსული და ქართული ისტორიული ცნობიერება რადიკალურად განსხვავდება რუსეთის მიერ საქართველოს ისტორიაში შესრულებული როლის შეფასებაში, მათ ახასიათებთ საერთო ნიშანიც

– ანტიისტორიზმი, როცა რუსეთი განიხილება, როგორც ისტორიის გარეთ მდგომი რაღაც უცვლელი წარმონაქმნი, იმ პოლიტიკური ცვლილებებისგან დამოუკიდებლად, რომელთაც ის განიცდიდა თავისი ისტორიის მანძილზე. ყველაზე კარგად ეს ჩანს საბჭოთა კავშირის რუსეთად მონათვლაში, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, მაგრამ რაც ერთნაირად ახასიათებს როგორც ქართულ პოლიტიკურ აზრს, ასევე რუსეთის საზოგადოების, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ნაწილსაც.

რუსეთისადმი ქართული პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულების თავისებურება მნიშვნელოვანად განსაზღვრა, აგრეთვე, ამ უკანასკნელის შესაძლებლობებისა და პოლიტიკური მნიშვნელობის არასწორად შეფასებამაც. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში რუსეთი საბჭოთა კავშირის სიძლიერის აჩრდილსღა წარმოადგენდა. ამან წარმოშვა ილუზიები, რომ თითქოს შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის ფაქტორის სრული განეიტრალება დასავლეთის საშუალებით. საბჭოთა კავშირიდან რუსეთი ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძალიან დასუსტებული გამოვიდა, მაგრამ არა იმდენად, რომ საკუთარი ინტერესები ვერ დაეცვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის როლისა და შესაძლებლობების ისევე, როგორც მისი საერთაშორისო მნიშვნელობისა და გავლენის არასათანადოდ შეფასებამ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვას.

2. 2008 წლის აგვისტოს ომი: საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბულობა თავის პიკს აღწევს 2008 წლის ომის დროს. ეს იყო პირველი ომი საქართველოსა და რუსეთს შორის. მასში საქართველო დამარცხდა და რუსეთი არამარტო იძულებული გახდა, ეღიარებინა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობა, არამედ სამხედრო ბაზებიც განელაგებინა ამ ტერიტორიებზე. ამ ომის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთი კი ცხადია — საქართველომ განიცადა სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა, რაც ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ რუსეთის არასათანადოდ შეფასების პირდაპირი შედეგი იყო. არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება საქართველოს ხელისუფლების მოქმედება, თუ ის წინასწარ არ იყო გათვლილი დამარცხებაზე და რუსეთის მოსალოდნელ რეაქციაზე. სააკაშვილმა მშვენივრად იცოდა რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სამაჩაბლოს კონფლიქტის სამხედრო საშუალებებით მოგვარებისადმი, როგორც ამ ქვეყნის ლიდერებთან პირადი უშუალო კონტაქტებიდან, ასევე რუსეთის კონკრეტული, პრაქტიკული მოქმედებიდანაც. ჯერ კიდევ 2004 წელს შეეცადა სააკაშვილი, ძალით გადაეჭრა სამაჩაბლოს კონფლიქტი, მაგრამ, რუსეთის ენერგიული საპასუხო მოქმედების შედეგად, იძულე-

ბული გახდა, უკან დაეხია. ამ ავანტიურის შედეგად დაიღუპა 29 ჯარისკაცი. წარმოუდგენელია, ასეთი გამოცდილების შემდეგ როგორ გადაწყვიტა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ იმავე სცენარისთვის მიემართა 2008 წელს. ფორმალური ლოგიკის მიხედვით, სამაჩაბლოს ამ მეორე ავანტიურის დროს, ისევე, როგორც 2004 წელს, სააკაშვილის მოქმედება ლეგიტიმური იყო — მან საქართველოს შეიარაღებული ძალები სამაჩაბლოში შეიყვანა აჯანყების ჩახშობის მიზნით. მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის პირობებში და მაშინ, როცა სამაჩაბლოში იმყოფებოდნენ რუსეთის მშვიდობისმყოფელები, სააკაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი ომის ტოლფასი იყო. არ არის გამორიცხული, ამ ომის პროვოცირება წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი რაიმე უფრო დიდი გეოპოლიტიკური მიზნის მიღწევისთვის, ვიდრე საქართველოს ერთიანობის აღდგენაა, რომლის მიღწევაც საქართველოს ხარჯზე უნდა მომხდარიყო. სანამ არ მოხდება 2008 წლის აგვისტოს ავანტიურაში განცდილი სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფის გამოძიება, სანამ არ გამოვლინდებიან და დაისჯებიან დამნაშავენი, მანამდე ჩვენი მსჯელობა სააკაშვილის ნამდვილი მოტივაციის შესახებ უმთავრესად მაინც ჰიპოთეზური ხასიათისა იქნება. ასეთი გამოძიების ჩატარება, დამნაშავეთა გამოვლინება და დასჯა აუცილებელია ხელისუფლების პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, რათა მეორეჯერ ვერავინ გაბედოს ხელისუფლებაში ისეთი უპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მთელ სა-

ზოგადოებას უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენებს, რაც გააკეთა სააკაშვილმა 2008 წელს. ეს ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობაა. ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე ამ ომის შესახებ, რომელიც მას საკუთარი შვილების სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ამ ომის მიზეზების გასააზრებლად მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ საქართველოს საშინაოპოლიტიკურ მდგომარეობას, რომელშიც დაიწყო ის. ამ დროს სააკაშვილის ხელისუფლება მნიშვნელოვნად იყო დასუსტებული და შერყეული, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პოლიცია და არმია სერიოზულად იქნა გამოყენებული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც გმინავდა არსებული რეჟიმის პირობებში. ხელისუფლებაში მოსვლიდან მეოთხე წლისთავზე სააკაშვილი ხელისუფლების შენარჩუნების სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მის წინააღმდეგ აგორებული მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მან გაჭირვებით მოახერხა პრეზიდენტის პოსტზე დარჩენა. არადა, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში დარჩენას ხანგრძლივი პერიოდით გეგმავდნენ. ამიტომ მათთვის საჭირო იყო ომი იმისთვის, რომ საზოგადოების ყურადღება გარე საფრთხეებზე ხანგრძლივი ვადით გადაეტანათ და ამით უზრუნველეყოთ საკუთარი უსაფრთხოება იმ დროით, რა დროითაც აპირებდნენ ხელისუფლებაში დარჩენას. ამ ომით სააკაშვილი შეეცადა, ხალხის ყურადღება საშინაო პრობლემებიდან საგარეო საფრთხეებზე გადაეტანა. ამი-

სათვის არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ დამარცხებაც მისაღები იყო, რადგანაც ასეთ შემთხვევაში რუსეთი მხოლოდ კონფლიქტური რეგიონების ოკუპაციას მოახდენდა და მის ფარგლებს არ გასცდებოდა. ეს კვლავ გააძლიერებდა რუსეთის, როგორც მტრის იმიჯს, რომლის დასუსტების პროცესიც მიმდინარეობდა საზოგადოებაში. ეს კი გააძლიერებდა სააკაშვილის ხელიდუფლების იდეოლოგიურ დასაყრდენს ნაციონალური და პატრიოტული ტალღის აგორების საფუძველზე. მართლაც, ამ ომის შედეგად სააკაშვილმა ნაწილობრივ მაინც დააცხრო საზოგადოების საპროტესტო მუხტი, თუმცა ისე არა, როგორც ელოდა, რადგანაც ამ დროისთვის საზოგადოებისთვის უმთავრეს პრიორიტეტებს წარმოადგენდა არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არამედ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და იმ უსამართლობისა და ძალადობის აღმოფხვრა, რომელსაც არ-

სებული რეჟიმის მმართველობა ეფუძნებოდა. რუსეთისა და მისი ლიდერის — პუტინის იმიჯის გაფუჭებაში კი გაცილებით უფრო დიდ წარმატებას მიაღწია, თუმცა აქაც არა ისეთს, როგორიც, ალბათ, სასურველი იქნებოდა მისთვის. 2008 წლის აგვისტოს ომი განპირობებული იყო არა საქართველოს ერთიანობის აღდგენის, არამედ ხელისუფელბაში ყოფნის გახანგრძლივებისა და „ნაციონალების“ პოზიციების გაძლიერების სურვილით.

3. ისტორიის დეისტორიზაცია: ჩერქეზების გენოციდის აღიარება საქართველოს პარლამენტის მიერ

აგვისტოს ომის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება. ამ შემთხვევაში მოხდა თანამედროვე იურიდიული ტერმინის გამოყენება იმ ისტორიული მოვლენის მიმართ, რომლის დროსაც კაცობრიობის სამართლებრივი ცნობიერება არც გენოციდის დანაშაულს იცნობდა და არც შესაბამისი ტერმინოლოგია არსებობდა. ამიტომ ჩერქეზების გენოციდის **აღიარება საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოადგენს ისტორიის დეისტორიზაციას, როცა წარსულის მოვლენების შესახებ მსჯელობა და შეფასება ხდება თანამედროვე სამართლებრივი და მორალური ნორმების საფუძველზე.** ეს არის ისტორიის მიმართ ჩადენილი ძალადობა, რადგან ხდება მოვლენის ხელოვნურად ამოგლეჯა კონკრეტუ-

ლი ისტორიული კონტექსტიდან, რომელსაც წარმოშობს ის სულიერი, კულტურული, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონე, რომლის შედეგსაც თავად ეს მოვლენა წარმოადგენს. როცა წარსულის მოვლენებზე ვმსჯელობთ თანამედროვე ნორმებით, მათ ვუყურებთ დღევანდელი ადამიანის თვალით და ვიყენებთ დღევანდელი პრობლემების გადასაჭრელად, ჩვენ ვახდენთ ისტორიის გათანამედროვებას, მას დღევანდელობის ნაწილად ვაქცევთ, რაც გულისხმობს იმ ისტორიული ქსოვილის დაშლას, რომლის ნაწილიც არის ეს მოვლენა. კავკასიის ომების დროს კაცობრიობის სამართლებრივი ცნობიერება განსხვავდებოდა თანამედროვესგან და, შეიძლება ითქვას, ეს ომები მაშინდელი სამართლებრივი ცნობიერების შედეგსაც წარმოადგენდა. სამართალი ისტორიული განვითარების პროდუქტია და ემსახურება იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც კაცობრიობის პრაქტიკის განვითარების შედეგად წარმოიშობა განსაზღვრულ დროს. სწორედ ისტორიული პრაქტიკა წარმოშობს კონკრეტული სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებლობას და შეესაბამება კაცობრიობის ეკონომიკური, კულტურული და სულიერი განვითარების იმ დონეს, რომელსაც მას კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთზე მიუღწევია. სამართალს ისტორია ქმნის და მის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებას ემსახურება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალიც იმ კონკრეტული პოლიტიკურ-ის-

ტორიული რეალობის და კაცობრიობის მორალური მდგომარეობის გამოვლინებას წარმოადგენს, რომელსაც მან მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მორალური განვითარების ეს საფეხური არ არსებობდა კავკასიური ომის დროს, როცა ადგილი ჰქონდა ჩერქეზების ტრაგედიას, რომლის კვალიფიცირებაც სურთ, როგორც გენოციდისა. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა კოლონიური იმპერიების შექმნა, საფრანგეთის მიერ ალჟირის დაპყრობა, ამერიკის კონტინენტის კოლონიზაცია, აშშ-ის ეკონომიკური განვითარება და ინდიელების რეზერვაციებში გადასახლება და ა. შ. ამ მოვლენების დროს ჩადენილი იყო ბევრი ისეთი ქმედება, რომლებიც თანამედროვე კანონმდებლობით დანაშაულად ჩაითვლება, მაგრამ სავსებით ჯდებოდა მაშინდელი სამართლებრივი ცნობიერების ფარგლებში. იმის გამო, რომ კავკასიური ომების დროს არ არსებობდა კანონმდებლობა გენოციდის შესახებ, არ შეიძლება ჩერქეზების ტრაგედიას გენოციდი ეწოდოს. გენოციდის შესახებ კანონმდებლობა იქმნება კაცობრიობის ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე, კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იმ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, რომლის აუცილებლობამდეც ფაშიზმის გამოცდილებამ მიიყვანა ის. ფაშიზმმა წარმოშვა გენოციდის ცნებაც და მისი დანაშაულიც.

როგორც იურისტები აღნიშნავენ, დროის მიხედვით, საერთაშორისო სისხლის სამართლის

„ძირითად“ დანაშაულებს შორის გენოციდის დანაშაული წარმოადგენს ყველაზე უფრო გვიანდელ დეფინიციას. მათი მოწმობით, საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველთვის გმობდა ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილი ადამიანების მასობრივ განადგურებას ამ ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ყველაზე უფრო მძიმე ფორმას. მაგრამ ამ დანაშაულისთვის ცალკე ტერმინი ნაპოვნი იქნა მხოლოდ 1944 წელს, ხოლო ასეთი სახის ქცევის აკრძალვა და მისი გამოყოფა დამოუკიდებელი დანაშაულის სახედ მოხდა 1948 წელს. ნიურნბერგის პროცესის დროსაც კი გენოციდის დანაშაული არ იყო კრიმინალიზებული საერთაშორისო დანაშაულში, ამიტომ ნაცისტების მიერ ებრაელებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მასობრივი განადგურება ტრიბუნალის მიერ დაკვალიფიცირდა, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული დევნის სახით.

4. თანამედროვე სამართალი და ისტორია: ჩერქეზების ისტორია გენოციდის შესახებ კანონმდებლობის ჭრილში

ტერმინ „გენოციდის“ ავტორი არის პოლონელი იურისტი რაფაელ ლემკინი, რომელმაც 1944 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ოკუპირებული ევროპის ძირითადი წესები“, რომელშიც ის ახდენს

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნაცისტების მიერ განხორციელებული მხეცობების ანალიზს. მას გენოციდი ესმის, როგორც ერის ან ეთნიკური ჯგუფის განადგურება: „გენოციდი ჩვენ გვესმის, როგორც ერის ან ეთნიკური ჯგუფის განადგურება... გენოციდი არ ნიშნავს აუცილებლად ერის მომენტალურ განადგურებას... ის უფრო გულისხმობს მოქმედებების კოორდინირებულ გეგმას, რომელიც მიმართულია ეროვნული ჯგუფების არსებობის საფუძვლების ნგრევაზე, რომლის მიზანიც არის თავად ამ ჯგუფების ამოძირკვა. ამ გეგმის შემადგენელი ნაწილებია — ეროვნული ჯგუფების პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების, კულტურის, ენის, ეროვნული ცნობიერების, რელიგიის არსებობის ეკონომიკური საფუძვლების განადგურება, ასევე, ამ ჯგუფების ადამიანებისთვის პირადი უსაფრთხოების, თავისუფლების, ჯანმრთელობის, ღირსებისა და თავად სიცოცხლის წართმევა. გენოციდი მიმართულია ეროვნული ჯგუფის, როგორც მთელის, წინააღმდეგ და განხორციელებული მოქმედებები მიმართულია ადამიანების არა როგორც ცალკეული პიროვნებების, არამედ როგორც ეროვნული ჯგუფის წევრების წინააღმდეგ“. აქ მოცემული გენოციდის განსაზღვრება გახდა საერთაშორისო დოკუმენტებში მისი შემდგომი ფორმულირების საფუძველი. როგორც ვხედავთ, ლემკინის მიხედვით, გენოციდი არის ერის ან ეთნიკური ჯგუფის მიზანმიმართული, შეგნებული, მოტივირებული და არანებისმიერი განადგურება. ის მიმართულია

ეროვნული ჯგუფის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ. ამიტომ გენოციდის შემთხვევაში ქმედებები მიმართულია არა ადამიანების, როგორც ცალკეული პიროვნებების, არამედ როგორც „ნაციონალური“ ჯგუფის წევრების წინააღმდეგ. ის შეიძლება დროში გაწელილ პროცესს წამოადგენდეს და შედგებოდეს ურთიერთკოორდინირებული მოქმედებებისგან და გულისხმობდეს არა მხოლოდ უშუალო ფიზიკურ ზემოქმედებას, არამედ ასეთი ჯგუფისთვის არსებობის პირობების მოსპობას თავად მისი განადგურების მიზნით. ეს უნდა იყოს გარკვეული გეგმის საფუძველზე კოორდინირებული მოქმედებების ერთობლიობა და, რაც მთავარია, უნდა არსებობდეს ჯგუფის, როგორც ასეთის, მოსპობის სურვილი, რომლის განხორციელებისათვისაც შექმნილია სპეციალური დოკუმენტი.

1948 წლის 9 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღი კონვენცია „გენოციდის დანაშაულის არიდებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ“, სადაც ვკითხულობთ, რომ „მოცემულ კონვენციაში გენოციდის ქვეშ გაგებულია შემდეგი ქმედებები, რომელთა ჩადენა ხდება რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის სრული ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით:

ა) ასეთი ჯგუფის წევრების მკვლელობები;

ბ) ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სერიოზული სხეულებრივი დაზიანებებისა და გონებრივი მოშლილობის მიყენება;

გ) რომელიმე ჯგუფისათვის წინასწარგანზ-

რახვით ისეთი საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომელიც გათვალისწინებულია მათი სრული ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებისათვის;

დ) ასეთ ჯგუფებში ბავშვების დაბადების თავიდან აცილებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები;

ე) ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებითი გადაცემა.

კონვენციის მიხედვით, გენოციდს აქვს როგორც შინაგანი ასევე გარეგანი მხარე, რომელსაც შეიძლება კონკრეტულ ქმედებებში დავაკვირდეთ. მაგრამ მხოლოდ გარეგნული, დაკვირვებადი მოქმედებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გენოციდსა და სხვა სახის დანაშაულს შორის განსხვავებას ვერ დავინახავთ. მაგალითად, ამ კონვენციის მიხედვით გარკვეული ჯგუფის წევრის მკვლელობა ითვლება გენოციდად. მაგრამ არა ყოველი მკვლელობა, რომელსაც შეეწირა ამ ჯგუფის წევრი. ასეთი მკვლელობა შეიძლება მოხდეს, როგორც ამ კონკრეტული ჯგუფის წევრ პიროვნებაზე შურისძიების, პერსონალური სიძულვილის და ა.შ. მოტივით, ასევე მხოლოდდამხოლოდ ამ კონკრეტული ჯგუფის წევრობის გამო, როცა მკვლელობა წარმოადგენს კონკრეტული ჯგუფის, როგორც ასეთის, ფიზიკური განადგურების მოტივაციის საფუძველზე ჩადენილს. ამიტომ გენოციდზე წერისას საჭიროა გამოვლინდეს სურვილები და არ არის საკმარისი მხოლოდ კონკრეტული ქმედებების აღწერა. როცა ჩერქეზების გენოციდზე

წერენ, აქცენტი სწორედ ქმედებებზე კეთდება და სუსტად არის წარმოჩენილი სურვილი. ზემოთაღნიშნულ კონვენციაში კი სწორედ ამ უკანასკნელზეა აქცენტი გაკეთებული, რადგანაც სწორედ ეს განსაზღვრავს გენოციდის, როგორც დანაშაულის სპეციფიკას. გენოციდად გაგებულია ისეთი მოქმედებები, რომელთა ჩადენაც ხდება რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის, როგორც ასეთის, სრულად ან ნაწილობრივად განადგურების მიზნით. ასეთ მოქმედებებს კონვენციის მიხედვით განეკუთვნება: 1. ასეთი ჯგუფის წევრების მკვლელობები; 2. ასეთი ჯგუფის წევრებისთვის სერიოზული სხეულებრივი დაზიანებებისა და გონებრივი მოშლილობის მიყენება; 3. ასეთი ჯგუფისთვის მიზანმიმართულად შექმნა ისეთი ცხოვრების პირობებისა, რომლებიც გათვლილია მის სრულ ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებაზე; 4. ზომები, რომელიც მიმართულია ბავშვების გაჩენის თავიდან აცილებაზე ასეთ ჯგუფებში; 5. ბავშვების ძალადობრივი გადაცემა ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეში. ზოგიერთი ამ მოქმედებებისაგან – ჩერქეზების მკვლელობები, მათთვის ზიანის მიყენების, სიცოცხლისათვის შეუფერებელი ცხოვრების პირობების დაფიქსირება შესაძლებელია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, მაგრამ მათი ჩადენის სურვილებზე კი მხოლოდ მიახლოებით შეიძლება მსჯელობა. მაგრამ ამის მიუხედავად, **როცა სურთ ხოლმე ჩერქეზების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის მოტივაციის გამოკვეთა, სასურველს ისტორიულ**

სინამდვილედ ასაღებენ და ისტორიულ წყაროში ხედავენ იმას, რისი დანახვაც სჭირდებათ. მაგალითად, ერთ-ერთ ნაშრომში, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ პირველს, ეყრდნობიან რა მის მიერ პასკევიჩისთვის გაცემული ბრძანების თვითნებურ ინტერპრეტაციას, მიაწერენ ჩერქეზების განადგურების სურვილს.

ამ დოკუმენტში ნიკოლოზ პირველი პასკევიჩისგან მოითხოვდა, რომ მას ან დაემორჩილებინა სამუდამოდ მთის ხალხები, ან კიდევ გაენადგურებინა ურჩები. აქედან ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ მეფე ბრძანებდა ან დაემორჩილებინათ, ან კიდევ ფიზიკურად გაენადგურებინათ მთიელები. როგორც ვხედავთ, ნიკოლოზის სიტყვების ავტორისეულ ინტერპრეტაციაში „ურჩების განადგურება“ მკითხველისთვის მიწოდებულია, როგორც მთლიანად მთიელების განადგურება. მაგრამ რამდენად სწორია ასეთი დასკვნის გაკეთება? აუცილებელი არ არის, რომ „ურჩების განადგურება“ გაგებული იყოს, როგორც მთიელების ფიზიკური განადგურება, რადგანაც დოკუმენტში საუბარია არა მთიელების, როგორც ხალხის, არამედ მხოლოდ მათ მხოლოდ ურჩი ნაწილის განადგურებაზე. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვის გულისხმობდა ურჩებში იმპერატორი, რას ნიშნავდა მისთვის სიტყვა ურჩი. მიახლოებით, „ურჩების განადგურება“ კონტექსტიდან შეიძლება გაგებული იყოს, როგორც იმ ადამიანების განადგურება, რომელებიც იარაღით ხელში უწევდნენ წინააღმდეგობას რუსებს. მაგრამ ეს უკვე აღარ არის გენოციდი. აქ

არ ჩანს ჩერქეზების, როგორც ხალხის განადგურების, სურვილი. ყოველ შემთხვევაში ავტორს, თუ სურდა, რომ ნიკოლოზი გენოციდის სუბიექტად წარმოედგინა, უფრო კონკრეტულად უნდა ეჩვენებინა, თუ ვის გულისხმობდა იმპერატორი ურჩებში და როგორი მოქმედება მიაჩნდა მას ურჩობად, შეიარაღებული წინააღმდეგობა თუ სხვა რამ.

გარდა ამისა, როცა ზოგიერთი ავტორი გენოციდის შესახებ კონვენციაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ჩერქეზების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გენოციდს, ისმება კითხვა, თუ როგორ იყენებს ის ამ დოკუმენტს, როგორ ესმის ის და როგორ განმარტავს მას? ამ დოკუმენტის პრაქტიკულად გამოყენების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა წინააღმდეგობრივ განმარტებებს, რომელთა გადაწყვეტის საშუალებად დოკუმენტში გათვალისწინებულია საერთაშორისო სასამართლო.

რამდენად შეიძლება, რომ ისტორიკოსმა ან თუნდაც პარლამენტმა სასამართლოს გარეშე განსაზღვროს რაიმე, როგორც გენოციდი? რამდენად სწორი იქნება მათ მიერ გაკეთებული ასეთი განსაზღვრება, როცა ამის გაკეთება სპეციალურად მომზადებული იურისტებისთვისაც არ არის ადვილი, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე საუკუნეზე მეტი ხნის წინათ მომხდარ მოვლენას შეეხება?

ავტორები ცდილობენ, რომ თანამედროვე კანონმდებლობის საფუძველზე შეაფასონ ჩერქეზების ტრაგედია, როგორც გენოციდი, რისთვი-

საც იყენებენ ამ მოვლენის თვითმხილველებისა და კავკასიის ომებში მონაწილეთა მოწმობებს. ამ დოკუმენტებში კარგად ჩანს ის სისასტიკე, რომელიც გამოყენებული იყო ჩერქეზების მიმართ და ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელშიც ისინი ჩავარდნენ. მაგრამ **შეიძლება თუ არა, რომ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები გენოციდის უტყუარ დასაბუთებად მივიჩნიოთ? იქნებ ისინი სხვა დანაშაულზე მიუთითებენ? იქნებ საქმე გვაქვს სამხედრო დანაშაულთან?** ვფიქრობთ, რომ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გენოციდზე მსჯელობა არასწორია, რადგანაც ისინი მხოლოდ მიახლოებით ინფორმაციას იძლევიან, ხშირად წინააღმდეგობრივს, ხოლო გენოციდის დადგენა საჭიროებს უტყუარსა და ზუსტ ფაქტებს.

გენოციდის დადგენაში და რუსეთის გენოციდის დადანაშაულებაში საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, დადგინდეს მოტივაცია იმისა, თუ რატომ აწარმოებდა ის ჩერქეზებთან ომს. ავტორები, რომლებიც ცდილობენ, რომ ჩერქეზების გენოციდი დაამტკიცონ, თავიანთი თვალსაზრისის დასამტკიცებლად იყენებენ ხოლმე ამ ომის მონაწილეების მოგონებებს. მაგალითად, უმარ ტემიროვს მოჰყავს ნაწყვეტი გენერალ-ლეიტენანტ როსტისლავ ფადეევის, ჩერქეზებთან ომის მონაწილის, ნაშრომიდან „კავკასიის ომი“. ფადეევი აღნიშნავს, რომომის მიზანი სულ სხვა რამ იყო, ვიდრე აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობა. ჩერქეზეთის გეოგრაფიული მდებარეობა — ევროპული ზღვის სანაპიროთი მისი კავშირი გა-

რესამყაროსთან არ იძლეოდა იქ მოსახლეტა მხოლოდ დაპყრობით შემოფარგვლის საშუალებას, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... სხვა გზა არ იყო, ამ მიწის რუსეთთან მტკიცედ დასაკავშირებლად, მის რუსულ მიწად გადასაქცევად. ჩვენ უნდა გადაგვექცია შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო რუსულ მიწად, ამისათვის კი სანაპირო უნდა გაგვეწმინდა მთიელებისგან... მთიელების გაყრა და დასავლეთ კავკასიის რუსებით დასახლება — აი, ასეთი იყო ომის გეგმა ბოლო 4 წლის განმავლობაში".

ამ ნაწყვეტის პირველ ნაწილში საუბარია დასავლეთ ჩერქეზების წინააღმდეგ წარმოებული სამხედრო მოქმედებების მიზნებსა და წარმოების წესში არსებულ იმ თავისებურებაზე, რომლითაც ის განსხვავდებოდა აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობისა და რუსების მიერ კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ განხორციელებული ყველა ადრინდელი ლაშქრობისგან. ამ თავისებურების განმსაზღვრელად გვევლინება ჩერქეზების განსახლების გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც აძნელებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მათი კონტროლის შესაძლებლობას. კერძოდ, ჩერქეზები განსახლებულები იყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე, რაც საშუალებას აძლევდა მათ, შეხება ჰქონოდათ მთელ მაშინდელ სამყაროსთან. ეს კი შესაძლებლობას იძლეოდა, რომ ისინი მოქცეულიყვნენ უცხო სახელმწიფოების გავლენის ქვეშ, მიეღოთ მათგან დახმარება რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ მათ წინააღმდეგ წარმოებული ომის მიზანი იყო არა

მათი უბრალოდ დამორჩილება, არამედ ჩერქეზების აყრა და მათი მიწებზე რუსების დასახლება, რასაც უნდა განემტკიცებინა რუსეთის იმპერიის ხელისუფლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს ჩერქეზების ფიზიკური განადგურების სურვილს – მათ გენოციდს. რუსებს სურდათ არა ჩერქეზების ფიზიკური განადგურება, არამედ მათი გადასახლება თურქეთში. ამავე ნაწყვეტში ფადეევი საუბრობს იმის შესახებ, რომ საჭირო იყო ყუბანის იქითა მხარეს მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურება იმისათვის, რომ მეორე ნაწილს უპირობოდ დაეყარა იარაღიო. ეს სიტყვები თითქოს პირდაპირ მიუთითებს ჩერქეზების ამოჟლეტის, განადგურების სურვილზე. მაგრამ სანამ მათ გენოციდის არსებობის არგუმენტად მოვიყვანდეთ, აუცილებელია, გავცეთ პასუხი კითხვას: აქ ვის განადგურებაზეა საუბარი — მეომრებზე, რომლებიც იარაღით უწევდნენ რუსებს წინააღმდეგობას, თუ მშვიდობიან მოსახლეობაზე — ქალებსა და ბავშვებზე? კონტექსტიდან აშკარაა, რომ ავტორი აქ გულისხმობს იარაღით მებრძოლ ჩერქეზებს, რომელთა ბრძოლაში განადგურება, აჩვენებდა რუსეთის სიძლიერესა და ჩერქეზების სისუსტეს, რაც წინააღმდეგობის გაწევის მომხრეებს ბრძოლის სურვილს დააკარგვინებდა. ამიტომ **სიტყვა განადგურება აქ არ მიუთითებს გენოციდზე.** ზემომოყვანილი ნაწყვეტის ბოლო ნაწილში ფადეევი პირდაპირ ამბობს, რომ **რუსების მიზანი იყო არა ჩერქეზების განადგურება, არამედ მათი მიწების დაკავება.**

იმავე ფადეევის წიგნიდან მოყვანილი მეორე ნაწყვეტი, რომელშიც საუბარია იმ ამოცანის შესახებ, რომელიც რუსეთის ჯარებს უნდა გადაეწყვიტათ ჩერქეზების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დროს, თითქოს უფრო მეტ საფუძველს იძლევა გენოციდის არსებობის დასაბუთებისთვის, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. ფადეევი წერს, რომ „ჩერქეზთა მჭიდრო დასახლებები მთისპირებსა და ვაკეზე იყო განლაგებული, მთებში კი მოსახლეობა ძალიან ცოტა იყო... ჩერქეზული ომის მთავარი ამოცანა იყო, ამ ხალხის აყრა ტყისპირა კაკე ადგილებიდან და მთისპირეთიდან და მათი მთაში გარეკვა, სადაც ის დიდხანს ვერ შეძლებდა თავის შენახვას, გამოკვებას; ამის შემდეგ კი მთების ძირში უნდა გადაგვეტანა ჩვენი ოპერაციები“. უმარ ტემიროვი ამ სიტყვებიდან ასკვნის, რომ ამ ოპერაციის აზრი ჩერქეზების განადგურებაში მდგომარეობდა. ამ ოპერაციის მიზანი მიწების ჩერქეზებისგან განთავისუფლება ნამდვილად იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რუსები ამისათვის წინასწარგანზრახვით, მიზანმიმართულად ფიზიკურად ანადგურებდნენ მათ. **ფადეევის ზემოგანხილული მოგონების ფონზე ამ ოპერაციის აზრი შეიძლება გაგებული იყოს, აგრეთვე, არა როგორც მათი განადგურება, არამედ როგორც ჩერქეზების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენების სურვილი, რომელიც აიძულებდა მათ, დაეტოვებინათ სამშობლო.** რუსები მათ უტოვებდნენ ერთადერთ არჩევანს — ან დახოცილიყვნენ, ან თურქეთში გა-

დასახლებულიყვნენ, ე. ი. უტოვებდნენ გადარჩენის შესაძლებლობას. ამიტომ არ შეიძლება ზემომოყვანილ ინფორმაციაში მხოლოდ განადგურების სურვილი დავინახოთ. თუ რა ჰქონდა ჩაფიქრებული რუსეთის სარდლობას, ამაზე კიდევ ერთ წარმოდგენას იძლევა ვენუკოვისა და ევდოკიმოვის საუბარი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ევდოკიმოვს ჩერქეზების გასახლება (და არა გენოციდი, გენოციდის სურვილი არ არსებობს) სურს იმის გამო, რომ მათ რუსეთის მტრებად აღიქვამს:

ფადეევის მოგონებიდან, ჩანს, რომ უმაროვი ცდილობს, აგრეთვე, გენოციდის დამტკიცებას, შეეხება ჩერქეზების გაქცევას მიუვალ და ადამიანის არსებობისთვის შეუფერებელ ადგილებში, მათი ერთი ნაწილის იარაღით, ხოლო მეორე ნაწილის შიმშილითა და სიცივით განადგურებას. მათ თავზე დამტყდარი უბედურების მიზეზად ფადეევი ჩერქეზების დაუმორჩილებლობას მიიჩნევს. ავტორი პირდაპირ საუბრობს მთიელების ნაწილის განადგურების საჭიროებაზე იმისათვის, რომ მეორე ნაწილს დაეყარა იარაღი. მაგრამ რომელი მთიელების განადგურებაზეა საუბარი — **რომლებიც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, თუ რომლებიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ რუსებს?** ვფიქრობთ, რომ აქ საუბარი უნდა იყოს რუსეთის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი მთიელების განადგურებაზე. ამავე ნაწყვეტში **ფადეევი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ჩერქეზების მხოლოდ მეათედი ნაწილი დაეცა იარაღის გამოყენების შედეგად,**

დანარჩენი კი შიმშილმა და სიცივემ გაანადგურაო. მაგრამ ამ შემთხვევაშიც — რომელი ჩერქეზები გახდნენ იარაღის მსხვერპლნი — ქალები, ბავშვები, მოხუცები, მშვიდობიანი მოსახლეობა თუ შეიარაღებულ მებრძოლები — ფადეევი აღარ აზუსტებს. ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „განადგურება“ სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და იმის ზუსტი გაგებისთვის, თუ რას გულისხმობდა ავტორი ამ სიტყვაში, საჭიროა მისი დაკითხვა, რაც ცნობილი მიზეზების გამო შეუძლებელია.

ფადეევის მოგონების მეორე ნაწილი თითქოს უფრო ნათლად გვიჩვენებს გენოციდის ნიშნებს: ჩერქეზების ქალები და ბავშვები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ ისინი იხოცებოდნენ შიმშილისა და სიცივის გამო, მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტებზე მითითება არ არის საკმარისი გენოციდის დადგენისთვის. ამისათვის **აუცილებელია რუსების მოქმედების მოტივაციის დადგენა: რა იყო რუსების მიზანი — ქალებისა და ბავშვების ამოხოცვა თუ მათი ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, როცა თავადვე იტყოდნენ უარს სამშობლოში დარჩენაზე, რათა გადაერჩინათ თავიანთი სიცოცხლე. უსპობდნენ თუ არა რუსები წინასწარგანზრახვით ჩერქეზებს სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას?** რუსები ჩერქეზებს სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას წინასწარგანზრახვით არ უსპობდნენ, რადგანაც ისინი საშუალებას აძლევდნენ, რომ გაქცეულიყვნენ, არ ახდენდნენ მათ ბლოკირებას მიუვალ და ადამიანის არსებობისთვის შეუ-

თავსებელ ადგილებში ისე, რომ მათ არ შეძლებოდათ იქიდან ჩამოსვლა შავი ზღვის სანაპიროზე თურქეთში გამგზავრებისთვის. **ის, რომ ჩერქეზების ამოჟლეტა არ იყო რუსეთის მთავრობის მიზანი, იქიდანაც ჩანს, რომ ეს უკანასკნელნი თურქეთის მთავრობას შეუთანხმდნენ, რათა მას მიეღო რუსეთის მიერ გასახლებული მთიელები. რუსებს ამ უკანასკნელთა გენოციდის სურვილი რომ ჰქონოდათ, თურქეთში კი არ გადაასახლებდნენ, არამედ უბრალოდ, იარაღით მასობრივად დახვრეტდნენ ან კიდევ მათ ბლოკირებას მოახდენდნენ ადამიანის არსებობისათვის შეუთავსებელ ადგილებში, სადაც ისინი თავისთავად დაიხოცებოდნენ**. გარდა ამისა, აქ ფადეევი საუბრობს იმაზე, რომ მოსახლეობა გაურბოდა რუსებს ისეთ ადგილებში, სადაც არსებობის საშუალება არ ჰქონდათ. ისინი გარბოდნენ შიშის გამო. მაგრამ რა ხდებოდა, თუ ისინი რუსეთის ჯარს ჩაუვარდებოდნენ ხელში, — ამის შესახებ უმაროვის მიერ მოყვანილ ფადეევის მოწმობაში არაფერია ნათქვამი. თუმცა მეორე გენერლის, ვენიუკოვის მოგონებაში, რომელიც უოლტერ რიჩმონდს მოჰყავს გენოციდის არსებობის დასამტკიცებლად, ნათქვამია, რომ ზოგჯერ რუსებს ხელში უვარდებოდათ ხოლმე აულების მოსახლეობა, რომლებსაც კი არ ხოცავდნენ, არამედ ბადრაგის საშუალებით მიჰყავდათ უახლოეს სადგურამდე და იქიდან აგზავნიდნენ შავი ზღვის სანაპიროსაკენ, საიდანაც თურქეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ. ვენიუკოვი იმასაც აღნიშნავს, რომ ადგილი ჰქონ-

და სისასტიკესაც, რომელიც მხეცობამდეც მიდიოდა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ეს სისტემატურ ხასიათს კი არ ატარებდა, არამედ ხდებოდა მხოლოდ ზოგჯერ. მაგრამ რას ნიშნავს ამ წყაროში ნახსენები სიტყვა „სისასტიკე“? მასში შეიძლება იგულისხმებოდეს, როგორც მკვლელობები, ასევე გაუპატიურებები, ცემა, სახლ-კარის გადაწვა და ა.შ. გარდა ამისა, არ ჩანს ამ სისასტიკის მოტივაცია, არაფერია ნათქვამი, ვინ ჩადიოდა ამას — ჯარისკაცები, ოფიცრები, გენერლები თუ ვინ? რატომ სჩადიოდნენ? სისასტიკე შეიძლება იყოს როგორც ბრძოლაში მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის, მეგობრების, ახლობლების დაკარგით, ძველად მიღებული ზიანის შედეგად გამოწვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის შედეგი და ა.შ., ასევე დიდი სოციალური ჯგუფის განადგურების მოტივაციით გამოწვეული. იყო ეს სისასტიკე შედეგი კონკრეტულად ვინმეს მიერ გაცემული ბრძანებისა თუ სპონტანურად იყო წარმოშობილი კონკრეტულ სიტუაციაში? რატომ ამბობს გენერალი, რომ სისასტიკეს ხანდახან ჰქონდა ადგილი? რატომ არ ჰქონდა მას სისტემატური ხასიათი? იქნებ მას სისტემური ხასიათი ჰქონდა და გენერალი ცდება? რას უწოდებს ის სისასტიკეს? თუ ამ გენერლის მოწმობას გამოვიყენებთ გენოციდის დასამტკიცებლად, მაშინ ძალიან ბევრ კითხვაზე იქნება საჭირო პასუხის გაცემა მისი მოწმობების შესავსებად და დასადასტურებლად. ამისათვის კი აუცილებელი იქნებოდა სასამართლო, მისი დაკითხვა და ა. შ.

ამერიკელი ისტორიკოსი უოლტერ რიჩმონდი ამბობს, რომ რუსების მიერ ჩატარებულ წმენდებს თან სდევდა მამაკაცების, ქალების, ბავშვების, მასობრივი მკვლელობები ხიშტებითა და საარტილელიო ცეცხლითო. მაგრამ გენოციდის კვალიფიკაციისთვის მხოლოდ ხიშტებით მკვლელობაზე მითითება საკმარისი არ არის. ქალებისა და ბავშვების ხიშტებით მკვლელობა შეიძლებოდა არ ყოფილიყო მოცემული ეთნიკური ჯგუფის განადგურების მოტივაციით წარმოშობილი, ე. ი. არ იყოს გენოციდის მაჩვენებელი და სხვა დანაშაულად კვალიფიცირდებოდეს. გარდა ამისა, საჭიროა, დადგინდეს, რამდენჯერ ჰქონდა ასეთ ფაქტს ადგილი, იყო თუ არა ის გაცემული ბრძანების შესრულების შედეგი? რა იყო ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში მისი მოტივაცია? ეს იყო კონკრეტული პირების მიერ საკუთარ ინიციატივით ჩადენილი თუ მთავრობის ბრძანების განხორციელების შედეგი? დანაშაულის დადგენა და კვალიფიცირება საჭიროებს კონკრეტულობას და სწორედ ეს კონკრეტულობა არ ჩანს მოცემულ მოწმობაში. გარდა ამისა, უოლკერის მოყვანილი წყაროები არ იძლევიან გენოციდის უტყუარ მონაცემებს. მის მიერ მოყვანილი ფაქტებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ აშკარა გენოციდის კვალი, თუმცა ესეც მხოლოდ მიახლოებით და ისიც არა მთელი სახელმწიფოს, არამედ მისი ერთ-ერთი გენერლის მოქმედებების შემთხვევაში. საუბარია გენერალ ვლასოვზე, რომელმაც, უოლტერ რიჩმონდის მოწმობით, საარტილერიო

ცეცხლით დახოცა უიარაღო ჩერქეზები, რომლებიც თავის დახოცილ ამხანაგებს აგროვებდნენ ბრძოლის ველზე. ეს რიჩმონდის მიერ მოყვანილ ფაქტებში თითქოს ყველაზე უტყუარი ფაქტია, მაგრამ აქაც ჩნდება კითხვა: **რატომ გააკეთა ვლასოვმა ეს? ხომ არ ხდებოდა დახოცილი ჩერქეზების ბრძოლის ველიდან გატანისას მათი იარაღის გატანაც, რომელიც შემდეგ შეიძლება რუსების წინააღმდეგ ყოფილიყო გამოყენებული? რატომ უნდა მოხდეს ვლასოვის მოქმედების კვალიფიცირება მაინცდამაინც გენოციდად? იქნებ საქმე გვაქვს არა გენოციდთან არამედ სამხედრო დანაშაულთან?** გენოციდის დასამტკიცებლად საჭირო იყო უოლკერს მოეყვანა ისეთი ფაქტები, რომელიც ვლასოვის მოტივაციაზე მიუითითებდა. აღსანიშნავია, რომ ამ გენერლის საქმიანობა იმდენად არადამიანურ ხასიათს ატარებდა, რომ იმპერატორმა მისი მოქმედებების შესწავლისთვის სპეციალური კომისიაც კი გამოყო. თავად ასეთი კომისიის გამოყოფა უკვე მიუთითებს იმაზე, რომ **რუსეთის მთავრობის მიზანი ჩერქეზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, განადგურება გენოციდი არ ყოფილა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ვლასოვის საქმიანობის შესასწავლად სპეციალური კომისია კი არ გამოიყოფოდა, არამედ მას დაა-ჯილდოებდნენ.** ასეთი კომისიის შექმნა ვლასოვის მოქმედებების ალაგმვის სურვილის მაჩვენებელია და არა მათი წახალისებისა. ამ კომისიის დასკვნაში ისიც ჩანს, რომ რუსეთის მთავრობას არ სურდა, რომ მთიელები სიძულვილით ყო-

ფილიყვნენ განწყობილნი რუსების მიმართ. იქ სპეციალურად არის ხაზგასმული, რომ ვლასოვის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯარისკაცები სხვადასხვა მოქმედებით იწვევდნენ ჩერქეზების სიძულვილს რუსეთისადმი. გენოციდის მომწყობი იმაზე არ დაფიქრდებოდა, რომ ისე მოქცეოდა თავის მსხვერპლს, რომ უკანასკნელის სიძულვილი არ გამოეწვია. არც ერთი გენერლის მოწმობაში — არც ვენუკოვისა და არც დროზდოვისაში, რომლებიც გენოციდის არსებობის დასამტკიცებლად მოჰყავს რიჩმონდს, არ არის საუბარი არც არტილერიისა და არც ხიშტების გამოყენების შესახებ უიარაღო მოსახლეობის განადგურებაზე. ვენიუკოვი საუბრობს მტრის აულების გაწმენდაზე. მაგრამ რას ნიშნავს აულების გაწმენდა? მათ მცხოვრებლებს ხოცავდნენ ხიშტებით ან სხვაგვრად თუ მოსახლეობა გარბოდა? კონტექსტიდან ჩანს, რომ გაწმენდაში იგულისხმება არა ხოცვა-ჟლეტა, არამედ მთიელების გაქცევა, ესეც — ვარაუდის დონეზე. ის, რომ ავტორი გაწმენდაში არ უნდა გულისხმობდეს მკვლელობებს, იქიდანაც ჩანს, რომ ვინც საყოველთაო არეულობაში ტყვედ ჩაუვარდებოდათ ხოლმე, მათ შავი ზღვისკენ გზავნიდნენ დაცვის ქვეშ, ე. ი. არ ხოცავდნენ. რუსები ანადგურებდნენ ნათესებს — მაგრამ რისთვის? ჩერქეზების დასახოცად, მიწიდან ასაყრელად თუ გასაქცევად?

დროზდოვის მონათხრობს შეიძლება ფსიქიკური შეტევა ვუწოდოთ „განა შეიძლება ამაზე საშინელი სურათის ხილვა — ვაშას ძახილი, ბავშ-

ვების ტირილი, ქალების გოდება?“. გენერალი აღწერს აულების დარბევის სურათს, რომლის დროსაც ჯარისკაცები ვარდებოდნენ იქ „ურას“ ძახილით, ისროდნენ, მაგრამ დასაშინებლად თუ მოსაკლავად, ამაზე არაფერს ამბობს ავტორი. ამ დროს იწვოდა სახლები, გაისმოდა ქალების მოთქმა და ბავშვების ტირილი. ყოველივე ეს შეიძლება სისასტიკის მაჩვნებელი იყოს, მაგრამ არა გენოციდისა. **ეს არის ისეთი ფსიქოლოგიური მოქმედება, რომლის მიზანია შიშის დათესვა მოსახლეობაში და არა ეთნიკური ჯგუფის განადგურება.**

უოლტერ რიჩმონდს მიაჩნია, რომ ყველა არსებული მასალა და თვითმხილველთა მოწმობა მეტყველებს იმაზე, რომ ჩერქეზების გენოციდს ნამდვილად ჰქონდა ადგილი და სწორედ ისე, როგორც ეს არის განსაზღვრული გაეროს კონვენციაში. მისი აზრით, რუსეთის არმიამ მოაწყო ჩერქეზების გენოციდი 1863 წლის ოქტომბრიდან 1864 წლის აპრილის ჩათვლით. ამაში ის ბრალს სდებს კავკასიის არმიის სარდლობას, კერძოდ, დიდ მთავარ მიხეილს, შტაბის უფროს ალექსანდრე კარპოვს, კავკასიის ხაზის მარჯვენა ფრთის ჯარების სარდალს, გენერალ ნიკოლოზ ევდოკიმოვს, რაზმების უფროსებს — გენერლებს ბაბიჩს, ტიხოცკის და გეიმანს, რომლებმაც, მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ მათი მოქმედებები გამოიწვევდა ადგილობრივი მცხოვრებლების მასობრივ დაღუპვას, ჩაატარეს მთიანი ნაწილის მოსახლეობის ეთნიკური წმენდა. მათი მოქმედებები გამართლებული იქ-

ნა სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინის მიერ. მაგრამ რიჩმონდის მიერ მოტანილი მტკიცებულებებიდან, როგორც უკვე ვნახეთ, არ შეიძლება, რომ ერთმნიშვნელოვნად ვიმსჯელოთ გენოციდის არსებობის შესახებ. ისინი მიუთითებენ სისასტიკეზე და არა გენოციდზე. **საუკუნეზე უფრო მეტი ხნის წინათ მომხდარი მოვლენის გენოციდად კვალიფიცირება დღეს შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა არა ისტორიკოსების მიახლოებული მსჯელობები, არამედ სასამართლო პროცესები და კვალიფიცირებული იურისტები, მოწმეების დაკითხვა და ა. შ.**

5. ჩერქეზები შავი ზღვის სანაპიროზე: ტრაგედია თუ გენოციდი?

ის საშინელი პირობები, რომელშიც ჩერქეზებს მოუხდათ არსებობა შავი ზღვის სანაპიროზე, სურსათ-სანოვაგის, ფულისა და ტანსაცმლის გარეშეც კი, და სადაც ისინი იხოცებოდნენ და ავადდებოდნენ, საფუძველს იძლევა, ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს სწორედ გენოციდთან, რომელიც რუსეთის მხარემ მოუწყო ჩერქეზებს. ისე გამოდის, რომ თითქოს რუსეთმა მიზანმიმართულად ჩააყენა მთიელები ისეთ პირობებში, რომ ისინი დახოცილიყვნენ. მაგრამ, თუ ცოტა უფრო ღრმად ჩავხედავთ საკითხს, ალბათ, არ შეიძლება არ გაგვიჩნდეს კითხვა: **რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული რუსეთის იმპერია, რომ დიდი ხნის განმავლობაში დაყოვნებულიყო ეს ხალხი რუსეთის ტერიტორიაზე,**

რომლებიც ამავე დროს ინფექციური დაავადებების მატარებლებიც იყვნენ და ამ დაავადებების გავრცელების საფრთხესაც ქმნიდნენ, თანაც მაშინ, როცა ასე დაჩქარებულად აყარა ისინი საკუთარი ტერიტორიიდან თურქეთში გასაგზავნად? თანაც თურქეთიც დაინტერესებული იყო მათი მიღებით. ამ ხალხის შავი ზღვის სანაპიროზე დაყოვნება არც რუსეთისა და არც თურქეთის ინტერესებში არ შედიოდა. ალბათ, **ამის მიზეზი უფრო მეტად თურქებისა და რუსული ფლოტების დაბალ გამტარუნარიანობაში უნდა ვეძებოთ.** როგორც აფხაზთა მუჰაჯირობის ცნობილი მკვლევარი ძიძარია აღნიშნავს, ვერც თურქეთისა და ვერც რუსეთის ფლოტები ვერ უზრუნველყოფდნენ ადამიანების უზარმაზარი მასის გადაყვანას. საქმეს ვერც ინგლისის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების გემების გამოყენებამ უშველა. რუსეთს სურდა, რომ ადამიანების ეს მასა გაეყვანა ქვეყნიდან და, როცა საკუთარი გემები ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ის შეეცადა, დამატებით სხვა სახელმწიფოების გემებიც გამოეყენებინა, მაგრამ იმდენად დიდი იყო გადასაყვანი ხალხის მასა, რომ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი.

გადასახლებულები იძულებულნი იყვნენ, რომ კაპიკებში გაეყიდათ თავიანთი ქონება. ამ ადამიანების გაღატაკებას ხელს უწყობდა ისიც, რომ თურქეთის მთავრობა მათ საშუალება არ აძლევდა, თან წაეღოთ იარაღი და საქონელი. მთიელებს არ ეგონათ, რომ ასე სწარფად დამარცხებოდნენ, რის გამოც უკანასკნელ წუთამდე იკა-

ვებდნენ თავს საკუთარი ქონების გაყიდვისგან. მაგრამ, როცა რამდენიმე ათას ადამიანს მოუწია, ერთდროულად გაეყიდა თავისი ქონება, ფასი წარმოუდგენლად დაბლა დაეცა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყიდებოდა იარაღი და საქონელი. აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობას გადასახლებულთათვის მიზერული რაოდენობის დახმარებაც ჰქონდა გამოყოფილი. ამ თანხის დიდი ნაწილი დაიხარჯა გემების მეპატრონეებისთვის მთიელების გადასაყვანი ფასის გადახდაში, ხოლო აქედან დარჩენილი ძალიან მცირე რაოდენობის თანხა, მართალია, გამოეყო ამ უკანასკნელებს, მაგრამ ესეც არ მიდიოდა ადრესატამდე, რადგანაც ჩინოვნიკები იპარავდნენ მას. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის ელიტა არ ჩანს, რომ გულგრილად ყოფილიყო განწყობილი მთიელთა ბედისადმი. როცა ალექსანდრე მეორემ გაიგო მათი მდგომარეობის შესახებ, მან თავის ძმას დიდ მთავარ მიხეილს უბრძანა გამოძიების ჩატარება. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც უოლტერი აღნიშნავს, სინამდვილეს შეგნებულად მალავდა და აცხადებდა, რომ არც შიმშილი იყო და არც ავადმყოფობები. ამ ფაქტს უოლტერი იყენებს მიხეილის გენოციდში დადანაშაულებისთვის. მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტით მისი გენოციდში მონაწილეობის დამტკიცება არ შეიძლება. იქნებ მას შეეშინდა იმპერატორისთვის სიმართლე ეთქვა, იქნებ პირიქით, მართლაც უნდოდა ისევე დარჩენილიყო ყველაფერი, როგორც იყო და ა. შ. ბევრი კითხვები შეიძლება გაჩნდეს. სიმართლის გარკვევის-

თვის საჭიროა მისი და სხვა მოწმეების დაკითხვა, რისი შესაძლებლობაც ამჟამად არ არსებობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქმე ეხება საუკუნეზე მეტი ხნის წინ მომხდარ ფაქტებს. **რუსეთის ჩერქეზების გენოციდში დადანაშაულება კი სწორედ მკვდრების გასამართლებას ჰგავს.** აღსანიშნავია, რომ ჩერქეზების დიდი ნაწილის განადგურება მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა. ის გრძელდებოდა გემებზეც, სადაც ისინი ვერ უძლებდნენ იქ შექმნილ გაუსაძლის პირობებს, და რაც მთავარია, თურქეთშიც, რომელიც მზად არ აღმოჩნდა ადამიანთა ამხელა მასის მისაღებად და რის გამოც მათ ენით აუწერელ პირობებში მოუხდათ არსებობა ახლა უკვე მის ტერიტორიაზე.

ისტორიკოს ძიძარიას მოწმობით, ჯერ კიდევ 1858 წლიდან მთიელების გადასახლების საკითხი აქტიური დიპლომატიური მიმოწერის საგანი ხდება მეფის მთავრობასა და თურქეთს შორის. მისივე მოწმობით, თურქეთის მმართველი წრეები თავიდანვე ახალისებდნენ და ყოველმხრივ ახდენდნენ ამ მოძრაობის პროვოცირებას. კავკასია სულ უფრო მეტად ივსებოდა ამ ქვეყნის საიდუმლო აგენტებით, პროკლამაციებითა და მოწოდებებით. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ემისარი, 1864 წლის 1 ივნისს, მუჰამედ ნაზარეტი, ჩერქეზებს მოუწოდებდა, რომ გადასახლებულიყვნენ თურქეთში, სადაც მათთვის მთავრობა აშენებდა ბინებს და რაშიც მთელი ხალხი იღებდა მონაწილეობას. მეფის რუსეთიც უწყობდა ხოლმე ხელს ასეთი პროკლამაციების

გავრცელებას. მაგალითად, ლორის მელიქოვს გრაფმა ევდოკიმოვმა გადასცა თურქეთის ემისრის პროკლამაციის თარგმანი, რომელშიც მთიელებს ეპატიჟებოდნენ თურქეთში. ლორის მელიქოვი გასავრცელებლად ითხოვს რამდენიმე ასეთი ეგზემპლარის გაგზავნას. რუსეთის ელჩი თურქეთში ა. ი. მოშნინი 1863 წლის 28 დეკემბერს წერდა, რომ პორტა მოხარულია მთიელთა გადასახლებით და ზომებსაც იღებს მისი გაადვილებისთვისო. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ 1859 წელს გამოქვეყნებული წესების თანახმად, კავკასიელი მთიელების გადასახლება „მცირე პარტიებად“ უნდა მომხდარიყო. **თურქეთის მთავრობა ფიქრობდა, გადმოსახლებულებით დაესახლებინა ცარიელი და მცირედდასახლებული ადგილები და მათი სახით მიეღო იაფი სამუშაო ძალა.** გარდა ამისა, მას სურდა, მუჰაჯირები განეთავსებინა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში და რუსეთთან ომის შემთხვევაში გამოეყენებინა სამხედრო ძალად და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ **მთიელების მასობრივად გადასახლებას მთიელი ფეოდალების ერთი ნაწილიც უჭერდა მხარს, რომელიც გამოდიოდა საგლეხო რეფორმის წინააღმდეგ და თურქეთში გაქცევით ცდილობდა თავისი პრივილეგიებისა და უფლებების შენარჩუნებას.** ბერჟეს მოწმობით, ყველაზე უფრო წინდახედულმა მთიელებმა დაიწყეს თავიანთი ოჯახების გადაყვანა თურქეთში. ისინი ადგილზე სარფიანად ყიდდნენ თავიანთ ქონებას. პოლიტიკურ და ზნეობრივ სტიმულებს დაემატა ეკონომიკური მიზეზე-

ბიც, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ყველაზე უფრო პატივცემულმა და გავლენიანმა მთიელებმა, რუსეთში გლეხობის განთავისუფლების შემდეგ, თავიანთი ხელქვეითების დაკარგვის შიშის გამო, დაიწყეს თურქეთში გადასახლება და მთელი მასების წაყვანა. ბერჟეს აზრით, სწორედ ეს ადამიანები იყვნენ მთიელთა გასახლების ინიციატორები. ისინი ხალხზე უსაზღვრო გავლენით სარგებლობდნენ. მათ პირადი ინტერესები ამოძრავებდათ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაეშინებინათ ისინი, ვინც რუსების მხარეზე აპირებდა გადასვლას, რუსეთის ხელისუფლების თავნებობით, ჯარში გაწვევით და მომავალში მუსლიმანურ რელიგიაზე უარის თქმის პერსპექტივით. რუსეთის ხელისუფლება, რომელსაც თითქოს ხელი უნდა შეეწყო ამ პროცესისთვის, რადგანაც ის მისი სანუკვარი ოცნების – საშიში მთიელების გასახლებას ემსახურებოდა, უცბად მისი ხელის შემშლელის როლში მოგვევლინა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ პროცესის შედეგად ქვეყნიდან გადიოდა სამუშაო ძალა, რომელიც ხელს უშლიდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ფადეევი მეფის ადგილობრივ ადმინისტრატორებს საყვედურობდა, რომ ისინი უფლებას აძლევდნენ „მფლობელებს“, მასობრივად გაეყვანათ თავიანთი ყმები, რაც ამ მხარეს ართმევდა სამუშაო ძალას, რომელიც, მისი აზრით, შედგებოდა მეტად შრომისმოყვარე, მორჩილი ადამიანებისგან, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდნენ საფრთხეს. ის იმასაც კი მოითხოვდა, რომ ამ ადამი-

ანებისთვის ჩამოერთმიათ უფლებები თავიანთ ყმებზე, ანუ მათი წაყვანის უფლება იმ მომენტიდან, როცა ისინი თავს თურქებად გამოაცხადებდნენ. ამისათვის ბერჟე სთავაზობდათ, რომ თავისუფლება გამოეცხადებინათ იმ გლეხებისთვის, რომელთა ბატონებიც მიემგზავრებოდნენ თურქეთში. **მეფის მთავრობა ცდილობს, შეაჩეროს გადასახლების პროცესი. მთის არისტოკრატიაზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, 1862 წელს მან გამოაცხადა მთიელი ყმა-გლეხების განთავისუფლება. როცა 1863 წელს მეფის ჯარები შევიდნენ აბადზეხების მიწაზე, ამ ჯარების მეთაურებს მიეცათ მითითება, რომ მოლაპარაკებების ერთ-ერთ მთავარ პირობად წამოეყენებინათ ის, რომ ბატონყმობას ადგილი ქონებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მფლობელი თავისი ნებით გახდება რუსეთის ქვეშევრდომი თავისი ოჯახით, ხოლოპებითა და ქონებით.** ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ მუჰაჯირობას ჰქონდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მხარეც, რადგანაც ის ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რაც კარგად ჰქონდა შეგნებული რუსეთის ხელმძღვანელობას. მას სჭირდებოდა დაპყრობილი მხარის ეკონომიკური აღორძინება, რასაც ხელს უშლიდა სამუშაო ძალის გაყვანა ქვეყნის გარეთ. შეიძლება, ალბათ, ამითაც აიხსნას ის, რომ მუჰაჯირთა მცირე ნაწილი მაინც დაბრუნდა სამშობლოში. გლეხების გადასახლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, აგრეთვე, ფეოდალთა ნაწილიც, რომელთაც არ სურდათ სამუშაო ძა-

ლის დაკარგვა. ისტორიკოსი ძიძარია აღნიშნავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში მეფის მთავრობა ზღუდავდა გლეხების წასვლას თურქეთში, რომლებსაც თავიანთი ბატონების გარეშე არ ჰქონდათ გადასახლების უფლება.

6. ჩერქეზების საკითხი: ისტორიული მეხსიერება და თანამედროვე პოლიტიკა

ჩერქეზების ტრაგიკული ისტორიის ამ ფურცელმა დღეს აქტუალობა შეიძინა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მან ბევრად შეცვალა ჩერქეზების ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების ტრაექტორია და განსაზღვრა ამ ხალხის დღევანდელი მდგომარეობა. ეს ხალხი ორ ნაწილად აღმოჩნდა გაყოფილი, რის გამოც მათი უმრავლესობა სამშობლოსაგან გარეთ, იმ თანამოძმეთაგან განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში ვითარდებოდა, რომლებიც დარჩნენ სამშობლოში. მაგრამ, როცა ვსაუბრობთ ამ ტრაგედიის გავლენაზე თანამედროვე ჩერქეზების მდგომარეობაზე, როგორც ჩანს ძნელია კატეგორიული მსჯელობა. ამიტომ ამ შემთხვევაში თანამედროვეობაზე ისტორიული გავლენის ძალაზე მხოლოდ მიახლოებით შეიძლება ვისაუბროთ, რადგანაც ის ბევრ შემთხვევაში ვარაუდებზე იქნება დაყრდნობილი. მაგალითად, უოლტერ რიჩმონდის მიხედვით, თუ ვივარაუდებთ, რომ ჩერქეზეთის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით ნახევარ მილიონ ადამიანს (ყურადღება მივაქცი-

ოთ, რომ ამ დროინდელი ჩერქეზების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი და ავტორი თავის მსჯელობას ვარაუდებზე აგებს), მოსახლეობის 2%-ანი ზრდის გათვალისწინებით, დღევანდელი ჩერქეზეთის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 30 მილიონი ადამიანი. მისივე სიტყვებით, დღეს მსოფლიოში არსებული ჩერქეზების რაოდენობა სხვადასხვა შეფასებებით შეადგენს 4-დან 6 მილიონ ადამიანამდე, რომელთაგანაც 700 000 ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში. სხვა მონაცენებით მსოფლიოში 8 მილიონი ჩერქეზი ცხოვრობს, რომელთაგანაც რუსეთში მხოლოდ 700 000. **უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ჩერქეზები არ აღმოჩენილან ამ დღეში. დაახლოებით ასეთივე ისტორიული ბედი ხვდათ წილად, მაგალითად, სომხებს, ებრაელებს. ქართველების ერთი ნაწილიც დღეს თურქეთში, მეორე — ირანში, ხოლო ძირითადი ნაწილი კი საქართველოში ცხოვრობს, რაც ასევე შეიძლება ქართველი ხალხის ტრაგედიად იყოს გაგებული. ასე რომ არ მომხდარიყო ქართველთა დანაწევრება ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დღეს შეიძლება განსხვავებულ საქართველოში გვეცხოვრა.**

იმის გამო, რომ აშკარაა მე-19 საუკუნის მოვლენების გავლენა ჩერქეზების თანამედროვე დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, ჩერქეზული საზოგადოებრიობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ საკუთრივ რუსეთში და, აგრეთვე, საზღვარგარეთ, ცდილობენ, რომ უცხოეთში მცხოვრები ჩერქეზე-

ბის დაბრუნებით გამოასწოროს მათი დემოგრა-ფიული სიტუაცია. მაგალითად, კუმხურ ბალი, კავკასიური ასოციაციის ფედერაციის წარმო-მადგენელი, აცხადებს, რომ რუსეთმა უნდა გა-ნიხილოს ჩერქეზების პროექტი, მათი სამშობ-ლოში დაბრუნებისა და მიწითა და საცხოვრებ-ლით უზრუნველყოფის საკითხი (ტომას გრუვი, დასახელებული ნაშრომი). კავკასიური ასოცი-აციის ფედერაცია — ეს არის ორგანიზაცია, რომელიც იცავს თურქეთში გაფანტული ჩერ-ქეზებისა და სხვა ჯგუფების ინტერესებს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდ-ნენ რუს კანონმდებლებთან შეხვედრას, 400-დან 500-მდე თურქი მოქალაქე უკვე დაბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოში. **ჩერქეზების ნაწილს მიაჩნია, რომ საჭიროა, რუსეთმა აღი-აროს ჩერქეზების გენოციდი, დაუბრუნოს ჩერქეზებს თავიანთი ტერიტორიები და ცნოს მათი სუვერენიტეტი.** მაგალითად, ჩერქეზი ად-ვოკატი და მწერალი თიმურ კუდაევი ამბობს, რომ „ჩვენ გვინდა, რუსეთმა აღიაროს, რომ ეს იყო გენოციდიდა დათანხმდეს აქედან გამომ-დინარე ბუნებრივ ქმედებებზე, მატ შორის ტე-რიტორიების დაბრუნებაზე და მოსკოვის მიერ სუცერენიტეტის ცნობაზე“. 1994 წელს ელცინ-მა განცხადა, რომ შემოჭრილი მეფის ჯარის წი-ნააღმდეგ იარაღის გამოყენება გამართლებუ-ლი იყო. მან ჩერქეზების მდგომარეობას ტრა-გიკული უწოდა. ადიღეამ და ყაბარდო-ბალყა-რეთმა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოს-კოვს მოუწოდა, ბოდიში მოეხადა ჩერქეზების-

თვის. ჩერქეზების ზოგიერთი ლიდერის აზრით, თუ არ მოხდება ჩექრქეზების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ჩერქეზეთში შეიძლება განვითარდეს სრულმასშტაბიანი მოძრაობა დამოუკიდებლობისთვის. მაგალითად, ჩიჩეკ ჩეკი აღნიშნავს, რომ: „ნებისმიერი მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავს, რაც მეტი ცერქეზი დაკარგავს ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოებში გადაწყვეტილებების მიღების იმედს“.

სოჭში ოლიმპიადის ჩატარების გადაწყვეტილებამ ახალი სიმწვავით დააყენა ჩერქეზი ხალხის ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკული ფურცელი თანამედროვეთა წინაშე. მან ხელი შეუწყო ჩერქეზეთის საკითხის ინტერნაციონალიზაციას, აქტიური პოლიტიკური დისკურსის ცენტრში მოქცევას. ჩერქეზები სოჭში ოლიმპიადის ჩატარებას აღიქვამენ, როგორც მათ უპატივცემლობას და იმ ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფას, რომლებიც რუსეთთან ომის მსხვერპლნი გახდნენ. როგორც ჩერქეზი ადვოკატი და მწერალი ტიმურ კუდაევი ამბობს: „ჩვენ არ გვინდა, რომ ჩატარდეს ოლიმპიადა, თუკი ის კრასნაია პოლიანაში გაიმართება. ჩვენ ვერ ვუყურებთ თამაშებს ცრემლების გარეშე“. ასეთ პირობებში საქართველოს პარლამენტმა აღიარა ჩერქეზების გენოციდი. ეს იყო მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა. ამ გადაწყვეტილებით ახალი ეტაპი იწყება საქართველოსა და ჩერქეზი ხალხის ურთიერთობაში, რომელსაც პოსტსაბჭოთა პერიოდში არა მხო-

ლოდ მეგობრული, არამედ მშვიდობიანიც კი არ ყოფილა. ჩერქეზები იარაღით ხელში იბრძოდნენ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთში.

საქართველომ აირჩია განვითარების დასავლური ვექტორი და გავიდა საბჭოთა კავშირიდან, ხოლო მისი ავტონომიები კი, აფხაზეთი და სამაჩაბლო, საბჭოთა კავშირში დარჩენის სურვილს აცხადებდნენ. მათი მოძრაობა მიმართული იყო საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისკენ. ასე წარმოიშვა ის, რასაც ერთ-ერთმა რუსმა მკვლევარმა „აფხაზეთის ვანდეა“ უწოდა. ამიტომ გორბაჩოვი მხარს უჭერდა სეპარატისტულ მოძრაობებს, როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის საპირწონე მოვლენას. ასე ჩაეყარა საფუძველი არა მხოლოდ იმ კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიშვა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთი), არამედ რუსეთის, როგორც საქართველოს მტრის ხატის, არნახულად გაძლიერებასაც, რადგანაც საზოგადოებრივი აზრი რუსეთსა და საბჭოთა კავშირს ერთმანეთისგან არ განასხვავებდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების აფხაზეთში შესვლა გადაიქცა წყალგამყოფად საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის უთიერთობებში. მანამდე საქართველო განიხილებოდა, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების მეგობარი. მართლაც, საქართველოში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას. ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს საბჭოთა პერიოდის ქართველე-

ბი თავიანთ ძმებად მიიჩნევდნენ. 1928 წელს ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ალ. ყაზბეგის ამავე სახელწოდების ნაწარმოების საფუძველზე გადაიღეს მხატვრული ფილმი „ელისო“, სადაც მოვლენები ვითარდება 1864 წელს ჩერქეზების გადასახლების ფონზე. მაგრამ 1992 წელს საქართველოს ჯარების შესვლამ აფხაზეთში და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების მონაწილეობამ აფხაზების მხარეზე საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული კორექტივები შეიტანა საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ურთიერთობებში. როგორც ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიელებშიც გაჩნდა ურთიერთუნდობლობა. ეს უკანასკნელნი აქტიურად ჩაებნენ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ საქართველოს ჯარების შესვლა შემობრუნების წერტილად იქცა ჩრდილოეთ კავკასიელების, კერძოდ კი ჩერქეზების დამოკიდებულებაში ქართველებისადმი. სუფიან ჟემუხოვი აღნიშნავს, საქართველო ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კავკასიის ხალხებს შორის, მაგრამ მისი გავლენა მნიშვნელოვნად შეირყა 1992 წელს, როცა საქართველო შეიჭრა აფხაზეთშიო: „ამ ნაბიჯმა იძულებული გახადა ჩერქეზები, არჩევანი გაეკეთებინათ, თუ ვის მხარეზე დადგებოდნენ. ჩერქეზული არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთში, მათ შორის ქალთა კომიტეტები, ჟურნალისტები და მწერლები ომის წინააღმდეგ გამოვიდნენ. 2 ათასზე მეტი ჩერქეზი მონაწილეობდა ამ ომში გადამდგარი საბჭოთა პოლკოვნიკის, ნალჩიკში გაზრ-

დილი ადამიანის — სულტან სოსნალიევის დაჯ-
გუფებაში. 1992-1993 წლების აფხაზეთის ომში ის
ხელმძღვანელობდა მთელს აფხაზურ ძალებს“.
აფხაზეთში საქართველოს დამარცხების შემდეგ
ჩერქეზი სოსნალიევი გახდა აფხაზეთის თავდაც-
ვის მინისტრი. რუსეთსა და საზღვარგარეთის 50
ქვეყნაში მცხოვრებმა ჩერქეზებმა მოაწყვეს სა-
ხალხო შეხვედრები და აფხაზებს გაუგზავნეს ჰუ-
მანიტარული დახმარება. იმ დღეს, როცა რუსეთ-
მა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ნალ-
ჩიკში, აფხაზეთის მოედანზე გაიმართა საზეიმო
დემონსტრაცია. ეს ანტიქართული განწყობის კი-
დევ ერთი დემონსტრაცია იყო. ამასთან დაკავში-
რებით, აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმი-
სა, რომ რუსეთი აფხაზებს უჭერდა მხარს, ის აფხა-
ზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებდა და
მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას
და ტერიტორიულ მთლიანობას. რუსების მიერ
აფხაზების მხარდაჭერა, როგორც ჩანს, დოზირე-
ბული და გარკვეულ ფარგლებში იყო მოქცეული,
რაც განსაზღვრული იყო რუსეთის ეროვნული
ინტერესებით. 1992 წლის აგვისტოში, როცა და-
იწყო საქართველოს ბრძოლა აჯანყებული აფხა-
ზების წინააღმდეგ, რუსეთმა არა მხოლოდ მხარი
დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლია-
ნობას, არამედ თავისი სამხედრო ქვედანაყოფიც
კი გაგზავნა რუსეთის რესპუბლიკა ყაბარდო
ბალყარეთში, რათა ხელი შეეშალა, ჟემუხოვის
სიტყვები რომ ვიხმაროთ, ათასობით ჩერქეზი-
სათვის“, რომლებსაც სურდათ აფხაზებთან შე-
ერთება საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

აფხაზეთი საქართველოს ტრაგედიად იქცა. გარდა იმისა, რომ ათასობით ქართველი დაიღუპა, კიდევ უფრო მეტი დევნილად იქცა, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ სამშობლო, ქონება და უცხო ქვეყნებს შეკედლებოდნენ, სადაც მათი უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. დევნილთა პრობლემა დღესაც ძალიან მწვავედ დგას საქართველოში. ეს იმდენად მწვავე საკითხია, რომ საქართველოში სპეციალური სამინისტროც კი არსებობს დევნილთა პრობლემების გადასაწყვეტად, სახელწოდებით „დევნილთა და განსახლების სამინისტრო“. აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია ქართულმა საზოგადოებამ შეაფასა, როგორც ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდა. უნდა ითქვას, რომ აქ ნამდვილად არსებობს საფუძველი ამგვარი შეფასებებისთვის, თუმცა სასამართლომდე რაიმე დასკვნების გამოტანა არ შეიძლება. ეს მოხდა არა მე-19 საუკუნეში, არამედ ცივილიზირებულ მე-20 საუკუნეში, როცა საკმაოდ არიან აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის ცოცხალი მოწმეები, არსებობს ფოტო, კინო და სხვა სახის დოკუმენტური მასალები, ამიტომ გამოძიების ჩატარება და შესაბამისი სასამართლო პროცესების გამართვა, უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, რომ ეს მე-19 საუკუნეში მომხდარიყო. აფხაზეთის ტრაგედია დღევანდელმა ქართველებმა განიცადეს, ბევრმა დაკარგა იქ ძმა, და, შვილი, მეგობარი და ა. შ. ეს ჯერ კიდევ არ არის ისტორია, განსხვავებით იმ მოვ-

ლენებისგან, რომლებიც შორეულ მე-19 საუკუნეში განვითარდა. ამ ომმა ძალიან დააზარალა აფხაზებიც. ის მათთვისაც დღევანდელობაა, როგორც ქართველებისთვის. ბევრმა მათგანმა ისევე, როგორც ქართველებმა, დაკარგა ნათესავები, ახლობლები და ა. შ., ბევრმა დატოვა აფხაზეთი. ამ ტრაგედიის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს შორის აღმოჩნდნენ ის ჩერქეზებიც, რომლებიც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ალბათ, მათი რაოდენობა შეიძლება გაცილებით მეტი ყოფილიყო, რუსეთს რომ არ შეეჩერებინა მათი შემოსვლა აფხაზეთში.

7. ჩერქეზების გენოციდის აღიარება საქართველოს მიერ: რუსეთის დაშლის აშკარა, აქტიურ პოლიტიკაზე გადასვლის მცდელობა

რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლება ცვლის თავის პოლიტიკას ჩრდილოეთ კავკასიისა და კერძოდ ჩერქეზების მიმართ. ის ცდილობს კავკასიური იდენტობის იდეოლოგიურ-პოლიტიკური აქტივიზაციის საშუალებით, ძირი გამოუთხაროს რუსეთის ხელისუფლების ლეგიტიმურობას ჩრდილოეთ კავკასიაში, გააძლიეროს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ცენტრისგან, დაასუსტოს რუსეთის რეალური კონტროლი მათზე, ჩამოაშოროს ისინი რუსეთს, გააძლიეროს საქართველოს ავტორიტეტი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში და მის გარშემო მო-

ახდინოს მათი პოლიტიკური მობილიზაცია. ამ მიმართულებით გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც. ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ჩნდება ჩერქეზეთის თემა. 2010 წელს გაიხსნა ახალი ქართული არხი ჩრდილოეთ კავკასიური აუდიტორიისთვის „პირველი კავკასიური“, 2010 წლის თებერვალში საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან „მეგობრობისა და თანამშრომლობის ჯგუფი“. საქართველოს პარლამენტმა მოუწოდა ჩრდილოეთ კავკასიის პარლამენტებს ერთობლივი მუშაობისთვის კავკასიური ცივილიზაციის განვითარებისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან კავშირების შენარჩუნებისთვის. ეს უნდა ყოფილიყო გზავნილი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის — „ჩვენ, ყველანი კავკასიელები ვართ, ხოლო რუსები უცხო ძალაა კავკასიაში“. ეს ხდება მაშინ, როცა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები, ხოლო რუსეთი კი ოკუპანტად არის გამოცხადებული. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის პარლამენტებმა უპასუხოდ დატოვეს სააკაშვილის პარლამენტის მიმართვა. ამ ფონზე იწყება ჩერქეზეთის საკითხის წინა პლანზე წამოწევა. 2010 წლის მარტში ვაშინგტონში მდებარე ჯეიმსტაუნის ფონდმა და ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული კავკასიური კვლევების საერთაშორისო სკოლამ საქართველოში მოაწყვეს კონფერენცია: „უცნობი ერები. უწყვეტი დანაშაული: ჩერქეზები და

კავკასიელი ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. მასში მონაწილეობდნენ კავკასიის სპეციალისტები, ჩერქეზი აქტივისტები დიასპორიდან (ძირითადად, აშშ-დან), ასევე საქართველოს პარლამენტის დეპუტატები. კონფერენციის ბოლოს ჩერქეზმა დეპუტატებმა ხელი მოაწერეს მოწოდებას საქართველოს პარლამენტისადმი, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ მე-19 საუკუნეში ჩერქეზების მასობრივი მკვლელობა და დეპორტაცია აღიარებული ყოფილიყო, როგორც გენოციდი. 2010 წლის 27 მაისს რუსეთის საინფორმაციო სააააგენტო „ნოვოსტი“ ატარებს მრგვალ მაგიდასა და პრესკონფერენციას თემაზე „ჩერქეზული საკითხი — ვის აძლევს ხელს კავკასიის ომის ისტორიის ფალსიფიცირება?“. ერთი თვის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა ჩაატარა სხდომა, რომელზეც საქართველოს მეცნიერებმა წარადგინეს დოკუმენტი ჩრდილოეთ კავკასიის გენოციდის შესახებ. ამას მოჰყვა ჯეიმსტაუნის ფონდის მეორე კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ვაშინგტონში სახელწოდებით „სოჭი 2010 წელს: შეიძლება თუ არა ოლიმპიური თამაშების ჩატარება 150 წლის წინათ მომხდარი ჩერქეზების განდევნის ადგილზე?“. მას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატი, რომლებმაც საქართველოს პოზიციებიდან მონაწილეობა მიიღეს ჩერქეზების საკითხის განხილვაში. კონფერენციის ჩერქეზმა მონაწილეებმა მოუწოდეს ჩრდილოეთ კავკასიის სამ ჩერქეზულ ტერიტორიას ერთ რესპუბლიკად გაერ-

თიანებისკენ. საქართველოს პარლამენტის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა წაიკითხა მოხსენება „ოლიმპიადა და ჩერქეზეთი: საქართველოდან დანახული“, გამოაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდა ჩერქეზების გენოციდთან დაკავშირებით. **აღსანიშნავია, რომ ამას ერთსულოვანი აღფრთოვანება არ გამოუწვევია ჩერქეზებში. ამ საკითხის თბილისში წამოჭრისადმი მათი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ ყოფილა: ზოგი მხარს უჭერდა გენოციდის აღიარებას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ, ზოგი სკეპტიკურად შეხვდა ქართველების სურვილს, რომ თბილისში ჩატარებულიყო კონფერენცია, რომელიც შეაფასა, როგორც საქართველოს მხრიდან გადადგმული პროპაგანდისტური ნაბიჯი. იყო გამოთქმული აზრი იმის შესახებაც, რომ საქართველოს არავითარი კავშირი არ აქვს ჩერქეზების საკითხთან, რომელიც რუსეთის გადასაწყვეტია. რუსი ანალიტიკოსების უმცირესი ნაწილი თვლიდა, რომ რუსები უნდა შეგუებოდნენ თავის წარსულს. მაგრამ უმრავლესობის გამოხმაურება უარყოფითი იყო — უარყოფილი იყო თავად გენოციდის ფაქტის არსებობა. ამას ემატებოდა კიდევ ერთი არგუმენტი რუსების მხრიდან, რომ იმის გამო, რომ ქართველები მსახურობდნენ რუსეთის არმიაში და მონაწილეობდნენ ჩერქეზების გასახლებაში, ისინი არიან დამნაშავენი და პასუხისმგებელნი და ამიტომ საქართველოს უფლება არ აქვს, ისაუბროს ჩერქეზების გენოციდზე.** აღსანიშნავია, რომ ამავე

თვალსაზრისზე დგას ზოგიერთი ჩერქეზი საზოგადო მოღვაწეც. მაგალითად, ხადმან ჩემიროზის, კავკასიური ორგანიზაციების გამგეობის წევრის აზრით, ქართველები მხას უჭერდნენ მეფის რუსეთის არმიას და გარკვეულწილად მათ სინდიდზეცაა პასუხისმგებლობა გენოციდტან დაკავშირებით; მათ ამისთვის პაიება უნდა ითხოვონ. გარდა ამისა, 1992 წელს ისინი ასევე მხეცურად მოიქცნენ აფხაზეთში — აკრძალეს ენა, ჩერქეზულთან ახლოს მდგომი; და კლავდნენე ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

ქართველები ნამდვილად იღებდნენ მონაწილეობას კავკასიის ომში და აქტიურადაც. ეს გამოწვეული იყო საკუთარი არსებობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით. ქართული სოფლები განსაკუთრებით აკლებულნი იყვნენ ლეკთა თარეშით. გაჩნდა კიდეც სპეციალური ტერმინი „ლეკიანობა“. ლეკები ხშირად ეცემოდნენ ხოლმე ქართულ სოფლებს, იკლებდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ ადამიანებს და მონებად ყიდდნენ მათ. აღსანიშნავია, რომ ლეკებმა მოიტაცეს ცნობილი ქართველი მწერალი დ. გურამიშვილი. სტამბოლი მონათვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნე ჯერ კიდევ ის დრო იყო, როცა შეიძლებოდა, რომ ავსტრიული ორთქლის გემით ეგვიპტეში გადაეყვანათ მონად გაყიდული ჩერქეზი ბიჭები და გოგონები. ნოე ჟორდანიას ბავშვობის დროსაც კი, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდში, როცა საკმაოდ დიდი ხანი იყო გასული საქართველოში რუსეთის

შემოსვლიდან, ადამიანის მოტაცება კვლავ უქმნიდა საფრთხეს საქართველოს მოსახლეობას. ნ. ჟორდანიას მოწმობით გურული გლეხი იმდენად იყო დაშინებული და შეწუხებული ადამიანების მოტაცებით, რომ ერთადერთ საკუთარ დამცველს რუსეთის არმიაში ხედავდა. საქართველო ძალიან ზარალდებოდა მონათვაჭრობით. ის ამუხრუჭებდა მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნიდა მისი მოსახლეობის უსაფრთხოებას. აუცილებელი იყო უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყო კიდეც კავკასიის ომმა და მასთან ერთად რუსეთ-თურქეთის ომებმა.

არ შეიძლება, რომ ლეკიანობა და ადამიანებით ვაჭრობა დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსით შევაფასოთ და პროკურორის თვალებით შევხედოთ მას. ლეკებში ასეთი თარეში არ იკრძალებოდა და მათი ცხოვრების წესის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც, ალბათ, მათი ცხოვრების პირობებით უნდა აიხსნას. არც მონათვაჭრობას უნდა შევხედოთ დღევანდელი თვალსაწიერიდან. ის რაც რუსეთის იმპერიაში აკრძალული იყო, ის იმ დროისათვის არ იყო აკრძალული თურქეთსა და კავკასიის მთიელებში და ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. არ დაგვავიწყდეს, რომ მონობა ამ პერიოდში ჩვეულებრივი ამბავი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. გარკვეული აზრით, მონობა სულ მთლად დღესაც არ არის აღმოფხვრილი. მისი ფორმაცვლილი გადმონაშთები დღესაც არის შემორჩენილი კავკასიის ზოგიერთ მთიელ ხალხში.

8. რუსეთი და საქართველო: ინტერესების თანხვედრა თუ წინააღმდეგობა?

რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით საკუთარი ნგრევის ნელი მოქმედების ნაღმი ჩართო. არაღიარების პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები ატარებენ, რეალურად არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის ინტერესებშიც ზის. დასავლეთის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის აღიარების შემთხვევაში, რუსეთი კარგავს ამ რეგიონებში ყოფნის საბაბს. დღეს ის აქ მოსულია, როგორც აფხაზებისა და ოსების დამცველი. მაგრამ, როგორც კი დასავლეთი მათ აღიარებს, ის მაშინვე კარგავს აქ ყოფნის საბაბს, რადგანაც ეს ამავე დროს ნიშნავს, რომ საქართველოს მხრიდან ამ რეგიონებს საფრთხე აღარ დაემუქრება. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოს მიერ, დიდი ალბათობით, გააძლიერებს ჩრდილოეთ კავკასიის სწრაფვას დამოუკიდებლობისკენ და გაზრდის ჩერქეზეთის დამოუკიდებლობის შანსს. სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯია. ეს იყო ომის გაგრძელების მცდელობა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ სხვა, უკვე მშვიდობიანი საშუალებებით, რომლის მიზანია დაძაბულობის ახალი კერის შექმნა ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩერქეზების მობილიზაციის გაძლიერება დამოუკიდებლო-

ბის მოთხოვნით, სეპარატიზმის გაძლიერება ჩერქეზეთში, რუსეთის შედარებით უფრო წყნარ რეგიონში. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ჩერქეზეთის კონსტიტუცია უკვე დაწერილია. **მაგრამ რამდენად შეიძლება, რომ ჩერქეზეთის დამოუკიდებლობამ ხელი შეუწყოს აფხაზეთის საქართველოში დაბრუნებას?** ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის ისეთი მჭიდრო სულიერი და ისტორიული კავშირი არსებობს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დამოუკიდებლობის შემთხვევაში მათ მხარი დაუჭირონ აფხაზეთის საქართველოში დაბრუნებას. ამიტომ **სააკაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯი არა მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ ის საქართველოს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც არის. აქედან კარგად ჩანს, თუ რამდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადახლართული რუსეთისა და საქართველოს ინტერესები. საქართველოს საბოლოო დაშლა რუსეთის დაშლის დაწყების დასაწყისი იქნება, ხოლო რუსეთის დაშლა კი საქართველოს საბოლოო და უიმედოდ დაშლის ტოლფასია.** ერთიანი და ძლიერი, მეგობრულად განწყობილი საქართველო სჭირდება რუსეთს. ეს მისი უსაფრთხოების აუცილებლობაა. ისიც გასათვალისწინებლია, რომ ოსებმა, რომლებიც ყველაზე მეტად არიან პრორუსულად განწყობილნი, თავიანთი სანუკვარი ოცნების — გაერთიანების შემდეგ, რუსეთიდან გამოყოფის მოთხოვნა დააყენებენ დღის წესრიგში. შესაძლებელია, რომ რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც საქართველოს მოსახლე-

ობას მიეწოდება, როგორც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა, სინამდვილეში სრულებითაც არ იყო გათვლილი საქართველოს გამარჯვებაზე. ხელისუფლებისთვის და უბრალო დამკვრვებლისთვისაც კი ნათელი იყო, თუ რა საპასუხო რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლას სამაჩაბლოში (სამხრეთ ოსეთი). ხომ არ იყო ეს ომი გათვლილი უფრო დიდი, შორს მიმავალი გეოპოლიტკური მიზნების მიღწევაზე, რომელშიც საქართველოს ერთიანობა და მისი ინტერესები არავითარ როლს არ ასრულებდა? კერძოდ, რუსეთის დაშლის პროცესების გაძლიერებაზე, თუნდაც საქართველოს ფასად.

დასკვნა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია ურთიერთუნდობლობა, რომელიც, ერთი მხრივ, არის ისტორიის ცალმხრივად გააზრების, მეორე მხრივ კი — ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ რუსეთის, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალის, არაადექვატური შეფასების შედეგი. ამ ურთიერთობების ნორმალიზებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ის აგებული იყოს ღრმად გააზრებული საერთო ინტერესების საფუძველზე. როგორც საქართველოს სჭირდება რუსეთი, ასევე რუსეთსაც სჭირდება საქართველო. საქართველოს პოლიტიკური ელიტის

მიერ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებისა და მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის არაადექვატურმა შეფასებამ გამოიწვია საქართველოს დაშლის პროცესის დაწყება და მისი გაღრმავება.

რუსეთ-საქართველოს ომში საქართველომ განიცადა სამხედრო-პოლიტიკური კატასტროფა, რომელმაც მისი დაშლის პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა და თითქმის შეუქცევად სტადიაში გადაიყვანა. ამ პროცესის შეჩერება და უკანშემობრუნება საჭიროებს რუსეთისა და საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დამთხვევის ღრმად გააზრებასა და მის შესაბამისად მოქმედებას. საქართველო-რუსეთის ომი გამოიწვია საქართველოს მაშინდელი მმართველი ელიტის სურვილმა, რომ განემტკიცებისა ღრმად შერყეული პოლიტიკური პოზიციები ქვეყნის შიგნით, საზოგადოების ყურადღება საშინაო პრობლემებიდან გადაეტანა საგარეო უსაფრთხოების პრობლემებზე და დაესუსტებინა ქვეყნის შიგნით არსებული საპროტესტო მუხტი. მისი ნამდვილი მიზანი არ ყოფილა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ ომმა საქართველო სამხედრო-პოლიტიკურ კატასტროფამდე მიიყვანა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარება — ეს არის რუსეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების მცდელობა მშვიდობიანი საშუალებებით, მიმართული რუსეთის დაშლაზე. ჩერქეზმა ხალხმა განიცადა ტრაგედია, მაგრამ ეს არ ყოფილა მისი გე-

ნოციდი. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, თანამედროვე კანონმდებლობის საფუძველზე, შეუძლებელია ჩერქეზების გენოციდის დამტკიცება.

ისტორიული მოვლენების ჩაყენება დღევანდელი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის სამსახურში იწვევს ისტორიის გათანამედროვეობას ისტორიის დეისტორიზაციის საფუძველზე.

ირაკლი უბილავა,
ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის თავმჯდომარე

ჩერქეზეთის გენოციდის აღიარება, როგორც აშშ-ის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 20 მაისს მიიღო სპეციალური რეზოლუცია, რომლითაც აღიარა რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდი. ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღება, დასადგენია, რას ემსახურებოდა და რამდენად იყო მოტივირებული საქართველოს ეროვნული ინტერესებით. წმინდა პრაგმატული და სტრატეგიული თვალსაზრისით, შეუძლებელია ჩავთალოთ მართებულად ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ, რასაც ქვემოთ ამ მოკლე კვლევის პროცესში დავინახავთ.

თუ ქართულ ინტერესებში არ ჯდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილება, მაშინ ვის ინტერესებში შეიძლება ის ყოფილიყო? ამ შემთხვევაში კი იკვეთება ერთი ქვეყნის ინტერესები, კერძოდ აშშ-ის. შეიძლება ვინმე შემედავოს, რატომ მაინცდამაინც ამერიკის შეერთებული შტატე-

ბი? პირველ რიგში იმიტომ, რომ ანგლოსაქსური სამყარო და კერძოდ, ბრიტანეთის იმპერია ისტორიულად ითვლებოდა რუსეთის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ ევრაზიის კონტინენტზე, რომლის ადგილიც დღევანდელ პერიოდში დაიკავა ასევე ანგლოსაქსურმა ქვეყანამ — აშშ-მა. მეორე მხრივ, ამ არგუმენტს ამყარებს ისიც, რომ ამ ჩერქეზეთის გენოციდის აღიარების საკითხთან დაკავშირებულ საქმეებში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკულმა ორგანიზაციამ — ჯეიმსთაუნის ფონდმა. როგორც მოგეხსენებათ, გენოციდის აღიარებას წინ უძღოდა ჯეიმს თაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის თაოსნობით თბილისში 19-21 ნოემბერს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია „მიჩქმალული ერები, ბოროტმოქმედებები გრძელდება: ჩრდილოეთ კავკასია წარსულსა და მომავალს შორის“.

ჯეიმს თაუნის ფონდის მონაწილეობა აღნიშნული თემატიკის განხილვაში უკვე ბადებს დიდ ეჭვებს, რომ ამ საკითხის წამოწევა აშშ-ის ინტერესებში შედიოდა და არა საქართველოსი. ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს, მერე რა მოხდა, თუ ამერიკულმა კვლევითმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა ჩერქეზების გენოციდის შესწავლის საკითხში? მაგრამ სწორედ ეჭვს ბადებს ის, რომ ამ ორგანიზაციის უმაღლეს ეშელონებში დასაქმებულნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენენ ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. ესენი არიან აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში —

ზბიგნევ ბჟეზინსკი და ცსს-ს ექსხელმძღვანელი — ჯეიმს ვულსი, რომლებიც შედიან ჯეიმს თაუნის ფონდის აღმასრულებელ კომიტეტში.

საერთოდ, ბჟეზინსკის საგარეოპოლიტიკური დოქტრინები ყოველთვის მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ და მის დაშლას ისახავდა მიზნად, რომელიც გადმოცემული აქვს მის ერთ-ერთ ნაშრომში „დიდი საჭადრაკო დაფა“.

ჩერქზების გენოციდის აღიარება რომ რუსეთის დაშლისკენ იყო მიმართული და საქართველოსთვის გარედან იყო თავსმოხვეული, ეს იად იაგორის განცხადებიდანაც ჩანს, რომელიც გახლავთ აშშ-ის შტატ ნიუ-ჯერსიში არსებული ჩერქეზეთის კულტურული ინსტიტუტის ხელმძღვანელი: „მე თქვენ გელაპარაკებით და განვიცდი და ეს იმიტომ, რომ რუკაზე არ არის ქვეყანა სახელად „დიდი ჩერქეზეთი“, ხომ იქნებოდა, რომ არა რუსეთი?“. იად იაგორის ამ მოკლე პასაჟის მიხედვით, მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ჩერქეზული სახელმწიფოს შექმნა, რომლის შექმნის შანსი მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის დაშლის შემთხვევაში. ეს ის პიროვნება გახ-

ლავთ, რომელიც თბილისში ჯეიმს თაუნის ფონდთან ერთად აქტიურად მუშაობდა ჩერქეზეთის გენოციდის აღიარების საკითხზე.

ეს ჩრდილოეთკავკასიური პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და მის სამხრეთ საზღვრებთან დეზინტეგრაციული და სეცესიული პროცესების დაწყებისკენ რომ იყო მიმართული, ნათლად ჩანს, აგრეთვე, საქართველოს წინა მოწვევის პარლამენტის, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის კომიტეტის თავჯმჯდომარის, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთან მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენლის — ნუგზარ (ბოცო) წიკლაურის განცხადებიდანაც: „დღის წესრიგში ჩეჩნების გენოციდის აღიარების საკითხიც დგას“.

ეს არგუმენტები ნათლად მიუთითებს იმაზე, ჩერქეზების გენოციდის აღიარება იყო დასაწყისი, რასაც, ალბათ, უნდა მოჰყოლოდა სხვათა გენოციდების აღიარებაც. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ **გენოციდის აღიარების პოლიტიკა მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში რუსეთის ფედერაციისა და რუსი ხალხის მიმართ მტრის ხატის შექმნას, ზიზღის დანერგვასა და ეთნიკური შუღლის გაღვივებას რუსებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ეთნოსებს შორის.** მოვლენების აღნიშნული სცენარით განვითარების შემთხვევაში, ეს პროცესი ხელს შეუწყობდა სეპარატისტული კონფლიქტების ესკალაციას ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც რუსების მიერ „დაჩაგრული“ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები ერთიანი ფრონტით გამოვიდოდნენ

ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა დეზინტეგრაციულ პროცესებს.

ჩემ მიერ ფორმულირებული პირველი ჰიპოთეზა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, მართლდება ყველა ასპექტში. გენოციდის აღიარების პოლიტიკა საქართველოსთვის თავსმოხვეული იყო ამერიკული მხარის მიერ, რასაც უნდა გამოეწვია სეპარატისტული ტენდენციების გაღვივება და სეცესიული პროცესების დაწყება.

მართალია, მოვლენები ამ სცენარით არ განვითარდა და ეს უნდა დავუკავშიროთ ხელისუფლების ცვლას საქართველოში, მაგრამ, პროცესები ისე რომ წარმართულიყო, როგორც ზემოთ გვაქვს მოხაზული, არ არის გამორიცხული, საქართველო აღმოჩენილიყო კატასტროფულ მდგომარეობაში. კერძოდ, რუსეთის ფედერაცია, რომლის საზღვრები დადგენილია საერთაშორისო კანონმდებლობით და აღიარებულია გაეროს მიერ, ნებისმიერ შემთხვევაში დაიცავდა საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას და, დიდი ალბათობით, პირველ დარტყმას მიაყენებდა იმ პოლიტიკურ წერტილს, რომლიდანაც მოდიოდა სეპარატისტული და სეცესიული იმპულსები, ანუ საქართველოს. რუსეთის ფედერაცია და მისი ხელისუფლება ასეთ შემთხვევაში უკან რომ არ დაიხევდა, ნათლად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოში. ეს კი სრული კატასტროფა იქნებოდა საქართველოსთვის. აღნიშნულ ჭრილში თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ გენოციდის აღიარება წმინდა ანტიქართუ-

ლი პოლიტიკური ნაბიჯი იყო და ამავე დროს — კონტრპროდუქტიული.

ჩერქეზების მიმხრობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით გარედან თავსმოხვეული სტრატეგიის ნაწილად უფრო უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან პირველი ფორმურილებული ჰიპოთეზა ამ ასპექტში სრულად დამტკიცდა. მაგრამ, რომ მივიღოთ ობიექტური სურათი, აუცილებელია სხვა შესაძლო ვარიანტის დაშვებაც, ამიტომაც წამოვაყენე მეორე ჰიპოთეზა, რომელიც სხვა კუთხით პრობლემის დანახვის შესაძლებლობას მოგვცემს. მოდით ახლა დავიწყოთ პრობლემატიკის სხვა რაკურსით განხილვა.

დასამალი არაა ის, რომ ჩერქეზები 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართული საჯარისო ფორმირებების წინააღმდეგ იბრძოდნენ. მათი რაოდენობა, სხვადასხვა მონაცემებით, 2000-ს აღწევდა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გადამდგარი საბჭოთა პოლკოვნიკი **სულთან სოსნალიევი,** რომელიც ომის შემდეგ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი გახდა. აღნიშნულ ომში ჩერქეზები არამარტო სამხედრო დახმარებას, იდეოლოგიურ და ინფორმაციულ მხრდაჭერასაც უწევდნენ აფხაზურ მხარეს, რაშიც ჩართული იყვნენ არაერთი ჩერქეზი მწერალი თუ ჟურნალისტი. აქვე **ყურადღება უნდა**

გავამახვილოთ იმაზე, რომ აფხაზებს დახმარებას უწევდნენ არამარტო რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ჩერქეზები, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ მცხოვრებნიც, რომლებიც დაახლოებით 50 ქვეყნიდან უგზავნიდნენ სხვადასხვა სახის დახმარებებს. აქვე მინდა დავძინო, რომ არსებული მონაცემების მიხედვით სოხუმის დაცემაში ლომის წილი აქვთ შეტანილი ჩერქეზ მებრძოლებს.

საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარების მიმართულებით მუშაობა ვარაუდის დონეზე, შესაძლოა, დავუკავშიროთ ზემოაღნიშნულ ფაქტსაც. კერძოდ, აფხაზებისთვის მონათესავე ეთნოსისა და ბუნებრივი მოკავშირის ჩამოცილებას და მის დასუსტებას აფხაზებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ჩრდილოეთკავკასიური მიმართულებით. იმ პერიოდის პრესაში ამაზე ხშირად იწერებოდა და ზოგიერთი ქართველი ექსპერტი წინასწარმეტყველებდა აფხაზურ-ჩერქეზული ურთიერთობის გაუარესებას, რადგან მათთვის ცხადი იყო, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ აფხაზეთს სხვა გამოსავალი არ ექნებოდა და იძულებული იქნებოდა, გაჰყოლოდა პრორუსულ კურსს, რაც აპრიორი გულისხმობდა ანტიჩერქეზულს.

თუ ამით იყო მოტივირებული წინა ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედება, მაშინ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. აქაც იკვეთება ჩვენი წინა ხელისუფლებისა და მათი მრჩევლების უცოდინარობა გეოსტრატეგიულ თუ საგარე-

ოპოლიტიკურ საკითხებში. ამის დანახვა ძალიან მარტივია. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ, როდესაც პატარა სახელმწიფო იძულებულია, გარე აგრესია მოიგერიოს და მისი მიწინააღმდეგე შეაკავოს, უნდა ისესხოს ძალა მეორე ისეთი დიდი სახელმწიფოსგან, რომლის შესაძლებლობები თუ არ აღემატება მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს, მინიმუმ უტოლდება მაინც. ჩვენს შემთხვევაში კი რასთან გვაქვს საქმე? ისეთი პოლიტიკური სუბიექტისგან ძალის სესხებასთან, რომელიც არამარტო ჩამორჩება შესაძლებლობებით, არამედ საერთოდ არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს და თვითონ იმყოფება სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ფედერაციის ერთ-ერთი სუბიექტის სტატუსით, ე. ი. რა გამოდის?! ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში დახმარებისთვის მოკავშირედ ვიძენთ ისეთ სუბიექტს, რომელსაც დახმარების არანაირი შესაძლებლობა და ბერკეტი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, მეორე შემთხვევაშიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საერთოდ არ ჯდება პრაგმატული პოლიტიკის ფარგლებში და უფრო მეტად ამტკიცებს პირველ ჰიპოთეზაში გამოთქმულ მოსაზრებას.

კავკასიის ომი და საქართველოს ადგილი რეგიონის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში

ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში გაბატონებულია აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთის

ფედერაციის დაშლა საქართველოს რამდენიმე საგარეოპოლიტიკურ პრობლემას მოუხსნის, კერძოდ, აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანა განიმტკიცებს სუვერენიტეტს და გააგრძელებს დამოუკიდებელ განვითარებას. ასეთი მოსაზრება მართებულია თუ არა, რომ გავიგოთ, აუცილებელია, ისტორიულ ჭრილში განვიხილოთ საქართველოს ადგილი კავკასიის გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში და შევადაროთ, რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა რუსეთის კავკასიაში შემოსვლამდე და რა მიიღო ამ უკანასკნელის მიერ კავკასიის გეოპოლიტიკური ათვისების შემდეგ. ეს პროცესი დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რამდენად პროდუქტიული და მომგებიანი იქნება საქართველოსთვის რუსული სახელმწიფოს დაშლა და კავკასიის რეგიონიდან მისი გასვლა. აქვე, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, მართებული იქნებოდა, განგვეხილა კავკასიის ომის შედეგები რამდენად პოზიტიური მოვლენა იყო საქართველოსთვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ოფიციალური დაშლის თარიღად მიჩნეულია 1490 წელი. საქართველოს დაშლა-დასუსტების პროცესმა, როგორც ხდება ხოლმე გეოპოლიტიკაში, გამოიწვია ახალი დიდი მოთამაშეების გამოჩენა კავკასიაში. ამ პერიოდისთვის რეგიონში გაბატონებისთვის იბრძოდა ორი დიდი იმპერია — ოსმალეთი და სპარსეთი, რომლებიც ერთმანეთის გეოპოლიტიკური ოპონენტები იყვნენ. ქართული ტერიტორიებისა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის გადანაწილება სხვადასხვა

ფორმას იღებდა და კონკრეტულ მომენტში რეგიონში გააქტიურებული იმპერიების სიძლიერის შესაბამისი იყო. იყო პერიოდები, როდესაც საქართველო გადანაწილებულიც კი ჰქონდათ აღნიშნულ იმპერიებს, კერძოდ, 1555 წლის ამასიის ზავით. ეს ვითარება შენარჩუნდა დაახლოებით 1578 წლამდე, როდესაც მოხდა სპარსეთში შინაარეულობა და რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა ქვეყნის პოზიციების შესუსტება საგარეო ასპარეზზე, რაც შიდა პოლიტიკური კრიზისების თანმდევი მოვლენაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პროცესმა გამოიწვია რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლა ოსმალეთის სასარგებლოდ, რომელიც შეეცადა აღმოსავლეთ საქართველოს დაკავებას და მის გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას. პრინციპში ასეთი ტიპის გეოპოლიტიკური გადანაწილებები და ორთაბრძოლები, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის გრძელდებოდა მანამ, სანამ კავკასია მათი ექსკლუზიური გავლენის სფეროს განეკუთვნებოდა და მანამ, სანამ რუსეთი არ ჩაერთო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიისთვის.

სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობას და მათ აგრესიულ პოლიტიკას მართლმადიდებელი ქართველი ხალხების მიმართ აუნაზღაურებელი ზიანი მოჰქონდა. მათი ბატონობა ემუქრებოდა როგორც საქართველოში დამკვიდრებულ სოციალურ-პოლიტიკურ წყობას, ასევე მათ კულტურულ თვითმყოფადობას და ფიზიკურ განადგურებას უქადდა საქართველოს ტერიტორიაზე

მცხოვრებ პოპულაციას. ზოგიერთებს ეს გადამეტებულად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ აქ შეიძლება სტატისტიკური მონაცემების მოყვანა და შედარება, თუ როგორი იყო მოსახლეობის რაოდენობა ოსმალეთ-ირანის გაბატონებამდე და მის შემდეგ. პირველი ასეთი ტიპის აღწერა მონღოლებმა ჩაატარეს 1254 წელს. თუ აღწერის შედეგებს დავეყრდნობით, ამ პერიოდისთვის საქართველოს სამეფოს მოსახლეობა დაახლოებით 5 მლნ ადამიანს შეადგენდა. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მონღოლებმა მოსახლეობის აღწერა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში ჩაატარეს. ამის შემდეგ საქართველოს მოსახლეობა იწყებს კლებას გარე აგრესორებთან განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად, აგრეთვე, XV-XVI საუკუნეებში თურქეთისა და ოსმალეთის აგრესიული კოლონიზაციის, მოსახლეობის გადასახლებისა და გადინების შედეგად, XVIII საუკუნის ბოლოს საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ცხოვრობდა 785 ათასი ადამიანი.

ასეთი დეპოპულაციის პირობებში სრულიად ბუნებრივია პატარა ერისთვის ისეთი მოკავშირის ძიება, რომელიც დაიცავდა მას გარე აგრესიისგან, გადაარჩენდა ფიზიკური განადგურებისგან და პლუს შეუნარჩუნებდა კულტურულ თვითმყოფადობას. ქართველების ორიენტაცია რუსეთზე და თხოვნა დახმარებაზე სრულიად პრაგმატულ გათვლაში ჯდება. ნებისმიერი პატარა ერი, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად საკუთარი თავის დაცვა საგარეო აგრესიიგან, რომელიც მას გაქრობით ემუქრება, ძალას სესხულობს უფ-

რო ძლიერისგან, მასზე უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის შესაკავებლად. თან აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა ერი ცდილობს, მოკავშირედ შეარჩიოს ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელიც მასთან კულტურულად ახლოს არის და რომელთანაც მოკავშირეობა უზრუნველყოფს მისი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეს არის აქსიომატური პოსტულატი პატარა ქვეყნებისთვის საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამ მოტივებით იყო აქცენტი გაკეთებული რუსეთზე, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, მართლმადიდებელი სახელმწიფოა.

რუსეთის შემოსვლით კი იწყება კავკასიური ომები, რომლებიც მიმართული იყო ისლამური სამყაროს წინააღმდეგ. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რუსეთი კავკასიაში მხოლოდ ქართველების მოთხოვნით და მათი ინტერესების დასაცავად შემოვიდა. ეს უფრო დაკავშირებული იყო, ალბათ, მისი სასიცოცხლო სივრცის გაფართოებასთან. სახელმწიფო, ზოგადად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის ცდილობს გაფართოებას შესაძლებლობის ფარგლებში. რუსული სახელმწიფოს სამხრეთისკენ დრეიფიც, დიდი ალბათობით, სასიცოცხლო სივრცის ბუნებრივ გაფართოებას უნდა დავუკავშიროთ. ამიტომ რუსეთის მიერ წარმოებული ომები კავკასიაში ისლამური სამყაროს წინააღმდეგ მხოლოდ საქართველოს გამოხსნის დიად მართლმადიდებლურ მიზნებს არ უნდა დავუკავშიროთ. მე ვიტყოდი, აქ უფრო ადგილი ჰქონდა ინტერსეთა თანხვედრას ორ

მართლმადიდებელ ხალხს შორის. ერთის მხრივ, რუსეთი, რომელიც ბუნებრივ ზრდასთან ერთად ახდენდა გავლენის სფეროს გაფართოებას და, მისგან გამომდინარე, საკუთარი ინტერესების დაცვას, და რომელსაც სჭირდებოდა მართლმადიდებლური დასაყრდენი სამხრეთში გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეების სტრატეგიული დასუსტებისთვის და მათი უკუგდებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, — დაშლილი საქართველო, რომელიც ისლამური სამყაროს, ირან-ოსმალეთისა და კავკასიის მთიელი ხალხების ალყაში იყო მოქცეული, ხშირი თავდასხმებისა და აგრესიის მსხვერპლი გახდა და რომლის ინტერესებშიც შედიოდა აღნიშნული ფაქტი. რუსეთის მიერ აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში, საქართველო თავისუფლდებოდა ირან-ოსმალეთის ინტერვენციისგან, მთიელი კავკასიელების თავდასხმებისგან და მართლმადიდებლური სამყაროს სივრცეში მოქცევით ქართველი ხალხი შეინარჩუნებდა კულტურულ თვითმყოფადობასაც, რაც მოხდა კიდეც. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი გარემოება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია: რუსეთის მეშვეობით მოხდა დაშლილი საქართველოს ეტაპობრივი გაერთიანება ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნად და ერთიანი ქართველი ერის ფორმირებაც. ამიტომაც რუსეთ-საქართველოს მოკავშირეობა რეალპოლიტიკის პრინციპებით იყო ნაკარნახევი და სრულად ჯდებოდა პრაგმატული საგარეო პოლიტიკის ფარგლებში, როგორც ერთისთვის, ასევე მეორე ქვეყნისთვისაც.

რაც შეეხება კავკასიის ომს, რომელიც თარიღდება 1817-1864 წლებით, რომლის შედეგი იყო დასავლეთ კავკასიაში ჩერქეზეთის მოსახლეობის დიდი რაოდენობით ფიზიკური განადგურება და დაახლოებით ნახევარ მილიონამდე ადამიანის თურქეთში გადასახლება, მან ბიძგი მისცა რეგიონის გეოპოლიტიკურ რეკონსტრუქციას და კავკასიაში ახალი რეგიონული წერსიგის შექმნას. როგორც მოგეხსენებათ, ამ პერიოდისთვის კავკასიაში რუსეთის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერია (თუ არ ჩავთვლით ამ უკანასკნელის უკან მდგომ ინგლისსა და საფრანგეთს), რომელიც ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა მის დომინანტობას რეგიონში, რაშიც მას დიდ სამსახურს უწევდნენ მისი მოკავშირეები — ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები და განსაკუთრებით ჩერქეზები, რომლებიც წარმოადგენდნენ რეგიონში თურქეთის დასაყრდენს რუსეთის შეკავების საქმეში. ამაზე მიუთითებს თურქი ისტორიკოსის — ჯავდეთ-ფაშას სიტყვებიც: „რაც შეეხება იმპერიას, რათა უზრუნველეყო სიმშვიდე ანატოლიის საზღვრებთან, მას უნდა მიეზიდა კავკასიის ხალხები და ამ მეთოდით მიეღწია მისთვის საჭირო ძალისთვის, რათა წინ აღდგომოდა რუსებს“. ამის საპირისპიროდ კი რუსეთს მოკავშირეობას უწევდა მართლამადიდებლური საქართველო, რომელიც ამ დროისთვის უკვე რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ რუსულ-თურქული დაპირისპირების ფონზე შეიძლება ერთგვარი გეოპოლიტიკური

ღერძების მოხაზვა: ერთის მხრივ, ოსმალეთის იმპერია-ჩრდილოეთ კავკასიიის მთიელი ხალხები (განსაკუთრებით ჩერქეზები) და მეორე მხრივ — რუსეთის იმპერია- საქართველო.

ჩერქეზები დიდ სამსახურს რომ უწევდნენ ოსმალეთის იმპერიას კავკასიაში გაბატონებისთვის, ამაზე არაერთი ისტორიული წყაროც მიუთითებს. კერძოდ, ჩერქეზების დახმარება გამოიხატებოდა შემდეგში: მათ გააჩნდათ მყარი სავაჭრო ურთიერთობები თურქებთან, რომელიც მონებით ვაჭრობაში გამოიხატებოდა, ამით ოსმალები იღებდნენ როგორც ეკონომიკურ სარგებელს, ასევე სამხედრო ძალითაც მარაგდებოდნენ, რაც თავისი სტრატეგიული მოკავშირის სამხედრო გაძლიერებასაც უწყობდა ხელს. „არსებულ გეოპოლიტიკურ სტრუქტურაში ადიღეელების წინ იდგა მკაფიოდ გამოხატული სამხედრო ამოცანა — საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მფარველის გაძლიერებით და მისი მომარაგება „ცოცხალი საქონლით“.

ამის ფონზე, რუსეთის პოლიტიკა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორაზე ადიღეური ტომების წინააღმდეგ სრულიად ჯდება პრაგმატული და რეალპოლიტიკის ფარგლებში. არამარტო რუსეთის, არამედ ნებისმიერი სხვა იმპერიის ნაბიჯი იგივე იქნებოდა, თავისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის შესასუსტებლად. რაც უნდა არაჰუმანურად ჩაითვალოს ის, რაც გადახდათ ჩერქეზებს, რეალური პოლიტიკა ძალიან მკაცრია და მით უმეტეს იმ ეპოქაში.

ალბათ, უპრიანი არის, ეს საკითხი უკვე ქარ-

თული კუთხითაც განვიხილოთ. როგორც უკვე აღვნიშნე, იმ დროს ინტერესთა თანხვედრიდან გამომდინარე ქართველები რუსეთის იმპერიის მოკავშირეები იყვნენ ისლამური სამყაროს წინააღმდეგ ომებში. ისლამური იმპერიების აგრესიების შედეგად მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკური იყო ქართველების რუსეთზე ორიენტირებული საგარეოპოლიტიკური ვექტორი. რუსეთის დომინანტური პოზიცია კავკასიაში იმ პერიოდისთვის, ერთის მხრივ, გარანტი იყო ოსმალეთის იმპერიის უკუგდების და ქართველებით დასახლებული ტერიტორიებიდან მისი განდევნის, რაც დამანგრეველი შემოსევებისგან თავის დაღწევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა; მეორე მხრივ კი, მთიელი კავკასიელების თავდასხმების აღკვეთის წინაპირობას წარმოადგენდა, რომელიც ლეკიანობის სახელით არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში და ქართველის ცნობიერებაში, რაც სისხლისგან ცლიდა ქვეყანას და მის დემოგრაფიულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც უარყოფითად აისახებოდა. რუსეთის გაბატონება კავკასიაში კი გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიის დაქვემდებარებასა და ოსმალეთის იმპერიის, იმ პერიოდში მართლმადიდებელი საქართველოს მოსახლეობისთვის ეგზისტენციალური საფრთხის შემცველი მტრისთვის დასაყრდენის გამოცლაში. ამიტომაც კავკასიის ომის საბოლოო შედეგები, პრაგმატული თვალსაზრისით, სრულიად მისაღები იყო საქართველოსთვისაც.

ამ ისტორიული ექსკურსიდან ნათლად ჩანს, რომ რუსული სახელმწიფოს კავკასიაში შემოსვლამ, როგორც გეოპოლიტიკაში ხდება ხოლმე, ხელი შეუწყო ისლამური იმპერიების უკუგდებას და მათი შემაკავებელი ფაქტორი გახდა. რუსეთის ფედერაციის დაშლა კი, თავის მხრივ, საქართველოს ისეთივე მდგომარეობაში დაბრუნებას უქადის, რომელშიც იგი იმყოფებოდა მის შემოსვლამდე. ზოგს შეიძლება გადამეტებულად მოეჩვენოს ჩემი მოსაზრება, მაგრამ მინდა, აღვნიშნო, რომ, მიუხედავად XXI საუკუნისა, საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების ლოგიკა დღესაც არ შეცვლილა, რომელიც ვესტფალის ზავის პროდუქტს წარმოადგენს. კერძოდ, როგორც მაშინ, იგი დღესაც ანარქიულ მდგომარეობაში იმყოფება და მასში მოქმედი დიდი აქტორების მოქმედების ლოგიკა გულისხმობს თითოეული მათგანის მიერ მის უშუალო მოწინააღმდეგეზე გეოსტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას. უპირატესობის მოპოვება კი ნიშნავს მისი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიერ დაკავებული გეოგრაფიული სივრცის ათვისებას და მის კონტროლს. აქვე მინდა დავამატო: გეოპოლიტიკაში აქსიომას წარმოადგენს ის, რომ, როდესაც რომელიმე დიდი სახელმწიფო სუსტდება და უკან იხევს, ეს პროცესი იწვევს სხვა დიდი მოთამაშის აღზევებას და, რაც სრულიად ბუნებრივია, იგი ამყარებს იმ ტერიტორიაზე სტრატეგიულ კონტროლს, რომელიც ადრე მისი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის გავლენის სფეროს წარმოადგენდა.

თუ აღნიშნულ პრინციპს მოვარგებთ კავკასიის გეოპოლიტიკურ სპეციფიკას, რუსეთის ფედერაციის დაშლისა და რეგიონიდან გასვლის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ადგილი ექნება ორი გეოპოლიტიკური აქტორის აღზევებას: ერთის მხრივ — თეოკრატიული ირანის და მეორე მხრივ კი — თურქეთის. ეს უკანასკნელი რომ გააქტიურებულია დღევანდელ პირობებში, კარგად ჩანს აჭარის მაგალითზეც, ხოლო რუსეთის ფედერაციის სახით შემაკავებელი ფაქტორის გასვლა კავკასიიდან კი მის გეოპოლიტიკურ ამბიციებს ერთიორად გაზრდის.

ასე რომ, ჩერქეზების გენოციდის აღიარების მოტივს საქართველოს წინა ხელისუფლებისთვის თუ წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტული ტენდეციების ხელშეწყობა (დიდი ალბათობით, ამ მოვლენასთან გვაქვს საქმე), მაშინ, ზემოთ განხილული კავკასიის გეოპოლიტიკური სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეს ქმედება ყოვლად გაუმართლებელია და ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო.

დასკვნა

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობამ კიდევ ერთხელ აჩვენა წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების კონტრპროდუქტიულობა საქართველოსთვის და ჩერქეზების გენოციდის

აღიარების მიმართულებით გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯები შეიძლება ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს, როგორც ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკური აქტი, ე. ი. გამოდის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები პირდაპირ გარე ძალის მიერ მიცემული შეკვეთის შესრულებას გულისხმობდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში, როდესაც დიდ და პატარა სახელმწიფოს შორის ხდება ურთიერთობა, ადგილი აქვს დიდის მიერ საკუთარი ინტერესების თავსმოხვევას პატარა სახელმწიფოსთვის, ისე, რომ არ ხდება პატარა სუბიექტის პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინება.

აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილი საკითხის პრიზმიდან კარგად ჩანს აღნიშნული დებულების სისწორე ქართულ-ამერიკული ურთიერთობის ფარგლებში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა ეროვნული ინტერსების ფარგლებში რომ მოექცეს, აუცილებელია წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული იმ იურიდიული დოკუმენტის გაუქმება, რომელიც ჩერქეზების გენოციდის აღიარებას შეეხება.

ნანა დევდარიანი,
გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი

გენოციდი და დემოგრაფიული კატასტროფა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტები

თანამედროვე სამყაროში ერთგვარ გავრცელებულ სენად იქცა დღევანდელი სტანდარტებისა და ტერმინოლოგიის გავრცობა ისტორიულ რეტროსპექტივაზე. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტოლოგიაში აღიარებული ნორმის თანახმად, საკითხის „ისტორიზაცია“ არანაირად უწყობს ხელს კონფლიქტის მოგვარებას, საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ კი, მიხეილ სააკაშვილის მიერ ნოტარიუსად ქცეულმა პარლამენტმა 2011 წლის 21 მაისს „ჩერქეზთა გენოციდი“ აღიარა. 2008 წლის ტრაგიკული ომიდან სამი წლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ აღიარებული ორი „სახელმწიფოს“ მაგალითზე გაეანალიზებინა ისტორიით სპეკულაციის მომავალი საფრთხეც, კიდევ უფრო გაამძაფრა მდგომარეობა და, თავიანთი აზრით, რუსეთს პრობლემა შეუქმნა.

„გენოციდის“ აღიარებას წინ უძღოდა 2010

წლის ივნისში ვაშინგტონში „ჯეიმსთაუნის ფონდის“ ინიციატივით, ჩერქეზთა საკითხზე გამართული კონფერენცია. როგორც სტრატეგიული მართვის ინსტიტუტის ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე (იმჟამად პარლამენტის წევრი, ხოლო 2008 წლამდე პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) იხსენებს, „ჯეიმსთაუნის ფონდი“ სწორედ სააკაშვილმა დააინტერესა და დააფინანსა. დღეს უკვე აღარავის უკვირს საქართველოდან უცხოეთში ჩაწოდებული და შემდეგ იქიდან უკან იმპორტირებული იდეები და ინიციატივები. ერთ–ერთი ასეთი იყო სწორედ „ჩერქეზული საკითხის“ თითქოსდა ამერიკიდან აქტივიზაცია.სხვა წყაროები მიუთითებენ, რომ აშშ-ის მოქმედ ადმინისტრაციასთან ახლოს მდგომი ორგანიზაციები არა მხოლოდ საჯაროდ არ უჭერენ მხარს „ჩერქეზულ თემას“, არამედ ნეგატიურად აფასებენ ქართული ხელისუფლების აქტივობას ამ მიმართულებით.

საკითხის ოფიციალური ქრონოლოგია ასე გამოიყურება: 2010 წლის 20-21 მარტს თბილისში ჩატარდა კონფერენცია „დამალული ერები, დანაშაული, რომელიც გრძელდება: ჩერქეზები და

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“, რომელშიც ჩერქეზული თემის წარმომადგენლები და საქართველოს პარლამენტის წევრები მონაწილეობდნენ. კონფერენციაზე ხელი მოეწერა მოწოდებას საქართველოს პარლამენტის მიმართ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით.

2010 წლის ნოემბერში თბილისში მეორე კონფერენცია გაიმართა ჩერქეზული პრობლემის შესახებ. ამჯერად მასზე ახალი ასპექტები განიხილეს, მათ შორის — 2014 წელს სოჭში ოლიმპიადის ჩატარების მიზანშეწონილობა. კონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ 1864 წლის 21 მაისს „კრასნაია პოლიანაზე“ ჩერქეზებზე გამარჯვების აღსანიშნავად სამხედრო აღლუმის ჩატარების დღიდან 150 წლის შემდეგ ოლიმპიადის ჩატარება მიზანშეუწონელია.

2010 წლის ნოემბერში „ჩერქეზთა კონგრესის“ წარმომადგენლებმა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხის გადახედვის დაჩქარების თხოვნით მიმართეს, რის შემდგომ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან საინფორმაციო თანამშრომლობა დამყარდა.

2011 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ორგანიზაცია „ჩერქეზთა პატრიოტებმა“. 2011 წლის 3 მაისს პარლამენტმა ანალოგიური შინაარსის მიმართვა ისრაელის ჩერქეზული დიასპორისგანაც მიიღო: „ისრაელის ჩერქეზთა დი-

ასპორა მოგმართავთ თხოვნით, რუსეთის სახელმწიფოს მიერ მე-19 საუკუნეში ჩადენილი ჩერქეზთა გენოციდი აღიაროთ“, — ნათქვამი იყო ისრაელის ჩერქეზთა კონგრესის თავმჯდომარის ადნან ორკიჟის წერილში.

2011 წლის 3 მაისს პარლამენტს გერმანიის ჩერქეზთა კონგრესმაც მიმართა. წერილის ავტორები ირწმუნებოდნენ: „კავკასიური სახელმწიფოს - საქართველოს მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ქართველ და ჩერქეზ ხალხებს შორის ურთიერთობას ახალ დონეზე აიყვანს და ამ ორ ერს შორის ისტორიულ კავშირებს კიდევ უფრო გაამყარებს“.

2011 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით ბელგიის ჩერქეზულმა კონგრესმა მიმართა. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის თავმჯდომარე ყუბან ხატუკაი. 2011 წლის 6 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ყაბარდო-ბალყარეთის საზოგადოებრივმა მოძრაობამ — „ადიღა ხეკუჟ — ჩერქესია“. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი აბუბექირ მურზაყანოვი.

2011 წლის 8 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ჩეჩნურმა ადამიანის უფლებადამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „მსოფლიო და ადამიანის უფლებები“. წერილს ხელს აწერდა ორგანიზაციის პრეზიდენტი, ცნობილი უფლებადამცველი საიდ-ემინ იბრაგიმოვი.

2011 წლის 9 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი კავკასია“. მიმართვას ორგანიზაციის წევრთა სახელით ხელს აწერდა ხელმძღვანელი გიორგი საბედაშვილი.

2011 წლის 10 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა „ახალგაზრდა ჩეჩენთა საერთაშორისო ორგანიზაციამ“. ორგანიზაციის წევრები ასევე იმედოვნებდნენ, რომ საქართველოს პარლამენტი უყურადღებოდ არ დატოვებდა ჩეჩნური და ინგუშური ორგანიზაციების ადრეშემოსულ წერილებს ამ ხალხთა გენოციდის აღიარების თხოვნით.

2011 წლის 11 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა იორდანიელ ჩერქეზთა ორგანიზაციამ „МИНУТА ВЕРНОСТИ И ДОЛГА“ (ქ. ამმანი). 2011 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტს ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართა ცნობილმა ინგუშმა დისიდენტმა, მწერალმა ისსა ქაძოევმა, თავის წერილში ავტორი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის აღიარება იქნებოდა დიდი ქართულ-კავკასიური კაცთმოყვარე ტრადიციების გაგრძელება და სამართლიანობის აღდგენა. 2011 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტში, სხვადასხვა კომიტეტთა გაერთიანებულ სხდომაზე წარდგენილი ქნა სამეცნიერო დასკვნა „ჩერქეზთა გენოციდის“ შესახებ.

სამეცნიერო კვლევის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: „რუსეთის იმპერიის კავკასიაში წარმოებული კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად არაერთი ადგილობრივი ხალხი ფიზიკურად განადგურდა. რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებული გენოციდის დანაშაულებრივი პოლიტიკის საშინელებანი საკუთარ თავზე იწვნიეს; ჩეჩნებმა, ინგუშებმა, ყარაჩაელებმა, ნოღაელებმა, ბალყარელებმა როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა პერიოდში. კავკასიელი ხალხების მიმართ გენოციდის პოლიტიკა კიდევ უფრო სასტიკი გახდა ე. წ. დემოკრატიულ რუსეთში (ელცინ-პუტინის მმართველობა). კავკასიის კოლონიზაციის დროს განსაკუთრებით დაზარალდნენ ჩერქეზები (ადიღელები), რომელთა ერთი ნაწილი, კერძოდ, უბიხები ფიზიკურად გადაშენდნენ. საერთოდ კი, რუსეთ-კავკასიის ომის მსვლელობისას, მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩერქეზი ხალხის მრავალრიცხოვანი სუბეთნიკური ჯგუფების ასეულათასობით წარმომადგენელი, საკუთარი სამკვიდროდან აყარა და ოსმალეთში გადაასახლა, რადგან შეუძლებლად მიიჩნია მათთან თანაარსებობა რუსეთის იმპერიის სივრცეში; იმპერიას ჩერქეზული მიწები სჭირდებოდა და არა ჩერქეზი (ადიღელი) ხალხი. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იძულებით დეპორტაციას წინ უძღოდა ჩერქეზების მრავალწლიანი შეუპოვარი შეიარაღებული წინააღმდეგობა, რაც რუსმა სტრატეგოსებმა მთიელთა მიზანმიმართუ-

ლი ხოცვა-ჟლეტის გასამართლებლად გამოიყენეს.

ცარისტულმა რუსეთმა ჩერქეზების (ადიღელების) სწორედ მშვიდობიანი ნაწილის მიმართ გამოიყენა ის ტაქტიკური ხერხები, რომლებიც თავისი ბუნებით აბსოლუტურად არაადამიანურია. **ჩერქეზების (ადიღელების) წინააღმდეგ „დემოგრაფიული შეტევის" განხორციელებისას რუსეთმა გამოიყენა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, არტილერიული იერიშები მშვიდობიან მოსახლეობაზე, ეთნიკური წმენდა და დეპორტაცია, ტყეებისა და ნათესების გადაწვა, შიმშილობისა და ეპიდემიების ხელოვნურად გამოწვევა, დასახლებული პუნქტების განადგურება-მოსპობა.**

კაცობრიობის ბოლო პერიოდის ისტორიამ ხალხთა გენოციდების არაერთი შემთხვევა იცის: ბოსნიაში, ჩეჩნეთში, რუანდაში.., მაგრამ ჩერქეზული გენოციდი უნიკალურია, ვინაიდან, სხვებისგან განსხვავებით, ჩერქეზებმა მოსახლეობის ორ მესამედთან ერთად დაკარგეს სახელმწიფოებრიობა და, რაც მთავარია, სამშობლო. ასე აღმოჩნდნენ მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში მიმოფანტული ჩერქეზი ერის წარმომადგენლები, რომლებიც დევნილი ხალხის სტატუსს იმსახურებენ, მაგრამ ვერ სარგებლობენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვეყრდნობი რა ფაქტობრივ მასალებს, ისტორიულ დოკუმენტებს და ამასთანავე ვიზიარებ რა ავტორიტეტულ და მიუკერძოებელ ექსპერტ-მკვლევართა შეფასებებს, ვასკვნი, რომ: **მე-19**

საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის დროს (1763-1864 წწ) რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ საგანგებოდ იქნა წინასწარ ჯერ დაგეგმილი და შემდგომ განხორციელებული ჩერქეზული ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით წმენდა, ჩერქეზებისგან დაცარიელებულ პუნქტებში სპეციალურად იქნენ ჩასახლებული კაზაკები და რუსები, როდესაც მრავალჯერადი სადამსჯელო სამხედრო ექსპედიციების შედეგად ფიზიკურად იქნა განადგურებული ან სამშობლოდან განდევნილი მილიონ-ნახევრამდე ჩერქეზული მოსახლეობის 90 %-ზე მეტი. ირკვევა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული დამპყრობლური ომების პერიოდში ჩერქეზი ხალხის გენოფონდის საერთო დანაკარგმა მოკლულის სახით შეადგინა ამ ხალხის მთლიანი მოსახლეობის 20%-ზე ბევრად მეტი, ამიტომაც ამ ქმედებებს ეძლევა აშკარად გამოკვეთილი გენოციდის კვალიფიკაცია, ვინაიდან ამა თუ იმ ნიშნით ნებისმიერი ხალხის წარმომადგენელთა მიზანმიმართული განადგურება, როცა მსხვერპლის რაოდენობა შეადგენს 20%-ზე მეტს, ავტომატურად გულისხმობს გენოციდის აქტს, ამ ტერმინის ნებისმიერი განმარტებით“.

დასკვნას ხელს აწერს პროფესორი მერაბ ჩუხუა. საყურადღებოა, რომ იგი ლინგვისტია და არა ისტორიკოსი, თუმცა კავკასიის საკითხებზე მუშაობს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ იგი მეტისმეტად თავისუფლად ეკიდება სამართლებრივ ტერმინოლოგიას და სწორედ იმ ფანდს მი-

მართავს, რომელზეც დასაწყისში მოგახსენეთ.

ტერმინი „გენოციდი“ 1944 წლამდე არ არსებობდა. ეს სპეციალური ტერმინი აღნიშნავს დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც ადამიანთა რომელიმე ჯგუფის განადგურებას ისახავს მიზნად. ებრაული წარმოშობის პოლონელმა იურისტმა რაფაელ ლემკინმა ეს ტერმინი შემოიტანა, როგორც ებრაელების განადგურებისადმი მიმართული ნაცისტური პოლიტიკის განსაზღვრება. ერთი წლის შემდეგ ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტ ლიდერებს „კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში წაუყენეს ბრალი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ტერმინი „გენოციდი“ განაჩენში გამოყენებული იყო არა როგორც სამართლებრივი, არამედ როგორც აღწერილობითი ტერმინი.

ლემკინმა დიდი ძალა და ენერგია მოანდომა იმას, რომ 1948 წელს ჰოლოკოსტის საშინელებათა გამო გაერომ მხარი დაუჭირა კონვენციას „გენოციდის თავიდან აცილებისა და მის ჩამდენთა მიმართ სასჯელის“ შესახებ. სრულიად ცხადია, რომ ამ ტერმინის გამოყენება 150 წლის წინ მომხდარ მოვლენებზე ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული. ცხადია, არავინ უარყოფს ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ მათ მიმართ სამართლებრივი კვალიფიკაციის მიყენება სცილდება ლინგვისტის კვალიფიკაციას. თუმცა საქართველოს პარლამენტმა ამ საკითხში, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენების თვალსაზრისით, დილეტანტიზმის თვალსაჩინო ნიმუში გვაჩვენა.

შესაძლოა, პარლამენტარები თავს არ იწუხებდნენ საკითხის ღრმა შესწავლით, მაგრამ ინტერ-

ნეტში ელემენტარული ინფორმაციის მოძიებით მაინც ხომ უნდა გარჯილიყვნენ? თუ გაისარჯ-ნენ, იქაც პროფესორ მერაბ ჩუხუას ვერსიას იხილავდნენ. ქართულენოვანი „ვიკიპედია“ გვაუწყებს: „რუსეთის იმპერიის მიერ მე-19 საუკუნეში, რუსეთ-კავკასიის ომის დროს განხორციელდა ადიღე-ჩერქეზეთის მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა, გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე კაზაკების და რუსების ჩასახლების მიზნით. სულ ამ მოვლენებში განადგურებულ და გადასახლებულ იქნა მილიონ-ნახევრამდე ჩერქეზული მოსახლეობის 90%-ზე მეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, კავკასიოლოგ მერაბ ჩუხუას კვლევების თანახმად, „დამპყრობლური ომების პერიოდში ჩერქეზი ხალხის გენოფონდის საერთო დანაკარგმა, მოკლულის სახის შეადგინა ამ ხალხის მთლიანი მოსახლეობის 20%-ზე ბევრად მეტი“, რის გამოც ექსპერტები ამ ფაქტს გენოციდად აფასებენ“.

სქოლიო, რომელიც მითითებულია, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ისევ მერაბ ჩუხუას დასკვნას ასახავს. ასე და ამგვარად, ერთი ლინგვისტის მიერ მიცემული კვალიფიკაცია უკვე „ექსპერტების“ კვალიფიციურ დასკვნად არის აღიარებული. როგორც „გენოციდის“ შემთხვევაში, აქაც ტერმინი „ეთნიკური წმენდა“, რომელიც 1990-იან წლებში გაჩნდა, რეტროსპექტიულად არის გამოყენებული.

მთელი ამ საინფორმაციო მომზადების შემდეგ, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, 2011 წლის 21 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპე-

ციალური დადგენილება, რომლითაც მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის ეთნიკური წმენდა „გენოციდის აქტად“ აღიარა. გადაწყვეტილებას მხარი დამსწრე 95 დეპუტატიდან ყველამ ერთხმად დაუჭირა, რითაც საქართველო პირველი ქვეყანა გახდა ჩერქეზების გენოციდის აღიარებაში.

როგორ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებაში ასევე რეტროსპექტულად გამოიყენება კიდევ ერთ ტერმინი: „აღიარებულ იქნან ლტოლვილებად, რუსეთ-კავკასიის ომის პერიოდში და შემდგომ სამშობლოდან იძულებით დეპორტირებული ჩერქეზები თანახმად „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა“.

იმჟამინდელი მმართველი პარტიის დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ეს გადაწყვეტილება არის „ისტორიული სამართლიანობის აღდგენისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი“ და ყველა კავკასიელი ხალხის „ძალიან აშკარა პოლიტიკური“ მხარდაჭერა. ნუ დაგვავიწყდება, ეს ის პოლიტიკოსები არიან, რომლებიც დღეს ყველა ხერხითა და საშუალებით ეწინააღმდეგებიან სულ ახლახანს მათ მიერ დაშვებული უსამართლობის აღმოფხვრას, ანუ სამართლიანობის აღდგენას!

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ იქვე დააანონსა: „ჩვენ მოგვიწევს მთლიანად კავკასიის ხალხების სიტუაციის განხილვა და ეს პროცესი ძალიან მნიშვნელოვან და მძლავრ კავკა-

სიურ ერთობამდე მიგვიყვანს“. მაშინვე ითქვა, რომ საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტი ასევე იხილავდა ჩეჩნების გენოციდის შესაძლო აღიარების საკითხსაც.

ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც განაცხადა, რომ ის ვერც მხარს დაუჭერდა და ვერც შეეწინააღმდეგებოდა დადგენილების მიღებას, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია იყო: „შეუძლებელია, რომ ამ ხალხის (ჩერქეზების) მიმართ სოლიდარულები არ ვიყოთ, მაგრამ ერთია ემოცია და მეორეა პოლიტიკური გადაწყვეტილება პარლამენტის. ხომ არ გამოჩნდება ეს უსამართლოდ ჩვენ სომეხ კოლეგებთან მიმართებაში?“

მას მხედველობაში ჰქონდა საქართველოს სომეხი მოქალაქეების მიმართვები საქართველოს პარლამენტისადმი, სადაც ისინი ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების მასობრივი განადგურების „გენოციდად“ ცნობას ითხოვდნენ.

დიასპორისა და კავკასიის საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ წიკლაურმა ამაზე განაცხადა, რომ სომხებისა და ჩერქეზების საკითხების „მექანიკური დაკავშირება არის უკიდურესი არაკვალიფიციურობა“. მისი თქმით, სომხებთან დაკავშირებულ პრობლემას სომხეთი და თურქეთი ერთმანეთთან მიმდინარე „პოზიტიურ დიალოგში“ თავად გაარკვევენ და ამაში „საქართველოს ჩართვა ნიშნავს, რომ შევასრულოთ სრულიად გაურკვეველი და დაუსაბუთებელი როლი“.

რამდენად „გარკვეული და დასაბუთებული როლი“ შეასრულა საქართველომ თავად „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარებით? იქნებ ეს პოლიტიკური მიზანშეწონილობით იყო ნაკარნახევი?

ტერმინი „ჩერქეზთა გენოციდი“ 1992 წელს ყაბარდო-ბალყარეთის, ხოლო 1994 წელს ადიღეს პარლამენტმა გამოიყენეს და, სხვათა შორის, არა მარტო ჩერქეზთა, არამედ „მათ მონათესავე ხალხთა“, მათ შორის აფხაზების მიმართაც. **და თუ ტერმინ „გენოციდის“ გამოყენება 150 წლის წინანდელი მოვლენების მიმართ აზრს არის მოკლებული, აფხაზების შემთხვევაში მათი გამოყენება სრულიად შესაძლებელია, რადგან ისინი 1992-93 წლების ომისას გენოციდს ახსენებდნენ.** ის კონფლიქტი კი სწორედ კონვენციის მიღებისა და ტერმინ „გენოციდის“ დამკვიდრებიდან 4 წლის შემდეგ მოხდა. ტერმინების მიმართ ამგვარი მსუბუქი მოპყრობისას არასოდეს უნდა დაგავიწყდეს, რომ არსებობს მათი შენ წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობაც. ცხადია, იმას, რაც აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში ხდებოდა, გენოციდს ვერ უწოდებ, თუმცა ეს ვერანაირად ვერ ამართლებს საქართველოს პარლამენტის გაუაზრებელ დადგენილებას.

ფაქტობრივად, ამ დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა ერთი-ერთში გაიმეორა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახალხო კრების „მე-19 საუკუნეში აფხაზების (აბაზების) დეპორტაციის აქტის შესახებ“ 1997 წლის15 ოქტომბრის დადგენილების პათოსი. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „აღიარებული იქნას

მე-19 საუკუნეში აფხაზების (აბაზების) განადგურება და განდევნა ოსმალთა იმპერიაში გენოციდად — კაცობრიობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულად. გაეროს გენერალური ასამბლეის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციის თანახმად, მე-19 საუკუნეში დეპორტირებული აფხაზები (აბაზები) აღიარებულ იქნან ლტოლვილებად“.

აფხაზ კანონმდებლებსაც ქართველებივით არ გახსენებიათ, რომ სულ რაღაც ოთხი წლით ადრე 300 ათასი ქართველი სწორედ აფხაზეთის ტერიტორიიდან იქცა დევნილად და თუ სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი, ალბათ, სწორედ მათ დაბრუნებაზეა საჭირო ლაპარაკი და არა მე-19 საუკუნის ლტოლვილებზე. ასეა თუ ისე, აქაც და სხვა შემთხვევებშიც, გენოციდისა და ლტოლვილების საკითხი არანაირ კონკრეტულ და ხელშესახებ მიზნებს არ ისახავს, გარდა მიმდინარე მომენტში პოლიტიკური ქულების დაწერისა და რუსეთთან ილუზორული გამარჯვების იმიტაციისა.

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ცალსახად რუსეთის გასაღიზიანებლად იყო მოფიქრებული. აბა, რაში სჭირდებოდათ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის გააქტიურება?! იმისთვის, რომ რუსებისთვის დამატებითი დისკომფორტი შეექმნათ ოლიმპიადის კონტექსტში, ოლიმპიადა ხომ ჩერქეზულ მიწაზე ტარდება — „კრასნაია პოლიანა“ ხომ ჩერქეზული მიწაა, სადაც უბიხები და სხვა ჩერქეზული ტომები ცხოვრობდნენ. როდესაც

ქართული მხარე ჩერქეზთა გენოდის აღიარების გადაწყვეტილებას იღებდა, მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, თუ კი ვინმემ იცის საქართველოში და არამარტო საქართველოში კავკასიის ისტორია, ერთ-ერთი მეც ვარ. რუსები, ხშირ შემთხვევაში, შეგნებულად იყენებდნენ ერთ ჩერქეზულ ტომს მეორე ჩერქეზული ტომის წინააღმდეგ და ის დახოცილებიც საერთო რაოდენობაში გავიდნენ. ბოლო ბრძოლაში, რომელიც „კრასნაია პოლიანაზე" გაიმართა და იყო მცირე მასშტაბის შეტაკება, რუსეთის მხარეს იბრძოდნენ ქართველებიც, აფხაზებიც, თავად ჩერქეზებიც და სხვა კავკასიელი ხალხებიც. აღნიშნული ბრძოლის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ომის დამთავრების თაობაზე განცხადება გააკეთა. გადამწყვეტ ბრძოლაში აფხაზური რაზმები მონაწილეობდნენ, რომელსაც რუსი ოფიცერი ხელმძღვანელობდა. ისინი ოფიციალური მებრძოლები იყვნენ, მაგრამ უნდა ითქვას და თანაც აუცილებლად, რომ იქ იბრძოდნენ აფხაზი მოხალისეებიც გვარებისა და თემების მიხედვით.

ახლა იმაზე მინდა ვისაუბრო, ჩერქეზებმა აფხაზეთის ომში ქართველთა წინააღმდეგ რა წვლილი შეიტანეს და საერთოდ, ვინ იბრძოდა აფხაზეთის ომში და 2008 წელსაც. ნაცელიტა გაუთავებლად საუბრობს იმაზე, რომ რუსებმა ტერიტორიები წაგვართვესო, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ აფხაზეთის ომში მებრძოლთა დიდი ნაწილი ჩრდილოკავკასიელები იყვნენ და, პირველ რიგში, ჩერქეზები. ჩეჩნები მეტად ჩანდნენ იმიტომ,

რომ კარგი მეომრები არიან, თორემ რაოდენობრივად უფრო მეტი ადიღეელი, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მკვიდრი ჩერქეზები იბრძოდნენ. ასეთი ამბების დავიწყება შეუძლებელია. 2008 წლის ომში რუსეთის ჯარის 40%-ს კავკასიელები შეადგენდნენ, მათ შორის, ხუთი მაღალი სამხედრო ჩინის ქართველი იყო. სატანკო ბატალიონს, რომელიც ერედვში იდგა, მაიორი გოჩა დიასამიძე ხელმძღვანელობდა. ახალგორში კი დაღესტნელები იდგნენ. რუსებს ჰქონდათ გათვლა, ქართველებისთვის დაენახვებინათ, რომ მათ წინააღმდეგ კავკასიელები და ქართველებიც იბრძვიან. როდესაც საუბრობ ისტორიულ დეტალებზე, ეს ყველაფერი უნდა ითქვას, უნდა ითქვას, ვინ იბრძოდა შენ წინააღმდეგ. ჩემს კავკასიელ კოლეგებს ყოველთვის ვეუბნები, — ჩვენ ყველაფერი გვახსოვს, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ“.

რუსი მკვლევარი ნიკოლაი სილაევი თავის მოხსენებაში „ეთნოსი და პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში: „ჩერქეზული საკითხი“ აღნიშნავს: „ჩერქეზული საკითხის“ თავისებურებად რჩებოდა გარკვეული პოლიტიკური მოქნილობა და არაერთმნიშვნელობა. ჩერქეზები საერთოდ და ეთნიკური აქტივისტები კერძოდ, გარდაუვალად ჩნდებოდნენ მრავალფეროვან სიტუაციებში და ფართო სპექტრის ალიანსებს ქმნიდნენ.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ჩერქეზული ორგანიზაციები მიესალმნენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც. 2008 წლის სექტემ-

ბრის დასაწყისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი თურქეთში ვიზიტისას თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ჩერქეზული ეროვნული ორგანიზაციების წარმოამდგენლებს შეხვდა. იმავე წლის ოქტომბერში აფხაზური დელეგაცია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შემადგენლობით, ევროპარლამენტში სიტყვით წარსდგა ე. წ. ჩერქეზული დღის ფარგლებში, რომელიც იქ რეგულარულად ტარდება".

ერთი სიტყვით, ორივე ექსპერტის შეფასებით, ჩერქეზული საკითხის პედალირება კი არ გვაახლოებს, მაგალითად, აფხაზებთან, არამედ სულ უფრო თვალსაჩინოს ხდის, საჭიროების შემთხვევაში მათი ინტერესების გაერთიანებას, რაც საქართველოსთვის არანაირად არ არის სახარბიელო.

ტერმინ „გენოციდის" გამოყენება ძალზე ხელსაყრელია პოლიტიკური მობილიზაციისთვის. ეჭვს არ იწვევს, რომ ამგვარი მობილიზაცია საა-კაშვილს იმისთვის სჭირდებოდა, რათა, როგორც თავად აცხადებდა, რუსეთის დაშლა დაწყებულიყო და საქართველოს ამ გზით დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები. ცხადია, ეს „კონცეფცია" არც სააკაშვილის გონებაში და არც საქართველოს ტერიტორიაზე არ მომწიფებულა. უბრალოდ, ტირაჟში გასულ პრეზიდენტს იგი მჩქეფარე მოღვაწეობის იმიტაციისთვის სჭირდებოდა. დაახლოებით ისევე, როგორც 2008 წლის სამარცხვინო მარცხის შემდეგ კონცერტების ორგანიზება რუსთაველის

პროსპექტზე და წაგებული ომის გამარჯვებად გასაღება.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს წინა ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიის თემას ისე უყურებს, თითქოს ჯერაც გასული საუკუნის 90-იანი წლები იყოს, ხოლო რუსეთს ისევ ელცინი მართავდეს. მათ შეუმჩნეველი დარჩათ, თუ რა ცვლილებები მოხდა რუსეთში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში — მხედველობაში მაქვს „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარების მომენტი — 2011 წელი.

როდესაც გაეროს ტრიბუნიდან პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის“ ინიციატივა წამოაყენა, მან ფსონი იმ ძალებზე დადო, რომელთა გავლენა გაცილებით უფრო შესუსტებული იყო, ვიდრე თუნდაც ათიოდე წლით ადრე.

ნიკოლაი სილაევი იმავე მოხსენებაში წერს: **„პრობლემა ისაა, რომ საქართველოს მთავრობის „ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა“ იმთავითვე ყალბი დაშვებებიდან ამოდიოდა, რასაც „ჩერქეზული ქეისის“ ანალიზიც ნათლად აჩვენებს. ოცი წლის წინ ეთნიკური ჯგუფების სახელით, ეთნიკური უფლებების და ეთნიკური თვითგამორკვევის ლოზუნგებით მოქმედმა ძალებმა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა ააფეთქეს. ამ აფეთქების შედეგები ახლაც იგრძნობა, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაშიც. თუმცა „ახალმა ჩრდილოკავკასიურმა პოლიტიკამ“ და, როგორც ჩანს, საქართველოს საექსპერტო საზოგადოების ნა-**

წილმა ვერ შეაფასეს ის გარემოება, რომ გასული ოცი წლის მანძილზე ამ ძალებმა ან დაკარგეს დინამიურობა და სცენიდან გავიდნენ, ან ახალ რუსულ პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრირდნენ“.

კაცობრიობის ისტორია, სამწუხაროდ, აღსავსეა ტრაგიკული ფურცლებით, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია დემოკრატიის მთავარი დღევანდელი იმპორტიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას. 1492 წლიდან დაიწყო ის, რასთან ახლოსაც ვერასოდეს მივა ვერც მასშტაბებით და ვერც სისასტიკით ჩერქეზთა ტრაგედია. თუმცა არც ერთ ოფიციალურ პირს ან საჯარო პოლიტიკოსს იმ მოვლენების მიმართ ტერმინი „გენოციდი“ არ გამოუყენებია.

„ამერიკელი ინდიელების დემოგრაფიული კატასტროფა“ — ასე მოკრძალებულად უწოდებენ იმას, რომ ევროპელი კოლონიზატორების წყალობით ინდიელთა რაოდენობა 15 მილიონიდან 237 ათასამდე (!) შემცირდა კონტინენტზე. რა კავშირშია ამ მართლაც გიგანტურ დანაშაულთან სიტყვა დემოგრაფია? თითქოს რაღაც ამოუცნობი მიზეზებით, ერთ მშვენიერ დღეს, ინდიელების შობადობა ისე დაეცა, რომ არნახული დეპოპულაცია მოხდა!

ინდიელთა მასობრივ განადგურებას გრძელი და მძიმე ისტორია აქვს, თუმცა აქ მხოლოდ იმ პერიოდს შევეხოთ, რომელსაც „ჩერქეზთა საკითხი“ უკავშირდება. 1855 წელს ჩრდილოეთ კალიფორნიაში ერთი მოკლულ ინდიელის თავში ადგილობრივი მუნიციპალიტეტი 5 დოლარს იხ-

დიდა. 1863 წელს ერთ სკალპში უკვე 25 ცენტს იხდიდნენ. გერმანელი ეთნოლოგი, გუსტავ ფონ კენიგსვალდი იტყობინებოდა, რომ ანტიინდიელურმა მილიციამ სოფელ კაინგანგში სასმელი წყალი მოწამლა, რის შედეგადაც 2 ათასი ინდიელი დაიღუპა.

თუმცა არც ერთი ავტორიტეტული მეცნიერი არ უარყოფს მკვლელობებსა და ტანჯვას, რომელიც ამერიკელმა ინდიელებმა განიცადეს, მათი უმრავლესობა არ ეთანხმება იმას, რომ ევროპელი კოლონიზატორების მიზანს წარმოადგენდა გენოციდი, როგორც „წინასწარ განზრახული დანაშაული“. როგორც ჩანს, აქ მთავარი ის კი არ არის, თუ რა სისასტიკით ამოწყვიტეს აბორიგენი მოსახლეობა, არამედ ის, რომ ამ მიზანს არ ისახავდნენ, მაგრამ „ასე გამოუვიდათ“!

ისტორიკოსი სტაფორდ პული წერდა: „არსებობსა სხვა ტერმინები იმის აღსაწერად, რაც დასავლეთ ნახევარსფეროში მოხდა, მაგრამ გენოციდი მათ რიცხვში არ არის. ეს მოხერხებული პროპაგანდისტული ტერმინია, როცა სლოგანებმა და შეძახილებმა ჩაანაცვლეს განსჯა და კვლევა. ამ კონტექსტში მისი გამოყენება აუფასურებს თავად ტერმინსაც და იმ საშინელებასაც, რომელიც ამ საუკუნის უდიდესი მსხვერპლის მაგალითებმა — ებრაელებმა და სომხებმა გადაიტანეს.

არგუმენტები იმის წინააღმდეგ, რომ ინდიელების გენოციდი მოხდა, 3 ძირითად ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

1. ამერიკის კოლონიზაცია, ფაქტობრივად, ომი იყო და გარკვეულ პერიოდებში და გარკვეულ

ტერიტორიებზე უპირატესობა სხვადასხვა მხარეს იყო. ამასთანავე, ინდიელებმა არაერთხელ თავად წამოიწყეს საომარი მოქმედება;

2. ინდიელთა განადგურებაში ზოგჯერ არა მარტო თეთრკანიანები, არამედ თავად ინდიელებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც ერთმანეთს მტრობდნენ. ისინი ერთმანეთს ანადგურებდნენ, თეთრ კოლონისტებს ემსახურებოდნენ, მათდამი მტრული ტომების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ და ხშირად თავადაც იყვნენ ამის წამომწყებნი, რისთვისაც თეთრკანიანებისგან მატერიალურ ან სხვა სახის სარგებელს ნახულობდნენ;

3. ინდიელთა უდიდესი უმრავლესობა დაიღუპა ევროპელი კოლონისტების მიერ უნებლიედ შეტანილი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის არქონის გამო“.

ამ „არგუმენტების“ გავრცელება თავისუფლად შეიძლება „ჩერქეზულ საკითხზეც“, ოღონდ ერთი დათქმით: ის სისასტიკე, რაც ამერიკის კონტინენტზე ხდებოდა, ახლოსაც ვერ მივა ჩერქეზთა მუჰაჯირობასთან. თუმცა მთავარი აქ მაინც ის არის, რომ გენოციდს ამერიკელები არ აღიარებენ, მათ ეს ტერმინი ჩერქეზთა მიმართ უფრო ემეტებათ, ვიდრე 15 მილიონი ინდიელისთვის, მით უფრო, რომ გარდაცვლილთა ეს არმია ვეღარც საკუთარ მიწას მოითხოვს და ვერც დევნილის სტატუსს.

ყოველ წელიწადს, 12 ოქტომბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლუმბის დღეს აღნიშნავენ. სულ ახლახან ერთმა ახალგაზრდა ამერი-

კელმა ქალმა სოციალურ ქსელში ასეთი სტატუსი დადო: „დღეს კოლუმბის დღეა. მოდით, დავამკვიდროთ ტრადიცია: ამ დღეს შევუცვივდეთ ერთმანეთს სახლებში და ვიყვიროთ — ეს ჩემი სახლია“! ეს ირონიული სტატუსი ნათლად ასახავს იმას, რომ თეთრკანიანი ამერიკელები თავადაც კარგად ხვდებიან, თუ რის ფასად მოიპოვეს მათ სხვისი კუთვნილი მიწები.

ის, რასაც სტაფორდ პული „ევროპელი კოლონისტების მიერ უნებლიეთ შეტანილი დაავადებების მიმართ იმუნიტეტის არქონას“ უწოდებს, სინამდვილეში სულ სხვაგვარად გამოიყურება: გარდა იმისა, რომ კოლონისტებმა ამერიკაში ჩაიტანეს შავი ყვავილი, ტიფი, წითელა, შავი ჭირი, ქოლერა, მალარია, ინდიელებს შორის დაავადებებს მიზანმიმართულად ავრცელებდნენ. კერძოდ, კოლონიზატორები ინდიელებს მე-18 საუკუნის 30-იან წლებში ინფიცირებულ საბნებს, ტანსაცმელსა და ქსოვილებს ურიგებდნენ, რის შედეგადაც მთელი ტომები ნადგურდებოდა.

„განათლებული“ ევროპელები ასე იქცეოდნენ არამარტო ამერიკის კონტინენტზე. ასე მაგალითად, ალან მურჰედი ასე აღწერს ავსტრალიაში განვითარებულ მოვლენებს: „სიდნეიში ველურ ტომებს სული ამოხადეს. ტასმანიაში ისინი ერთიანად გაანადგურეს ახალმოსახლეებმა და კატორღელებმა. მათ მიწა უნდოდათ და არ აპირებდნენ, შავკანიანების მხრიდან ხელის შეშლა დაეშვათ. მას შემდეგ, როცა ფერმერებმა ადგილობრივებს მიწები წაართვეს, მათ შუბებით ხელში სცადეს ცეცხლსასროლი იარაღით აღ-

ჭურვილი მომხდურებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. საპასუხოდ ინგლისელებმა მათზე ნადირობა გამოაცხადეს. ასეთი ნადირობა სისტემატურ ხასიათს ატარებდა და ბოლოს, 1835 წელს უკანასკნელი აბორიგენი საკუთარი მიწიდან გაიყვანეს. ეს ზომები გასაიდუმლოებული არ იყო, არავის რცხვენოდა ამისა, ხოლო მთავრობა მხარს უჭერდა ამ პოლიტიკას“.

თვით ადოლფ ჰიტლერმა ამას „კოლონიზაციის საქმეში არნახული რამ“ უწოდა. 1885 წლის ერთი შეტყობინება: „ნიგერების დასაწყნარებლად მათ განსაცვიფრებელი რამ მისცეს. საჭმელი, რომელსაც მათ ურიგებდნენ, სანახევროდ სტრიქნინს შეიცავდა და ვერავინ გადაურჩა ბედისწერას. ერთ-ერთმა ფერმერმა ლონგ-ლეგუნში ამგვარი ეშმაკობით ასზე მეტი ზანგი გაანადგურა“. კიდევ ერთი შეტყობინება: „ახალ სამხრეთ უელსში აზრი არ ჰქონდა იმის მოთხოვნას, რომ დასჯილიყვნენ ისინი, ვინც სტუმრად ეძახდა ზანგებს და მოწამლულ ხორცს აჭმევდა“. მეოცე საუკუნის დასაწყისშიც კი, 1901 წელს, ავსტრალიელი ვინსენტ ლესინა პარლამენტში აცხადებდა: „ზანგი უნდა გაქრეს თეთრი ადამიანის განვითარების გზიდან — ამას ევოლუციის კანონი ღაღადებს“! მაშ, რა გასაკვირია, რომ 1838 წელს, 28 მშვიდობიანი აბორიგენის მკვლელი ინგლისელები აცხადებდნენ: „ჩვენ ვერ ვაცნობიერებდით, რომ ზანგების მოკვლით კანონს ვარღვევდით. ეს ხომ საყოველთაოდ მიღებული საქციელი იყო“!

კვინსლენდში (ჩრდილოეთ ავსტრალია) მე-19

საუკუნის დამლევს უწყინარ გართობად ითვლებოდა ზანგების მთელი ოჯახის შეყრა ნიანგებით სავსე წყალსაცავში. ნორვეგიელი კარლ ლუმ-ხოლცი კვინსლენდში 1880-1884 წლებში ინგლისელი კოლონისტებისგან ასეთ „არგუმენტებს“ ისმენდა: „შავებს მხოლოდ უნდა ესროლო — სხვაგვარად მათთან მოქცევას აზრი არა აქვს“. „ეს სასტიკი, მაგრამ აუცილებელი პრინციპია“.

უკანასკნელი დოკუმენტირებული მასობრივი მკვლელობის შემთხვევა 1928 წელს დაფიქსირდა. მისიონერი, რომელიც ამ ჟლეტას შეესწრო, წერდა, რომ პოლიციის რაზმმა აბორიგენების რეზერვაციიდან ფორესტ-რივერში მთელი ტომი აიყვანა ტყვედ. შემდეგ ტყვეები დახოცეს, გვამები კი დაწვეს. სამი ქალი თან წაიყვანეს, ხოლო როცა ბანაკს ტოვებდნენ, ისინიც დახოცეს და გვამები დაწვეს. სხვათა შორის, დღევანდელი დასავლელი და ადგილობრივი ლიბერალები, რომლებიც სტალინის სისასტიკეზე აღშფოთებით საუბრობენ, უთუოდ უნდა გაეცნონ მისი თანადროული მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების „ღვაწლს“ მასობრივ მკვლელობებსა და მთელი ხალხების დედა-ბუდიანად აყრის საქმეში. თუმცა ჩვენ ჩერქეზთა მუჰაჯირობის თანადროულ მოვლენებს მივყვეთ.

1864-დან 1870 წლამდე მსოფლიო თანამეგობრობამ ბრიტანეთის იმპერიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიისა და არგენტინის შემადგენლობით პატარა ლათინოამერიკული ქვეყნის — პარაგვაის მოსახლეობის 85 პროცენტი გაანადგურა. ამ მართლაც გენოცი-

დის მასშტაბების დანაშაულის მთელი ცინიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი „პარაგვაელი ხალხის დიქტატურისგან გათავისუფლების და დემოკრატიის აღდგენის“ ლოზუნგით განხორციელდა. ეს ლოზუნგი დღესაც ცოცხალია და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ. ომის ექვსი წლის განმავლობაში პარაგვაის მოსახლეობა მილიონ-ნახევრიდან 221 ათასამდე შემცირდა. ცოცხლად დარჩენილთაგან მხოლოდ 29 ათასი ზრდასრული მამაკაცი იყო, მოხუცებისა და ინვალიდების ჩათვლით.

1857 წლიდან ათი წლის განმავლობაში ინდოეთში ბრიტანული ჯარისა და ადმინისტრაციის მეცადინეობით 10 მილიონი ადამიანი დაიღუპა. 1769-1770 წლებში ბენგალიაში ხელოვნურად შექმნილი შიმშილის შედეგად სხვადასხვა მონაცემებით 7-10 მილიონი ადამიანი დაიღუპა. 1780-90 წლებში ეს გამოცდილება გაიმეორეს — დაიღუპა კიდევ 10 მილიონი. ოფიციალური ბრიტანული მონაცემებით ინდოეთში შიმშილით მოკვდა: 1800-1825 — 1 მლნ., ხოლო 1875-1900 — 26 მილიონი.

ჩვენი ბავშვობის საყვარელი მწერალი ჩარლზ დიკენსი, რომლის ოლივერ ტვისტის ბედკრულ ბავშვობაზე, ალბათ, ყველას გვიტირია, ინდოელებზე ასე წერდა: „სამწუხაროა, რომ მთავარსარდალი ვერ გავხდები ინდოეთში... მე მათ საკუთარ ენაზე გამოვუცხადებდი, რომ ამ თანამდებობაზე თავს მივიჩნევ ღვთის ნებით დანიშნულად და, შესაბამისად, ყველა ღონეს მივმართავ, რათა გავანადგურო ეს ხალხი“!

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი კარლ მარქსი კი ასე ხსნიდა იმ მოვლენებს: „საკითხი ის კი არ არის, აქვთ თუ არა ინგლისელებს ინდოეთის დაპყრობის უფლება, არამედ ის, გვირჩევნია თუ არა, რომ ინდოეთი თურქებმა, სპარსელებმა ან რუსებმა დაიპყრონ“.

ამ ნათელი პიროვნებების გამონათქვამების გაცნობის შემდეგ გასაგები ხდება, რომ რუსეთის იმპერატორი იმხანად გაეროს თუ ევროპის ჯერ არარსებული კონვენციების ენით ვერ ილაპარაკებდა და ვერც იმ დროის პოლიტიკის წესებს შეცვლიდა. კამათი არ ღირს იმაზე, რომ ჩერქეზთა მუჰაჯირობა ტრაგიკული ფურცელია მათ ისტორიაში, მაგრამ ამ ტრაგედიით მანიპულირება არანაკლები დანაშაულია დღეს. ჩამოთვლილი ქვეყნები თავადაც ერიდებიან „ჩერქეზთა გენოციდზე“ ლაპარაკს, რადგან საკუთარი „დამსახურებები“ კარგად იციან, ხოლო თემის წამოსაწევად მიხეილ სააკაშვილი ერთობ ხელსაყრელი კანდიდატურა აღმოჩნდა. სწორედ მან იკისრა ის როლი, რომელსაც არც ამერიკელები აიღებენ საკუთარ თავზე და არც ევროპელები.

ეს თამაში, რომელიც „ახალი ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის“ ბრჭყვიალა ქაღალდში იყო შეფუთული, იმთავითვე არაფრის მომტანი იყო, მაგრამ სააკაშვილი, რომელსაც სიზმარშიც კი ვერ წარმოედგინა, რომ მის მიერ საგულდაგულოდ საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუციით 2012 წლის 1 ოქტომბრიდან სულ სხვა ადამიანი ისარგებლებდა. იმჟამად სააკაშვილი გრძელვადიან და მრავალსვლიან კომბინაციას

გეგმავდა, რომლის მთავარი მიზანი რუსეთის დისკრედიტაცია და დასუსტება იყო.

2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე Eurasia Daily Monitor-ის მიმომხილველი წერდა, რომ საქართველო არ უჭერს მხარს ჩრდილო კავკასიაში „აჯანყებას ან ამბოხს" და მან „რბილი ძალის" კონცეფცია აირჩია. იქვე ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს აქტიურობა ხელს უწყობს რეგიონში არსებული სიტუაციიდან მშვიდობიანი გამოსავლის ძიებას, რაც რუსეთის პოლიტიკამ დღემდე ვერ მოახერხა.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მიმართულებით თბილისი, რამდენიმე წელია, საკუთარ პოლიტიკას ახორციელებს და ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა 2010 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ისაუბრა. რეგიონის მიმართ თბილისის პოლიტიკა დღემდე (2012 წელი) ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული ამ პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, რის გამოც, ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკა ხშირად გაუგებარი იყო დასავლელი პარტნიორებისთვისაც, რომლებიც ამაში დესტაბილიზაციის საფრთხეს ხედავდნენ.

დესტაბილიზაციის საფრთხეს უკვე ის შეიცავდა, რომ რადიო „თავისუფლების" ანალოგად მოაზრებული ტელეკომპანია „პირველი კავკასიური" ამოქმედდა, რომელიც „ალტერნატიულ სიმართლეს" სთავაზობდა ჩრდილოეთ კავკასიას, თუმცა მანაც 2012 წლის ბოლოს დაასრულა არსებობა. დესტაბილიზაციის საფრთხე იყო ისიც,

რაც ლაფანყურის ოპერაციის სახით იხილა საქართველომ არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე და რაც სინამდვილეში მხოლოდ აისბერგის მწვერვალს წარმოადგენდა. დესტაბილიზაციის საფრთხე იყო თავად პრეზიდენტი, რომლის უპროგნოზო, გაუთვლელ და უპასუხისმგებლო საქციელს ნებისმიერ მომენტში შეეძლო რეგიონში დაძაბულობის ესკალაცია.

ლოს ანჟელესის Occidental College-ის პროფესორი უოლტერ რიჩმონდი 2012 წელს ევროპის პარლამენტში „ჩერქეზული დღის“ ფარგლებში სიტყვით გამოვიდა. იგი ამტკიცებს, რომ რუსეთის ჯარმა 1863 წლის ოქტომბერსა და 1864 წლის აპრილს შორის ჩერქეზი ხალხის მიმართ გენოციდი ჩაიდინა. მისი აზრით, ეს ქმედება პირდაპირ ექვემდებარება გაეროს კონვენციას „გენოციდის თავიდან აცილებისა და მის ჩამდენთა მიმართ სასჯელის“ შესახებ. ზოგადი ფრაზების გარდა, ისეთი დოკუმენტური მონაცემები, როგორსაც ზემოთ ნახსენებ ავსტრალიურ, ინდურ თუ ამერიკულ წყაროებში ვხედავთ, რიჩმონდის სტატიაში არ არის.

მოხსენება ძირითადად ჩერქეზთა შესაძლო ასიმილაციის საფრთხეს და სოჭში, ჩერქეზთა კუთვნილ მიწაზე ოლიმპიადის ჩატარების დაუშვებლობას ეძღვნება. საინტერესოა ერთგვარი დემოგრაფიული ექსკურსი — ჯამურად ავტორი ჩერქეზთა დანაკარგებს (მოკლულები, თურქეთისკენ გზაში დაღუპულები და ა.შ.) 620 ათასის რაოდენობით მიუთითებს. მისი დაშვებით, 1860 წლისთვის ჩერქეზების რაოდენობა მილიონ-

ნახევარი იყო, ხოლო ორპროცენტიანი ზრდის გათვალისწინებით, დღეს მათი რაოდენობა 30 მილიონი უნდა ყოფილიყო. მსოფლიოში კი დღეს, სხვადასხვა მონაცემებით, ოთხიდან ექვს მილიონამდე ჩერქეზია და მათგან მხოლოდ 700 ათასი ცხოვრობს რუსეთის ფედერაციაში.

ვცადოთ ამავე დემოგრაფიული ფორმულის გამოყენება ამერიკელი ინდიელების შემთხვევაში. 1492 წელს, კოლუმბის მიერ კონტინენტის აღმოჩენის მომენტისთვის იქ 15 მილიონი ინდიელი ცხოვრობდა. ყოველწლიური ორპროცენტიანი ზრდის შემთხვევაში, დღეს მათი რაოდენობა, სულ ცოტა, 990 მილიონი უნდა იყოს. დღეს ამერიკაში 4 მილიონზე ცოტა მეტი ინდიელი ცხოვრობს. არის თუ არა ეს გენოციდი? თუმცა ლოს ანჟელესში ინდიელების პრობლემაზე უფრო გულდასმით კავკასიის საკითხებს სწავლობენ. და ერთიც: სოჭში ოლიმპიადის ჩატარება დაუშვებელია, რადგან ეს მიწა ჩერქეზებისა ყოფილა, რასაც სააკაშვილის მორჩილი პარლამენტიც იმეორებდა. არავის გახსენებია, რომ ის მიწა ქართული იყო: არც სააკაშვილს და არც მის ამერიკელ თანამოაზრეებს. ისევე, როგორც აფხაზები, რომელთა დიასპორას ავტომატურად ათვლიან ჩერქეზთა საერთო რაოდენობაში. მთავარი ხომ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა არ არის, მთავარია, სხვას შევუქმნათ პრობლემები, მაშინაც კი, როცა ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება!

საღი აზრი კი გვკარნახობს, რომ **ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა: ჩვენ რუსეთზე**

არანაკლებ ვართ დაინტერესებული ამ რეგიონის სტაბილურობასა და მშვიდობაში. ჩერქეზთა ისტორიის შესწავლასთან ერთად, წინა ხელისუფლება, ურიგო არ იქნებოდა, საკუთარი ქვეყნის ისტორიას ჩაღრმავებოდა, თუმცა უკვე ერთი წელია, რაც ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ვითარება კარდინალურად არ შეცვლილა. რუსეთთან ურთიერთობის „დალაგება“ ჯერაც შეუსრულებელ დაპირებად რჩება.

გიორგი მდივანი,
პოლიტოლოგი:

ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება, როგორც პოლიტტექნოლოგიური ინსტრუმენტი

საქართველო მსოფლიო ისტორიაში გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც ოფიციალურად აღიარა ჩერქეზი ერის გენოციდი რუსეთის მიერ. გაისმის ლოგიკური და ლეგიტიმური კითხვა — რა მიზანს ემსახურებოდა და შედიოდა თუ არა ეს აღიარება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებში?

მსოფლიო ისტორიაში გენოციდებს მასშტაბურობის ხარისხით თუ დავახარისხებთ, ებრაელი ერის შემდგომ ყველაზე ხმაურიანი სომეხი ერის გენოციდია, რომელიც უკვე 100-მდე სახელმწიფომ აღიარა. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტს ეს გენოციდი არ უღიარებია გასაგები მიზეზების გამო (აღნიშნული გენოციდის აღიარებამ შესაძლოა მეტისმეტად დაძაბოს საქართველო-აზერბაიჯანის და საქართველო-თურქეთის ურთიერთობები). მაშინ რა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება? საკმაოდ ად-

ვილად პროგნოზირებადი იყო ის ფაქტი, რომ აღიარება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ბევრად უფრო ღრმა ესკალაციის ფაზაში შეიყვანდა, ვიდრე ეს იმ დროს იყო.

საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება პირველ რიგში შეიძლება აიხსნას, როგორც ჩერქეზთა თემით მანიპულირების მცდელობა, რასაც შორს მიმამავალი ფარული მიზნები გააჩნდა. აქედან შეიძლება გამოყიფილ იქნას შემდეგი:

• ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება იყო ყოფილი ხელისუფლების უსუსური მცდელობა წაგებული ომის სანაცვლოდ რაიმე სახის დიპლომატიური ზიანი მიეყენებინა რუსეთისთვის.

• ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარებით წინა ხელისუფლებას რუსეთის იმიჯის შესუსტება ჰქონდა განზრახული ჩრდილოეთ კავკასიაში, ანუ ეს აღიარება შეიძლება განხილულ იქნეს როგორ პოლიტტექნოლოგიური ინსტრუმენტი.

• ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარებით, რუსეთის ფედერაციის რიგითმა მოქალაქემ საქართველოს მაშინდელ პარლამენტს შესაძლოა ბრალი დასდოს კავკასიის ერებსა და რუსებს

შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღვივებაში.

ჩერქეზი ერის თემა 90-იან წლებში ხელოვნურად იქნა წამოწეული ამერიკელი სპეცსამსახურების მიერ. მათ საკმაოდ ტენდენციური მასალები გამოუშვეს, ასევე აქტიურად დაიწყეს გრანტების გამოყოფის პროცესი ამ თემასთან დაკავშირებით. შედეგმაც დიდხანს არ დააყოვნა; 2010 წელს ჯეიმსტაუნის ფონდმა და საქართველოს ილ. ჭავჭვაძის სახელობის უნივერსიტეტმა შემდეგი სათაურის მქონე კონფერენცია ჩაატარეს — „დაკარგული ერები, დანაშაული გრძელდება". სწორედ ამ კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტისადმი შეუმაშავეს მიმართვა, სადაც მოითხოვდნენ ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარებას.

ყველასთვის ნათელია ის გარემოება, რომ რეზოლუციას ჩერქეზი ერის გენოციდის შესახებ არანაირი კავშირი არ ჰქონდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენასთან. აქვე ხაზგასასმელია იქ ფაქტი, რომ აღიარებამდე 1 წლით ადრე საქართველოს საგარეო სამინისტრომ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უვიზო რეჟიმი დაუწესა. თუ „უვიზო რეჟიმის" და „გენოციდის აღიარებას" კომპლესურად განვიხილავთ, ყველასთვის გასაგები გახდება, რომ ეს საქართველოს ყოფილი ხელისუფლების სტრატეგიის შემადგენელი ელემენტი იყო რუსეთის წინააღმდეგ, რასაც, მათი ვარაუდით, შეიძლება ჩრდილოკავკასიელი ხალხების ამბოხი მოჰყოლოდა.

საინტერესოა, რა რეალური შედეგი მოჰყვა ამ აღიარებას ჩრდილოეთ კავკასიაში? ჩერქეზი ხალხების გარკვეულ წრეებში პოზიტიური რეაქცია შეინიშნებოდა საქართველოს მიმართ, თუმცა იმ ადამიანების რაოდენობაც საკმაოდაა, რომლებმაც სკეპტიკურად შეაფასეს ეს აღიარება. შეიძლება კონსტატაცია იმისა, რომ აღიარების შემდეგ აფხაზ და ჩერქეზ ხალხებს შორის ურთიერთობა გაცივდა. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აფხაზებმა ჩანაფიქრშივე გაშიფრეს საქართველოს ხელისუფლების განზრახვა. მათ თავიდანვე სცადეს, ჩერქეზი ძმებისთვის ამ გადაწყვეტილების პოლიტიზირება აეხსნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტს აფხაზი ერის გენოციდიც უნდა ეღიარებინა, რადგანაც ჩერქეზები და აფხაზები ერთ მხარეს იბრძოდნენ.

პეტრე მამრაძე,

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების კავკასიის ცენტრის“ ხელმძღვანელი, საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის ყოფილი უფროსი და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი:

ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს აქტივობას განაპირობებდა სააკაშვილის ღია მცდელობები, გამოეწვია დესტაბილიზაცია ამ რეგიონში

მე მქონდა საშუალება, ამ პროცესებს შიგნიდან დავკვირვებოდი.

გამოვაქვეყნე წიგნი „08.08.08“, რომელშიც დეტალურად არის ასახული, თუ რა ჩაიდინა სააკაშვილმა 2008 წელს, მანამდე და მას შემდეგ. მიხეილ სააკაშვილი გავიცანი 1992 წელს, ზაფხულში, როცა ჩემი რეკომენდაციით დაინიშნა კავსაძის კომიტეტში **(ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. — რედ.)** და ვიყავი ძალიან დაახლოებული მასთან, ამიტომაც პასუხს ვაგებ ყველა სიტყვაზე, რასაც ვიტყვი.

პირველი, 2007 წლის შემოდგომის და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მის



გუნდში არ არსებობდა ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო მისი ახირებებისა და სრულიად უაზრო, კონტრპროდუქტიული, მავნე მოქმედებების შეკავება. ვინც დარჩა მის გვერდით, ცდილობდნენ, გამოეცნოთ, რა ესიამოვნებოდა ამ ადამიანს და შესაბამისად მოქცეულიყვნენ, რათა არ გარიყულიყვნენ და პასუხი არ ეგოთ სულ სხვა მეთოდებით, როგორც იტყვიან. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იქეთ აქეზებდნენ სააკაშვილს, თუ რამეს იტყოდა ასეთ ახირებულს და რადიკალურს. მის გვერდით... ასეთ ვითარებაში რაციონალური აზრის ძიება იყო შეუძლებელი.

მინდა გითხრათ, რომ **აგვისტოს მეორე ნახევარში სააკაშვილმა გულში ჩაიდო რევანში რუსეთის წინააღმდეგ და იგი გეგმავდა, რომ ახალგორის რაიონში ჩაეტარებინა სამხედრო ოპერაცია, იქიდან განედევნა რუსი სამხედროები და დაებრუნებინა ახალგორის რაიონი. გთხოვთ, წარმოიდგინოთ ვითარება — ტანკები დგას იგოეთთან და ყველგან, ამ დროს კი სააკაშვილი წარმატებით ატარებს ოპერაციას ახალგორში, სადაც შეაგზავნიდა სპეციალურ რაზმს. ხომ წარმოგიდგენიათ, ამას რა მოჰყვებოდა?!**

მერე აღმოჩნდა, რომ იმავეს გეგმავდა კასპშიც. ჩვენი ჩარევით ეს არ მოხდა.

ამის შემდეგ მან 2008 წლის შემოდგომაზე დასახა რუსეთის დაშლის გეგმა. მან ეს გამოუცხადა უცხოელ დიპლომატებს, რამდენიმეჯერ თქვა საჯაროდ, ხოლო 2009 წლის თებერვალში პარლამენტში ბრძანა, რომ იგი „ცხვირიდან ძმარს ადენდა“ რუსეთს. სააკაშვილმა ვიწრო წრეებში არაერთხელ განაცხადა, რომ იგი დაშლიდა რუსეთს და ამ პროცესს ჩრდილოკავკასიიდან დაიწყებდა. **2007 წლის ივლისში სააკაშვილი იჯდა თავის კაბინეტში რუკის ფონზე და ამბობდა, რომ ახლა აიღებდა ცხინვალს, 2 საათში აიღებდა ჯავას, გადაკეტავდა როკის გვირაბს და მერე ამერიკაც და რუსეთიც უნდა შეეგუონ ახალ რეალობას. ძალიან განაწყენებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც უკრძალავდა ამ გეგმის განხორციელებას.** სხვათა შორის დიმიტრი მედვედევმა პირველად ახლა, წელს თავის ინტერვიუში „რაშენ თუდეისთან“ თქვა: „მაშინ, აგვისტოში, ამერიკელებმა ცოტა რამ იცოდნენ სააკაშვილის ქმედებებზე“.

2009 წელს ერთ-ერთმა ცნობილმა რუსმა მოღვაწემ მითხრა, რომ ამერიკელი პარტნიორები ყოველთვის აფრთხილებდნენ რუსებს სააკაშვილის მილიტარისტული აგრესიული მისწრაფებების თაობაზე. ასე მოხდა 2008 წლის ივლისშიც, კონდოლიზა რაისის ვიზიტის შემდეგ; ამერიკელებმა რუსებს უთხრეს, რომ ისინი აფრთხილებდნენ სააკაშვილს შესაძლო შედეგებზეც და იმა-

ზეც, რომ არ ჩაერეოდნენ ამ საკითხში, მაგრამ ამერიკელები გარანტიას ვერ იძლეოდნენ, რომ ეს ადამიანი არ დაიწყებდა საომარ მოქმედებებს აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში. „მათ 2008 წლის ივლისშიაც გაგვაფრთხილეს, კონდოლიზა რაისის სტუმრობის შემდეგ. გვითხრეს — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მის შესაჩერებლად, ჩვენ ვაფრთხილებთ მას შესაძლო შედეგებზე, რომ არ ჩავერევით, მაგრამ ჩვენ ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ ის ადამიანი, თავისი ფსიქიკით აფხაზეთში ან სამხრეთ ოსეთში არ დაიწყებს მსგავს მოქმედებებს“, — ვციტირებ, მაშინ მე ჩავიწერე ჩემთვის. — „ამერიკელი პარტნიორები ყოველთვის კეთილსინდისიერად გვაფრთხილებდნენ სააკაშვილის აგრესიული მილიტარისტული ზრახვების თაობაზე“.

სააკაშვილმა თავისი გეგმის განხორციელება მაინც დაიწყო. ჯეიმსთაუნის ფონდი მთლიანად დააფინანსა პრეზიდენტმა.

და დაიწყო, რაც დაიწყო:

პირველი: **დამყარება პირდაპირი კავშირისა ჩრდილოკავკასიის იმ ჯგუფებთან, რომლებსაც უნდათ რუსეთიდან გამოყოფა. ამ დავალებით გაიგზავნა პარლამენტიდან წერილები ჩრდილოეთ კავკასიაში, ცნობილი წერილები, გამოდიოდნენ წიკლაური და სხვები, იქიდან პასუხი იყო ძალიან უარყოფითი — მათ სძულთ სააკაშვილი, ეზიზღება უმრავლესობას;**

მეორე: **კავშირი ჩრდილოკავკასიის ხალხების ყველა იმ დიასპორასთან მსოფლიოში, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი (ეგვიპტე, სირია), ვისაც**

კი უნდა, რომ მისი ისტორიული სამშობლო გამოეყოს რუსეთს. შეიძლება ბევრს ახსოვს სატელეფონო საუბრები მერაბიშვილის მოადგილე მესხელისა ჩვენს ელჩთან, პროფესიონალ ელჩთან — ბატონ გოჩა ჯაფარიძესთან ეგვიპტეში, სადაც ეუბნება მას, რომ მოიძიე, შეკრიბე, ჩვენ ესენი გვჭირდება და ის ძალიან ფრთხილად პასუხობს, იმიტომ, რომ იმათაც არ უნდოდათ. ადამიანი, რომელსაც ევალებოდა აქ, საქართველოში ამის აღსრულება, მეუბნებოდა, — ჩვენ კი გვინდა, მაგრამ იმათ არ ვუნდივართ. ამის შემდეგ ცეერუს დირექტორი ჯეიმს კლაპერი სენატს ახსენებს, რომ, სამწუხაროდ, **ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობას აძლიერებს საქართველოს ღია მცდელობები, დაამყაროს კავშირი რუსეთის ჩრდილოკავკასიის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან. ეს არის აშშ-ის თავის ტკივილი.**

აამუშავეს ტელეკომპანია „პიკი“. სააკაშვილი ხშირად ამბობდა, რომ იგი რუსეთის დაშლას ამ ტელეკომპანიით აპირებდა, რამაც ასევე უკუშედეგი გამოიღო.

შეერთებული შტატები ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ჩრდილოკავკასიელი ხალხებისთვის უვიზო რეჟიმი იქნა დაწესებული. უვიზო რეჟიმის მიცემა თავდაპირველად მხოლოდ ჩრდილოკავკასიელებისთვის, რა თქმა უნდა, იყო სრული მარაზმი. წაგიკითხავთ ვოლტერ რასელ მიდის (ადამიანი, რომელიც 25 წელიწადია, აღიარებულია აშშ-ში საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე ძლიერ ექსპერტად) მოსაზრებას: „იმ დროს, როდესაც საქართველოს ვსტუმრობ-

დი, საქართველომ ჩრდილოკავკასიის მცხოვრებთათვის, მათ შორის ჩეჩნეთის მოქალაქეებისთვის ახალი პოლიტიკის დაწყების, ანუ უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ განცხადება გააკეთა. ამ ნაბიჯმა განარისხა რუსეთი, რომელსაც ჩრდილოკავკასიაზე მკაცრი კონტროლის შენარჩუნება სურს და საქართველოს უკვე ადანაშაულებს იმაში, რომ პრობლემურ რეგიონში უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებებისა და ხალხის გადაადგილების საშუალებას იძლევა და სერიოზულად შეაშფოთა აშშ, რომელსაც არ სურს, საქართველომ რუსი დათვი გააღიზიანოს. აშშ ამ იდეას დაჟინებით აპროტესტებს. პირველი, რაც იყო, ელჩი ბაასი ვნახე განრისხებული, რადგან ეს გაიგო ტელევიზიით და ვაშინგტონიდან მიიღო შესაბამისი საყვედური; დაჟინებით აპროტესტებდნენ ამას აშშ-ში იმიტომ, რომ ისლამისტი მებრძოლები თავისუფლად გადმოკვეთენ საქართველოს საზღვარს და იხეტიალებენ ქვეყანაში, სადაც მრავლად არიან აშშ-ისა და სხვა ევროპის ქვეყნების მოქალაქეები და ა. შ. ეს როგორც მაგალითი, მაგრამ არც ეს იყო საკმარისი და გენოციდის აღიარებაც იქნა ჩაფიქრებული. არც ერთმა ქვეყანამ არც მანამდე, არც მერე, რა თქმა უნდა, ეს არ აღიარა. **გენოციდის აღიარებაც, რა თქმა უნდა, რუსეთის დისკრედიტაციისთვის იქნა მიღებული. მე ვარ ცოცხალი მოწმე იმისა, რომ არ დარჩა ევროპელი დიპლომატი და ამერიკელი ჩინოვნიკი, რომელმაც ქილიკით არ მკითხა, თუ როგორ ვაპირებდით სომხეთისთვის აგვეხსნა, რომ მა-**

თი გენოციდი საქართველოს პარლამენტმა არ განიხილა. სააკაშვილს უნდოდა ერთი რამ, რომ როგორმე გაეღიზიანებინა პირადად პუტინი. 43 ქვეყანამ, თუ არ მეშლება, ცნო სომხების გენოციდი, მათ შორის საფრანგეთმა, საფრანგეთის სენატი იხილავდა კანონს, რომ ის არ ცნობს, იმან უნდა აგოს პასუხი ლამის სისხლის სამართლის დონეზე, შეერთებული შტატების ათეულობით შტატმა ცნო სომხების დიდი გენოციდი და ამის შემდეგ არ დაგიმალავთ, ერთმა ისიც კი მითხრა, აი, სააკაშვილის ეთნიკური წარმომავლობა სუფთა არ არიო და ეგებ ამით იმაზე უნდა გავიდეს, რომ ამის მეშვეობით ცნოს სომხების გენოციდიო. მე ვუთხარი, არა-მეთქი. თქვენ არ გესმით, რომ ამ ადამიანს უნდა ერთი რამ — როგორმე გააღიზიანოს პირადად პუტინი, როგორმე მიიქციოს პუტინის ყურადღება. აი, ვისაც ეს არ ესმის, რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ის ვერ გაიგებს, რა ხდებოდა საქართველოში და დღემდე როგორ მოქმედებდა სააკაშვილი. ოღონდ რაღაც ლანძღვა-გინებასავით რომ ყოფილიყო პუტინის მხრიდან, მე ვარსებობ ჯერ კიდევ და მე ვარ შენი მეტოქე და ეს დაუოკებელი, ფსიქოპატიური, სრულიად არარაციონალური სწრაფვა აისახებოდა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში იმ პირობებში, როცა არავის არ შეეძლო, არც უნდოდა ხმის ამოღება, შეჩერება და ა. შ.

დაიბეჭდა რურუას დღიურები „კვირის პალიტრაში“; რურუა იხსენებს, — ვერაფრით დავარწმუნე 2008 წლის გაზაფხულზე სააკაშვილი იმა-

ში, რომ ჩვენ უნდა გამოგვეცხადებინა რუსები ოკუპანტად და მოგვეთხოვა მათი სამშვიდობო ძალების გარეთ გაყვანა. ლომაია მაშინვე დავითანხმე და სააკაშვილი — ვერაფრით. მიშა სულ იმას მიხსნიდაო, ამას თუ ვიზამთ, დასავლეთიც ჩვენზე ხელს აიღებს და დავრჩებით რუსეთთან პირისპირ და ჩვენი მშველელი არავინ იქნება. იქეთ უმტკიცებს რურუა, ეს რომ გვექნაო, მერეო რუსეთი ვერ გაბედავდაო. აი, ნახეთ, რა დონეა გარშემო, ვინც დარჩა მრჩევლად თუ გავლენის მომხდენად. სააკაშვილი იქეთ აჩერებდა, სანამ არ განახორციელა 08.08.08., წინა წელს — 07.07.07 იყო შერჩეული და ბედზე არ განხორციელდა ეს ოპერაცია, წაიკითხეთ ივანიშვილის განცხადება.

და ვამთავრებ კოლუმბიის პროფესორის — ლინკოლნ მიტჩელის (მან წიგნები დაწერა საქართველოზე, 3 წელი იმუშავა აქ) სიტყვებით: „პუტინს რომ გამოეგზავნა კადრის აგენტი საქართველოში 2003 წლის შემოდგომაზე თავისი უზრუნველყოფითა და დავალებით — ეს და ეს გამიკეთეო, ის აგენტი ვერ გაართმევდა თავს უკეთესად დავალებას, ვიდრე ეს გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა“.

ვიქტორ ცაავა,
გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი

ჩერქეზების გენოციდის აღიარება და «პოლიტიკური ისლამის» ამერიკული გეგმა

რა თქმა უნდა, ჩერქეზთა გენოციდი, რომელიც სააკაშვილმა და მისივე მითითებით პარლამენტმა აღიარა 2011 წლის 20 მაისს პლენარულ სხდომაზე, იყო წმინდა წყლის ავანტიურა. ჩემი ღრმა რწმენით ეს ნაკარნახევი იყო არა ჩერქეზ ხალხზე გულისტკივილით და არა სამართლიანობის აღდგენაზე ზრუნვით, არამედ დავალებული იყო დასავლეთში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული რეაქტიული ძალების მიერ; იმ ძალების მიერ, რომელთა გეგმებშიც შედის ჩრდილოკავკასიელი ხალხების გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში.

რამ მაფიქრებინა ეს: პირველ რიგში, იმ სამეცნიერო დასკვნამ, რომელიც „მეფის რუსეთის მხრიდან ჩერქეზთა გენოციდის“ ჩვენი პარლამენტის მიერ აღიარებას უძღოდა წინ. კერძოდ, რა წერია ამ დასკვნაში: „XIX საუკუნეში რუსეთ-კავკასიის ომის დროს რუსეთის იმპერიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ საგანგებოდ იქნა წინასწარ დაგეგმილი ჩერქეზ-

თა ტერიტორიის ეთნიკური ნიშნით წმენდა, რომლის დროსაც ფიზიკურად იქნა განადგურებული ან სამშობლოდან გაძევებული ჩერქეზი ხალხის 90%... ირკვევა, რომ რუსეთის მიერ წარმოებული დამპყრობლური ომების პერიოდში ჩერქეზი ხალხის დანაკარგმა შეადგინა მთლიანი მოსახლეობის 20%. ბევრად მეტი, ამიტომაც ამ ქმედებას გენოციდის კვალიფიკაცია ეძლევა.

საშინაო და საგარეო ომები, მუდმივი ეროვნული საფრთხეები და ტრაგედიები, რბევა და სისხლისღვრა დაუცხრომელი ჭიდილი... პროგრესულსა და რეაქციულ ძალებს შორის, ჩაუცხრომელი ბრძოლა ამა თუ იმ კლასსა და ცხოვრების წესს შორის, ომების საშინელებები, შიმშილი, წყურვილი. აი ამით იყო და არის გაჯერებული მსოფლიო ისტორია და ჩერქტეზთა ტრაგედიად ამ ისტორიის ერთ-ერთი ფურცელია. ასეთივე ტრაგედიებით არის გაჯერებული ჩვენი ისტორიაც. ლეკიანობასა და დიდ მონგოლობას თავი რომ დავანებოთ, მშობლიური ტერიტორიიდან აყრა და გადასახლება უცხო ქვეყანაში, ის, რაც ხდებოდა XVII საუკუნის საქართველოში, კერძოდ, შაჰ-აბას I-ის შემოსევის დროს, საქართვე-

ლოს ისტორიას არ ახსოვს. მარტო 1614 წლის შაჰ-აბას I მეოთხე შემოსევისას კახეთს ისეთი ზიანი მიადგა, რომ განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი, ცეცხლს მიეცა ეკლესია-მონასტრები და საცხოვრებლები, გაწყდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი 100 000 ადამიანი. გაანადგურეს და ამდენივე ტყვედ წაასხეს, ასევე 1616 წლის ორი შემოსევა, როცა საერთო ჯამში 80 ათასი კაცი დაიღუპა და 400 ათასამდე ტყვედ წაასხეს ფერეიდანს, მაზანდარსა და ირანის ზოგიერთ სხვა პროვინციაში.

ჟაკ შარდენი მოგვითხრობს, რომ: „გზაში უამრავი ადამიანი დაიღუპა, გარდა ამისა, გადასახლებაში ხალხი ვერ გამრავლდა, რადგან შეუჩვეველიმ იყვნენ სპარსეთის ტენიან, მკაცრ, სულისმხუთავ და მძიმე ჰაერს, აქედან დაიწყო სიკვდილიანობა და მცირე ხანში ათიდან ერთი ძლივსღა გადარჩა ცოცხალი“.

აი, ასეთი მსგავსი ტრაგედიებით არის სავსე საქართველოს ისტორიაც და იმის მაგივრად, საქართველოს პარლამენტმა ჯერ გაარჩიოს საკუთარი ისტორია დასკვნები გამოიტანოს და ქვეყანას ააცილოს ან შეუმსუბუქოს მაინც ისედაც დაძაბული საგარეო გამოწვევები, იღებს სრულიად უგუნურ გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოო ჯამში მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება.

ასევე მინდა გავიხსენო 2010 წლის ნოემბრის ბოლოს ამერიკული „ჯეიმს თაუნის ფონდის“ და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებული კონფერენცია თემაზე: „მიჩქმალული ერე-

ბი — ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიური ხალხები წარსულსა და მომავალში“. სწორედ ამ კონფერენციამ მიიღო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი, რომელმაც მოითხოვა ჩერქეზთა გენოციდის აღიარება. ამას ასევე წინ უძღოდა რუსეთთან ცალმხრივად ნაწილობრივ სავიზო რეჟიმის გაუქმება (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიელებისთვის), ასევე საკმაოდ ძვირადღირებული და პროპაგანდისტული ტელეკომპანია „პიკ-“ის შექმნა.

ზუსტად ყველა ეს ფაქტი ერთად აღებული მაფიქრებინებს, რომ ავანტურაში არა სააკაშვილის მოკლე ჭკუა, ანდაც მისი გუნდის იდეოლოგების, ბოკერია-რამიშვილის, ნაბოდვარი, არამედ კარგად გათვლილი, კავკასიის აფეთქებაზე გამიზნული მიმართულებები დევს. აფეთქება, რომლის დარტყმის ტალღაც საბოლოო ჯამში, თუ, რა თქმა უნდა, ახლანდელი უგუნური პოლიტიკა გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანასაც მოწვდება. ასევე, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა და მსოფლიოში კერძოდ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებისა, გასათვალისწინებელია ასევე ე. წ. პოლიტიკური ისლამის გეგმა, რომელიც ასევე დასავლეთისგან მითითებით ზოგიერთ აღმოსავლეთის ქვეყნებში სერიოზულად განიხილება და ითვალისწინებს სარწმუნოების თავისუფლების ხარჯზე პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის გავლენის გაზრდას. ამ გეგმის მიხედვით, სირიის მერე პროცესებში აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც ჩაერთვებიან, საბოლოოდ

კი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების რიგიც დადგება და ამდენად, რამდენადაც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი (10%) ნაწილი მუსლიმანური სარწმუნოების მატარებელია, მოგვიწევს, გამოვიჩინოთ დიდი გამჭრიახობა, რათა თავიდან ავიცილოთ ამ პროცესების თანმდევი რელიგიური სეპარატიზმი და რადიკალიზმი.

ამიტომ, სანამ გვიან არ არის, ახალმა პარლამენტმა საჩქაროდ უნდა მოახდინოს წინა პარლამენტის მიერ მიღებული ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარების დენონსაცია.

რაც შეეხება ჩრდილოკავკასიის რესპუბლიკებთან ურთიერთობის აწყობას, ეს უნდა გავაკეთოთ არა რუსეთის ჯიბრზე და მის საწინააღმდეგოდ, არამედ მასთან ერთად თანამშრომლობით, რადგან ეს თანამშრომლობა, პირველ რიგში, ჩვენთვის არის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

დარეჯან ანდრიაძე,
ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ პასუხისმგებელი რედაქტორი

საქართველო და კავკასიური პოლიტიკა — ისტორიული გამოცდილება, დღევანდელი მდგომარეობა, პერსპექტივები

რუსეთის ჯიბრზე თუ ჩერქეზთა სიყვარულით?

პასუხის განმარტება საჭირო არ არის.

ეს არ არის ისტორიული სამართლიანობის აღდგენის სურვილი.

როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკა აირჩია, აქტიურად დაიწყო ამ თემის გამოყენება და მისით სპეკულირება. და აქ მთავარია ის — რატომ კეთდება ეს ყველაფერი!

ორი წლის წინ ზუსტად ამ დარბაზში გვქონდა მსჯელობა ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესაძლო შედეგებზე საქართველოსთვის.

მაშინაც ხაზგასმით ითქვა, რომ **ეს ჩვენი ქვეყნისთვის წამგებიანი პოლიტიკური სვლაა.**

და აი, მივიღეთ ახალი „სიურპრიზები“ — თავსატეხი და თავშისაცემი საკმაოდ დაგვიგროვდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელი

ხალხი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოსაგებად არ უნდა გაიწიროს. ეს აშკარად დიდი უსინდისობა და უპატივცემულობაა იმ ხალხის მიმართ, რომელმაც ათას განსაცდელს გაუძლო და აქამდე მოვიდა. ამას შესანიშნავად ხვდებიან ჩერქეზთა ღირსეული წარმომადგენლები და ნურავის ჰგონია, რომ ისინი საქართველოს დიდ მადლობას ეტყვიან.

მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ თითქოს, თორემ საქართველოს ტერიტორიების 20%-ის დაკარგვის შემდეგ სერიოზული დასკვნების გაკეთება ნამდვილად სულზე მისწრება იქნებოდა ჩვენი სახელმწიფოსთვის, ქართველი ერის მომავლისთვის.

დღეს საქართველო რამდენიმე სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, ზოგი კი, ალბათ, თავს იჩენს ახლო მომავალში. რომლებზეც აქ უკვე საკმაოდ ითქვა. ის, რომ

I. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა და მას მხარი არავინ აუბა.

ამდენად, ეს შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთ ნაბიჯად საქართველოს მარგინალიზაციისკენ;

II. რუსეთის ფედერაციაში ჩერქეზებს (ისევე, როგორც სხვა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს) აქვთ საკუთარი ავტონომიები, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება, უმაღლესი სასწავლებლები, ეროვნული კერები... და რაც მთავარია, ეს ხალხი ლოიალურადაა განწყობილი რუსეთის მიმართ და ადამიანთა გარკვეული

ჯგუფის განცხადება და გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება მთელი ხალხის მიზნად და სურვილად;

III. ვინც ისტორიაში ეძებს „შავ ლაქებს“, იქ ისიც უნდა ნახოს, რომ თავის დროზე ცარიზმს არანაკლები დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზ ეთნოსთან, რომლის დიდი ნაწილი აიყარა და ოსმალეთში გადავიდა.

ამ ლოგიკით თუ გავყვებით, მუჰაჯირობაც გენოციდად უნდა შეფასდეს და შეიძლება სანთლით საძებარი გახდეს ერი ამ სტატუსის გარეშე;

IV. ცნობილია, რომ გენოციდის საკითხი 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს, რომელშიც შემდეგ აშკარად და ღიად ჩაერთნენ აშშ-ის სხვა სპეცსამსახურებიც.

ამ კომპანიის შემადგენელი ნაწილი იყო ჩერქეზთა გენოციდის აღიარება საქართველოს პარლამენტის მიერ;

V. იმთავითვე ითქვა, რომ ეს აღიარება სომხების საკითხსაც წამოსწევდა. რამეთუ, კარგა ხანია, სომხეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი თურქეთში სომეხთა გენოციდის აღიარებაა;

VI. თუ რამდენად სწორია საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარება, ამისთვის, ვფიქრობ, ღირს საკუთარი ისტორიის გადახედვა. ერში ისტორიული მეხსიერება არ ჩამკვდარა — ქართველ ხალხს კარგად ახსოვს ის ეროვნული უბედურება, რომელიც საქართველოს ისტორიაში შევიდა ლეკიანობის სახელით. განა ის არ იყო გენოციდი?

თავის დროზე დიდი ილია ბრძანებდა: საქართველოს ისტორია მარტო მეფეებისა და ომების ისტორიაა, ხალხი არსად ჩანსო.

არც ახლა ჩანს ხალხი. არადა, დროა, გამოჩნდეს მისი სურვილი, მისი თვალსაზრისი, მისი დამოკიდებულება, ადამიანური ურთიერთობები, კავშირები.

და ეს მანამ უნდა გაკეთდეს, ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალია ის თაობა, რომელსაც ამ მოძმე ხალხებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება შემორჩა მეხსიერებაში; ვიდრე საბოლოოდ არ ჩაფერფლილა ის მბჟუტავი ნაკვერჩხალი ძმობისა, სიყვარულისა, მეგობრობისა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო.

რაც შეეხება ისტორიულ სინამდვილეს და საქართველოს კავკასიური პოლიტიკის პერსპექტივებს, მცირეოდენ ექსკურსს გვერდს ვერ ავუვლით.

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის აღებამ (1453 წ.), XV საუკუნის 60-70-იან წლებში ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობამ, ვენეცია-გენუის კოლონიების მოშლამ და ბოლოს ყირიმის სახანოს ჩამოყალიბებამ და მისმა ვასალობამ ოს-

მალეთს საშუალება მისცა, უშუალოდ გამეზობ-ლებოდა კავკასიას (ერთის მხრივ, საქართველოს — ამიერკავკასიაში; ხოლო მეორე მხრივ, ადიღე-ჩერქეზეთს — იმიერკავკასიაში). ამიერიდან ოსმალეთი დამაბრკოლებელ ზღუდედ გადაიქცა ევროპის პროგრესის გავრცელებისთვის აღმოსავლეთსა და კავკასიაში; განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველო; მით უფრო, რომ მას სამხრეთით კიდევ ერთი მაჰმადიანური ქვეყანა — სეფევიდების ირანი მეზობლობდა. დასავლეთ ევროპის ინტერესების ჩამოცილება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისგან „ახალ საუკუნეთა“ ეპოქაში საქარველოსთვის დიდი უარყოფითი მნიშვნელობის ფაქტი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ქართველებს ყოველგვარი იმედი გაუქრათ, დასავლეთ ევროპის მიერ საქართველოს მონაწილეობით ე.წ. ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისა კონსტანტინეპოლის მუსლიმანური დამპყრობლების წინააღმდეგ, იგი მეტად რთულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს პოლიტიკის მესვეურთა წინაშე აქტუალურ ამოცანად იდგა არამარტო ქვეყნის „მაჰმადიანური გარემოცვისაგან“ გამოხსნა, აღმოსავლეთის ჩამორჩენილი სახელმწიფოების პოლიტიკური გავლენა-ბატონობისაგან თავის დაღწევა, არამედ — ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებაც.

მოვლენების შემდგომი განვითარებით ამ მტრული გარემოცვიდან საქართველოს თავის დაღწევის სამი გზა დაისახა: საკუთარი ძალე-

ბით, თურქეთ-ყირიმხანის ან ირანის ვასალობით და ერთმორწმუნე რუსეთის ან კათოლიკური ევროპის მფარველობაში შესვლით.

საკუთარი ძალებით ქვეყნის გაერთიანება და შემდეგ ამ მტრული გარემოცვიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი გახდა, საამისო არც სოციალურ-ეკონომიკური პირობები იყო და მითუმეტეს — არც პოლიტიკური.

თურქეთ-ყირიმხანის ან ირანის გენოციდური პოლიტიკის წყალობით, გამორიცხული იყო მათი ვასალობაც.

რუსეთის გამოჩენამ ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოსთვის შექმნა მტრული გარემოცვის გარღვევის რეალური შესაძლებლობა. XVI საუკუნიდან ქართულ და რუსულ წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები ჩრდილოკავკასიელთა შემოტევების შესახებ. მათი მოსახლეობის პატარ-პატარა ჯგუფები ძარცვის მიზნით თავს ესხმიან საქართველოს მიწა-წყალს. ამ თავდასხმების ორგანიზატორები პრივილეგირებული ფენები არიან: ხანები, ბეგები, შამხლები, ბელადები და ა. შ.

XVI საუკუნისთვის მსგავსი შემოტევები უმეტესად ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ქართველები ამ შემოტევებს იგერიებენ.

საქართველოს ინტერესები მით უფრო თურქეთ-ირანის ურთიერთობაში არ თავსდებოდა, რადგან ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი, მათ შორის იმ დიდი ომებისა, რომლებიც XVI ს. 40-იან წლებში დაიწყო და თითქმის ასი წელი გაგრძელდა, ის იყო, რომ, დროისა და ძალის შესაბამისად, ერთი მათგანი საქართველოს ან სრულად

დაპყრობას, ან კიდევ ხელმეორედ განაწილებას უპირებდა. ამის ნათელი დადასტურებაა მათ შორის პერიოდულად დადებული ზავები: 1555, 1592, 1612, 1618 წლებში და ბოლოს 1639 წელს, როდესაც საქართველო რამდენიმეჯერ იქნა გადანაწილებული. ოსმალეთსა და ირანს შორის 1639 წელს დადებული ზავი კი თითქმის ასი წლის მანძილზე აღარ დარღვეულა და, როგორც ჩანს, ამიერკავკასიის განაწილების ამ ბოლო ვარიანტმა ორივე მხარე რამდენადმე დააკმაყოფილა. ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, საქართველოს ცდებიც თურქეთ-ირანის კარზე უშედეგოდ დამთავრდებოდა.

თეიმურაზის საგარეო პოლიტიკის უკუღმართობა მისი პირადი უუნარობის ბრალი არ იყო. მან ყველაფერი სცადა, რაც შეიძლებოდა რუსეთის, ირანისა თუ თურქეთის კარზე მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამდენად, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ი. ცინცაძეს თეიმურაზის პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებაში, რომ... **„იგი „პოლიტიკაში მოლექსე“ კი არ იყო, არამედ — საქართველოს პროგრესული მოწინავე წრეების სათავეში მყოფი ხელისუფალი, ფეოდალური საქართველოს დაჩიხული მდგომარეობიდან გამოსავალი გზების შეუდრეკელი მაძიებელი, მოწინავე საქართველოს მეთაური, საქართველოს ჯიქურ გასპარსელების წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, საქართველოს მოამაგე მწერალი, რომელმაც ერთ ხანს ირანის სამეფო კარის საქართველოს მიმართ წარმოებული პოლიტიკის შეცვლა შეძლო“.**

მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა როსტომ ქართლის მეფეც, რომელმაც არანაკლებ დიდი წვლილი შეიტანა „ქართველობის“ გადარჩენაში. საქმე ისაა, რომ ირანის სამეფო კარის მიერ „კულტურულ-მშვიდობიანი“ გზით „საქართველოს გასპარსელების“ პოლიტიკის გატარებისას, როსტომმა თავისი კულტურულ-სამეურნეო მოღვაწეობით შეძლო სპარსულ-ყიზილბაშურ გარესამოსელში „ქართველობის“ ძირითადი ბირთვის, შეიძლება ითქვას, არათუ შენახვა, არამედ — მომძლავრებაც. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, როდესაც XVII ს. მეორე ნახევარში საქართველო „აღდგომისათვის“ ძალას იკრებდა და საამისოდ ირაზმებოდა, თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობით სწორედ ქართლმა შეძლო, შეესრულებინა ამ დიდ საქმეში წამყვანი როლი.

ჩრდილოკავკასიური ტომების ურთიერთობა ქართველებთან **ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობა იყო და ამ ორ მეზობელს შორის სამტრო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ეს იყო მთისა და ბარის არამშვიდობიანი ურთიერთობის სამი სახეობა: 1. მტაცებლური ექსპედიციები, 2. ლაშქრობანი ტერიტორიის დაპყრობის მიზნით, 3. ლაშქრობანი მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.** ამ მტრული ურთიერთობის ორგანიზატორები უმთავრესად დაღესტნის ფეოდალები და ტომების ბელადები იყვნენ, რომელთა სახელები მრავლად შემოუნახავს ქართულ თუ არაქართულ წყაროებს: **თარღუს შამხალი, ნურსალ-ბე-**

გი, ომარ-ხანი, ზუბეიდალა, ჩონჩოლ-მუსა, კოხტა-ბელადი, ბენდა და ა. შ.

ეს თავდასხმები ანადგურებდა მწარმოებელ საზოგადოებას, შლიდა მეურნეობას, აუდაბურებდა მთელ რიგ მხარეებს, ძლიერ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა ამიერკავკასიაში ირან-ოსმალეთის აგრესიას. ამიტომაა, რომ რიგი კონკრეტული მოვლენა ფეოდალური ხანის საქართველოში შეუძლებელია აიხსნას დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე.

ქართველ პოლიტიკოსთა მიზანი ნათელი იყო: რუსეთთან დაახლოება, მისი დახმარებით ქვეყნის გაერთიანება, თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის ძალმომრეობის აღკვეთა და დაღესტნის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. ამას კი თავისთავად მოჰყვებოდა საქართველოს გასვლა ვოლგა-ასტრახანის დიდ სავაჭრო მაგისტრალზე.

საქართველოს და ჩრდილოკავკასიის ურთიერთობის ისტორიისთვის

დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფეოდალური ერთეული, საშამხალო, ამ პერიოდისთვის ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალების პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად“.

პირველ ხანებში ქართველები მთიელთა შემოტევებს დამოუკიდებლად იგერიებდნენ. საშამხლოში ოსმალეთის გავლენის გაზრდასთან ერთად გახშირდა და გაძლიერდა მთიელთა შემოტევებიც, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში ქვეყანა უძლური აღმოჩნდა. ალექსანდრე კახთა მეფე იძულებული გახდა, ქვეყნის დასაცავად უცხო ძალისთვის მიემართა. მას საიმედო მოკავშირედ, ამ შემთხვევაში, რუსეთი მიაჩნდა. ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც ალექსანდრე რუსეთის კარს უყენებდა, ეს იყო შამხლისა და მთიელებისგან დაცვა. მოსკოვის კარი კახეთის მეფეს ჰპირდებოდა, რომ მთიელებს დაიმორჩილებდა, **მაგრამ რუსეთის ლაშქრობებს საშამხლოს წინააღმდეგ (1591, 1594) ეფექტური შედე-**

გები არ მოჰყოლია. პირიქით, შამხალმა სხვა მთიელებიც გააერთიანა და მეტი ენერგიითაც შემოუტია კახეთს. კახეთის მეფე იძულებულიც კი გამხდარა, შამხლისთვის დასაშოშმინებლად მოსაკითხი გაეგზავნა.

1605 წელს რუსეთის ჯარმა წარმატებით შეუტია საშამხლოს. კახეთის მხრიდანაც მთიანეთზე გალაშქრება დროული ჩანდა, მაგრამ ამ სურვილებს წინ ეღობებოდა შაჰის ერთგული ქართველი უფლისწულის ზრახვები... 12 მარტს დატრიალებულმა ტრაგედიამ გამარჯვება კონსტანტინეს არგუნა. ეს გამარჯვება ირანის გამარჯვება იყო.

XVI საუკუნის მიწურულს ირანის სახელმწიფოში ჩატარებულმა რეფორმებმა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე შესძინა. ირანის პოზიციების განმტკიცებამ საშამხლოს საკითხი გაამწვავა. შამხალმა რუსეთის წინააღმდეგ დახმარებისთვის ირანს მიმართა. ეს კავშირი კახეთისთვის სახიფათო ჩანდა. კახეთზე შამხლის ინიციატივით მოწყობილი თავდასხმები შაჰისთვის ხელსაყრელი იყო.

XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბასმა ორი დიდი ლაშქრობა მოაწყო კახეთის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, **შაჰ-აბასი მთიელ ტომებს გაურიგდა კახელების წინააღმდეგ: „რამეთუ მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით და ტყვე ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა“.**

შაჰ-აბასის ლაშქრობებმა კახეთი ააოხრა. მო-

სახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილმა კახეთს გაარიდა თავი — გაიხიზნა. რამდენიმე ათასი ქართველი ტყვე კი შაჰ-აბასმა ირანის დაცარიელებულ პროვინციებში გადაასახლა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა არარაობამდე დავიდა. გაძლიერდა ჩრდილოკავკასიელთა შემოტევები. მთიელებმა დაიწყეს ბარში ჩამოსახლება და შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ დაცარიელებული ადგილების დაკავება. **ამ ხანებიდან ჩრდილოკავკასიელებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ახალი ეტაპი შეიძლება ვივარაუდოთ —შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ ჩრდილოკავკასიელი ტომები ქართულ ტერიტორიას იკავებენ.**

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ გვამცნობს, რომ ამ პროცესების გამოისობით გამაჰმადიანებულა დიდოეთი, ქისტეთი, ღლივი, ძურძუკი. ახლა კი სურთ, რომ თუშები, ფშავ-ხევსურეთი და ხევიც გაამაჰმადიანონ და შემდეგ — მთელი მთიანეთი ყირიმამდეო. ამ შემთხვევაში ოსმალეთის ხელი ჩანდა...

მათ იგივე მიზნები ჰქონდათ ქართული მოსახლეობის მიმართ. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, „ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველყოფილი მოახალშენეები ან „ძმებად შეიყრიდნენ“, ე. ი. გაამაჰმადიანებდნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ ან „ურწმუნოებს“ მონებად დაჰყიდდნენ.

ასეთ პირობებში ყოველი მხრით დევნილი, სასომიხდილი ქართველი გლეხობა თანდათან

გატყდა, მოგვიანებით „ახლომდებარე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს“, ამრიგად, „უბატონო თემები“ თანდათან მებატონე თემებად იქცნენ“.

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, „ამ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხებს ეწოდა ინგილო...“.

ამრიგად, თუ დაღესტან-საქართველოს სამტრო ურთიერთობის ერთი სახეობა მძარცველური ექსპედიციები იყო, ამ შემთხვევაში სამტრო ურთიერთობის სხვა სახეობა გვაქვს, როდესაც დამპყრობელი დამორჩილებულს ადებს გადასახადს, მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.

ქართულ მიწა-წყალზე ჩამოსახლებული ჩრდილოკავკასიელების მიერ შექმნილი პუნქტები საიმედო დასაყრდენი გახდა დაღესტნის სოცია-

რუსი ჯარისკაცების შეტაკება ჩრდილოკავკასიელ მოთარეშეებთან

ლური ზედაფენისთვის საქართველოზე თავდასხმებისთვის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კახეთში სპარსეთის მოხელე — ხანი დაჯდა. სპარსეთისთვის კახეთის გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ ქვეყნის მმართველებად გამოგზავნილი ხანები ჩრდილოკავკასიელებს იკავშირებენ და მათი საშუალებით კახეთის ძალის გატეხვას ცდილობენ.

1635 წელს მეფე თეიმურაზმა ელჩი მიავლინა მოსკოვის კარზე. ახლაც, როგორც 40 წლის წინ, კახეთის მეფის სათხოვარი რუსეთის მეფის კარზე მომთაბარე ტომებისგან დაცვა იყო. ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. 1639 წელს თეიმურაზმა კვლავ მიმართა რუსეთს, იგი ჯარის გამოგზავნას თხოულობდა და აღნიშნავდა, რომ მთიელთა ტომებმა გაანადგურეს კახეთი, გაძარცვეს ეკლესია-მონასტრები. თეიმურაზს ისინი უფრო დიდ მტრებად მიაჩნდა, ვიდრე — შაჰი.

1677 წელს ყარაღაჯში ბეჟან-ხანი დაჯდა (ყარაჯაღი სპარსელი ხანების საჯდომი ადგილი იყო). ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მან ნება დართო და დაეხმარა კიდეც — „ძალი“ მისცა მთიელებს კახეთზე თავდასხმებისთვის. ასევე მოუწოდა მან ჭარელებს და ჩამოსახლებულ თურქმანულ ტომებს: **„ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არ-თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით...“.** ასეთი მოქმედება ტიპიური იყო სპარსეთის პოლიტიკისთვის... კახელები წინა-

აღმდეგობას უწევენ სპარსეთის ხელისუფალთ და, მიუხედავად სპარსელი მოხელეების ხელშეშლისა, ჭარზე ლაშქრობის გეგმას სახავენ.

კახელების ლაშქრობები ჭარზე (1695, 1706, 1712-13, 1715 წწ.) მარცხით მთავრდება. ყოველი დამარცხების შემდეგ ეს ტომები ახალი ენერგიით უტევენ კახეთს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) იძულებული გამხდარა, „უბატონო თემებთან“ ზავი შეეკრა. ვახუშტის ცნობით, საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხდია მათთვის: ერთდროულად 50 თუმანი. „ჭარის ომების ქრონიკის“ ცნობით კი, ყოველწლიურად ასი თუმანი უნდა გაეღო მათ სასარგებლოდ. რამდენად რეალურია ანონიმი ქრონიკის ეს ცნობა, არ ვიცით. ქართულ წყაროს შემოუნახავს ცნობა, ჩრდილოკავკასიელთა მცირე ხნით „დაწყნარებისა“, რაც 1715-16 წლებში უნდა მომხდარიყო. ეს „დაწყნარება“, ჩვენი ფიქრით, ემთხვევა ანონიმი ქრონიკის ჩვენებებს, მაგრამ არც ეს „დაწყნარება“ ყოფილა ხანგრძლივი. ორი წლის შემდეგ მათ კვლავ დაუწყიათ თავდასხმები. ხშირმა თავდასხმებმა კახეთის მეურნეობა მოშალა, მოსახლეობა შეამცირა. ვახუშტის სიტყვებით, კახელებს „ხრიკი“ უხმარიათ: მტრისთვის მეგზურები მიუციათ და სარბევად ქართლისკენ გადაუშვიათ, თვითონ კი მათთან ზავი შეუკრავთ.

* * *

ქართლს მთიელი ტომები პირველად 1717 წელს ეწვივნენ. ამ ამბის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში. ისინი ბოლნისსა და ქციის ხეობას შესევიან. ქარ-

თველები მომხდურს შებმიან და კიდეც დაუმარცხებიათ ისინი. მიუხედავად ამისა, ეს შემოტევა ქართლისთვის ავის მაუწყებელი იყო — ე. წ. ლეკიანობის ახალი ეტაპი იწყებოდა.

ჩრდილოკავკასიელმა ტომებმა ქართულ მიწაწყალზე ფეხი მოიკიდეს — XVIII საუკუნის პირველ ოცეულში ქართლსაც შეუტიეს. ამავე დროს, მიუხედავად დაზავებისა, არც კახეთზე თავდასხმებს ანებებდნენ თავს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) მარტო ვეღარ ახერხებდა მათ გამკლავებას. დახმარებისთვის ქართლის მეფეს — ვახტანგ VI-ს მიმართა. 1720 წელს ქართლსა და კახეთს შორის კავშირი შეიკრა ჩრდილოკავკასიელი ტომების წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის პირველ ოცწლეულში, სარგებლობდნენ რა სპარსეთის შესუსტებით, ეს ტომები სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც უტევდნენ ამიერკავკასიაში. თუ პირველ ხანებში ირანის მოხელეები მათ ქართველების წინააღმდეგ იკავშირებდნენ, მას შემდეგ, რაც მთიელთა ტომებმა ამიერკავკასიაში სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც შეუტიეს, სპარსეთმა მათი დამორჩილება განიზრახა. შაჰმა დასახმარებლად ქართველ მეფეებს მიმართა. კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI სპარსეთის შაჰის მოხელეები იყვნენ, ამდენად, ისინი მოვალენი იყვნენ, შაჰის სამფლობელოები გარეშე მტრისგან დაეცვათ. ქართველი მეფეები ფიქრობდნენ, რომ ამ ლაშქრობით ბრძოლა მომხდურის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამდენად, ეს წინადადება ქართველი მეფეების-

თვის მისაღები ჩანდა. ქართველები ჩრდილოკავკასიელებზე სალაშქროდ მომზადებულან და ყიზილბაშთა ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ ამ დროს ირანის შაჰს ვახტანგისთვის ლაშქრობა დაუშლია. XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის — სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, თითქოს სპარსეთში ფიქრი მისცემოდათ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“.

საქმე ისაა, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში ამიერკავკასიის სარბიელზე პეტრე I-ის რუსეთი გამოდის. სპარსეთში ყოფნის დროს ვახტანგ VI-ს (იგი შაჰის კარზე იყო რამდენიმე წელი) საშუალება ჰქონდა, სპარსეთის მდგომარეობა შეეფასებინა. ის ხედავდა, რომ სპარსეთის ბატონობისგან განთავისუფლების დრო დადგა, ამიტომ ჯერ საიდუმლოდ, ხოლო შემდეგ აშკარად პეტრე I-ის რუსეთს უკავშირდება. **შესაძლებელია, შაჰმა ცნობა მიიღო, რომ ვახტანგმა გეზი რუსეთისკენ აიღო, რის გამოც მან მთიელებზე ლაშქრობა ორგულ ყმას ვერ ანდო. შესაძლებელია, შაჰი ფიქრობდა, რომ ვახტანგი კახეთსაც დაიჭერდა, ქვეყანას გააერთიანებდა და სპარსეთს ქრისტიანულ რუსეთს დაუპირისპირებდა**.

ვახტანგის ლაშქრობის მოშლის შემდეგ ყიზილბაშები დამარცხდნენ. ჭარელმა ლეკებმა ახლა მეტი ძალით შემოუტიეს კახეთს. ამჯერად, მათ გადაღმელი თანამოძმეებიც მოიშველიეს.

რუსეთთან კავშირმა ვახტანგ VI-ს მტრები გაუმრავლა, 1722 წელს შაჰმა კახეთის ტახტზე მაჰმადიანი კონსტანტინე დაამტკიცა და, ერთის

მხრივ, რუსეთის ორიენტაციის მქონე ვახტანგს, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთს დაუპირისპირა. კონსტანტინემ ქართლის წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელები შეიკავშირა და მათი დახმარებით თბილისიც აიღო. ამის შემდეგ ლეკიანობა მთელი ქართლისთვის სახიფათო შეიქნა. მეორე მხრივ, ქართლს ოსმალები უტევდნენ. რუსეთის დახმარება იგვიანებდა, ვახტანგ VI იძულებული გახდა, ოსმალეთის „პატრონობა“ ეცნო.

1723 წელს ქართლში „ოსმალობა“ დამყარდა, რის შემდეგაც ოსმალები ქართლს თავის საბატონო ქვეყნად თვლიდნენ და ქართლში შემოჭრილ ტომებს „მტრად“ უცქერდნენ. ხშირად მათი შეჯახებები სისხლისმღვრელი ბრძოლებითაც მთავრდებოდა. ოსმალები მათ უპირისპირდებოდნენ კახეთშიც. სამაგიეროდ, სპარსეთის ერთგული კონსტანტინე კახთა მეფე ჩრდილოკავკასიელ ტომებს იკავშირებდა და მათ ოსმალებს უპირისპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გაბატონებული ოსმალები ამ რაზმებს უტევდნენ, ვფიქრობთ, **ეს შეჯახებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ოსმალეთის მთავრობა მთიელთა ტომებს შეურიგებელ მტრებად სრულიადაც არ თვლიდა და ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებისთვის მათში ერთმორწმუნე მოკავშირეებს ხედავდა. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ოსმალეთის მთავრობამ გამოავლინა ლეკებისთვის მიცემულ ფირმანში. ამ ფირმანით ოსმალეთის სულთანი ჭარისა და თალას ლეკებს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე გამოიჩინეს, სამუდამო**

მფლობელობაში უმტკიცებდა მათ მიერ დაკავებულ მიწებს.

XVIII ს. 30-იანი წლებიდან სპარსეთი ამიერკავკასიაში მომაგრებულ ოსმალებს უტევს. ამის მხილველმა ოსმალებმა სპარსეთის წინააღმდეგ ისევ შეიკავშირეს მთიელები.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი სპარსელების დახმარებით „ოსმალობის“ მოსპობას ფიქრობდა, ამიტომ სპარსელების აქ დამკვიდრებას ხელს უწყობდა. 1735 წლიდან ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა“ დამყარდა. როდესაც ქართველებმა ნახეს, რომ ყიზილბაშები ოსმალებზე ნაკლები დამპყრობლები არ იყვნენ, ქართული საზოგადოების ნაწილი მათ გადაუდგა და ყიზილბაშებს მთიელი ტომები დაუპირისპირა (გივი ამილახორი, შანშე ქსნის ერისთავი, ორბელიანები).

ოსმალები ქართლის დაკარგვას ადვილად ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ ქართლზე ლაშქრობას აწყობდნენ. ამ ლაშქრობაში ოსმალები ფულითა და საჩუქრებით დაღესტნის ტომებს იკავშირებენ. როდესაც სპარსელებმა ნახეს, რომ მთიელები აქტიურად ეხმარებიან ოსმალებს, დაღესტნის წინააღმდეგ ლაშქრობებს აწყობენ. ქართველები სიამოვნებით უერთდებიან ყიზილბაშების ამ ლაშქრობებს და ამჯერად სპარსელების დახმარებით ჭარის დამორჩილებას ფიქრობენ. **ჭარი საქართველოს მიწა-წყალზე თავდამსხმელ ლეკთა ბუდე იყო, ამიტომ მისი შემოერთების გეგმა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ქართველებმა იცოდნენ,**

რომ ჭარის აღებით ბრძოლა მომხდურის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამიტომ ახლა, როდესაც ამის საშუალება ეძლეოდათ და დამხმარე ძალაც ძლიერი ჩანდა, ჭარზე ლაშქრობის დიდად მოხარულნი იყვნენ, მაგრამ ყიზილბაშებმა ჭარის დამორჩილება ვერ შეძლეს და საქართველოს წინაშე ჭარის საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა. მთიელთა პატარ-პატარა რაზმები კვლავ იჭრებოდნენ ქვეყანაში და დიდი ზარალი მოჰქონდათ.

* * *

ამ სისტემატურ თავდასხმებს საქართველოში შედეგად ის მოჰყვა, რომ XVIII საუკუნის 50-იანი წლებისთვის მათ საქართველოშივე — ზედაზენში, სამშვილდეში, წალკა-თრიალეთზე და სხვაგან გაიჩინეს ბინა. საქართველოში დაბუდებული მომთაბარე ტომები უტევდნენ საქართველოს მოსახლეობას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მას.

გამეფებისთანავე ერეკლე II ენერგიულად შეუდგა ადამიანთა გატაცების წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარებას. იგი ხედავდა, რომ, თუ ეს თარეშები არ შეწყდებოდა, მისი სამმართველო ქვეყნიდან აღარაფერი დარჩებოდა. მან მალე სამშვილდის ციხე აიღო, რითაც ჩრდილოკავკასიელ ტომებს ქვემო ქართლში თავშესაფარი მოუშალა, მაგრამ მცირე რაზმების თარეშები საქართველოში არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში მოღლილი ქვეყანა თავს ველარ იცავდა...

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართველებმა

კიდევ ერთხელ სცადეს ჭარის დამორჩილება, მაგრამ დამარცხდნენ. ამან ცხადყო, რომ „დიდი ჯარი“, „კაის ხელმწიფური რიგით და თადარიგით“ გამზადებული, მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის სუსტი იყო...

ამ საუკუნოვან ბრძოლებში მოსახლეობამ ბრძოლისა და თავდაცვის ხერხები შეიმუშავა. შეიცვალა თავდასხმების ხასიათიც. თუ ადრე ისინი ქურდულად, მცირე რაზმებად დანაწილებულები ესხმოდნენ თავს მოსახლეობას, ახლა უკვე გამაგრებულ ადგილებზე მიჰქონდათ იერიში და თავდასხმებიც უფრო ორგანიზებული ჰქონდათ. ამავე დროს, ისინი შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან თავდაუცველ, თავისუფალ მოსახლეობაზე თავდასხმისთვის. თუ ამდენხანს თავდასხმების ძირითადი მიზანი მტაცებლური ექსპედიციები იყო, ნადავლის (ძირითადად — ტყვეების სახით) მოპოვების მიზნით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაშქრობების ხასიათი შეიცვალა. **ამ დროიდან დაღესტნის მოსახლეობის სოციალური ზედა ფენა ლაშქრობებს იწყებს ტერიტორიების დაჭერის მიზნით.** 1754 წლისთვის მათ ქართლ-კახეთის მთლიანად დაჭერა განუზრახავთ. ხუნძახის ბატონს — ნურსალ-ბეგს გაუერთიანებია დაღესტნის ტომები. **„რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი კაცები იყვნენ, თან გამოყოლოდენ და ამისთვის დიდი ჯარი შეყრილიყო. ეს ხუნძახის ბატონი კაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაეწყობოდა,“** — გადმოგვცემს პაპუნა. მისივე თქმით, ისინი ქართლ-

კახეთზე იმიტომ მოდიოდნენ, რომ ქვეყანა დაემორჩილებინათ: **„თუ ეს ქუნძახის ბატონი ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და ვითაც მტერნი იყვნენ, აგრევ ააოხრებდნენ, დაატყვევებდნენ... თავისთვის უნდოდათ“.**

პაპუნა ორბელიანისათვის, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების წევრისთვის, წარმოუდგენელი იყო მთის ბატონობა განვითარებულ ბარზე. ამიტომაც იყო, რომ იქვე დასძენდა: „აოხრებულს ქვეყანას რას უზმედენ... — ის კი არ ვიცითო“. ე.ი. იგი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მთა პოლიტიკურად დაიმორჩილებდა ბარს, მაგრამ საქმე არც მთლად ასე იყო. ამ დროისათვის დაღესტნელებს ხელთ ჰქონდათ გაღმა მხარი და საბოლოოდ იქ დამკვიდრებასაც აპირებდნენ. ასეთივე მიზანი ჰქონდათ ამჯერად ჩრდილოკავკასიელ ტომებს უკვე ქართლ-კახეთის მიმართ — მათი პოლიტიკური ექსპედიცია ტერიტორიის დაკავებას ისახავდა მიზნად.

1754 წ. ქართველებმა მჭადიჯვრის ომში დაამარცხეს ლეკები. ამ ომს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერეკლე II. მარცხმა ხუნძახის ბატონს საქართველოზე ხელი ვერ ააღებინა. მან ხელახლა შემოიკრიბა ძალები. გარდა „ლეკებისა“, მან ამჯერად „ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი“ შეაკავშირა: აჯი-ჩალაბის შვილი, კაკის სულთანი, განჯის ხანი. კოალიციური ლაშქარი ყვარლის ციხეს მოადგა. აქაც, ერეკლე II-ს ბრწყინვალე ნიჭის წყალობით, ქართველებმა

მტერი დაამარცხეს. მიუხედავად ამისა, წვრილ-წვრილი თავდასხმები არ წყდებოდა.

XVIII ს. 60-იანი წლებისთვის ქართლ-კახეთში წონასწორობა დამყარდა. არც ოსმალეთი და არც ქერიმ-ხან ზანდის სპარსეთი საქართველოსთვის უკვე საშიშნი არ ჩანდნენ, მთიელთა ტომების საკითხი კი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო.

1768 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალებმა დასახმარებლად მთიელთა ტომებს მიმართეს. ქართველი მეფეები — ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონი ამ ომში რუსეთს მიემხრნენ. ამის გამო 1768 წ. შემდეგ ჩრდილოკავკასიელთა შემოტევები ახალციხის მხრიდან გახშირდა. ამავე დროს ისინი ძველი გზიდან — ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც უტევდნენ საქართველოს და მთებიდან ჩამოსულები საქართველოს გავლით ოსმალეთის სამფლობელოებში გადადიოდნენ. ოსმალეთის კარი ხუნძახის ბატონის მიმხრობასაც ცდილობდა და საჩუქრებს უგზავნიდა მას იმ პირობით, რომ იგი ახალციხეს ჩასულიყო.

XVIII ს. 70-იანი წლებისთვის სპარსეთ-ოსმალეთი ურთიერთშორის ომისათვის ემზადებოდა. ერეკლე ოსმალეთისკენ გადახრილა და 1774 წ. ახალციხის ფაშას დაზავებია კიდეც. ამის შემდეგ შემოსევები ახალციხის მხრიდან შენელდა, მაგრამ დაირღვა თუ არა ზავი, ახალციხის მხრიდან შემოტევები კვლავ გახშირდა.

ამავე საუკუნის 80-იან წლებში, ერეკლეს წინაშე საგარეო ორიენტაციის საკითხი მწვავედ იდგა. სამ დიდ მეტოქეს (რუსეთი, სპარსეთი, ოს-

მალეთი) შორის მას ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. ერეკლეს არჩევანი რუსეთზე შეჩერდა. 1783 წ. გიორგიევსკში რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რამაც შეაშფოთა როგორც ოსმალეთი, ასევე სპარსეთი. ტრაქტატის საპასუხოდ, ოსმალებმა ლეკები შეაკავშირეს. **1785 წელს ოსმალეთის მიერ წაქეზებული და აღჭურვილი მომთაბარეების დიდი ლაშქარი, ომარ-ხანის მეთაურობით, საქართველოს მოადგა. რუსეთი ამჯერად იარაღით წამოეშველა საქართველოს და ჩრდილოეთის მხრიდან ჭარს მოადგა.**

1783 წ. ტრაქტატის მიზეზით იყო გამოწვეული აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის ლაშქრობაც. თავის მხრივ, ეს ტომები სპარსეთმაც შეიკავშირა საქართველოს წინააღმდეგ, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარში ისინი მრავლად იყვნენ.

1801 წ. საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, თანდათან საფუძველი ეცლება ტყვეთა სყიდვის ხელისშემწყობ პირობებს. რუს-ქართველთა ლაშქარმა მოთარეშეთა დასაყრდენი — ჭარ-ბელქანი აიღო, თანდათან ისპობა ძველი ქართული თავადური წყობილება. მთიანეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახალი ეკონომიური პირობების გამო, სახეს იცვლის მთის მოსახლეობის მეურნეობაც. თანდათან ქრება მთიელთა თარეში, თუმცა მას ეპიზოდური ხასიათი დიდი ხნის განმავლობაში შერჩა.

1783 წ. მფარველობითი ტრაქტატის შესახებ ქართულ, რუსულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში უამრავი ლიტერატურა და მოსაზრება არსე-

ბობს. ჩვენ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ. ნ. ბერ-ძენიშვილის სიტყვით, **„არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი, რომელ-საც ერთად ერთს შეეძლო ქვეყანა პროგ-რესის გზით... წაეყვანა“. „მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარე-დან დახმარების გარეშე, დამოუკიდებ-ლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა, დაემარცხებინა რეაქციის ძალები და უზ-რუნველეყო ქვეყნის გამოხსნა-აღდგო-მის საქმის გამარჯვება“.**

1801 წ. ქართლ-კახეთი რუსეთს შეუერთდა და მისი „მარად მაწუხებელი და მაშფოთებული“ მომთაბარე ტომთა თავდასხმების საკითხიც მემკვიდრეობით მას გადასცა.

ასე რომ, თურქეთის საუკუნოვანი ცდა, ყირი-მის ხანისა და დაღესტნელი პროთურქული ორი-

ენტაციის ფეოდალების საშუალებით საქართველოს წინააღმდეგ მტრული გარემოცვის რკალი საბოლოოდ შეეკრა და შიგ „ქართველობა“ მოეხრჩო, მარცხით დამთავრდა. ასევე მარცხით დამთავრდა ამ მხრივ ირანის ცდებიც.

...რუსეთი სულ უფრო მეტი აქტივობით გამოდიოდა და ჩამორჩენილ მეტოქეებთან ბრძოლაში ახალ-ახალ პოზიციებს მტკიცედ იპყრობდა. ამიერკავკასიის ხალხებში ეს მესამე ძალა, დიდი ხანია, მოკავშირეებს დაჟინებით ეძებდა. ახლაც პეტერბურგის დიპლომატები ირან-ოსმალთა დამპყრობლებისაგან განთავისუფლებასა და მფარველობას აღუთქვამდნენ კავკასიის ყველა ხალხს (და უპირველეს ყოვლისა, — ქრისტიანებს).

რუსეთის გამოსვლა კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე ადგილობრივ ძალთა გადაჯგუფებას იწვევდა. ირანელი „ფოცხვერისა“ და ურუმელი „ბაბრის“ თანაბრად მოძულე ქართველები, ბუნებრივია, ამ ახალ ძალაში თავიანთ მოკავშირეს ხედავდნენ.

კავკასიაში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ თანდათან საფუძველი ეცლება საქართველოზე ლაშქრობების ხელისშემწყობ პირობებს. რუსეთის მიერ კავკასიის შეერთების შემდეგ მთიანეთი მსოფლიოს საქონელბრუნვაში ჩაება. საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ ისპობა ის შინაგანი პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ზემოაღნიშნულ თავდასხმებს.

პირველი ქართულ-რუსული საბრძოლო ოპერაციები

სამსაუკუნოვანი უწყვეტი ბრძოლების შედეგად თურქმა დამპყრობლებმა XVI საუკუნეში საბოლოოდ დაიპყრეს სამხრეთ საქართველო და ზუსტად 250 წელი (1578-1828 წწ.) განუკითხავად იბატონეს ამ მხარეში. მესხეთის საქართველოსთან შემოერთება ქართველ მეფეებს დამოუკიდებელი ძალებით არ შეეძლოთ, ამიტომ ამ საშვილიშვილო საქმეში დახმარებას სთხოვდნენ ერთმორწმუნე რუსეთს.

საქართველოსა და რუსეთის სამსაუკუნოვან დიპლომატიურ ურთიერთობაში პირველი შემთხვევა იყო, რომ ქართველი და რუსი ხალხები დამპყრობთა წინააღმდეგ ერთიანი ძალებით გამოვიდნენ საომრად აწყურის, იდუმალასა და ასპინძის სახელოვან ბრძოლებში. ეს ბრძოლები, რომლებიც 213 წლის წინათ (1770 წ., აპრილი) მოხდა, შეიძლება ჩაითვალოს რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდად, მის შემადგენელ ნაწილად.

რუსეთ-თურქეთის ეს ომი ორ ფრონტზე (ბალკანეთი და ყირიმი) წარმოებდა. პირველ ხანებში თურქეთის სარდლობამ მთელი თავისი ძალები (მათ შორის ახალციხის საფაშოსიც) ბალკანეთ-ყირიმის ფრონტზე გადაისროლა. ამ მდგომარეობამ მეფის რუსეთი დააფიქრა და გადაწყვიტა, საქართველოში თავისი ჯარი გაეგზავნა და ქართველებთან ერთად თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო. რუსეთის საგარეო საქმეთა კო-

ლეგიამ მთავრობას საქართველოს შესახებ წარუდგინა გეგმა, რომელსაც პროფ. ვ. მაჭარაძე შემდეგი სახით აყალიბებს:

1. ქართველებს იმედი უნდა ჰქონოდათ, რომ თურქეთთან ზავის დადების დროს რუსეთის მთავრობა გაითვალისწინებდა საქართველოს სამეფოს ინტერესებს.

2. თურქების წინააღმდეგ ომში ჩაბმულ ქართულ სამეფოებს მიეცემოდათ ფულადი დახმარება.

3. თუ ქართველებს არტილერია არ ჰქონდათ, მაშინ საქართველოში გაიგზავნებოდა ქვემეხები არტილერისტებით, ხოლო საექსპედიციო ჯარის გაგზავნის საკითხი, გზების სიძნელის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, რუსეთის სამხედრო საბჭომ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების ასამხედრებლად 1768 წ. 12 ნოემბერს დაადგინა: „...მორეაში, დალმატებთან, საქართველოში და თურქეთის ოლქებში ჩვენი სარწმუნოების ყველა ხალხებთან გამოცხადებულ იქნეს, რომ რუსეთი იძულებულია თურქეთთან ომი რელიგიისათვის აწარმოოს“. **მეფის რუსეთი დაინტერესებული იყო, თურქეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ყველა ის ხალხი, რომლებიც ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდნენ, არა მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ და რელიგიურ სფეროშიც.** რუსეთის მთავრობის ნამდვილი მიზნები და მისწრაფებანი ზემოთ მოყვანილ განცხადებაში აღნიშნული არ იყო. რუსეთის პოლი-

ტიკურ მიზანს შეადგენდა შავი ზღვის სრუტეებისა და ამიერკავკასიის ხელში ჩაგდება. რუსეთის „საგარეო საქმეთა კოლეგია ამ დროს უკვე იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ჩაება საქართველო თურქეთის წინააღმდეგ ომში“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V).

ეკატერინე II 1769 წ. 27 მარტის ბრძანებით გენერალ-მაიორი ტოტლებენი დაინიშნა იმ ჯარის მეთაურად, რომელიც საქართველოში იგზავნებოდა, ხოლო რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენლად — ანტონ მოურავოვი. იმავე წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოფ. ხოდასთან (ყაზბეგის რაიონი). მეფე ერეკლე თავისი დიდებულებით შეხვდა ჯარს.

1768 წ. დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომი საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ხელსაყრელად მიიჩნიეს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთ-საქართველოს საარსებო ინტერესები ამ ომში ერთიმეორეს ემთხვეოდა. საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობა იმთავითვე ანტიოსმალურ და ანტიყიზილბაშურ ხასიათს ატარებდა. როგორც აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს,

„ქართველ პოლიტიკოსებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ინტერესების ეს თანხმობა მტკიცე საფუძვლად დაედებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას, მის გამოხსნას და აღდგენას“.

ქართლ-კახეთის სამეფოს თურქეთის წინააღ-

მდეგ ომში ჩაბმის შესახებ ერეკლესა და ტოტ-ლებენს შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ 1769 წლის აგვისტოს ბოლოს დაიწყო, მაგრამ თურ-ქეთის სულთანი და ახალციხის ფაშა ცდილობ-დნენ, როგორმე მიეღწიათ იმისათვის, რომ მე-ფე ერეკლეს ამ ომში ნეიტრალიტეტი დაეცვა. თურქეთის სულთნისა და ახალციხის ფაშის ყუ-რადღების მოდუნებისათვის ერეკლე ელჩებსა და საჩუქრებს გზავნიდა სტამბოლში და ახალ-ციხეში. ეს ყველაფერი მოჩვენებითი დიპლომა-ტიური ხერხი იყო.

1770 წ. 17 მარტს სოფ. სურამის სამხედრო თათბირზე გადაწყდა, რუს-ქართველთა ჯარს შეტევა დაეწყო ახალციხის საფაშოზე ბორჯო-მის ხეობიდან, რადგან ამ მხარეში მდებარეობ-და საუკეთესო ციხე-სიმაგრეები (ახალდაბის, პეტრას, გოგიას, აწყურის, ახალციხის, ასპინძის, ხერთვისის, თმოგვის, არტაანის, მგელციხე, კო-ლას ციხე, ყარსი და სხვ.). ახალციხე — ახალქა-ლაქი — არტაანის ციხეები ე.წ. სამკუთხედს ქმნიდა. ფრიად ხელსაყრელი სამხედრო პლაც-დარმისა და სტრატეგიული პოზიციის ხელში ჩაგდება სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთს. ფ. ენგელსი, ეხება რა რუსეთ-თურ-ქეთის 1853-1856 წწ. ომს. აღნიშნავს: **„თბილი-სისა და არზრუმის შემაერთებელი გზები ორი-ვე მოწინააღმდეგისათვის საოპერაციო ხაზე-ბად გადაიქცევა. არსებობს სამი გზა: ერთი ზე-მო მტკვარსა და ახალციხის გაყოლებაზე მი-დის, მეორე — ქვემო მტკვრისა და ერევნის, მე-სამე — ორ პირველ გზას შუა მთებსა და ყარს-**

ზე... ახალციხის გზით თურქეთის არმიას შეუძლია პირდაპირ კავკასიის მღელვარე ოლქებში შემოსვლა, მაგრამ რუსეთის კორპუსს... შეუძლია წინწამოწეულ... თურქეთს გზა მოუჭრას... არზრუმსაც კი დაეუფლოს“.

ახალციხისათვის ბრძოლის დროს ქართველი პოლიტიკოსები ორ მთავარ ამოცანას ისახავდნენ მიზნად: მტრისათვის ქართლზე თავდასხმის მარჯვე პლაცდარმი მოეშალათ და მიტაცებული ძველთაძველი ქართული მიწა-წყალი შემოეერთებინათ. ახალციხის საფაშოზე გალაშქრებას აჩქარებდა და ხელს უწყობდა ისიც, რომ იქ ოსმალთა ჯარი ცოტა იყო და ნამინ ფაშას არ შეეძლო რუს-ქართველთა შეერთებული ლაშქრისათვის სერიოზული ძალა დაეპირისპირებინა. გარდა აღნიშნულისა, ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ირანში დიდი არეულობა იყო. დი-

დი მხედართმთავარი და გამოცდილი პოლიტიკოსი მეფე ერეკლე მეორე კარგად ხედავდა და აფასებდა ამ დროს შექმნილ საერთაშორისო სიტუაციას და იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს. იგი მეფის რუსეთს ატყობინებდა: „ვიმყოფებით იმ დროსა შინა, რომელიცა აქუს ყოველთა საქართველოთა გამოხსნისა“. 1770 წ. 14 აპრილს ქართველ-რუსთა ჯარი ქვიშხეთიდან სოფ. სადგერს (ბორჯომის რაიონი) მივიდა, ხოლო 16 აპრილს შემოადგა აწყურის ციხეს. აწყურთან მისულ ტოტლებენს ჰყავდა 600 მეომარი და ჰქონდა 6 მცირე ყალიბიანი ზარბაზანი. მეფე ერეკლეს — 7000 მეომარი და 3 ზარბაზანი; ასეთ ვითარებაში მეფე ერეკლე საკუთარი ძალებით ცდილობდა ახალციხის აღებას, სანამ ოსმალეთი ახალციხის საფაშოს დახმარებას აღმოუჩენდა.

სოფ. აწყურთან მეფე ერეკლემ სახელდახელო ხიდი ააგებინა და მახლობელ სოფლებში მეომართა რაზმები გაგზავნა სურსათ-სანოვაგისა და პირუტყვის საშოვნელად. ერეკლეს წინასწარ ჰქონდა შემუშავებული საომარი გეგმა, რომლის მიხედვით ჯერ ახალციხის ახლოს მდებარე სოფლები უნდა დაეკავებინათ, სურსათ-სანოვაგე და პირუტყვი მოემარაგებინათ და შემდეგ იერიში მიეტანათ პირდაპირ ახალციხეზე და სხვა ციხესიმაგრეებზე. როგორც თვით ერეკლე 1770 წ. 10 მაისს გრაფ გოლიცინს წერდა: „...აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, მაგრამ... ესე, არ ჰყო ღერ. ტოტლებენმა“.

თითქმის ასეთივე საომარ გეგმას ურჩევდა მე-

ფის რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში ანტონ მოურავოვი.

მეფე ერეკლეს მიერ შემუშავებული საბრძოლო გეგმა, სამხედრო თვალსაზრისით, საუკეთესოდ იყო შედგენილი. ერთის მხრივ, ის დახმარების ყოველგვარ საშუალებას მოუწყვეტდა აწყურისა და ახალციხის თურქ მეციხოვნეებს, გადაუჭრიდა საკომუნიკაციო გზებს და მეორე მხრივ, მისი ლაშქარი უზრუნველყოფილი იქნებოდა სურსათით, პირუტყვით. ტოტლებენს რომ ერეკლეს მიერ წარმოდგენილი გეგმა მიეღო, ეჭვგარეშეა, ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

„აწყურის ციხის აღების სხვა საშუალებაც არსებობდა — მტრის ზურგში ღრმად შეჭრა, — აღნიშნავს პროფ. ვ. მაჭარაძე, — მეციხოვნე ჯარის მოწყვეტა მტრის დანარჩენი ჯარებისაგან — აი, რას შეეძლო ციხის გარნიზონის წინააღმდეგობის გატეხა. ასეთ პირობებში ციხის ალყა მცირე ძალითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო და გარედან დახმარებას მოკლებული მტერიც წინააღმდეგობას ვეღარ გასწევდა“.

მაგრამ ტოტლებენმა თავისი ჯარი აწყურის სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. თისელში მიმავალ გზასთან ახლოს უგარეთის გორაზე განალაგა და ბევრი იტრაბახა ციხის აღებაზე. **„ესე ვითარი პირობა დაჰსდუა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმეო, და ესე ვერ შევიტყეთ ვერ შესძლო თუ არ ინებაო,“ — აღნიშნავს ერეკლე. ტოტლებენს სურდა, პირველი**

მისვლისთანავე მტრის ქვეყანაში ბრწყინვალე გამარჯვება მოეპოვებინა რუსეთის იარაღისათვის და ამით თავი უფრო გამოეჩინა რუსეთის სამეფო კარზე. მაგრამ ბედმა უმტყუნა, ციხეს ვერაფერი დააკლო. „მეორე დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდუა, მაგრამ მისნი საქმენი სიმართლით და სისწორით ვეროდეს ვნახეთო“, — წერს ერეკლე. რადგან ტოტლებენმა აწყურის ციხის მთლიანი ალყა არ განახორციელა, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან 18 აპრილს ახალციხის ფაშამ დამატებით 2000 მეომარი ტყვიაწამლითა და სურსათ-სანოვაგით შეგზავნა ციხეში. ეტყობა, ტოტლებენს დროის გაყვანა უნდოდა, რათა ახალციხის ფაშას უფრო მეტი ძალებისათვის მოეყარა თავი აწყურის ციხესთან. უფრო მეტიც, იგი ახალციხის ფაშას ჯაშუშთა ქსელში გაება და თავისი ასეთი მოქმედებით დიდი ზიანი მიაყენა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ინტერესებსაც. როგორც ფრანგი კაპიტანი, ტოტლებენის ადიუტანტი დეგრაი დეფუა წერს, „ტოტლებენის მიერ აწყურის ციხის იერიში მეფე ერეკლეს ცუდად ენიშნა. მართლაც ოთხი დღის ამაო ბომბარდირების შემდეგ ახალციხიდან მოვიდა შვიდი ათასი თურქი და ლეკი მეომარი. ტოტლებენმა რომ მტრის მოახლოება შეამჩნია, არტილერია ცხენებს აჰკიდა. ბრძოლის ველი დატოვა და სურამს დაბრუნდა“. ტოტლებენი ბრძოლის ველს იმ დროს გაეცალა, როდესაც აწყურის ციხესთან მოსულ ლეკ-ოსმალთა ჯარიდან ლეკებმა ერეკლესთან შერიგება მოითხოვეს, მას მძევლებიც აძლიეს და სთხოვეს,

ნება დაერთო მათთვის ქართველების მხარეზე გადმოსულიყვნენ.

ტოტლებენის ასეთი მოქმედება გაუმართლებლად მიუჩნევია იქ მყოფ რუსი ოფიცრების ერთ ნაწილს და თვით რუსეთის მეფის წარმომადგენელ ანტონ მოურავოვსაც. მათ უცდიათ ტოტლებენის უკან დაბრუნება, მაგრამ ამაოდ, **„მას შემდეგ, რაც გრაფმა მთავარ მიზანს მიაღწია — ერეკლე მეფე ნამდვილად ჩააბა თურქებთან ბრძოლაში და ციხეს კი თავის განკარგულებაში მყოფი ქვემეხებით ვერა ავნო, წავიდა უკან ქრცხინვალისკენ იმ საბაბით, რომ სურსათი მაკლიაო“,** — წერს გერმანელი მეცნიერი გულდენშტეტი.

ზემოთ თქმულიდან ნათლად ირკვევა, რომ ტოტლებენი აწყურიდან უკან დაბრუნდა არა სურსათ-სანოვაგის უკმარობის ან რუსი ოფიცრების შეთქმულების, ან ორსარდლობის საკითხის, ან ჭორების გამო, არამედ აშკარა ღალატით, იმ საქმისათვის, რომლის გულისათვისაც ის იყო გამოგზავნილი საქართველოში. აი რას წერს ამის შესახებ რუსი გენერალი პოტო: **„უფრო მეტიც, მეფე ირაკლის თურქეთის საზღვრებში ყოფნის დროს ხალხში ხმა გავრცელდა, ტოტლებენი სურამში დაბრუნდა იმ მიზნით, რომ მოეყვანა ქართველები ფიცის მისაღებად და ბრძანა მათთვის მისი უმაღლესობის (ეკატერინე II ს.ხ.) სახელით, რომ მათ არ ეცნოთ ერეკლე თავიანთ მფლობელად“.** ამრიგად, ტოტლებენმა აწყურის ციხესთან უმსგავსო საქციელი ჩაიდინა — მოკავშირე ბრძოლის ველზე მიატო-

ვა და ახალციხის ფაშასთან საეჭვო მიმოწერა გააბა. რუსი პატიოსანი ოფიცრები დაეჭვდნენ და აშკარად გამოვიდნენ ტოტლებენის წინააღმდეგ.

მეფე ერეკლესთვის ყველაფერი ნათელი გახდა. იგი ცდილობდა საქმე ისე წარემართა, რომ ლეკ-ოსმალებისათვის ცნობილი არ გამხდარიყო ტოტლებენის ღალატი. ბოლოს მან პრინციპულად გადაწყვიტა გაამაყებულ და თავზეხელაღებულ მტერს მარტო ქართველთა ლაშქრით შებრძოლებოდა. **„საშინელი მდგომარეობა შეიქმნა, — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — მაგრამ ამ უარესი განსაცდელის დროსაც ერეკლე მეფის დიდებულმა სამხედრო ნიჭმა იხსნა ჩვენი ერი და სამშობლო აუცილებელი განადგურებისაგან, მცირე ლაშქრითურთ მან სამხედრო გეგმისა და ხერხის წყალობით, რუსთა მოქმედებით გათამამებული ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი ჯერ ადგილობრივ (აწყურთან — ს.ხ.), შემდეგ ს. ასპინძასთან საშინლად დაამარცხა და მთლიანად მოსპო“.** მეფე ერეკლემ ახალი გარემოებისა და მოვლენების გათვალისწინებით სასწრაფოდ შეცვალა საომარი მოქმედების გეგმა. იმის გამო, რომ რუსეთის ჯარი უკან გაბრუნდა, მოპირდაპირე ძალთა თანაფარდობა და ვითარებაც მკვეთრად შეიცვალა. ერეკლემ უმალ დაიწყო საბრძოლო მოქმედება: გათამამებული მტრის ლაშქარს ქართველთა რჩეული ნაწილები შეახვედრა. დაამარცხა და კვლავ ციხეში შერეკა. ამ მეტად მძიმე მომენტში მეფეს მეორე საზრუნავი გაუჩნდა: მტრისათვის არ მიეცა საშუალება უკან გაბრუნებულ ტოტლებენს

ბორჯომის ვიწრო ხეობაში დადევნებოდა და მთლიანად გაენადგურებინა რუსეთის ჯარი. ამიტომ მან გადაწყვიტა, მტრის მთავარი ძალები თავისკენ მიეზიდა, რათა რუსების ჯარს საშუალება ჰქონოდა მშვიდობით გასცლოდა ხეობას და სამშვიდობოს გასულიყო. ბრძოლა 1770 წ. 19 აპრილს დღის პირველ ნახევარში გაიმართა. აი რას წერს ამ ბრძოლის თვითმხილველი, ტოტლებენის ადიუტანტი, დეგრაი დეფუა: „ბრძოლა ფიცხელი და დაუნდობელი იყო, ქართველები და თურქები ხმალდახმალ იბრძოდნენ. ომი მეტისმეტად გამწვავდა. ორივე მხარე თავგანწირვით იბრძოდა. ამ დროს თავზარდამცემი ყიჟინით მტკვრის მარჯვენა მხრიდან მოვარდა გიორგი ბატონიშვილი მამის დასახმარებლად.

მოულოდნელ დარტყმას ვეღარ გაუძლო ოსმალთა ჯარმა, ციციანოვი (ალ. ციციშვილი, — ს.ხ.) საფარიდან უთვალთვალებდა საომარ მოქმედებას, თურქებმა ხიდის დასაცავად და საჭიროების შემთხვევაში უკან დახევის უზრუნველსაყოფად ათასი ჯარისკაცი დატოვეს. როცა ციციანოვმა დაინახა, რომ თურქთა ჯარი შეკრთა და ერეკლემ მტერი ხიდისკენ უკუაქცია, გამოვიდა საფარიდან, ხიდის მცველთა რიგები არია, ხიდი თვითონ დაიკავა და თურქებს უკან დასახევი გზა მოუჭრა.

სამივე მხრიდან მოეძალნენ ქართველები. შედრკნენ თურქები, მოაწყდნენ ხიდს. ხიდი რომ დაკავებული დახვდათ, მტკვარში ჩაცვივდნენ. ადიდებული მდინარე კი ვერც ერთმა მათგანმა ვერ გადალახა, ახალციხისაკენ ამბის მთხრო-

ბელმაც კი ვერ გააღწია. მეფე ერეკლეს გამარ-ჯვება სრული და განუყოფელი იყო". **აწყურის ბრძოლაში განსაკუთრებით თავი უსახელებია მეფის მცველ ხევსურთა რაზმს და გურჯაანელ ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძეს.** აწყურის გმირუ-ლი ბრძოლის ამბავი მხედველობიდან არ გამორ-ჩენია იტალიელ მისიონერ ლიონს. იგი წერს: **„...იმდენი გაბედულება მიეცა მეფეს, რომ ხმლით ხელში მტერთან შესახვედრად მივიდა, დაამარცხა, გაფანტა და ისეთი დიდი სასაკლაო გამართა, რომ მეტად მცირენი გადარჩნენ და გაქცეულნი ახალციხეში ავიდნენ. დანარჩენი ბრძოლის ველზე დარჩა, ნაწილი დაჭრილი და ნაწილი დახოცილი. თურქების ბევრი მეთაური ცოცხალი ჩაიგდო ხელში, ჯაჭვითა და თოკით გადაბმულები ტრიუმფით თბილისში ჩარეკა. დახოცილი თურქების გვამი მდინარეში გადა-აყრევინა ჩალმებიანად და ამ მდინარის (მტკვა-რის ს.ხ.) წყალი წითლად შეღებილი მოჩანდა".**

მიუხედავად ქართველების ასეთი გამარჯვები-სა, მეფე ერეკლემ ვერ გაბედა, ქ. ახალციხეზე პირდაპირი იერიში მიეტანა. ახალციხის აღების გეგმა ჩაიშალა. ბორჯომის ხეობით კი თბილის-ში დაბრუნება დამარცხებას უდრიდა და უარეს შედეგს მოუტანდა ქვეყანას. ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებუ-ლი არ იყო, მას ახალი ძალები ემატებოდა. ქარ-თველთა ლაშქარი 1770 წ. 19 აპრილს კოდიანის მთის ელაზის საცალფეხო გზით ასპინძის მიდა-მოებში გადმოვიდა. სოფ. იდუმალასთან ახალ-ქალაქისა და ხერთვისის 1500 თურქი მეციხოვ-

ნე შემოეყარათ. **მეფე ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი სოფ. იდუმალასთან ბრძოლაშიც გამოვლინდა.** მან მტერს პირველად ცხენოსანთა გულადი რაზმი შეაგება. მტერი შედრკა, ბრძოლაში მეფემ ახალი რაზმები ჩააბა. მტერი გატყდა და გაქცევით უშველა თავს, მაგრამ ქართველებმა გაქცეულ ოსმალებს გზა მოუჭრეს და ისინი იძულებულნი გახდნენ ადიდებულ მდ. მტკვარში გადაცვენილიყვნენ. ოსმალებმა ამ შეტაკების დროს 500 მეომარი დატოვეს ბრძოლის ველზე. დარჩენილი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო. ქართველებს მოუკლეს 4 თავადი და 10 რიგითი მეომარი“, — აღნიშნავს ანტონ მოურავოვი.

იმავე დღეს, 19 აპრილს, სოფ. იდუმალასთან ბრძოლა დამთავრებულიყო, რომ ახალციხის მხრიდან 4000 ცხენოსანი ლაშქარი გამოჩნდა.

მას თანდათან ემატებოდა ახალი რაზმები, არა მარტო აწყურ-ახალციხის მხრიდან, არამედ ადგილობრივი მაჰმადიანური სოფლებიდანაც, რომლებიც ახალციხის ფაშას ბრძანებით ასპინძის ველზე ქართველების წინააღმდეგ მოდიოდნენ. ასპინძასთან თავი მოიყარა მტრის დაახლოებით 10-15 ათასმა მეომარმა და 5-7 ათასამდე ქართველმა მებრძოლმა. ქართველთა ლაშქარმა, სამხედრო თვალსაზრისით, საუკეთესო პოზიციები დაიკავა. ჯავახეთის დიდი მოამაგე, მწერალი და პუბლიცისტი ილია ალხაზიშვილი 1898 წ. გაზეთ „ივერიაში“ წერდა: **„მეფე ერეკლემ გაითვალისწინა რომ მტრის ჯარის უმრავლესობა ცხენოსანი იყო, იმავე ხიდის ამყრელ რაზმს დავალა ასპინძის ხევზე ადიდებული ღელის წყალი ასპინძის ხნულებში გადაეშვათ, რათა მოწინააღმდეგის ცხენოსანთა არმიას მიმავალ ბრძოლაში ხელი შეშლოდა და მინდორში ლაფში ჩაფლულიყო. მართლაც, ეს ასეც მოხდა“.**

გათენდა 1770 წ. 20 აპრილი, არც ქართველებსა და არც ოსმალებს ბრძოლის დაწყება პირველებს არ სურდათ. ორივე მხარეს მოხერხებული საბრძოლო პოზიციები ეკავათ და არ უნდოდათ მოეშალათ. დღის პირველ საათამდე ბრძოლა არც ერთ მხარეს არ დაუწყია. მრავალ ბრძოლაში გამოცდილმა ერეკლემ მტრის გამოსატყუებლად სამხედრო ხერხს მიმართა, დაახლოებით ასი მებრძოლი ცხენებზე ხურჯინგადაკიდებულები, ვითომდა სურსათ-სანოვაგის მოსატანად მიდიოდნენ, თურქეთის ჩასაფრებულ ლაშქარს

მიადგა. მტერმა ვერ მოითმინა და ქართველთა რაზმს დაედევნა. ქართველებმა ცხენების ჭენებითა და ხმლების ქნევით უკან-უკან დაიხიეს, მტერი ერეკლეს მთავარ ბანაკთან მოიტყუეს. მაგრამ მტერი იმდენად ძლიერი და გათამამებული იყო, რომ ქართველთა ზოგიერთი რაზმი პირველსავე შერკინებაში დამარცხდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა.

საქმის გამოსწორება კვლავ მეფე-სარდალმა ერეკლემ იკისრა: ჯერ ლაშქარი თავისი მგზნებარე სიტყვებით გაამხნევა და შემდეგ პირველი თვითონ გადაეშვა ბრძოლის ცეცხლში, მისმა შემხედვარე ქართველებმა დაივიწყეს ყოველგვარი შიში და გმირ მეფეს ხმალამოწვდილნი კვალდაკვალ მიჰყვნენ მოზღვავებულ ოსმალთა შესამუსრავად.

„... ეკვეთა ძლიერათ და ძალითა ღვთისათა აოტა ოსმალნი: ამისა მხილველნი სპანიცა მეფისანი მოიქცნენ და დაუწყეს დევნა ლტოლვილთა და მრავალნი მოსწყვიტეს, გამობრუნდნენ გამარჯვებულნი“, — წერს ომან ხერხეულიძე.

ასპინძის ველზე ამ პირველი დიდი ბრძოლის შემდეგ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ლეკთა ახალი ძალები, დაახლოებით 100 კაცი ბრძოლის ველზე გამოვიდა, რომელსაც დაღესტანში განთქმული კოხტაბელადი მოუძღოდა. ქართველების მარცხენა ფრთა შედრკა და უკან დახევა დაიწყო, მაგრამ ერეკლესა და დავით ორბელიანის ჯარების გმირულმა შეტევამ მტერი წელში გატეხა.

მრავალომგადახდილმა ერეკლემ იცოდა, რომ მოწინააღმდეგის სარდლის მოკვლით მტერი სულიერად დაეცემოდა, რითაც გამარჯვების სასწორი ქართველების მხარეზე გადაიხრებოდა. მან ნიშანში კოხტაბელადი ამოიღო. მისი ხელით დაეცა დაღესტნის ლეკების სახელგანთქმული სარდალი — ქართველების დაუძინებელი მტერი, ახალგაზრდა კოხტაბელადი. მტერი სასტიკად დამარცხდა და მთლიანად განადგურდა 15 ათასი ლეკ-ოსმალო.

მტერმა ბრძოლის ველზე 4000 მეტი მოკლული დატოვა. დანარჩენი ადიდებულმა მტკვარმა დაახრჩო, 13-მა კაცმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო 57 კაცი ტყვედ დანებდა. ასპინძის ბრძოლაში 14 ფაშა და სანჯაყის ბეგი და ლეკთა ბელადი მოკლეს. ქართველებმა ხელთ იგდეს მტრის 25 დროშა, მრავალი სახის თოფ-იარაღი და დიდძალი ოქრო-ვერცხლი.

ქართველების მხრივ ასპინძის ბრძოლაში 25 კაცი მოიკლა. აი რას წერს ამის შესახებ ანტონ მოურავოვი: **„ერეკლეს დანაკლისს შეადგენდა მოკლული 25 კაცი, დაჭრილი — მისი სარდალი-მეთაური, თავადი ალექსანდრე ციციშვილი, იასე ერისთავი და 5 რიგითი ჯარისკაცი“.**

ასპინძის ბრძოლაში ბევრ ქართველ მეომარს გამოუჩენია თავი, მაგრამ განსაკუთრებით ერთხმად ასახელებენ მეფე ერეკლესა და მის სარდალს — დავით ორბელიანს. ამ ბრძოლაში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელმა ისახელა თავი, ხევსურებმა და კახელებმა, ქართლელებმა და თუშებმა და სხვ.

ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გადმოცემით, ასპინძის ბრძოლაში მეფე ერეკლეს ჩაშველებიან სოფ. ხიზაბავრის, საროს, ნიჯგორის, ტოლოშის, ერკოტის მოსახლეობა. სოფ. ხიზაბავრელებს 1770 წ. 22 აპრილს ასპინძის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ლხინი გადაუხდიათ.

ქართველ ჯარს არც დრო ჰქონდა და არც საშუალება, რომ ახალქალაქის ციხისათვის ალყა შემოერტყა და ისე აეღო, ამიტომ იძულებული გახდა, უბრძოლველად გასცლოდა მას და პირდაპირი გზით თბილისისაკენ წასულიყო. ამდენი წვალების, ბრძოლისა და ნატვრა-სურვილის მიუხედავად, ერეკლემ ვერც ახლა ისარგებლა აწყურის, იდუმალისა და ასპინძის სახელოვან ბრძოლებში გამარჯვების ნაყოფით. სამცხე-საათაბაგოს საქართველოსთან შემოერთება არ მოხერხდა, სამაგიეროდ

ქართველ-რუსთა ჯარს გარკვეული წარმატება ხვდა დასავლეთ საქართველოში. მეფე სოლომონმა თურქ დამპყრობლებს ხელიდან გამოსტაცა ცუცხვათის, შორაპნის, ბაღდადის, ქუთაისის ციხესიმაგრეები.

ერეკლე ამის შესახებ ან. მოურავოვს წერდა, რომ „ასპინძას დაიხოცნეს, ის ციხეები იმ მიზეზმა აიღო, შიგ საზრდო ვეღარ შეუტანეს მეშველის უძლურობითაო“. გარდა ამისა, ასპინძაში ბრწყინვალე გამარჯვებამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო რუსეთის ფრონტს ყირიმსა და ბალკანეთში თურქეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. ქართველების გამარჯვებას აწყურში, იდუ-

მალასა და ასპინძაში უქმად არ ჩაუვლია მესხი მოსახლეობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ქართველი მოსახლეობის გამათავისუფლებელი პატრიოტული მოძრაობა და მისწრაფება საქართველოსთან კვლავ შეერთებისა. ამის ნათელი მაგალითია 1770 წ. 30 ოქტომბერს ხერთვისის სანჯაყის უფროსის იბრაიმბეგ ვაჩნაძის მეფე ერეკლეს მხარეზე გადასვლა, აჭარაში აჯანყების დაწყება და სხვ.

რუსეთის ჯარის უკან გაწვევის შემდეგ, 1772 წ. საქართველოში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ამის შესახებ 1774 წ. 21 აგვისტოს მეფე ერეკლე ნ. პანინს წერდა: „...გველებივით პირდაღებული თურქები რკალს გვარტყავენ, სპარსელები მძვინვარე ლომებივით შემოგვყურებენ, ხოლო ლეკები მშიერ მგლებსავით ჩვენზე კბილებს ილესავენ. ყველანი ერთად ბორგავენ შურისძიებით, რადგან ჩვენ, ქართველებმა, დავარღვიეთ ზავი მათ მიმართ“ და ომში ჩავებითო რუსეთის მხარეს.

მეფე ერეკლე, აფასებდა რა საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მაინც გულს არ იტეხდა. მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენმა ამდენი უსიამოვნება და ზიანი მოუტანა ქართველი და რუსი ხალხების საუკუნოვან მტკიცე მეგობრობას, ტოტლებენი რუსეთში უკან გაიწვიეს და მის მაგივრად გენერალი სუსხოტინი გამოგზავნეს. როგორც ჩანს, ახალი გენერალი ძველი გენერლისაგან არაფრით განსხვავდებოდა, ისიც გაკეთებულ საქმეს აფუჭებდა.

1772 წ. ოქტომბრის თვეში ქართველმა მეფე-

ებმა დალაშქრეს ახალქალაქისა და ყარსის მხარე და დიდი ზიანიც მიაყენეს ახალციხის სულეიმან ფაშა ჯაყელს, რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო და მეფე ერეკლეს პირად მოქიშპედ და მემკვიდრეობის შემცილებლად მიიჩნევდა. ახალციხის ფაშის თარეშის საპასუხოდ ერეკლეს არა ერთხელ აუოხრებია სამცხე-საათაბაგო. იგი წერს: **„ჩვენი ჯარი ახალციხისა და ყარსის ქვეყანას სცემს და აოხრებს. არც ახალციხეს აქეთ და არც ყარსს აქეთ სოფლებში შენობა აღარ არის, ახალქალაქის, შორაგალის, აწყურის და ხერთვისის გარდა და ესენიც არტილერიით არიან გამაგრებულნი“.** მეფე ერეკლეს ასეთი მოქმედებით თურქეთის სულთანი იძულებული გახდა, ერეკლეს დასჯის საკითხი ირანის მბრძანებლის — ქერიმხანის წინაშე დაესვა. ამის გამო იყო, რომ ირანის მბრძანებლები დიდ ანგარიშს უწევდნენ ერეკლე მეორეს. **რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის დამთავრების შემდეგაც ერეკლეს ხელი არ აუღია მესხეთის შემოერთების საკითხზე.**

მეფე ერეკლე „ჩვენის სამკვიდრო ქვეყანაში“, პირველ რიგში, სამცხე-საათაბაგოს გულისხმობს, „რომელნიც შავი ზღვის გარემო ჩვენი კერძო ადგილნი“ არიანო. აქ ერეკლე განსაკუთრებით ხაზს უსვამს შავიზღვისპირეთს, მან კარგად იცის, რომ იმდროინდელ მეფის რუსეთს, დიდი ხანია, თვალი დადგმული ჰქონდა შავ ზღვაზე და მის სრუტეებზე, დარდანელისა და ბოსფორის ხელში ჩასაგდებად.

მეფე ერეკლე საქართველოს მიწა-წყლის შემოერთებას, რომელიც მტერმა ძალმომრეობით მოსტაცა, თვლის სამართლიან აუცილებლობად. იგი რუსეთის დიდი მოხელეების სახელზე გაგზავნილ წერილებში არაერთხელ ახსენებს, რომ „ახალციხის ქვეყანა არს ქართლის ქვეყნისა ნაწილი ერთი, რომელიც უჭირავს ახალ ხვანთქარსა ძალით. იგი იყო „წართმეული ადგილი, რომელიც დასაბამიდან „საქართველოს მიწა არის“ და „ჩვენი სამეფოს ნაწილი“, „ჩუენი ადგილი იყო“, „რადგან ქართული მიწა არის“. მისი საქართველოსთან შემოერთება საერთაშორისო დიპლომატიური სამართლის მიხედვითაც კანონიერი იქნებაო, — აღნიშნავდა მეფე ერეკლე თავის წერილებში.

მეფე ერეკლესაც და ყველა იმდროინდელ პროგრესულად მოაზროვნე ქართველსაც მიაჩნდა, რომ დაკარგული მესხეთის გამოხსნა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირით შეიძლებოდა.

ქართველები მეფისგან დონის კაზაკთა თუ ყალმიკთა სამათასიან რაზმს ითხოვდნენ ან საერთოდ იმდენს, რომ საკმარისი ყოფილიყო ლეკებთან საბრძოლველად.

რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი მოქმედებები ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმებისგან დასაცავად 1801-1804 წლებში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, არ არსებობდა. ის შედგებოდა ორი სამეფოსაგან — ქართლ-კახეთისა და იმერეთის; სამი სამთავროსაგან — გურიის, სამეგრელოსა და სვანეთის. ესენი ფეოდალური სახელმწიფოები იყვნენ, რომელთაც დამოუკიდებლად მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ. ყველა ცდა, გაეძლიერებინათ ცენტრალური ხელისუფლება და ბოლო მოეღოთ საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობისათვის, აწყდებოდა უცილობელ წინააღმდეგობას როგორც ადგილობრივი ფეოდალების, ასევე მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც საქართველოს გაპარტახებით იყვნენ დაინტერესებულნი.

დროში გაწელილი კრიზისიდან და იმ მდგომარეობიდან გამოსვლის ძიებაში, რომელშიაც იმყოფებოდა სპარსეთისა და თურქეთის მუდმივი ამაოხრებელი თავდასხმების არენად ქცეული საქართველო, მეფე ერეკლე მეორემ მფარველობის თხოვნით მიმართა ეკატერინე II-ს, თანახმა

იყო რა რუსეთის მეფისადმი ვასალურ დამოკიდებულებაზე.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში რუსული გავლენის პრობლემა ცარიზმისათვის იძენს უფრო და უფრო აქტუალურ მნიშვნელობას. რუსეთი ინტერესდება საქართველოთი არა მარტო მისი მდიდარი მიწების გამო, არამედ იმიტომაც, რომ საქართველო იყო პლაცდარმი სპარსეთისა და თურქეთის დასამარცხებლად. 1783 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის ხელი მოეწერა მოლაპარაკებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი იღებდა ვალდებულებას ქართლ-კახეთის ერთიანობის გარანტიაზე. ერეკლესა და მის შთამომავლობას რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის მეფეებად. მთელი საშინაო მმართველობა რჩებოდა ერეკლეს ხელში, მაგრამ საშინაო პოლიტიკა მთლიანად რუსეთის ხელში გადადიოდა. ამას გარდა, ტახტზე ასვლისას ქართლ-კახეთის მეფეს საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა რუსეთის ხელისუფლება და მიეღო მისგან შესაბამისი სიგელი.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თბილისში გამოიგზავნა 2 რუსული ბატალიონი, რომლებიც დედაქალაქში 1787 წლამდე ჩამოვიდა. 1787-19 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის ზღურბლზე საქართველოდან გაყვანილი იქნა რუსული რაზმები. საქართველო კვლავ დაუცველი დარჩა. მეფე ერეკლეს არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ეკატერინე მეორემ, დაკავებული იყო რა თურქეთთან ომით, პოლონეთის დაყოფითა და რევოლუციურ საფრანგეთთან ბრძოლით, ვერ გამო-

ძებნა საშუალება საქართველოს დასახმარებლად. მაგრამ, როგორც კი პოლონეთთან ბრძოლა დასრულდა, ეკატერინე II-მ გასცა ბრძანება, საქართველოში კვლავ გაეგზავნათ ქვეითთა 2 ბატალიონი, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

მაგრამ დახმარებას დააგვიანდა. სპარსული ჯარები აოხრებდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, თითქმის მთლიანად დაანგრიეს თბილისი. ერეკლეს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ კვლავ მიემართა თხოვნით ეკატერინესთვის და შეეხსენებინა მისთვის 1783 წელს აღებული ვალდებულებები.

1796 წელს დაიწყო რუსეთ-სპარსეთის ომი. ეკატერინე მეორის მიერ ვალერიან ზუბოვის მეთაურობით გაგზავნილმა ჯარებმა დაიკავეს მთელი კასპიის ზღვის სანაპირო — ბაქო, შემახი, განჯა და მდინარე არაქსის გადალახვის შემდეგ დაემუქრნენ თეირანს. პავლე პეტრეს ძის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსული ჯარების შემდგომი წინსვლა შეჩერდა და დაკავებული სახანოები გაიწმინდა.

ეს გამოიწვია იმან, რომ რუსეთის წინსვლა სპარსეთში უცილობლად დააჯახებდა რუსეთს ინგლისთან. ამასთან, ზუსტად ამ დროს მიმდინარეობდა ერთობლივი მზადება საფრანგეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად და პავლე I დაინტერესებული იყო, თავიდან აერიდებინა ინგლისთან რაიმე გაურკვევლობა.

1798 წლის დასაწყისში მეფე ერეკლე გარდაიცვალა და სამეფო გვირგვინი დაიდგა მისმა ძემ გი-

ორგი XII-მ. ამავე დროს, 1799 წელს პეტერბურგში, გიორგის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცების პარალელურად, საქართველოში დაინიშნა რუსი მინისტრი-რეზიდენტი და გამოიგზავნა რუსული ჯარები გენერალ-მაიორ ი. ა. ლაზარევის მეთაურობით. ეს ჯარები იყო ეგერთა მე-17 პოლკის შემადგენლობიდან, რომელიც პავლე პირველის ბრძანებით კავკასიის ხაზიდან მოიხსნა. 1799 წლის შემოდგომაზე პოლკთან ერთად თბილისში უფლებამოსილი მინისტრის რანგში ჩამოვიდა, ასევე, სახელმწიფო მრჩეველი კოვალენსკი. მათ ხელთ იგდეს ქვეყნის მმართველობის სადავეები. საქართველოში რუსული ჯარების მეთაური ი. ა. ლაზარევი ერთ-ერთ თავის წერილში იტყობინებოდა: „საქართველოს ფაქტობრივად უკვე კოვალევსკი მართავს“.

რუსეთის ხელისუფლებამ აიღო კურსი ქართლ-კახეთის მთლიანად შემოერთებისაკენ. ამასთან, სპარსეთთან და თურქეთთან გარდაუვალი შეჯახებები აღარ წარმოადგენდა რუსეთისთვის სერიოზულ საშიშროებას, რამდენადაც უკვე აუცილებელი გახდა ინგლისთან დათმობაზე წასვლა, ანტიფრანგული კოალიციის შენარჩუნების მიზნით, რამდენადაც პავლე პეტრეს ძემ ძირფესვიანად შეცვალა რუსეთის პოლიტიკის საერთო მიმართულება, კავშირი დაამყარა რა საფრანგეთთან ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის ხარჯზე (იმედგაცრუებული იყო რა მოკავშირეთა საქციელით ა. ვ. სუვოროვის იტალიური და შვეიცარიული ლაშქრობების გამო და 1799 წელს ფ. ფ. უშაკოვის მეთაურობით შავი

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲫᲐᲠᲪᲕᲐᲕᲔᲜ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ზღვის ფლოტის ხმელთაშუა ზღვის ექსპედიციის პერიოდში).

გიორგი XII, ერიდებოდა რა თურქთა და სპარსთა ახალ შემოსევას, დაყაბულდა თავისი უფლებების შეზღუდვაზე. პავლე პირველისადმი მიმართვაში ის მეფედ დატოვებას ითხოვდა და იღებდა ვალდებულებას, რომ ის და მისი მემკვიდრენი მართავდნენ ქვეყანას „იმ კანონებით, რომლებიც მისი უმაღლესობის გადაწყვეტილებით იქნებოდა მიღებული“. საქართველოს ყველა შემოსავალს მეფე გიორგი წარუდგენდა რუსეთს, გადასცემდა მას ოქროსა და ვერცხლის ყველა საბადოს. ერთადერთი, რასაც ითხოვდა გიორგი XII, იყო საქართველოს შინაური მტრებისაგან დასაცავად 6 ათასი რუსი ჯარისკაცის გამოგზავნა საქართველოში.

1800 წლის ნოემბერში მეფე გიორგის თხოვნა

განხილულ იქნა საგარეო საქმეთა კოლეგიაში და მისი გადაწყვეტილება დაამტკიცა პავლე I-მა. მიაღწია რა პეტერბურგში პრინციპულ შეთანხმებას რუსეთთან შეერთების თაობაზე, ქართული საელჩო პავლე I-ის კაბინეტთან ერთად შეუდგა საქართველოს მდგომარეობის შესწავლას. გადაწყვეტილებაში შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების მიღებასთან და სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის შემოღებასთან ერთად გათვალისწინებული იყო საქართველოს სამეფო ტიტულის შენარჩუნება. პავლე პირველმა მოიწონა ქართული საელჩოს „თხოვნის პუნქტები", მათ შორის გიორგი XII-ს შემდგომ სამეფო ტიტულის შენარჩუნების თაობაზე.

პეტერბურგში მომზადებული მანიფესტი მაშინ გამოცხადდა, როცა გიორგი XII გარდაიცვალა და პავლე I კი მოკლეს. შეცვლილი სიტუაცია საკითხის ხელახალ განხილვას მოითხოვდა. 1801 წლის აპრილში ის ორჯერ განიხილეს მუდმივი კომიტეტის სხდომებზე, სადაც გაირკვა, რომ საქართველოს არა მარტო შიდა საშიშროება ემუქრება, არამედ დინასტიური უთანხმოებანი, რამაც განსაკუთრებული ძალით იფეთქა გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდგომ. ალექსანდრე პირველმა გენერალ კ. ფ. კნორინგს დაავალა, წარმოედგინა მოხსენება საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით კ. ფ. კნორინგი გაემგზავრა საქართველოში 1801 წელს, რათა გაერკვია, იყო თუ არა საქართველოს მოსახლეობა თანახმა, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესულიყო.

კ. ფ. კნორინგის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მანიფესტში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო სამეფო ტახტის მართვა საქართველოში და იქ რუსეთის გუბერნიის მსგავსი ადმინისტრაციული მმართველობის შემოღება. საქართველოს სწორედ ამგვარი შემოერთება, რომელიც მას აქცევდა რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად, რუსეთის მმართველობას, ფაქტობრივად, უფლებას აძლევდა, დაეცვა ქართველი მოსახლეობა არსებული საფრთხეებისაგან და დაერეგულირებინა ქვეყანაში შიდა არეულობა.

შეერთება წარმოადგენდა ობიექტურ პოლიტიკურ შედეგს იმ მდგომარეობისა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, და არა ალექსანდრე I-ის „ფარისევლური“ აქციის შედეგს. მოვლენათა მსგავსი განვითარების გზა მოულოდნელი არ იყო ქართული საზოგადოებისათვის.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტში ალექსანდრე პირველმა მეორედ გამოაცხადა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა (1801 წლის 18 იანვარს პავლე I-ის მანიფესტის შემდეგ) და საქართველო სამეფო დინასტიისთვის ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევის თაობაზე. რუსული ძალების მთავარსარდლად საქართველოში დაინიშნა გენერალი კნორინგი, მმართველად — კოვალენსკი. ი. პ. ლაზარევი უკვე შედიოდა კ. ფ. კნორინგის უშუალო დაქვემდებარებაში, მაგრამ კოვალენსკისა და კნორინგის მმართველობა ალექსანდრე I-ის მუდმივ კომიტეტში განხილვის

საგანიც კი გახდა, რომელიც საქართველოში ამ-ბოხების გამოწვევით იმუქრებოდა. კაჩუბეიმ მე-ფეს განუცხადა, რომ **„ჯარეგის მთავარსარ-დალი კნორინგი და სამოქალაქო ნაწი-ლის მმართველი კოვალენსკი უცხოე-ლებს შორის უთანხმოებას თესავდნენ, რათა უკეთ ეძარცვათ ისინი“.** ამასთან, ალექსანდრე პავლეს ძემ აღმოაჩინა, რომ მარ-თალია, „კნორინგი დიდი შესაძლებლობებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მის ქმედებებში არაფე-რი იყო დასაძრახი“.

როგორც ვხედავთ, დანაშაულობათა ის მარყუ-ჟი, რომელიც კნორინგს დონიდან მოჰყვებოდა კავკასიის ხაზზე და სხვა ნაწილებში, სადაც მას „ხელმძღვანელობა“ მოუხდა, ამჯერადაც თან ახლდა — ახალ ადგილას, სამოქალაქო მრჩეველ კოვალენსკის გვერდით. მაგრამ ხელმწიფე მას კარგი თვალით უყურებდა, ამიტომ მისი ატანა უწევდათ.

ეს არის ზოგადი სურათი იმისა, თუ როგორ გახდა საქართველო რუსეთის იმპერიის შემად-გენელი ნაწილი.

***

XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის და-საწყისი საქართველოსთვის იყო „სასაზღვრო უღელტეხილი“, რომლის გადალახვას ართუ-ლებდა ისეთი ფაქტორები, როგორიც იყო „აჭა-რის საფრთხე“ (სპარსეთის თავდასხმა), თურქუ-ლი განცხადებები, დიდი კავკასიის მთიელთა ექ-სპანსია („ლეკიანობა“ — ლეკთა თავდასხმები), ყოველწლიურად ათასობით ქართველი გლეხის

სიცოცხლეს რომ იწირავდა. საქართველოსთვის სხვა ისტორიული პერსპექტივები არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ რუსეთს შეერთებოდა.

ზოგიერთი ავტორი ანალიზისას ამ მოვლენის (ლეკიანობის) პროგრესულობაზე აცხადებდა, რომ:

„ლეკი ფეოდალები, ჩვეულებრივ, თავს ესხმოდნენ ქართველებს მინდვრის სამუშაოების დროს, შემდგომ კი ამ ადამიანებს ტყვეებად ჰყიდდნენ თურქეთსა და ყირიმში... საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტიდანვე მათი გაუთავებელი რბევა და თავდასხმები შეწყდა“ (ს. ბ. ოკუნი, თხზ. ტ. I ნაწ. გვ. 155).

არსებობს მოსაზრება, რომ პირიქითაც მოხდა — ლეკებმა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ რბევა-აწიოკებას მოუხშირეს.

უფრო **მართებული იქნებოდა იმის თქმა, რომ ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოს გამოუჩნდა შედარებით საიმედო დაცვა რუსული ჯარების სახით, რომლებიც არ აძლევდნენ ლეკებს საშუალებას, თავიანთი თავდასხმებით უკანონობა ეთესათ. მაგრამ თავდასხმები, როგორც ასეთი, გრძელდებოდა!**

საქართველოს რუსეთთან შეერთებაში მონაწილეობდნენ არა მარტო პროგრესული, არამედ რეაქციული ძალებიც, არ ამბობდნენ რა უარს თავიანთ ეგოისტურ მიზნებზე. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში რეაქციული როლი იკისრეს სამეფო სახლის მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა, რომლებმაც დინასტიურ ამ-

ბიციებს ერის ინტერესები შესწირეს; ასევე — ფეოდალურ-თავადურმა წრემ, რომელიც იცავდა თავის „ავტონომიურობას“ ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ამუხრუჭებდა ქვეყნის გაერთიანებას. მოვლენებმა, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა, დაადასტურა, რომ ეს ძალები საკმაოდ შორს იყვნენ ნაციონალური ინტერესების გაგებისგან: **უფლისწულმა ალექსანდრემ, იულონმა და სხვებმა XIX საუკუნის დასაწყისში უღალატეს მეფე ერეკლეს პოლიტიკას, დაივიწყეს სპარსეთის სახანოს მიერ საქართველოს მოსახლეობის სასტიკი ხოცვა-ჟლეტა XVIII საუკუნის 90-იან წლებში და გადაიქცნენ სპარსეთისა და თურქეთის მოსყიდულ დაქირავებულ მებრძოლებად და ღიად ებრძოდნენ თანამემამულეებს. ისინი XIX საუკუნის დასაწყისიდან აქეზებდნენ ლეკებს, დაერბიათ საქართველო, შეეფერხებინათ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პროცესი**.

დონელ კაზაკებს, რომლებიც რუსული ჯარების შემადგენლობაში შედიოდნენ და საქართველოში იმყოფებოდნენ, აქტიური მონაწილეობა უხდებოდათ ამ რბევების წინააღმდეგ ბრძოლებში 1801 წლიდანვე, ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის მიერ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მეორედ გამოცხადებამდე. შჩედროვის დონის პოლკი კავკასიის ხაზიდან საქართველოში 15 მაისს გამოვიდა. ამასთან, ნ. ფ. დუბროვინის მტკიცებით, საქართველოში მთელი რუსული მხედრიონი მხოლოდ დონის პოლკისგან შედგებოდა.

ᲞᲔᲢᲠᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲡᲙᲘ — „ᲛᲗᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲚᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜ“

შჩედროვის პოლკი საქართველოში 1801 წელს ჩამოვიდა იმ 6 ათასი კაცის შემადგენლობით, რომლებიც პავლე I-ისა და გიორგი XII-ის მოლაპარაკებაში იყო მოხსენიებული. მათი საქართველოში ჩამოსვლა ზუსტად რომ სულზე მისწრება იყო და ქვეყანაში სტაბილურობის წინაპირობას წარმოადგენდა. ტუჩკოვის პოლკი, რომელსაც 2 ქვემეხი ჰქონდა, გორში, სურამსა და ცხინვალში განლაგდა. რუსების მიერ ამ ადგილების დაკავებამ აიძულა იმერეთის მეფე სოლომონი, გაეშვა თავისი ლაშქარი, რომელიც იმ ჭორზე დაყრდნობით შეაგროვა, რომ რუსები საქართველოს ტოვებენო. გაქცეულ უფლისწულთა მიერ წაქეზებული მეფე ფიქრობდა ქართლში შეჭრას, მაგრამ უფლისწულთა განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. მათ იმედები თავიანთი გეგმების რეალიზაციის თაობაზე უფრო მე-

ტად გაუცრუვდათ, როცა ტუჩკოვის პოლკის ფეხდაფეხ გაიგზავნა ლეონტიევის მუშკეტერთა პოლკი და მათთან ერთად შჩედროვის კაზაკთა პოლკი, რომელიც საქართველოში მაისში ჩამოვიდა.

ბოლო პოლკების ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში შეიქმნა რაზმები: ერთი გრენადერთა, ორი მუშკეტერთა, ერთი ეგერთა და ერთი კაზაკთა პოლკისაგან, რომელსაც 18 ქვემეხი ჰქონდა. ამით შესაძლებელი გახდა ქვეყნის დაცვა მეზობელთა შემოსევებისაგან. მუშკეტერთა ერთი ბატალიონი განლაგდა სოფლებში მდ. ალაზნის დინების ქვემოთ, 15 კმ მოშორებით. ციხესიმაგრე ყარაგაჩიდან მდინარე მტკვრამდე განლაგებული იყო შჩედროვის კაზაკთა პოლკის პიკეტი, რომელსაც დავალებული ჰქონდა, ლეკთა შემოჭრის შემთხვევაში, მუშკეტერთა ამ ჯაჭვის გამაგრების მიზნით, ხშირი პატრულირება ეწარმოებინა. იმავე პოლკის მუშკეტერთა სხვა ბატალიონს უნდა დაეკავებინა ხაზი სოფლებში მარტყოფიდან კაკაბეთამდე და ამგვარად შეეკრა მეორე ჯაჭვი საზღვრის ამ ნაწილში.

ასეთი ძლიერი კორდონი აუცილებელი იყო იმიტომ, რომ ლეკები საქართველოში უმეტესად მდინარე ალაზნით გადმოდიოდნენ, ძირითადად, სიღნაღთან ახლოს მდებარე დანგრეული ციხესიმაგრის ქვემოდან და შემდეგ ხეობის მეშვეობით გადიოდნენ საგურამომდე, რომელიც მათ დასაყრდენ პუნქტად იქცა. აქედან ისინი ცალკეულ რაზმებს გზავნიდნენ ქართლში და დუშეთიდან მესხეთამდე აფერხებდნენ კავშირს. მაგ-

რამ ერთი მხრიდან ლეკთა შემოჭრის საშუალების შეზღუდვით შეუძლებელი იყო იმაში დარწმუნება, რომ საქართველო მთლიანად დაცული იქნებოდა მათი დარბევისაგან. ლეკებს შეეძლოთ სხვა გზებითაც ესარგებლათ — გადმოსულიყვნენ ალაზნითა და მტკვრით, განჯისა და ერევნის სახანოების გვერდის ავლით მიეღწიათ ახალციხემდე და მაინც მოეხერხებინათ ქართლსა და კახეთზე თავდასხმა. განალაგა რა ქვეითთა ბატალიონი რამდენიმე კაზაკთან ერთად პამბაკსის პროვინციის სოფლებში, რუსულმა სარდლობამ ლეკთა საქართველოში შემოჭრის უკანასკნელი შესაძლებლობაც მოსპო.

ეს ბატალიონი წარმოადგენდა, ასევე, ავანგარდს ბაბა-ხანის სპარსული ჯარების წინააღმდეგ სამოქმედოდ, თუკი ამ უკანასკნელს აზრად მოუვიდოდა, დამუქრებოდა რუსეთის ინტერესებს.

გრენადერთა ერთი ბატალიონი თბილისში დატოვეს, მეორე გორში განალაგეს, თითო ასეულით გაამაგრეს სურამისა და ცხინვალის ციხესიმაგრეები. ეს საგუშაგო აუცილებელი იყო საზღვრისპირა დასახლებისათვის თვალყურის სადევნებლად, ასევე იმ თავდასხმებისა და ძარცვის აღსაკვეთად, რომლებსაც აქ ხშირად ეწეოდნენ ოსები და იმერლები.

ოსები, ემორჩილებოდნენ რა ცალკეულ ქართველ თავადებს, ი. პ. ლაზარევის სიტყვებით რომ ვთქვათ, აკეთებდნენ „გაუგონარ რაღაცებს: იტაცებდნენ ადამიანებს, საქართველოს სამხედრო გზაზე ძარცვავდნენ მგზავრებს“. ქართ-

ველ უფლისწულთა მიერ წაქეზებულნი (რომლებიც იმერეთში იმყოფებოდნენ) დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსული ჯარები, რომლებიც ამჟამად საქართველოში იდგა, მალე დაუბრუნდებოდა კავკასიის ხაზს. ეს თავდასხმები რომ აღეკვეთა, გენერალმა ი. პ. ლაზარევმა ითხოვა მათ წინააღმდეგ ძალის გამოყენება.

მეორე ვარიანტი საქართველოზე თავდასხმისა კარგა ხნის განმავლობაში საკმაოდ რთული იყო ლეკებისათვის, იმდენად, რამდენადაც ახალციხეში იჯდა საბუდ-ფაშა. ის რუსეთისადმი მეგობრულად იყო განწყობილი და აკავებდა ლეკების საქართველოში შემოჭრას, თუ კი, რა თქმა უნდა, შეიტყობდა ამის თაობაზე. მაგრამ 1801 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ახალციხიდან გააძევა საბუდ-ფაშა. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ლეკებს საქართველოში უფრო თავისუფლად შემოსასვლელად. თუმცა, პრინციპში, ამას ყოველთვის ახერხებდნენ, მაგრამ ახლა განუსაზღვრელი შესაძლებლობები მიეცათ თავდასხმების მოსამზადებლად და განსახორციელებლად. ამგვარად, 1801 წლის 29 მაისს ლეკთა პარტიამ გაძარცვა საქართველოს მოსახლეობა მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თბილისთან ახლოს და ტყვედ ჩაიგდო 80 ადამიანი, გარეკა 300 თავი პირუტყვი, 6 ივნისს კი ლეკები თავს დაესხნენ შჩედროვის პოლკის კაზაკთა ნახირს და გაიტაცეს ცხენები. ნახირი მარტყოფის რაიონში იყო. დაედევნენ რა კაზაკები და მუშკეტერები, ლეკებმა მიატოვეს ნადავლი და ტყვეები, რომლებიც რუსებმა თავიანთ სახლებში დააბრუნეს.

ბრძოლა კაზაკთა ნახირისათვის მარტყოფთან, როგორც ჩანს, დიდი შეტაკება იყო, რადგან ამის თაობაზე ოფიცერთა რამდენიმე სამსახურებრივ ჩანაწერში არაერთგანაა აღნიშნული. მაგალითად, იასაულ ივანე ივანეს ძე საპუხინთან აღნიშნულია: „801-ში კავკასიის თოვლიანი მთებით გადმოვედით საქართველოში, იმავე წლის 6 ივნისს მარტყოფთან ლეკები პოლკის ნახირს თავს დაესხნენ, რომლის დაბრუნებისას დავამარცხეთ მტაცებლები ბრძოლაში...“ იმავეს ამბობს ვასილ სიმონის ძე კურჩანინსკი, ასევე — ოფიცერი ივანე ივანეს ძე შჩედროვი. **თვით პოლკის მეთაურის მარტყოფთან ყოფნა იმაზე მიანიშნებს, რომ იქ განლაგებული იყო დონელთა მთავარი ძალები და ამიტომ გახდა შესაძლებელი მდევრის სასწრაფოდ გაგზავნა და ლეკების დამარცხება, მათი იძულება — გაქცევით ეშველათ თავისთვის.**

იმყოფებოდნენ რა ახალციხის ფაშას სამსახურში, ლეკები მისი სამფლობელოებიდან სულ უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს საქართველოს. 20 ივნისს მოვიდა ცნობა, რომ ახალქალაქთან ახლოს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ სოფლებს, დარბევის მიზნით, თავს დაესხნენ ლეკთა პარტიები. პოდპოლკოვნიკმა ფ. ფ. სიმონოვიჩმა, რომელიც მეთაურობდა ჯარებს იმერეთის საზღვართან, ერთ ასეულს უბრძანა, დაძრულიყო სოფელ ბრეთიდან ქარელისკენ, ხოლო კაპიტან რეიხს უბრძანა, თავისი ასეულით გორიდან სოფელ დოესში გადასულიყო. წაიყვანა რა ასეული ქარელიდან და მე-17 ეგერთა პოლ-

კის ასეული (მეთაური მაიორი პლესტი) კაზაკებთან და ქართულ საბრძოლო შენაერთებთან ერთად (სულ 79 გრენადერი, 48 ეგერი, 22 კაზაკი შჩედროვის პოლკიდან და 100 ქართველი), სიმონოვიჩი, გადაიარა რა მამიულარისა და გუჯარეთის ქედები, ფიქრობდა, ლეკთა ნაკვალევს გაჰყოლოდა, ხოლო კაპიტან რეიხს დაავალა, ახალქალაქის მხარისათვის ედევნებინა თვალყური.

20-დან 23 ივნისამდე ლეკებთან ბრძოლაში მონაწილეობდა შჩედროვის პოლკის ასეული, იასაულ კლიმ სელიმანოვის ძე კონდრაშოვის მეთაურობით. სწორედ მისი კაზაკები მიჰყვნენ ფეხდაფეხ მტერს და ფ. ფ. სიმონოვიჩს ლეკთა ყველა გადაადგილების თაობაზე ატყობინებდნენ.

22 ივნისს სიმონოვიჩი რაზმით მივიდა გაპარტახებულ ქართულ სოფელ ზღუდერში, გადავიდა რა მდინარე გუჯარეთზე და უკან მოიტოვა თურქეთის საზღვარი, მიაღწია სოფელ საპინსალოს. 24 ივნისს, ავიდნენ რა სოფლის ზემოთ, მან ავანგარში გაგზავნა რაზმი 22 კაზაკის შემადგენლობით შჩედროვის პოლკიდან ასეულის მეთაურის, იასაულ კ. ს. კონდრაშევის მეთაურობით, ისინი ახალციხეში მომავალ ლეკებს დაუხვდნენ. კაზაკებსა და ლეკებს შორის სროლა ატყდა. ლეკები სულ 760 კაცი იყო. არ სურდათ რა ბრძოლაში ჩაბმა, ლეკებმა მდ. მტკვრისკენ დაიხიეს. თავდაპირველად მათ სიმონოვიჩი დაედევნა, მაგრამ შემდეგ შეეშვა და დიდ გზაზე, თრიალეთის ველზე დაიკავა ხელსაყრელი ადგილი. დასვენების შემდეგ იგი ქციის გავლით გაემართა სიმაღლეებისკენ, სადაც თბილისისაკენ, მან-

გლისისაკენ, მცხეთისაკენ, ახალქალაქისა და ხოვლისაკენ მიმავალი გზები იყრიდა თავს.

ეს მოძრაობა ლეკებმა უკან დახევად მიიღეს და შეუტიეს სიმონოვიჩის ჯარებს, მაგრამ ისინი მოგერიებულ იქნენ და დაბრუნდნენ ახალციხის სამფლობელოში, თავიანთ სამყოფელში, რომელიც სოფელ ხერთვისთან ახლოს მდებარეობდა და სადაც მათ ქართველი ტყვეები და საქონელი ჰყავდათ.

8 და 10 აგვისტოს ლეკები კვლავ შემოიჭრნენ საქართველოში და სოფელ ხერციხიულზე თავდასხმას ფიქრობდნენ, მაგრამ კაზაკებმა და მუშკეტერებმა ისინი მოიგერიეს და საზღვარს იქეთ გადარეკეს.

თუმცა გენერალ-მაიორმა ი. ა. ლაზარევმა ახალციხის ახალ ფაშას — შერიფს სთხოვა, აეკრძალა ლეკებისთვის რუსეთის ტერიტორიის რბევა, ის, მართალია, ისმენდა ამ თხოვნებს, სცემდა სხვადასხვა ამკრძალავ განკარგულებებს, სინამდვილეში კი ამარაგებდა ლეკებს საკვებით, მათ უფროსებს კი საჩუქრებით ანებივრებდა.

თავს ესხმოდნენ რა რუსეთის საზღვარს, იმავე დროს ლეკები ცდილობდნენ, ალექსანდრე I-ის მფარველობისათვის მიეღწიათ. 1801 წლის სექტემბერში მათ რამდენიმეჯერ მიმართეს მოქალაქეობის მიცემის თხოვნით რუსეთის ხელმწიფეს, და როცა ი. პ. ლაზარევმა დაიწყო კახეთის საზღვრების შემოვლა, მას ორი დეპუტატიც კი გაუგზავნეს ამ თხოვნით და მისგან წერილობითი პასუხის მიღებას უცდიდნენ. ლაზარევი არ

დათანხმდა, დეპუტატები კი ჯიუტად მოითხოვდნენ. მაშინ გენერალმა მათგან მძევლები მოითხოვა ერთგულების სანაცვლოდ. წაიკითხეს რა წერილი, ლეკთა მეთაურებს არ მოეწონათ და დახიეს, ხოლო თავიანთ დეპუტატებს სახლები დაუწვეს, ერთი მათგანი მოკლეს და უარი თქვეს ლაზარევის მოთხოვნათა შესრულებაზე.

ელოდნენ რა რუსი მეთაურებისაგან საპასუხო ნაბიჯს, ლეკებმა მიიღეს თანადგომის დაპირება შუშის, შემახინის და სხვა სახანოების ხანებისაგან და თავიანთი ქონების დიდი ნაწილი გაგზავნეს დაღესტანში, მცირე ნაწილი კი მიწაში ჩამარხეს და წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. გენერალმა ლაზარევმა კ. ფ. კნორინგს ნებართვა სთხოვა, ჭარ-ბელაქნელი ლეკების მიწებისკენ დაძრულიყო, რათა დარტყმა მიეყენებინა მათთვის, მით უფრო, რომ მთებზე თოვლი იდო, რის გამოც გადაადგილება ჭირდა, რაც ლეკებისთვის დაპირებული დახმარების მიღებას შეუძლებელს ხდიდა. კნორინგმა ეს წინადადება არ მიიღო.

ხედავდა რა, რომ რბევებს ლეკებისთვის დიდი მოგება მოჰქონდა, თურქები შერიფ-ფაშასთან შეთანხმებითა და ლეკებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართლის დარბევებში. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ბრძანება გამოსცა, თურქეთისათვის გადაეცათ მოთხოვნა, რათა ამ უკანასკნელს შერიფ-ფაშასათვის ამის გაკეთება აეკრძალა; ამასთან, ნება არ მიეცათ ლეკებისთვის თავდასხმები თურქეთის ტერიტორიიდან განეხორციელებინათ.

1801 წელს, კნორინგის გამგზავრების შემდეგ,

რუსეთთან მთელი საქართველოს მოსახლეობის შემოერთების საკითხის გარკვევის მიზნით, მან სხვაგვარად განალაგა იქ არსებული კავკასიის გრენადერთა, თბილისის მუშკეტერთა, ყაბარდოს მუშკეტერთა და ეგერთა მე-17 პოლკები. 1801 წლის აგვისტოში შჩედროვის დონის კაზაკთა პოლკი განალაგეს იმ ქალაქებსა და ადგილებში, სადაც იდგნენ სხვა ჯარები (გორში, სურამში, ცხინვალში, მანავში, ბორჩალოში, თელავში, ყვარელში, შილდაში, ჯიგანახში, სოკაბში, მოშნარში, ონაგში, დუშეთში, ხორელში, პარსპანში, ქორიში). კაზაკები პატარ-პატარა პარტიებად — 10-დან 40 კაცამდე — იყვნენ დანაწილებულნი და გამოიყენებოდნენ სხვადასხვა სახის დავალებათა შესასრულებლად.

***

კ. ფ. კნორინგი პეტერბურგში გაემგზავრა და იქიდან ახალი მანიფესტი ჩამოიტანა საქართვე-

ლოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, 1801 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული. ამან გამოიწვია ქართველ უფლისწულთა — ალექსანდრეს, თეიმურაზის, დავითის, ვახტანგის, ფარნაოზის გააქტიურება, რომლებიც ხელმოცარულნი დარჩნენ.

იმერეთში მყოფ უფლისწულთა წაქეზებით რუსებთან საბრძოლველად აღსდგნენ ოსები. კნორინგი იძულებული გახდა, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარები გაეგზავნა. ეს მოხდა 1802 წლის თებერვალში, ხოლო 1801 წლის ოქტომბრიდან 1802 წლის იანვრამდე პერიოდი აღინიშნა ოსთა შემოსევით საქართველოში და საქართველოს სამხედრო გზაზე ძარცვით. ოსთა თავდასხმები საშიში იყო იმით, რომ წყვეტდა ყოველგვარ კავშირს საქართველოსა და კავკასიის ხაზს შორის, რამეთუ ახდენდნენ საქართველოს სამხედრო გზის პარალიზებას. 3 თებერვალს დაიწყო ოსთა წინააღმდეგ გასალაშქრებელი ჯარების კონცენტრირება.

რაზმი შედგებოდა მე-17 ეგერთა პოლკის 2 ასეულის, კავკასიის გრენადერთა პოლკის 3 ასეულის, ორი მსუბუქი საველე ქვემეხისა და შჩედროვის პოლკის 77 კაზაკისაგან. კაზაკებს ამ ოპერაციაში ორი იასაული მეთაურობდა: კ. ს. კონდრაშევი და ი. ი. საპუხინი. აღნიშნული ოპერაციის მნიშვნელობამ განაპირობა დონიდან ოფიცერთა ამ რაოდენობის ჩამოყვანა, თუმცა ჩვეულებრივი საპასუხო დარბევისათვის საკმარისი იქნებოდა ერთიც. რაზმი კონცენტრირებას ახდენდა სოფელ ცხინვალში. 19 თებერვალს რაზმები ცხინ-

ვალიდან გამოვიდნენ და გზად მცირე შესვენების შემდეგ დაიკავეს სოფელი ჯავა. ოსებთან პარლამენტარები გაიგზავნენ. მთიელებმა, შეცბუნებულებმა რუსთა მოულოდნელი მისვლით, უპასუხეს, რომ ოსები, მცხოვრებნი მდინარეების — პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში ქედს იხრიან რუსეთის წინაშე. სიმონოვიჩმა მათ ფიცი ჩამოართვა, აიყვანა მძევლები და შემდეგ დაიძრა სხვა სოფლებისაკენ. ყველგან იგივე მეორდებოდა.

მომავალში ოსთა დამორჩილების მიზნით ფ. კ. სიმონოვიჩმა მათ დაუარსა მმართველობა სამოქალაქო სასამართლოს ფორმით და დაუქვემდებარა მაზრის სასამართლოსა და პოლიციის სამმართველოს, რომელიც გორში მდებარეობდა. ეს სასამართლოები შეიქმნა სოფლებში — ჯავასა და ჩრივში. პირველი — მდინარე პაცისა და დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებთათვის, ხოლო მეორე — მდინარე არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრებთათვის.

***

მაგრამ საქართველოში განლაგებული ჯარების მთავარი მოწინააღმდეგენი მაინც ლეკები იყვნენ. ისინი ძალიან აქტიურობდნენ და ხშირად ახსენებდნენ თავს რუსულ ჯარს. ასე, 7 მაისს იასაულ ი. ი. საპუხინის ასეული იძულებული გახდა, მოეგერიებინა თავდასხმა სოფლებზე — ხოვლსა და ხიდისთავზე, შემდეგ დადევნებოდა ლეკებს და დაემარცხებინა ისინი. თავდასხმებს აწყობდნენ, ასევე, ის ლეკები, რომლებიც თურქების საზღვრის მხარეს მოძრაობდნენ. 12 ივლისს იასაული კ. ს. კონდრაშევი მონაწილეობ-

და თავის კაზაკებთან ერთად თურქეთის საზღვართან, ქალაქ ახალციხესთან და ჯავახეთთან თრიალეთის ველზე ლეკების ძებნაში, რომლებიც რუსის ჯარის წარმატებული დარბევის შემდეგ მიიმალნენ. 13 ივლისს ლეკთა პარტიები დამარცხებული და განადგურებული იქნენ.

1802 წლის 22 აპრილს რუსულ ცხენოსანთა გასაძლიერებლად საქართველოში ჩამოვიდა დონის კაზაკთა პოლკი, რომელსაც პეტრე ივანეს ძე ტარასოვი მეთაურობდა.

ეს დადებითად აისახა საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობაზე, რამდენადაც მოფარებული ადგილები ლეკთა გზაზე უფრო მეტი იყო. ოღონდაც ამ წელიწადს რაიმე ნათელი მოვლენა ოფიცერთა სამსახურეობრივ ჩანაწერებში არაა აღნიშნული. ერთადერთი, რაზეც ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ პოლკთან დაკავშირებით, არის ის, რომ ჯარების ზემდეგ ეფრემოვის სამსახურებრივ ჩანაწერში ჩანიშნულია, რომ საქართველოში ის 25 აგვისტოს მოხვდა, მანამდე კი კავკასიის ხაზზე იმყოფებოდა (4 მაისიდან, ე.ი. თითქმის 4 თვე). ასე იყო თუ ისე, ლეკებთან და ოსებთან საომარ მოქმედებებში 1801-1802 წლებში აქტიურად მონაწილეობდა მხოლოდ პირველი პოლკი, რომელიც საქართველოში 1801 წლის 15 მაისს გამოჩნდა, ხოლო ტარასოვისა და ეფრემოვის პოლკები აქ 1802 წლის აპრილ-აგვისტოში ჩამოვიდნენ და დაიკავეს საქართველო-ლეკეთის საზღვრისპირა პოსტები და იგერიებდნენ მთიელთა მცირე რაზმების თავდასხმებს.

1802 წლის ბოლოს განსაკუთრებული ყუ-

ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲨᲕᲔᲑᲘᲐᲜ

რადღების ღირსი იყო მოვლენა, რომელმაც კარდინალურად შეცვალა სიტუაცია კავკასიის ხაზზე და საქართველოში. იმპერატორ ალექსანდრე პირველამდე მიდიოდა ხმები ამიერკავკასიის მხარისა და კავკასიის ხაზის მოუწესრიგებელი მმართველობის თაობაზე, არადა, მთავარი ახლა იყო საქართველო. კოვალენსკის უტაქტობამ და ანგარებიანობამ საბოლოოდ განარისხა ქართველები, რომლებმაც კვლავ უფლისწულებს დაუჭირეს მხარი. უკეთესად არც კ. ფ. კნორინგი იქცეოდა. ამიტომ 1802 წლის 8 სექტემბერს მეფის ბრძანებით კნორინგიცა და კოვალენსკიც უკან გაითხოვეს, ხოლო მთავარსარდლად საქართველოში გენერალ-ლეიტენანტი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი დაინიშნა. მან მთლიანად შეცვალა მთიელებთან ბრძოლის ტაქტიკა. თუ კნო-

რინგის მთიელებთან დამოკიდებულება უფრო ფლირტს ჰგავდა, ვიდრე ძალისმიერი მეთოდების გამოყენება იყო, რაც მთიელთა თვალში რუსული ხელმძღვანელობის სისუსტედ აღიქმებოდა, რის გამოც, ყველა მცდელობის მიუხედავად, ძარცვა და თავდასხმები არ წყდებოდა, ციციანოვმა პირიქით — აქტიურად გამოიყენა ძალისმიერი მეთოდები, რამაც მას საკმაოდ დიდი წარმატებები მოუტანა.

თავადმა ციციანოვმა, ენერგიულმა და მტკიცე ხასიათის ადამიანმა, მიზნად დაისახა, აღეკვეთა საქართველოზე თავდასხმები და ქვეყანაში სიმშვიდე დაემყარებინა, რამეთუ ის გახლდათ ქართული თავადური გვარის წარმომადგენელი და ენათესავებოდა სამეფო კარს. ამ მიზნის მიღწევა კი შეიძლებოდა სამეფო კარზე ინტრიგების აღკვეთით. უფლისწულთაგან ერთი უკვე იმერეთში იმყოფებოდა, სხვებმა რომ შეიტყვეს ალექსანდრე პირველის თანხმობის შესახებ მათი რუსეთში გაგზავნის თაობაზე, სხვადასხვა მხარეში გაიხიზნენ.

სპარსეთში გაიქცა უფროსი უფლისწული ალექანდრე. ისინი, ვინც იმერეთში მეფე სოლომონთან იმყოფებოდნენ, ალექსანდრეს შეეკრნენ და ცდილობდნენ, ერთობლივად რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ აღმოსავლეთ საქართველო. არც ამას სჯერდებოდნენ — უფლისწული ალექსანდრე ჭარ-ბელაქნელ ლეკებს საქართველოში შეჭრისკენ და იმ ქვეყნის აოხრებისკენ მოუწოდებდა, რომლის მართვასაც თვითონ აპირებდა და რომელიც მისი სამშობლო იყო. ის

ცდილობდა ქართველთა დარწმუნებას, რომ რუსეთს არ შესწევდა ძალა, დაეცვა საქართველო. მისი თხოვნითა და მოწოდებით, ლეკები მცირე პარტიებით განუწყვეტლივ იჭრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რუსული ჯარები ვერ ახერხებდნენ ლეკთა ყველა მცირე დაჯგუფებისათვის თვალის მიდევნებას და ამიტომ პ. დ. ციციანოვმა ბრძანება გასცა, რომ ტყიან და შედარებით მოფარებულ ადგილებში ჩასაფრებულიყვნენ ერთი საჟენის სიგანეზე, ხოლო გაშლილ ადგილებზე ამოეთხარათ თხრილები სამ რიგად, ჭადრაკისებურად.

იმდენად, რამდენადაც პ. ციციანოვი გახლდათ საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII-ის ცოლის, მარიამ ციციშვილის ნათესავი, მათ ერთმანეთში ნათესაურად მოილაპარაკეს და 1803 წლის დასაწყისში მარიამი გაემგზავრა რუსეთში. მაგრამ უფლისწული ალექსანდრე, იულონი და თეიმურაზი აგრძელებდნენ ანტირუსულ საქმიანობას.

1803 წლის იანვარში ელოდნენ ლეკთა დიდი ძალების შემოტევას, მაგრამ შემდეგ შეიტყვეს, რომ ჭარ-ბელაქნელი ლეკები არ დაიძვრებოდნენ, სანამ არ მიიღებდნენ დაღესტნიდან დაპირებულ დახმარებას და თავდასხმა გაზაფხულზე ადრე არ განხორციელდებოდა, რადგან მთები თოვლით იყო დაფარული, ეს დიდ სირთულეს უქმნიდა ჯარებს წელიწადის ამ დროს მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, განსაკუთრებით კი ცხენოსნებს. ლეკთა გეგმებზე კი ურთიერთგამომრიცხავი ხმები დადიოდა.

მმართველი, რომელიც სინგახში იმყოფებოდა, იტყობინებოდა, რომ ჭარელი მეთაურები, თანახმა იყვნენ რა, რუსეთის დაქვემდებარებაში შესულიყვნენ, მზადყოფნასაც კი გამოთქვამდნენ, რომ უფლისწული ალექსანდრე გადაეცათ რუსებისთვის. სინგახის სამხედრო უფროსი, პოდპოლკოვნიკი სოლენიუსი კი პირიქით — იტყობინებოდა ჭარელთა მხრიდან თავდასხმის მზადებაზე, ხოლო გენერალ-მაიორი ვ. ს. გულიაკოვი აცნობებდა, რომ კახეთში უფლისწულმა ალექსანდრემ გამოგზავნა თავისი ხალხი, რომლებიც მოუწოდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას ლეკებთან გაერთიანებისკენ და რომ ბევრი თავადი და მემამულე კახეთისა უკვე ბელაქანში გარბოდა უფლისწულთან.

უფლისწულის მიერ გათამამებული ლეკები დარტყმებს აყენებდნენ საქართველოს საზღვრებს. ერთ-ერთ თავდასხმაზე მოთხრობილია სიმონ სტეფანეს ძე ეფრემოვის სამსახურებრივ ჩანაწერში, რომელიც მსახურობდა ეფრემოვის პოლკში: „803-ის 22 თებერვალს ლეკთა პარტიის დამარცხებისას, რომელიც საქართველოში შეჭრას ლამობდა, დავიჭერი გამჭოლი ტყვიით მარჯვენა ლოყაში...“.

სურდა რა, გაეგო, რა ხდებოდა ჭარ-ბელაქნელ ლეკებთან სინამდვილეში და მოსალოდნელი თავდასხმისთვის წინააღმდეგობის გასაწევად მომზადებულიყო, თავადმა ციციანოვმა დაავალა გენერალ-მაიორ ვ. ს. გულიაკოვს, რაზმთან ერთად გადაადგილებულიყო ურდოსკენ მდ. ალაზანზე და გზად შეერჩია ადგილი რედუტი-

ერთ-ერთი ბრძოლის ეპიზოდი

სათის, რაც ხელს შეუშლიდა ლეკებს, საქართველოში შეჭრილიყვნენ. ამ ღონისძიებით შესაძლებლად მიაჩნდათ, მოეჭრათ პირდაპირი გზა ახალციხისაკენ და ეიძულებინათ ლეკები, შემოევლოთ ყარაგაჩიდან.

ჭარ-ბელაქნელი ლეკები სახლობდნენ ალაზნის იქეთ. სწორედ ისინი უხსოვარი დროიდან აოხრებდნენ კახეთს. ამ დროისათვის 29 სოფელში მდინარის დინების მიმართულებით დაითვლებოდა მათი 80 ათასი სახლი. 29 სოფლიდან 6 იყო მთავარი. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგე საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, რაც არსებითად ართულებდა მათთან ნებისმიერ შეხვედრას. ლეკებთან შებრძოლებისა და მათი დამარცხების შემთხვევაში, გულიაკოვს უნდა გაეგრძელებინა წინსვლა მათ სამფლობელოში და მოეთხოვა მათგან უფლისწულ ალექსანდრეს გად-

მოცემა და ჭარსა და ბელაქანში რუსთა ჯარის შესვლაზე თანხმობა.

1803 წლის 2 მარტს გენერალი ვ. ს. გულიაკოვი დაიძრა რაზმთან ერთად ჭარის ოლქისაკენ. მის სამხედრო ძალას წარმოადგენდა 3 ქვეითი ბატალიონი (1482 კაცი), 8 ქვემეხი და ორასი კაზაკი. უფრო დაწვრილებით კი კაზაკები იყვნენ შემდეგი პოლკებიდან: ეფრემოვისგან — 3 შტაბს-ოფიცერი, 1 — ობეროფიცერი, 3 — ურიადნიკი, 100 — კაზაკი; ტარასოვისგან — 2 შტაბს-ოფიცერი, 2 — ობეროფიცერი, 2 — უორიადნიკი, 59 — კაზაკი; შჩედროვისგან — 2 შტაბს-ოფიცერი, 1 — ობერ-ოფიცერი, 20 — კაზაკი. ამას გარდა, რაზმის შემადგენლობაში შედიოდა 4500 ქიზიყელი, ქართველი თავადი, მემამულე და გლეხი. რაზმის ოფიცრებს დავალებული ჰქონდათ, დაეცვათ ეს საჯარისო შენაერთი ძარცვისგან ლეკთა სოფლებში, რათა არ გაეღვივებინათ ურთიერთსიძულვილი ლეკებსა და ქართველებს შორის, ამასთან, ჰქონოდათ შესაძლებლობა, თუნდაც რაღაც შეთანხმებისთვის მიეღწიათ.

რაზმის გადაადგილებას ამინდი არ სწყალობდა. ვ. ს. გულიაკოვი იტყობინებოდა: **„ჩემდამი დაქვემდებარებული ადგილიდან, ქალაქ სიღნაღიდან ჩემი გამოსვლისას ჭარის ოლქში, 5 მაისიდან გამუდმებით თოვლ-ჭყაპია, რის გამოც მე ვერანაირი საბრძოლო ოპერაცია ვერ განვახორციელე...“.**

მაგრამ ამ სიძნელეთა მიუხედავად, რაზმი გადაადგილდებოდა და უახლოვდებოდა მდინარე ალაზანს. ურდომდე ორ ადგილას გაათიეს ღა-

მე, 4 მარტს კი რაზმი ურდოდან 3 კილომეტრის მოშორებით დაბანაკდა. აქედან გენერალ-მაიორმა ვ. ს. გულიაკოვმა გაგზავნა პოლკოვნიკი დრენიაკინი **„ეფრემოვის პოლკის დონელთა რაზმის რამდენიმე კაზაკთან ერთად როგორც საომარი ფლანგების მხარეს, ისე საქართველოს მოსახლეობის მხარეს ტყისკენ მიმავალი გზის დასათვალიერებლად. აქ მათ მისვლისთანავე შეამჩნიეს, ლეკები მოპირდაპირე მხარეს თუ როგორ ამზადებდნენ მიწაყრილს, ხოლო ორ ადგილას უკვე ყველაფერი მომზადებული ჰქონდათ საბროლველად. მიწაყრილების უკან ცხენოსანთა დიდი პარტიები იდგა, საიდანაც იარაღიდან ისროდნენ მოწინააღმდეგის მიმართულებით. ამის გამო პოლკოვნიკ დრენიაკინს არ შეეძლო კაზაკებთან ერთად ალაზნის გადალახვა წინასწარ მითითებულ ადგილას, სადაც გრუნტისა და წყლის სიღრმე გადასასვლელად ხელსაყრელი იყო“.**

ცეცხლმა, რომელიც ლეკებმა რეკოგნოსცირებულ რაზმს გაუხსნეს, აიძულა გენერალ-მაიორი გულიაკოვი, წაეყვანა ყაბარდოს პოლკის ერთი ბატალიონი, რომლის შეფიც თავად იყო, სამი ქვემეხი, ქართულ ცხენოსანთა რაზმი და ქვეითები და გაეხსნა ქვემეხებიდან ცეცხლი. შედეგად „ლეკთა თავშეყრის ადგილი ცეცხლში გაეხვა, სადაც ქვეითი და ცხენოსანი ლეკების არც თუ მცირე რაოდენობა დაიხოცა“. ვ. ს. გულიაკოვის პატაკი პ. ციციანოვისადმი სინამდვილეს ყველაზე

რეალურად წარმოაჩენს. ამ საბრძოლო მოქმედებათა ადგილას მდინარე ალაზნის ნაპირი ციცაბო იყო, 80 მეტრი სიგანის. კოკისპირული წვიმებისგან ადიდებული მდინარე კი არ იძლეოდა მისი გადალახვის საშუალებას უკანდახეული მოწინააღმდეგის დასადევნებლად. კაზაკებმა კიდევ ერთხელ სცადეს ფონის მონახვა, მაგრამ ფეხის წყალში ჩადგმისთანავე, ცხენები დინებას მიჰქონდა. ამიტომ გენერალმა გულიაკოვმა გადაწყვიტა, შეჩერებულიყო. ბრძოლა მხოლოდ 2 საათს გაგრძელდა და მხოლოდ სროლით შემოიფარგლა. დაიჭრა 6 რუსი ეროვნების ადამიანი, ქართველთაგან მოკლულ იქნა 1, დაიჭრა — 5, ასევე, დაიჭრა კაზაკთა 2 ცხენი, ხოლო თვით კაზაკებს შორის დანაკარგს ადგილი არ ჰქონია.

გულიაკოვის ანგარიშში ნათქვამია, რომ კაზაკები, რომლებიც პოლკოვნიკ დრენიაკინის რაზმში იყვნენ, ეფრემოვის პოლკში ირიცხებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ მესამედს ტარასოვის პოლკის კაზაკები შეადგენდნენ (70 კაცი), რომელთაც იასაული ი. კ. ერკოვნიკოვი მეთაურობდა.

ამ ბრძოლაში ასევე მონაწილეობდა თვითონ პოლკის მეთაური ვასილი ივანეს ძე ეფრემოვი. როგორც ჩანს, ის იყო კაზაკთა სამივე პოლკის მეთაური. ის ხელმძღვანელობდა კაზაკებს 1803 წლის 22 თებერვლის ბრძოლაშიც. მისი პოლკი ყველაზე ბოლოს, 1802 წელს ჩამოვიდა დონიდან, ამიტომ იყო ყველაზე სისხლსავსე, რის გამოც გაიგზავნა ყველაზე სახიფათო მიმართულებით. ტარასოვის პოლკის შტაბ-ბინა თბილისში გადაიტა-

ნეს, ხოლო შჩედროვის პოლკი იცავდა საქართველოს საზღვრებს ლეკთა დარბევისგან, რომლებიც ახალციხიდან ლამობდნენ შემოჭრას.

თავის მხრივ, ამ პოლკებმა ეფრემოვის პოლკის დასახმარებლად თავისივე შემადგენლობიდან გამოყვეს გარკვეული რაოდენობა კაზაკებისა. როგორც ვხედავთ, ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჭარ-ბელაქნელ ლეკთა მხრიდან საფრთხის წარმატებით ლიკვიდაციაში.

4 მარტს დონელებმა ბრძოლაში დიდი გმირობა გამოიჩინეს, ორჯერ შეეცადნენ რა ფონის მონახვას ალაზანში, მაგრამ მთიელთა ცეცხლისა და მდინარის დინების სიჩქარის გამო მათ ეს ვერ შეძლეს. იმას, რომ ყველა მთიელი არ იქნა გამოყვანილი სიმაგრიდან, ასაბუთებს გენერალ გ. ა. ლეერის რედაქციით დაწერილი ნაშრომი. იქნებ გერმანული პედანტობისა და პუნქტუალობის გამო არ დაწერა და რუსულ პატრიოტიზმს თამაშობდა, როცა იმის ნაცვლად, რომ მთიელებმა სრული შემადგენლობით უკან დაიხიეს ფონიდანო, სინამდვილეში სათქმელი ასე ჩამოაყალიბა: 1) ჩვენი იარაღის ცეცხლის წყალობით იქაურობა გადაბუგული იქნა და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ცოტათი დაეხია, მაგრამ დარჩა მდინარის მეორე მხარეს ჩვენი რაზმის თვალსაწიერზე“.

ამდენად, შემოიფარგლნენ რა ორსაათიანი სროლით, ვ. ს. გულიაკი დაბრუნდა თავის ღამისგასათევ ადგილას და დადგა რეალობის წინაშე — მოეძებნა სხვა გადასასვლელი ადგილი, მით უფრო, რომ კახეთის ადგილობრივი თავადები-

სა და მცხოვრებთა ჩვენებით, ალაზნის მარცხენა სანაპიროზე არსებული ყველა სოფელი დაცარიელებული იყო, რაც უკიდურესად მოუხერხებელს ხდიდა საკმაოდ დიდი რაზმის გადაადგილებას. გაითვალისწინეს რა შემდგომში თავადთა რჩევები, რომ ყველაზე კარგი გადასასვლელი სოფელ ანაგასთან არისო, გულიაკოვი, მართალია, დაიძრა იქითკენ, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მოატყუეს, რადგან გზა იყო ძალიან რთული, ჭაობიანი, გაუვალი ტყეებით, გადასასვლელი კი იყო სამ დიდ მდინარეზე. ასე თუ ისე, 8-ში მიაღწიეს მდინარე ცენიეკევს, საიდანაც უთენია გაემართნენ ბელაქნისკენ. გულიაკოვის რაზმის შემადგენლობაში შემავალი ჯარები შედგებოდა ყაბარდოელთა პოლკის ორი ბატალიონის, ტიფლისის ერთი ბატალიონის და 200 კაზაკისგან. 8 მარტის დილას ციციანოვმა მას უბრძანა, გადალახეს რა ალაზანი, მხოლოდ მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებული სოფლები აეღოთ, მაგრამ არ გაემართათ ბრძოლა ჯავის ან ბელაქნისთვის, რათა ხალხი არ შეეშინებინათ.

ოღონდ როცა გენერალ-მაიორმა გულიაკოვმა ნახა, რომ სოფლები, როგორც მას ადგილობრივი მოსახლენი ეუბნებოდნენ, ცარიელი აღმოჩნდა, გადაწყვიტა, მოწინააღმდეგისათვის შემოევლო და პირდაპირ ბელაქნისკენ დაძრულიყო. მიუახლოვდა რა ამ სოფელს პოლკოვნიკმა დრენიაკინმა დილით დატოვებული ბანაკიდან 6 კმ-ის მოშორებით ტყეში შენიშნა ლეკთა სიმაგრეები, სადაც მოწყობილი იყო ჩასასაფრებელი ადგილები, შემოფარგლული ირგვლივ ჭაობით, რო-

მელსაც 250 კვ. მეტრის ფართობზე მეტი ეკავა. აღმოაჩინა რა ეს, დრენიაკინი უღრან ტყეში შევიდა, წინ გაგზავნა ფლანგელები (ეფრემოვის კაზაკთა პოლკი). სწორედ ისინი გადააწყდნენ ლეკთა გამაგრებულ ადგილებს.

გამაგრების მიღმა მოჩანდა ლეკთა დიდძალი ჯარები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ არა მხოლოდ ჭარ-ბელაქნელები. „ტყვედ ჩავარდნილი ლეკები უფლისწულის ამალის თავადები ადასტურებდნენ, რომ უფლისწულ ალექსანდრესა და თეიმურაზს ჰყავდათ დაღესტნიდან, ნუხიდან და აქაური ლეკური სოფლებიდან შეგროვებული 10 ათასი კაცი“, ე.ი. ჭარ-ბელაქნელთა მოსალოდნელი დამხმარე ძალა დაღესტნიდან უკვე მოსული იყო და ახლა მზად იყო იერიშზე გადმოსასვლელად. მათ შესახებ ხმები რუს მეთაურებამდე წლის დასაწყისიდან მოდიოდა. აქვე იყვნენ ქართველი უფლისწულები ალექსანდრე და თეიმურაზი, რომლებიც ამხნევებდნენ მთიულებს დიდი დარბევის მზადების პროცესში. იმის გამო, რომ გულიაკოვმა თავისი ინიციატივით წაიყვანა თავისი რაზმი ბელაქანზე, ჩანაფიქრი ჩაიფუშა!

ვასილი სიმონის ძემ, გამაგრების პირადად შემოწმებისა და გარემოს გაცნობის შემდეგ, დატოვა რა თავდაცვისათვის ქართული მხედრიონი, ჯარების ნაწილი გამოჰყო მოწინააღმდეგის ფლანგების დასაზვერად, დანარჩენებით კი შეუტია მოწინააღმდეგეს პირდაპირ ცენტრალურ სიმაგრეში. **„პირველი ცეცხლი არტილერიამ გახსნა, მაგრამ, როცა ტყე არ იძ-**

ლეოდა მოქმედების საშუალებას და უკვე სიმაგრესთან საკმაოდ მიახლოებული იყვნენ, ატყდა შაშხანიდან სროლა. მოწინააღმდეგე ძლიერი ცეცხლით შეხვდა, მაგრამ რუსული ჯარების სიმამაცისა და ხიშტების სიძლიერის წყალობით ლეკთა ჯარები მთლიანად განადგურდა და ქართველ ფეხოსანთა ნაწილის მიერ განდევნილ იქნა ტყისა და ჭაობის მთელი ტერიტორიიდან გასაოცარი სისწრაფით, ბელაქნის ლეკებისაგან გასუფთავებულ ველი თითქმის სამ ვერსზე იყო გადაჭიმული; დონელმა კაზაკებმა და ქართულმა მხედრიონმა სხვადასხვა მხარეს გაფანტეს ლეკები, ამასობაში დროზე მოუსწრო მათ ჩვენმა ავანგარდმა მსროლელებით და ქართველმა ქვეითებთან ართად ბელაქნიდან მთლიანად გაყარეს ლეკები“.

თვითონ ბელაქანში ლეკები ცოტანი იყვნენ, რამაც გარკვეულწილად ეს წარმატება განაპირობა. მაგრამ სხვა სიტუაცია რომ ყოფილიყო, საქმე შეიძლება სხვაგვარად შემობრუნებულიყო. სოფელი მდებარეობდა საკმაოდ ძნელადმისასვლელ ადგილას და ყველა სახლი ქვის ღობით იყო გარშემორტყმული, რასაც შეიძლებოდა მთიელებისათვის საუკეთესო დაცვა უზრუნველეყო, მაგრამ სიმაგრეებიდან ტყეში გაყრილმა და კაზაკთა და ქვეითთა მიერ დროულად დევნილმა ლეკებმა ვერ მოასწრეს სოფლის დაკავება და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. რუსული რაზმის ნა-

წილი, რომელიც შედგებოდა ქართველი ქვეითებისა და ცხენოსნებისგან, შეიჭრნენ რა ბელაქანში, შეუდგნენ ლეკთა სახლების ძარცვას ლეკებზე შურისძიების მიზნით. მათი შეჩერება შეუძლებელი შეიქნა, მაგრამ ციციანოვის მიერ მიცემული ინსტრუქცია რაზმის ოფიცერ გულიაკოვს უნდა შეესრულებინა. გარდა ამისა, გამწარებულმა ქართველებმა არა მარტო გაძარცვეს ბელაქანი, არამედ მთლიანად გადაწვეს იგი. ლეკები ისე სწრაფად იხევდნენ უკან, რომ ყველაფერს ტოვებდნენ, მათ შორის უფლისწულ ალექსანდრეს ნივთებიც და მისი წერილებიც კი დარჩათ“.

ამასობაში რუსი ქვეითები და კაზაკები სოფლის იქეთ განლაგდნენ. ყაბარდოს პოლკის ბატალიონი, მაიორ ალექსეევის მეთაურობით, ბელაქნის მარჯვენა მხარისკენ დაიძრა, რათა ლეკებისათვის მთებისკენ მიმავალი გზა მოეჭრათ, მაგრამ



შეძლეს მხოლოდ მათი უმნიშვნელო რაზმებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

ორსაათიანი ბრძოლის შედეგად, ტყეში სიმაგრის აღებითა და თვით ბელაქნის დაპყრობით რუსებმა დაკარგეს 7 ადამიანი, 33 კი — დაიჭრა; მათ შორის — 3 კაზაკი ეფრემოვისა და ტარასოვის პოლკებიდან. ლეკებს ჩამოერთვათ 3 ალამი, მოუკლეს 500 კაცი, უფლისწულ ალექსანდრეს ამალიდან ტყვედ აიყვანეს ორი თავადი — ვიღაც გურგენიძე და ნოშრევან ქორქაძე, ასევე ლეკები: 44 მამაკაცი და 92 ქალი.

გენერალ-მაიორმა ვ. ს. გულიაკოვმა სთხოვა პ. დ. ციციანოვს, ჯილდოზე წარედგინა ის ოფიცრები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს. მათ შორის დონის კაზაკთა პოლკის ზემდეგი ეფრემოვი, რომელიც კაზაკებთან და ქართულ მხედრიონთან ერთად დაედევნა მოწინააღმდეგეს და თავისი სიმამაცით მაგალითს აძლევდა თანამებრძოლებს. ასევე წარდგენილ იქნენ უფრო დაბალი ჩინის ოფიცრები და მეთაურები, რომელთა შესახებ გულიაკოვი აღნიშნავდა: „მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალებას წარვუდგინოთ განსახილველად ქვემოთ მოხსენიებული ოფიცრები და უმორჩილესად გაუწყოთ, რომ, მართალია, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, საოცარი გმირობა გამოეჩინათ, მაგრამ თავიანთი გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით, სადაც იყვნენ, იცავდნენ წესრიგს და იმსახურებენ ყურადღებას... ესენი არიან: იასაული ეფრემოვი, ურიადნიკები: პერფილოვი, ტერენტევი, პოლკის მწერალი ფროლოვი...“.

თუკი გულიაკოვი ციციანოვისადმი გაგზავნილ პატაკში წერდა, რომ მათ ვერაფრით შეაკავეს შურისძიებით გამძვინვარებული ქართველები ბელაქანში, ამ ფაქტთან დაკავშირებით **ვასილ პოტო** აღნიშნავს, რომ **„ბელაქანი უბრძოლ-ველად იქნა აღებული. რამდენადაც ადგილობრივი მცხოვრებნი ფეხდაფეხ მისდევდნენ ლეკებს, ამიტომ გულიაკოვმა გასცა ბრძანება ისინი ნანგრევებში დაებრუნებინათ“.**

მოტივების ინტერპრეტაცია განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, რომ, როგორც ჩანს, გულიაკოვს უნდოდა, თავის პატაკში ეჩვენებინა ჯარების მიერ ციციანოვის მითითებათა შესრულების თაობაზე ლეკებისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამოჩენის შესახებ, რათა მათთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა ჰქონოდათ; ვ. ა. პოტომ კი, აღწერა რა ეს მოვლენები უკვე 80 წლის შემდეგ და ამასთან, ხელთ ჰქონდა რა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანი დოკუმენტები და მოგონებები, იპოვა გულიაკოვის პირდაპირი ბრძანება ბელაქნის დანგრევის თაობაზე, მაგრამ შესრულებული „პოლიტიკურად“: რუსები სოფელთან ახლოს იდგნენ, ქართველები კი წვავდნენ და ძარცვავდნენ. ასეთი სურათი ომის პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და არა მარტო კავკასიაში, — ევროპაშიც. წვავდნენ ფრანგებიც, ინგლისელებიც, სპარსებიც, ავსტრიელებიც, თურქებიც და სხვა ხალხებიც. მაგრამ რამდენი გადაწვეს თვითონ

ლეკებმა?! ხოლო იმის უფლება, რომ „უპასუხო“ იმავე მეთოდებით, რასაც ლეკები აკეთებდნენ მათ სოფლებში, ქართველების მხრიდან იყო მხოლოდ სამართლიანი შურისძიება“!

ბელაქნის განადგურების შემდეგ ვ. ს. გულიაკოვმა რაზმი ჭარისაკენ შემოატრიალა, მთავარი სოფლისკენ — ჭარ-ბელაქნელი თავისუფალი ლეკების საზოგადოებისაკენ. ამასთან, პარალელურად გზაზე განადგურდა ნურის ხანის ჯარები 2 ქვემეხით, რომლებიც ჭარელთა დასახმარებლად მოვიდნენ. ჩვენ ნურელები ვნახეთ ლეკთა 10-ათასიანი ჯარების შემადგენლობაშიც, როცა ისინი იცავდნენ ბელაქნის წინ, ტყეში, სიმაგრეს. ისინი, როგორც ჩანს, იყვნენ მეწინავე რაზმები, ხანის ბრძანების შესასრულებლად მოსულნი. ესენი კი მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ნურელებისათვის.

ვ. გულიაკოვი შეუპოვარი ბრძოლისთვის ემზადებოდა. შემდგომ ვ. პოტო წერს: **„ბელაქნელთა განადგურების თაობაზე ხმა ისე სწრაფად გავრცელდა მთელს შემოგარენში, რომ, როგორც კი კაზაკთა მეწინავე რაზმები კახეთის სოფლებში გამოჩნდნენ, ნურელები წავიდნენ და ჭარელებმაც, მიტოვებულებმა მოკავშირეებისაგან, ქედი მოიხარეს“.**

წარმატებულ მოქმედებათა უპირველესი შედეგი უნდა ყოფილიყო, როგორც გვახსოვს, მოთხოვნა, ჭარსა და ბელაქანში შეეყვანათ რუსული გარნიზონი. ახლა, გამოიყენეს რა წარმატება, ციციანოვს არ უნდოდა ამით შემოფარგ-

ლულიყო, მაგრამ ვ. გულიაკოვს დაავალა, მოეთხოვა, რომ ლეკებს რუსეთის ქვეშევრდომობაზე ფიცი დაედოთ, ხოლო რუსები აღარ უნდა ჩარეულიყვნენ მათ შინაურ საქმეებსა და მართვის სისტემებში, თუკი ისინი დათანხმდებოდნენ, გადაეხადათ ის ხარკი, რომელსაც უხდიდნენ საქართველოს მეფეებს. ასევე, ჭარელებს უნდა გადაეცათ უფლისწული ალექსანდრე, რომელსაც რუსები ჰპირდებოდნენ შენდობას.

ნურის ხანმა, არ მონაწილეობდა რა ამ ბრძოლებში, გადაწყვიტა, დახმარებოდა ლეკებს, თუნდაც შუამავლობით რუსეთთან ხელშეკრულების დასადებად. ჭარელებმა გენერალ გულიაკოვს აცნობეს თავიანთი მზადყოფნის შესახებ — რუსეთის ქვეშევრდომობას დათანხმებოდნენ. სანამ მიმდინარეობდა მოლაპარაკებებისთვის მზადება, უფლისწულმა ალექსანდრემ, ეშინოდა რა, ლეკები ციციანოვის მოთხოვნებს შეასრულებდნენ მასთან დაკავშირებით, ყარაბაღში გაიქცა. რაკი ლეკებმა თავად ითხოვეს მშვიდობის დამყარება, ციციანოვმა გულიაკოვის მეშვეობით მათ შემდგომი მოთხოვნები წაუყენა, რომლებიც შემდგომ რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ პატაკშიაც იყო ჩამოყალიბებული:

„ჩემი მოთხოვნები და სამშვიდობო პირობები შედგება 5 პუნქტისაგან:

პირველი. რადგან უფლისწული ალექსანდრე წავიდა ყარაბაღში, ის აღარ იქნას შემოშვებული ჭარსა და ბელაქანში;

მეორე. ორივე ქალაქში დატოვებულ იქნას რუსული გარნიზონი;

მესამე. ხარკი გადახდილ იქნას აბრეშუმით, რომელსაც უხდიდნენ საქართველოს მეფეებს;

მეოთხე. მოსახლეობის პატივდებული წარმომადგენლებიდან რამდენიმე მძევლად მიეცათ;

მეხუთე. იროას ვიძლევი, რომ მათ შინამმართველობაში არ ჩავერევი, რომელსაც ყველა თავისი უფლება და უპირატესობა შეუნარჩუნდება“.

ჭარელები ამ მოთხოვნათა შესრულებაზე არ დათანხმდნენ და გენერალ-მაიორი გულიაკოვი დაიძრა სოფელ ჭარისკენ. 27 მარტს რაზმმა დაიკავა კახეთის სოფლები, ხოლო 29-ში თვითონ ჭარელები, ადგილობრივთა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ითხოვდნენ შეწყალებას და თანახმა იყვნენ ყველაფერზე, რასაც კი შესთავაზებდნენ. ლეკთა საზოგადოებამ თბილისში თავად ა. ციციანოვთან დეპუტატები გაგზავნა, რომელმაც მათთან სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ადრე წარდგენილ პირობებზე. დაზუსტებულ იქნა, რომ ჭარ-ბელაქნელები ვალდებული იყვნენ, ყოველწლიურად 22 ფუთი აბრეშუმი გადაეხადათ ხარკის სახით.

იცოდნენ რა მთიელთა ხასიათი, რომ პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში შეეძლოთ დაერღვიათ შეთანხმება, ციციანოვი, ლეკთა დარბევისაგან ქართველთა უსაფრთხოების მიზნით, შეუდგა მდინარე ალაზანზე, ურდოს ფონთან რედუტის გაკეთებას, რაც დაავალა გენერალ გულიაკოვს ჯერ კიდევ ექსპედიციის დასაწყისში, და კაზაკებისა და ფეხოსნების პოსტები განალაგა მდინარის ზემოთ და ქვემოთ. რედუტმა მიი-

ღო სახელწოდება „ალექსანდროვის რედუტი ალაზანზე“. იქ გათვალისწინებული იყო კავკასიის გრენადერთა პოლკის ბატალიონის დატოვება „ჭარელთა თავისუფალი საზოგადოების მოქმედებაზე თვალყურის სადევნებლად“.

ჭარის აღებისას ვ. ს. გულიაკოვი მოიქცა იმის საპირისპიროდ, რაც გააკეთა ბელაქანში. **მან სამხედრო დისციპლინის მთელი სიმკაცრე გამოიყენა, რათა ქართველებს ძარცვისგან თავი შეეკავებინათ და ჭარელები არა მარტო ხელშეუხებელნი აღმოჩნდნენ, არამედ ამან ის შედეგიც გამოიღო, რომ მთიელებს რუსების მიმართ ნდობა და სიმპათია გაუჩნდათ**. გულიაკოვმა სოფელი 31 მარტს დატოვა და ურდოს ფონთან დაბრუნდა, სადაც იმ დროს პოლკოვნიკმა დრენიაკინმა მოაწყო ალაზანზე გადასასვლელი. ყოველივე ამან ნამდვილად შეცვალა ჭარელთა დამოკიდებულება რუსებისადმი და დააჩქარა რუსეთთან შეთანხმებაზე ხელისმოწერა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლეკების ფიცის დადება მთელ თვეს გაგრძელდა, და მხოლოდ 28 აპრილს დასრულდა. ამ აქციაში მონაწილეობდნენ ეფრემოვისა და ტარასოვის პოლკების დონელი კაზაკები. მაგრამ მასში თუ მონაწილეობდა შჩედროვის პოლკის კაზაკთა ჯგუფი, ძნელი დასადგენია, რამეთუ იგი დატოვებულ იყო გადასასვლელის დასაცავად ურდოსთან, ამასთან, ეს მოვლენები შჩედროვის პოლკის ოფიცერთა სამსახურებრივ ჩანაწერებშიც არაა ასახული.

ერთი რამ ნათელი იყო, რომ ჭარ-ბელაქნელთა მიცემული ფიცი დროებითი იყო. რუსეთი-

სადმი მათი თავდადება და მის დაქვემდებარებაში შესვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ლეკთათვის ხელსაყრელ და საჭირო მომენტამდე, ზუსტად ისე, როცა ერთი წარუმატებლობით, დიდი წინააღმდეგობის გარეშე დათანხმდნენ ქვეშევრდომობას. როგორც იოლად და მარტივად მიიღეს ჭარ-ბელაქნელებმა მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ისევე მარტივად და მალე — ორ თვეში დაარღვიეს ისინი. როგორც ნ. კ. დუბროვინმა განაცხადა, „აქ ადგილი ჰქონდა მხოლოდ აზიურ ეშმაკობასა და ღალატს“.

მარცხი, რომელიც იგემეს ლეკებმა, ჯერაც ვერ უზრუნველყოფდა მთელს საქართველოზე მტაცებლური თავდასხმების აღკვეთას, მით უფრო, რომ ქართველ უფლისწულთა ინტრიგებს საზღვარი არ ჰქონდა. ეს ინტრიგები არ შემოიფარგლებოდა ერთეული მთიელი ტომების რუსეთის საზღვრებში შეჭრით, არამედ ცდილობდნენ, აემხედრებინათ იმერეთსა და სამეგრელოს მფლობელებიც. ციციანოვმა მოითხოვა უფლისწულების ლეკთა ტერიტორიიდან გაძევება და თავისიც გაიტანა. ასევე, მოლაპარაკებათა შედეგად რუსეთს სამეგრელოც შეუერთდა, და ეს მეფე ალექსანდრე I-ის უმაღლესი სიგელით იქნა დადასტურებული 183 წლის 4 ივლისს.

გაქცეულ უფლისწულებს იმერეთის დატოვებაც მოუხდათ. მათ თავი შეაფარეს სპარსეთის ხანებს. ერთ-ერთმა პირველმა ისინი მიიღო განჯის ხანმა ჯევანმა, რომელიც რუსეთის აშკარა მტერი გახლდათ. ის უფლისწულ ალექსანდრეს მხარში ამოუდგა და თავად წერდა წერილებს შვილებს,

რათა დახმარებოდნენ საქართველოს გათავისუფლებაში რუსული მმართველობისაგან.

ციციანოვის მოთხოვნას, რომ ჯევათ-ხანს შეეწყვიტა ინტრიგები და არ ჩაეყო ცხვირი სხვის საქმეებში, წარმატება არ მოჰყოლია. მაშინ კაკასიის მთავარსარდალმა გადაწყვიტა, ძალით გაეკეთებინებინა ხანისთვის ის, რასაც მისგან თხოვნით ვერ მიაღწია. ჯარების ნაკლებობა საქართველოში და საბრძოლო საშუალებების გაძლიერების საშუალების არ ქონა თავად ციციანოვს იძულებულს ხდიდა, ის რეზერვები გამოეყენებინა, რაც მის ხელში იყო. 9 ბატალიონს ეკავა გარნიზონები სხვადასხვა პუნქტში და არ შეიძლებოდა მათი ჩართვა ჯარების საბრძოლო მოქმედებებში. ამ ჯარებით შეიძლებოდა მხოლოდ ლეკთა და ჯევათ-ხანის სამძებრო ოპერაციების ჩატარება. მეტისთვის ძალები საკმარისი არ იყო.

ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის შეფს, გენერალ-მაიორ უ. ს. გულიაკოვს, რომელიც ასე წარმატებულად მოქმედებდა ჭარის ოლქში, ებრძანა, რომ სამ ბატალიონთან ერთად დაძრულიყო ჭარელთა მოსაზღვრე სამურის ბეგების მიწებისაკენ და დაექვემდებარებინა ისინი რუსეთისათვის. ამავე დროს, მას ამით ევალებოდა, მდინარე მტკვარზე მოეძებნა ხელსაყრელი ადგილი გადასასვლელად, რომელსაც, თბილისიდან დაწყებული, ჰქონდა ციცაბო ნაპირები და მოითხოვდა გადასასვლელის მოსაწყობად დიდ დროს. მოაწყო რა მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადასასვლელი, ციციანოვი ფიქრობდა,

დაძრულიყო მარჯვენა სანაპიროსკენ, რათა თავს დასხმოდა განჯას და ამით ჯევათ-ხანისთვის საბოლოოდ მოეღოთ ბოლო. ამ ოპერაციის ჩატარება მან ორ პოლკს უბრძანა: ნარვისა და ეგერთა მე-9 პოლკებს კავკასიის ხაზიდან.

მაგრამ, როცა ჯარები მზად იყვნენ განჯაზე გასალაშქრებლად, პ. ციციანოვი მცირე ხნით ლეკებმა შეაკავეს, რომლებიც ქართლის მხრიდან გამოჩნდნენ. ეს ის მიმართულება იყო, რომელიც ლეკებმა გამოიყენეს ახალციხისა და თურქეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმის შეუძლებლობის შემთხვევაში მდ. ალაზნის დინების მიმართულებით. ამგვარი მოქმედების შეუძლებლობა გულიაკოვის რაზმისთვის შეიქნა 1803 წლის მარტში. ამან კი უბიძგა სხვა მხრიდან თავდასხმებისკენ. თუმცა ციციანოვმა ლეკთა თავდასხმებისგან თავდასაცავად გორისა და დუშეთის მემამულეებს დაავალა, ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შეეკრიბა დაცვა, მაგრამ ეს დაცვა არ გამოდგა ამ საქმისთვის შესაფერისი. ამიტომ დონის კაზაკთა შჩედროვის მეორე პოლკი პატარ-პატარა ნაწილებად განაწილდა საზღვარზე და, ამდენად, მასაც ბევრი არაფრის გაკეთება შეეძლო.

ციციანოვის ბრძანება — გაეწმინდათ და მიმოსვლისათვის უხიფათო გაეხადათ გზა გორიდან წალკამდე — გახდა საბაბი ლეკებთან შეჯახებისა, რომლებიც ახალციხის მხრიდან შემოიჭრნენ საქართველოში. ამ გზის გასაწმენდად გაგზავნილ კაპიტან ენოხინს 108 ქართველ მუშასთან, 10 ეგერთან და შჩედროვის პოლკის 9 კა-

ზაკთან ერთად 12 ივნისს ლეკები დაესხნენ თავს წალკიდან 20 კმ-ის მოშორებით. მუშათა ჯგუფი გაიფანტა, თვითონ ეროხინმა გადარჩენილ 6 კაზაკთან ერთად სამ საათში 70 კმ. გაირბინა და იმავე დღეს, საღამოს 10 საათზე თავდასხმის შესახებ აცნობა პოლკოვნიკ ცეხანსკის, მიუთითა რა, რომ ლეკები მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მოდიან მაღლა დინების საწიანაღმდეგოდ სოფელ ხოვლისკენო.

იმავე ღამეს ქალაქ გორიდან გაგზავნილ იქნა რაზმი შჩედროვის პოლკიდან შტაბს-კაპიტნის — ბორდნოვის მეთაურობით. რაზმში შედიოდნენ: ორი უნტეროფიცერი, 30 რიგითი და 10 კაზაკი. გადაცურეს რა მდინარე მტკვარი ტივებითა თუ გაბერილი ტყავებით, რაზმს სამი კილომეტრიც არ გაუვლია, რომ პოლკოვნიკმა ცეხანსკიმ მიიღო შეტყობინება, რომ ლეკთა იგივე რაზმი უკვე ქარელს მიადგა, სადაც რუსთა ერთი ასეული იდგა. თავის განკარგულებაში უკვე რაკი არ ჰყავდა მეტი ხალხი, მათგან რომ ახალი რაზმი შეედგინა, პოლკოვნიკმა ცეხანსკიმ შტაბს-კაპიტან ბორდნოვის რაზმი უკან დააბრუნა და უბრძანა ქარელისკენ წასვლა, მაშინ შეიტყო, რა რუსთა ასეულს ლეკებთან ბრძოლა უკვე გადაეხადათ.

ამ ასეულის მეთაურმა კაპიტანმა სეკერინმა, ხედავდა რა, როგორ მიერეკებოდნენ ლეკები ქარელის მკვიდრთა საქონელს, არ იცოდა მტრის მრავალრიცხოვნების შესახებ, ამიტომ გადაწყვიტა, დადევნებოდა მათ. სეკერინს არ ჰქონდა მეთაურის ის თავშეკავება და სიფრთხილე, რო-

მელიც საჭიროა ტყიან, მთიან და მსგავს ადგილებში, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეუძლია მოწინააღმდეგეს მიმალვა. მოუზომავი ნაბიჯი ასეთ შემთხვევებში ყოველთვის დამღუპველია. ასე იყო ამჯერადაც!

გაიარა რა თავისი ასეულით (რომელშიც მხოლოდ 44 კაცი და 15 დონელი კაზაკი იყო შჩედროვის პოლკიდან) 7 კილომეტრი სოფლიდან, სეკერინი ლეკთა ალყაში მოექცა და მოწინააღმდეგის პირველი გასროლისთანავე დაიჭრა. ხელმძღვანელობა პორუჩიკმა რეგულისკიმ გადაიბარა. იგი გაცხარებით იბრძოდა და ორჯერ მიადენა ლეკები ტყისკენ. მაგრამ მეორე შეტევისას მან სეკერინის შეცდომა გაიმეორა, დაედევნა მტერს და სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაიღუპა. ჯარისკაცებმა დაკარგეს რა ყველა ოფიცერი, აღმოჩნდნენ ტყის პირას კაზაკებთან ერთად (სადაც 35 კაცი დაიღუპა).

კაპიტან სეკერინის ასეულისა და 15 დონელი კაზაკის გმირულად დაღუპვის ადგილას XX საუკუნის დასაწყისში, გენერალ-მაიორ ვ. პოტოს ინიციატივით, დაიდგა ძეგლი, რუს მებრძოლთა გმირული თავდადების უკვდავსაყოფად, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად შეაჩერეს ლეკთა დაგეგმილი შემოსევა.

ამ ბრძოლის შემდეგ ლეკები კვლავ ახალციხისკენ გაბრუნდნენ. თავადმა პ. ციციანოვმა გენერალ-მაიორი, თავადი ორბელიანი დანიშნა კორდონის უფროსად სურამიდან წალკამდე და უბრძანა, გამოეძახებინა ქართველი თავადები და მემამულეები და მათგან შეეგროვებინა მო-

ნადირეები, რათა დადევნებოდნენ ლეკებს და აუცილებლად განედევნათ საქართველოდან. იმავე დროს ციციანოვმა წერილი გაუგზავნა რეჯიბ-ფაშას ახალციხეში, რომლის სამფლობელოზე გავლითაც წავიდნენ ლეკები. წერილში ატყობინებდა ახალციხის ფაშას, ამიერიდან აღარ გაეტარებინა ლეკები მის ტერიტორიაზე, თუკი არ უნდოდა გაეწყვიტა როგორც პირადი ურთიერთობა რუსებთან, ასევე, — რუსეთსა და თურქეთს შორის სახელმწიფოებრივი კავშირი.

გენერალ-მაიორი, თავადი ორბელიანი, გააერთიანა რა მე-9 ეგერთა პოლკის 9 ასეული, კავკასის გრენადერთა 2 ასეული და 135 კაზაკი შჩედროვის პოლკიდან (14 ქვემეხით), გამოუდგა ლეკებს, რომლებიც ზემო ქართლის საზღვრებში შეიჭრნენ, მათთან ერთად შევიდა ახალციხის საფაშოში და 3 ივლისს ტაბაწყურის ტბასთან დაბანაკდა. აქედან მან წერილი გაუგზავნა რეჯიბ-ფაშას, ახალციხის საფაშოდან ლეკების განდევნაში მისგან თანამონაწილეობას მოითხოვდა. ფაშამ უპასუხა, რომ ის მზადაა, შეასრულოს თხოვნა, თუკი რუსული ჯარები დატოვებენ ახალციხის საზღვრებს და კვლავ ქარელში დაბრუნდებიან.

გენერალ-მაიორმა ორბელიანმა უკან დაიხია და დაბანაკდა ცხრაწყაროს რაიონში, საქართველოს საზღვრებში და იქ ელოდებოდა რეჯიბ-ფაშასაგან პირობის შესრულებას.

ახალციხის გარდა, ლეკთა თავდასხმა დაღესტანის მხრიდანაც ხდებოდა, რამდენადაც ჭარელებმა, თუმცა პირადად არ მონაწილეობდნენ ამ

თავდასხმაში, მაგრამ დაარღვიეს მათთან დადებული ხელშეკრულების პირობები. ლეკთა 1000-კაციანმა პარტიამ, გაიარა რა დაღესტნის მხრიდან ჭარისა და კახეთის სოფლებზე, 9 ივლისს, დღის 2 საათზე გადალახა მდ. ალაზანი მოფარებულ ადგილას, 6 კმ. მოშორებით თბილისის ბატალიონის ბანაკიდან და ხის ტოტებითა და რიდეებით შენიღბული თავს დაესხა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის მეწინავე პიკეტს, რომელიც 20 კაცისაგან შედგებოდა და რომელსაც უნტერ-ოფიცერი მეთაურობდა. წააწყდნენ რა ძლიერ წინააღმდეგობას, მთიელები ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთი ალაზნის იქეთ გაბრუნდა, მეორე კი, შედგებოდა რა 300-მდე შედარებით უკეთესი ცხენოსნისგან, იმავე ყაბარდოს პოლკის რემას დაესხა თავს, რასაც დაუპირისპირდა რუსული იარაღი.

ლეკებმა დაინახეს რა, რომ აქაც არ გაუმართლათ, ჯერ თბილისის ბატალიონის რემას დაესხნენ თავს, შემდეგ კი იქვე, საძოვარზე გაშვებულ ეფრემოვის პოლკის დონელ კაზაკთა რემას.

ამის შესახებ გენერალ ციციანოვს 9 ივლისს გაგზავნილ პატაკში გულიაკოვი ატყობინებდა, რომ ორმხრივი სროლის შედეგად ცხენები დაფრთხნენ და მათი შეკავება შეუძლებელი გახდა, ხოლო მტაცებელმა ლეკებმა მოახერხეს მთელი რემა ალაზნის მეორე მხარეს გადაერეკათ.

ლეკთა თავდასხმის თაობაზე რომ შეიტყო, გენერალმა გულიაკოვმა მაშინვე გაგზავნა ჯარების ზემდეგი ეფრემოვი რეზერვისტებთან ერთად, რათა კვალში ჩასდგომოდნენ გამტაცებ-

ლებს, მაგრამ მთელი რიგი ბუნებრივი პირობების გამო ეს ვერ მოახერხეს.

ლეკთა მხარეს დაიღუპა 12 კაცი და საკმაოდ ბევრი დაიჭრა. მათ სულ გაიტაცეს 211 ცხენი, მათ შორის ტარასოვის პოლკიდან — 65, რის შემდეგაც პოლკს მხოლოდ 62 ცხენი დარჩა.

ლეკთა ეს შემოტევა ნათელს ჰფენდა იმას, რომ ჭარელები არ აპირებდნენ აპრილში დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულებას, რომლის მიხედვითაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ, რომ საქართველოში დაღესტნის მხრიდან არ შემოეშვათ ყაჩაღები. თავადმა ციციანოვმა გენერალ-მაიორ გულიაკოვს უბრძანა, რომ კახეთისა და ჭარის სოფლებიდან შეეკრიბა მეთაურები, წაეკითხა მათთვის დადგენილება, რომელიც აპრილში მათ დაუდეს და განემარტათ მათთვის, რომ ხელშეკრულების დარღვევისა და ფიცის გატეხვისათვის მათი მძევლები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებას ჰყავდა ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, დაისჯებოდნენ, თუკი მთიელები გატაცებულ კაზაკთა ცხენების საფასურს არ გადაიხდიდნენ. ციციანოვი ხელმწიფეს სწერდა, რომ ეფრემოვის პოლკის კაზაკებს, რაკი ცხენები აღარ შერჩათ, ნება მივეცი კავკასიის ხაზზე წასულიყვნენ ცხენების შესაძენადო.

მაგრამ ჭარელები არ ასრულებდნენ მოთხოვნებს და დუმილსაც არ არღვევდნენ. ციციანოვი საყვედურობდა მათ, რომ დაივიწყეს ფიცი, არ იხდიან ფულს, რისი პირობაც მათ ყურანზე დაფიცებით დადეს. მან ლეკებს მოუწოდა, გონს

მოსულიყვნენ, არ დაეჯერებინათ დაღესტნელებისათვის, რომლებიც ღუპავდნენ მათ თავიანთი ანგარებით. ის ჭარელებისგან მოითხოვდა მათგან წარმომადგენლების გამოგზავნას ბოდიშის მოსახდელად და 110 ფუთი აბრეშუმის მოტანას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ციციანოვი მათ ცეცხლითა და მახვილით ანგარიშის გასწორებას ჰპირდებოდა.

ჭარელებმა არც ეს ბოლო მოთხოვნა შეასრულეს. ისინი თავს იმართლებდნენ იმით, რომ ღარიბები არიან, არ აქვთ აბრეშუმი და ამიტომ ვერ გადაიხდიან ხარკს. მაშინ მთავარსარდალმა მათგან მოითხოვა 11 ათასი რუბლი, რომლის გადაუხდელობას მათი დასჯა მოჰყვებოდა.

რამდენს არ ემუქრებოდა პ. ციციანოვი ჭარელებსა და ბელაქნელებს, მისი მოთხოვნები მაინც უპასუხოდ რჩებოდა — ლეკები ხარკს არ იხდიდნენ და კვლავაც აწყობდნენ საქართველოზე თავდასხმებს.

21 ოქტომბერს 10 ათასი ლეკი ყაზიყუმუხის სურხაი-ხანისა და ავარიელთა მეთაურის ალისკანდის წინამძღოლობით გადავიდნენ ალაზანზე სოფელ მოგალოსთან. 22 ოქტომბერს, ღამის 3 საათზე, დიდი ჯგუფებით ისინი თავს დაესხნენ გენერალ-მაიორ გულიაკოვის ბანაკს, რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ ფეიქაროსთან. ეს რაზმი შედგებოდა ყაბარდოს პოლკის, გრენადერთა ბატალიონის, თბილისის მუშკეტერთა პოლკისა და ეფრემოვის კაზაკებისაგან. კაზაკთა პიკეტებმა გააფრთხილეს რა გენერალ-მაიორი გულიაკოვი მოწინააღმდეგის

მოძრაობის თაობაზე, გულიაკოვმა ძლივს მოასწრო ჯარების ბრძოლისთვის მომზადება, რომ ლეკები ყვირილით ყოველი მხრიდან თავს დააცხრნენ მას. ერთსაათიანი სროლის შემდგომ ლეკებმა უკან დახევა იწყეს. ღამის სიბნელე მათ დადევნებას ხელს უშლიდა. განთიადის დადგომისთანავე გულიაკოვმა თავისი რაზმი 2 ნაწილად გაყო: მან ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ერთი ბატალიონი და 200 მსროლელი მაიორ სებასტიანის მეთაურობით გაგზავნა ლეკების კვალზე, დანარჩენებთან ერთად კი თვითონ წავიდა, დააყენა რა ქვეითთა წინ კაზაკები, რომლებმაც ალაზანთან მთიელ მონადირეებს ერთბაშად შეუტიეს. შემდეგ მივიდნენ ქვეითები და დაიწყეს ლეკთა ხოცვა, რომლებიც გაქცევით თავის გადარჩენას ცდილობდნენ, ჩქარობდნენ, სადაც შეძლებდნენ, იქ შედიოდნენ მდინარეში და ფონს აღარ ეძებდნენ. მაგრამ რაკი ხშირი წვიმების გამო მდინარე ადიდებული იყო, ისინი ხშირ შემთხვევაში იხრჩობოდნენ. ამ ბრძოლაში მთიელებმა დაკარგეს 325 კაცი, რუსებს მხოლო 11 ადამიანი მოუკლეს და დაუჭრეს. ჯარების ზემდეგი ვ. ი. ეფრემოვი გამოჩენილი სიმამაცისთვის დააჯილდოვეს წმ. ანას მესამე კლასის კავალერიის ჯვრით.

ციციანოვმა შეიტყო, რომ ლეკთა შორის იყო ავარიის ხანის ჯარებიც, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ბრძანა, მისთვის ხელფასის მიცემა შეეწყვიტათ, მანამ, ვიდრე არ გადასცემდა ალიკსანდს (ალესხანტს). ავარიის ახმედ-ხანი იფიცებოდა, რომ რუსეთისათვის

თავდადებული იყო, მათთვის არ უღალატნია და ითხოვდა, მისთვის ხელფასი არ შეეწყვიტათ. მაგრამ ციციანოვი მტკიცედ იდგა თავისაზე, არ მიდიოდა არანაირ კომპრომისზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელფასებითა და საჩუქრებით მიეზიდა ხანები და როგორმე მიეღწია ხარკის გადახდევინებისათვის, ციციანოვმა კავკასიაში თავისი მოქმედების მთავარ იარაღად გაიხადა ძალა და სიმტკიცე. ეს იყო რადიკალურად განსხვავებული ხაზი, რომელსაც კ. ფ. კნორინგი ეწეოდა კავკასიაში და რომელიც ციციანოვმა შეცვალა იარაღითა და ძალით. ყოველივე ამან შეცვალა თვით მთიელთა დამოკიდებულებაც რუსეთის ადმინისტრაციისადმი: მათ იგრძნეს ციციანოვის რკინის ხელის ძალა.

გადაწყვიტა რა რიგი საკითხებისა ლეკებთან დაკავშირებით, ის დაუბრუნდა განჯის საკითხს და ნოემბრის ბოლოს ლაშქრობა მოაწყო. 1804 წლის 3 იანვარს, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიღო ქალაქი. ბრძოლაში დაიღუპა ჯევად-ხანიც. განჯა კი შემოუერთდა რუსეთს და დაერქვა ელისავეტოპოლი. ამასთან, მთავარსარდალმა განაცხადა, რომ ერთი თვის შემდგომ დაპყრობილ ქალაქს ხელშეკრულებაში ან წერილობით აქტში დაარქმევდა განჯას და არა ელისავეტოპოლს. ამასთან, იმავე დროს, სანამ ციციანოვი განჯას აიღებდა, ლეკები კვლავ აგრძელებდნენ ალაზნიდან თავდასხმებს. ჭარ-ბელაქნელებისგან ხელშეკრულების შეუსრულებლობამ მთავარსარდალს სერიოზული ღონისძიებების გან-

ხორციელებისკენ უბიძგა. მიუხედავად იმისა, რომ ჭარ-ბელაქნელებმა ვალდებულება აიღეს, საქართველოში დაღესტნიდან ლეკები არ შემოეშვათ, არა თუ არ ასრულებდნენ ამას, პირიქით — მიიწვიეს ისინი გამოსაზამთრებლად თავიანთ მიწაზე და მათთან ერთად ახორციელებდნენ თავდასხმებს რუსეთის საზღვრებზე. ამასთან, ჭარელები არც კი ფიქრობდნენ მათთვის დაწესებული ხარკის გადახდას.

ციციანოვმა საჭიროდ ჩათვალა, სხვებისთვის სამაგალითოდ, აეძულებინა ბელაქნელები დადებული ხელშეკრულებისთვის პატივი ეცათ და გაეთავისუფლებინა საქართველო გამუდმებული გაჩანაგებისაგან. იმყოფებოდა რა ისევ განჯაში, ციციანოვმა ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის შეფს, გენერალ-მაიორ გულიაკოვს ალაზნის გადალახვა და ჭარელების მათსავე სოფლებში დასჯა უბრძანა.

პ. ციციანოვი შემდგომ მეფეს აუწყებდა: **„1803 წლის 30 დეკემბერს, შეიტყო რა ქიზიყში მცხოვრები ქართველისაგან, რომ სურხაი-ხანი (იგივე კაზიკუმუხის ხანი) თავისი 6-ათასიანი ჯარითა და მასთან შეერთებული სხვადასხვა ხალხის ჯგუფებით გადმოვიდა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ლეკთა სოფელ ბაიმალუს საპირისპირო მხარეს, ბანაკის ქვემოთ, 40 ვერსის მოშორებით, გენერალ-მაიორმა გულიაკოვმა მეორე დღეს, 31 დეკემბერს, ყაბარდოელთა 10 ასეულით, თბილისის გრენადერთა ბატალიონით, მე-15 ეგერთა პოლკის 2**

ასეულით, არტილერიის 5 ქვემეხითა და ფრემოვის დონელი კაზაკებისა და ტარასოვისა და შჩედროვის პოლკებით იერიში მიიტანა მათზე“.

1804 წლის 1 იანვარს რუსული ჯარები მოწინააღმდეგეს მიუახლოვდნენ. დაზვერვის შედეგად რუსებმა დაადგინეს, რომ ლეკებს საკმაოდ ძლიერი პოზიციები ეკავათ, ფლანგებიდან ჭაობებით იყვნენ დაცული. რეკოგნოსცირების შედეგებმა აჩვენა, რომ **„მთიელები განლაგებულნი იყვნენ ტყის მასივებში და ბუჩქნარებში, რაც ყოველგვარ საშუალებას სპობდა ქვემეხთა გადასატანად, მხოლოდ კახელი მსროლელების გამოყენებაღა შეიძლებოდა“.**

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, გენერალ-მაიორმა გულიაკოვმა პოზიციის შეტევისათვის შეარჩია 240 საუკეთესო მსროლელი ყაბარდოს პოლკიდან, 80 — ტფილისის პოლკიდან, მე-15 ეგერთა ასეული და ეფრემოვის კაზაკები და ყველა მათგანის უფროსად დანიშნა პოდპოლკოვნიკი გ. ე. ერისთავი. შეხვდნენ რა სასტიკი ცეცხლით ლეკები, რუსთა ჯარი მიხვდა, რომ სროლით ისინი მოწინააღმდეგეს ვერ დაამარცხებდნენ, რომლებიც ბუჩქებში იმალებოდნენ. ერისთავმა ბრძანა, მოემარჯვებინათ შუბები და სამჯერ გადავიდა შეტევაზე. მთიელებზე ზეწოლით კაზაკები ეხმარებოდნენ თანამებრძოლებს მტრის შუბებით განგმირვაში. არტილერია ჭაობის მხრიდან მოქმედებდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ყოველ ჯერზე მთი-

ელები უკან იხევდნენ და გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ კვლავ იმალებოდნენ ტყის მასივში, ხოლო რუსი ქვეითები კვლავ შუბებით ხოცავდნენ მათ, სანამ ალაზანს იქით არ გადარეკეს, გადასვლისას კი ადიდებულ ალაზანში ბევრი მთიელი ჩაიხრჩო.

ამ დროს, ლეკთა მხარეს შეამჩნიეს სურხან-ხანის მხედრიონის 3 ათასი კაცი, რომელიც მთებიდან ეშვებოდა ველზე. ამ პარტიის წინააღმდეგ წავიდა თვითონ გენერალ-მაიორი გულიაკოვი კაზაკთა დანარჩენ რაზმებთან ერთად, რომლებიც პირველ ბრძოლაში მონაწილეობდნენ, მიადგნენ რა მდინარის გადასასვლელს, იძულებული გახდნენ, მეორე ბრძოლაც გადაეხადათ. გულიაკოვმა მთიელებს მდინარეზე გადასვლის საშუალება არ მისცა. ლეკები გაიქცნენ, გაქცევის დროს კაზაკებმა მათ 22 კაცი მოუკლეს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა 5 საათს გრძელდებოდა. მთიელთა 500 კაცი დაიღუპა, რომელთა შორის ცნობილი მეთაურებიც იყვნენ. ტყვედ 6 ლეკი აიყვანეს, რუსებმა კი ბრძოლაში 1 ოფიცერი და 17 რიგითი დაკარგეს, დაიჭრა 2 ოფიცერი და 69 დაბალჩინოსანი. არც ერთი კაზაკი არ დაშავებულა, მაგრამ ცხენებს კი ცუდი დღე დაადგათ: 2 მოკლეს, 5 — დაიჭრა.

ახლახან განხორციელებული თავდასხმა მოითხოვდა შურისძიებას და 9-10 იანვრის ღამით გენერალ-მაიორი გულიაკოვი ალექსანდროვის რედუტთან გადავიდა ხიდზე და 13-ში, შუადღისას, დაიძრა ჭარელთა სოფლისკენ. ჭარსა და სოფელ თალს შორის, როცა რაზმი ღია სივრცეში

გადაადგილდებოდა, ლეკებმა შეუტიეს მას. ისინი რამდენიმე ათასი იყვნენ. მთიელებმა ძლიერი ცეცხლი გახსნეს, მაგრამ რუსთა საპასუხო ცეცხლმა უკუაგდო მოწინააღმდეგე, რომელმაც გაქცევით უშველა თავს და ბრძოლის ველზე დატოვა 100 მოკლული. რუსთა მხარეს კი რამდენიმე კაცი დაიჭრა. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ვ. ი. ეფრემოვიც თავის კაზაკებთან ერთად.

მაგრამ ვინ უნდა დაესაჯათ ამ სოფლებში — იგი მცხოვრებლებისგან დაცლილი იყო. კავკასიის ომის პირველ წლებში მთიელები არჩევდნენ ბრძოლას რუსული ჯარების ექსპედიციებთან და რამდენადაც მათთვის ცნობილი ხდებოდა რუსული სარდლობის მხრიდან აქციის სამზადისის შესახებ, ისინი დაუყოვნებლივ ახდენდნენ თავიანთი სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციას კარგად დაცულ და მიუვალ ადგილებში, შემდეგ ერთიანდებოდნენ რაზმებად და რუსების მოსვლას ჩასაფრებული მოელოდნენ.

და ასე მოქმედებდნენ ისინი ომის დამთავრებამდე. ასე იყო მოცემულ შემთხვევაშიც: რუსული ჯარები მოვიდნენ, უბრძოლველად აიღეს ჭარი და ოლქის სხვა სოფლები, მაგრამ ისინი ცარიელი აღმოჩნდა, ერთი დღის შემდეგ კი ეს ჯარები ალყაში აღმოჩნდნენ, გარეგნულად ყველაფერი ტრიუმფალურად გამოიყურებოდა, იქამდეც კი, რომ ციციანოვიც შეცდომაში შეიყვანა, და 1804 წლის 1 იანვარს გულიაკოვს სწერდა: **„შევიტყვე თქვენი ახალი გამარჯვების თაობაზე და, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ამჯერადაც მინდოდა, მქონდა პა-**

ტივი თქვენი სამხედრო ღირსებებისთვის მაღალი შეფასება მიმეცა, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. თქვენს უდიდებულესობას, როგორც ჩანს, წილად ხვდა, უკვდავყოს რუსული იარღის სახელი ამ ახლადშეძენილ მიწაზე, მე კი — თქვენი სიხარულის გაზიარება. შევიტყვე, რომ თქვენი უდიდებულესობა ჭარში შევიდა, გისურვებთ წარმატებით დაგესრულებინოთ თქვენ მიერ წამოწყებული კამპანია, მთელი წელი რომ გაგრძელდა, რაც აქამდე არასდროს მომხდარა“.

მსგავმა ამაღლებულმა განწყობილებამ რუსულ ჯარში მოადუნა სიფხიზლე. ჭარის უბრძოლველად აღებამ, მოსახლეობის გაქცევამ ჩვენი ჯარების მიახლოებისთანავე გაიტაცა გამარჯვებებს დაჩვეული გენერალ-მაიორი ვ. ს. გულიაკოვი. მან გადაწყვიტა, დადევნებოდა ლეკებს ყველაზე მიუვალ ხეობებში, რომლებიც ლეკებისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა და კარგად ნაცნობი ადგილები იყო. 15 იანვარს ის ზაქათალისაკენ დაიძრა. როგორც ჩანს, მთელ ხეობაში იყო სახლები, მაგრამ რუსების მიახლოებისთანავე ისინი ცარიელდებოდა. რაზმი ასეთი განრიგით მოქმედებდა: წინ მიდიოდა ცხენოსანი და ფეხოსანი ქართველები, მათ უკან — ეფრემოვის კაზაკები, შემდეგ 140 მსროლელი ეგერთა მე-15 პოლკიდან, რომელთაც 1 ქვემეხიც ჰქონდათ, აქვე იყო თვითონ გენერალ-მაიორი გულიაკოვი, რომელსაც მოჰყვებოდა კოლონა ყაბარდოელებისა და თბილისის ბატალი-

ონებისა. და ბოლოს, არიერგარდში მოდიოდა მე-15 ეგერთა პოლკი.

ის იყო ჯარებმა შეაბიჯეს ქვის შემორაგულში, რომ ლეკებმა, რომლებიც აქამდე ლოდების უკან იმალებოდნენ, გახსნეს ძლიერი ცეცხლი და გაჩაღდა ბრძოლა. **„მარცხენა მხრიდან მოწინააღმდეგის დიდი ტალღა მოაწყდა ქვემეხს და პირველ გასროლაზევე მოკლულ იქნა გენერალ-მაიორი გულიაკოვი... წინ მდგომი ქართველები და კაზაკები უკან გაქანდნენ, კოლონებისკენ...“,** ჯარში არეულობა შეიქნა, დაიწყეს უკან დახევა. ჭორომთან დაღუპულთა შორის იყვნენ გენერალ-მაიორები: თავადი დ. ზ. ორბელიანი და ა. ა. ლეონტიევი, ასევე — პორუჩიკი, გრაფი მ. ს. ვორონცოვი. ამ უკანასკნელის ციციანოვისათვის გაგზავნილი წერილებით ჩვენ შეგვიძლია მარცხის მიზეზები გავაანალიზოთ: **„ის (გულიაკოვი) წინ მიდიოდა, მხოლოდ ქართველები იყვნენ მასზე წინ და ეს იყო მისი მთავარი შეცდომა. როგორც კი ლეკები შეესივნენ ქართველებს ხმლებით, ეს უკანასკნელნი უკან გაიქცნენ და ჩვენ დაგვეჯახნენ. ადგილი არ იძლეოდა განლაგების საშუალებას. ვასილი სიმონის ძე პირველ ქვემეხთან მოკლეს, მეც მასთან ვიყავი და იგივე დამემართებოდა, როცა უკან გამოქცეულ ქართველთა ბრბო და ლეკები რომ შეასკდნენ ციცაბო კლდეს, საიდანაც, მე „გამოვფრინდი“ და სასიკვდილოდ დავილეწებოდი, სხვებს რომ არ დავცემოდი, რომ-**

ლეგიც ჩემზე ადრე ასევე ხალხის ტალღამ გამოაგდო იქიდან“.

სწორედ ამ შეცდომამ მიგვიყვანა სავალალო შედეგებამდე. რუსთა დანაკარგი მოკლულებისა და დაჭრილების სახით 300 კაცს აღწევდა, მათ შორის ბევრი იყო ოფიცერი.

გულიაკოვის სიკვდილის შემდეგ მეთაურობა თავადმა, გენერალ-მაიორმა დ. ზ. ორბელიანმა ჩაიბარა. არ იცოდა რა გულიაკოვის ჩანაფიქრის თაობაზე, მოაწყო ჯარები და, რაკი გარშემორტყმულნი იყვნენ ტყეებით, ბაღებით, სახლებით, ქვის ღობეებით, დაიწყო უკან დახევა.

უკან დახევისას ბრძოლა 8 საათს განსაკუთრებული სისასტიკით მიმდინარეობდა. რამდენჯერაც კი მიუახლოვდებოდნენ ლეკები რუსულ კოლონას, ჯარისკაცები ხიშტებით იგერიებდნენ. რაზმი უკან იხევდა ისე, რომ არანაირ ნადავლს არ უტოვებდა მოწინააღმდეგეს. მთიელთა დანაკარგმა, მათი მეთაურების მონაცემებით, 1000 კაცი შეადგინა.

რუსთა არახელსაყრელმა მდგომარეობამ და იმან, რომ ისინი პირველად იხევდნენ უკან ჭარელების წინაშე, ბრძოლა ისეთი გააფთრებული გახადა, რომ ლეკთა დანაკარგი უზომოდ დიდი იყო, რის გამოც რამდენიმე დღის შემდეგ ბევრმა სოფელმა გამოაგზავნა დეპუტატები დ. ორბელიანთან შეწყალების სათხოვნელად. 17 იანვარს რაზმმა დატოვა ჭარი და სოფელ მუხრანში გადაინაცვლა, სადაც დარჩა 2 დღე, გადაწვა სოფელი. რამდენიმე სოფლიდან აქ, ორბელიანთან მოვიდნენ ლეკთა წარმომადგენლები „მორჩილების“ გამო-

სახატავად. აქვე მიიღეს წერილი კაზიკუმუხის სურხან-ხანისგან, რომლითაც ის იუწყებოდა, რომ ბოლომდე იბრძოლებდა რუსთა წინააღმდეგ, სანამ ისინი ჭარ-ბელაქანში იქნებოდნენ. და თუ საზღვარზე სურდათ სიმშვიდის დამყარება, მაშინ უნდა გადასულიყვნენ ალაზანს იქით. ყოველ შემთხვევაში ეს მხოლოდ დაპირება იყო, ხანი კი განსაკუთრებული მტერი იყო რუსეთისა მრავალი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, დონელ ოფიცერთა სამსახურებრივ ჩანაწერებში ნათქვამი იყო, რომ გენერალ-მაიორ გულიაკოვის სიკვდილში დამნაშავე და ასევე იმ მახის მომწყობი, რომელშიც რუსული ჯარები ზაქათალაში აღმოჩნდნენ, იყო სწორედ ის სურხან-ხანი. ამას ადასტურებს ჩანაწერიც, რომ გულიაკოვი „15 რიცხვში ქალაქ ჭარსა და კავკასიის მთების ხეობებში იმავე სურხან-ხანისა და მისი ჯარების, ასევე ავართა მეთაურის ალესხანტის წინააღმდეგ წარმოებულ „ტყის ექსპედიციაში“ ნამდვილად მონაწილეობდა“.

აქ ჩნდება ერთი კითხვა: რატომ უწოდეს ამ ოპერაციას „ტყის“? მიუხედავად იმისა, რომ ჯარები გარშემორტყმული იყო ტყის მასივით, ბაღებით, მათ გზაზე მხოლოდ ხეობა იდო, სახლები და ქვის ღობეები. ასე რომ, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ამ ოპერაციისთვის დაერქმიათ „ქვის“ ან სულაც „ხეობის“ ოპერაცია.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ამ ტრაგედიაში დამნაშავენი იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ დონელი კაზაკებიც გარკვეულწილად, რომლებიც დაბრუნდნენ ჯერ კიდევ 1803

წლის 9 ივლისს ლეკების მიერ გატაცებული ეფრემოვის პოლკის ცხენების რემის გატაცების მიზეზების გასარკვევად. ამ საქმის გარჩევა ჯერ კიდევ 1803 წლის ნოემბერში დაიწყო, როცა პ. ციციანოვმა პატაკების დაწერა უბრძანა ამ მოვლენების მონაწილე ოფიცრებს. ამ პატაკთაგან ყველაზე მეტად საყურადღებოა პოდპოლკოვნიკ სევატოპოლსკის პატაკი, რომელიც მან 1803 წლის 19 ნოემბერს შეადგინა უკვე ვლადიკავკაზში, როცა პოლკი საქართველოდან გამოყვანილი იყო, მაგრამ ციციანოვის მიერ წამოწყებულმა საქმის გარჩევამ აიძულა ეს ქვეითთა მეთაური, ლეკებთან ბრძოლის ზოგიერთი დეტალი გაეხსენებინა, რაც არ არის სხვა პატაკებში. აი, რას წერს იგი: **„სევასტოპოლის ბატალიონი ბანაკის წინ იდგა, მასთან ახლოს იყო ცხენების რემა, რომელსაც სიმაღლიდან იცავდნენ. კაზაკთა რემაც იქვე ახლოს ძოვდა, იქვე იყო ოციოდე კაზაკიც. ამას გარდა, 10 კაზაკი იდგა მაღლობზე. როცა ველურები გამოცვივდნენ, ბიკეტზე (მაღლობზე) მდგარი კაზაკები რომ დაინახეს, სროლა აუტეხეს. სევასტოპოლის ბატალიონმა რომ გაიგონა სროლის ხმა და დაინახა ცხენების რემისკენ მიმავალი მოწინააღმდეგე, არაფერი გაუკეთებია, ერთი გასროლაც კი არ ყოფილა მათი მხრიდან. სევასტოპოლის ბატალიონის ბანაკში კი აყვირდნენ: „იარაღთან!“, დაბალჩინოსნებიც გამორბოდნენ პალატებიდან, იღებდნენ**

იარაღს, ვინც მოასწრო, გაიქცა საშველად, სხვები შეაჩერეს მეთაურებმა და შეუდგნენ ფრონტის მოწყობას. ამით კი დრო მისცეს ლეკებს, დაეჭრათ რამდენიმე კაზაკი, შემოებრუნებინათ ცხენების რემა და გაერეკათ. ხედავდნენ რა, რომ სევასტოპოლის ბატალიონი მათ არ ესროდა, ლეკები შეიჭრნენ რემაში; მაშინაც კი, როცა კაზაკებს დაერივნენ, მათთვის არავის უსვრია, და რომ სევასტოპოლის რემა კაზაკთა რემასთან ერთად დადიოდა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მათი რემიდან მხოლოდ შვიდი ცხენი დაიკარგა“.

მოცემული მონაკვეთიდან ჩანს, რომ კაზაკები არ იყვნენ დამნაშავენი თავიანთი ცხენების დაკარგვაში, რამდენადაც ერთობლივი მოქმედების გეგმა არ ჰქონდათ შემუშავებული. კაზაკებმა თავიანთი ცხენები ისე დაიცვეს, როგორც შეეძლოთ. გარდა ამისა, იყო მომენტები, როცა სევასტოპოლის პოლკის რიგითები კაზაკთა დახმარებას ცდილობდნენ, მაგრამ ისინი ოფიცრებმა შეაჩერეს. ამის შემდგომ სასამართლო გარჩევაც მოეწყო, რისი შედეგებითაც კაზაკები გამართლდნენ, ხოლო სევასტოპოლის პოლკის ოფიცრები პასუხისგებაში მიეცნენ.

გარდა ამისა, თვითონ პოლკოვნიკი ასტაფიევი წერდა თავის პატაკში, რომ იასაული ეფრემოვი კაზაკებთან ერთად დაედევნა მთიელებს, ერთი სიტყვით, კაზაკები ცდილობდნენ, თავიანთი ცხენები წაერთმიათ მთიელებისთვის.

პოლკოვნიკ ასტაფიევის პატაკში ქვეითთა წინააღმდეგ არის ერთი ბრალდება, რომ მათ აღნიშნული აულების მოსახლეობას წაართვეს პირუტყვი, რისი გაკეთებაც აკრძალული ჰქონდათ, ასტაფიევი წერს: **„რაც შეეხება ცხოველების წართმევას, მე ამის გაკეთება არ მიბრძანებია“.** მსგავსი ახსნა-განმარტებანი იყო კაპიტან ნიპოპანოვისა და სხვა ოფიცერთა პატაკებშიც.

ციციანოვი რუსების მიერ აღებულ განჯის ციხესიმაგრეში იმყოფებოდა. როგორც თავადმა გამოარკვია, დონელები თავიანთი ცხენების დაკარგვაში დამნაშავე არ იყვნენ, მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც მაშინ სამხედრო წესდებით იყო გათვალისწინებული ანალოგიური შემთხვევებისთვის. ამ დასკვნამდე მივიდა სასამართლო გარჩევაც, ამიტომ დასაჯეს არა კაზაკები, არამედ კაპიტანი ნიპოპალოვი და პოდპოლკოვნიკი ასტაფიევი. ყველა ეს სამუშაო შესრულებულ იქნა 1804 წლის იანვრამდე.

პარალელურად მიმდინარეობდა ჭარ-ბელაქნელებთან ურთიერთობის გარკვევა. დ. ზ. ორბელიანმა ისარგებლა მასთან დელეგაციების მისვლით და განუცხადა მათ, რომ, თუ ისინი რუსულ მმართველობას არ დაემორჩილებოდნენ, მოუწევდათ თავიანთ მიწების სამუდამოდ დატოვება და ამ სიტყვებით უკან გააბრუნა, დაიტოვა რა თავისთან 4 „ამანათი“ (მძევალი); 21 იანვარს ზურგში, რუსეთის მხარეს ავადმყოფები და დაჭრილები გაგზავნა, რაზმის მთელი ძალები კი ფეიქაროს გზაზე გადაიყვანა. აქ 30 იანვარს ორბე-

ლიანთან კვლავ მოვიდნენ ჭარის ოლქის სოფ-ლების რწმუნებულები შეწყალების სათხოვნე-ლად, ხოლო 31-ში მასთან გამოცხადდა სამი ლე-კი მეთაური სოფელ ბელაქნიდან.

შემდეგ თებერვლამდე მიმდინარეობდა დავა პირობების თაობაზე, მაგრამ ციციანოვი და ორ-ბელიანი თავისაზე იდგნენ. თავადმა ორბელიან-მა დაიტოვა რა თავისთან თითო დეპუტატი ყო-ველი სოფლიდან, სხვა დანარჩენი თავის საცხოვრებელ ადგილებზე დააბრუნა იმ მოთხოვნით, რომ ჭარელებს კვლავ დაეფიცათ ქვეშევრდომობაზე და სასწრაფოდ შეეგროვები-ნათ და გადაეხადათ 1803 წლის ხარკი აბრეშუ-მით ან ფულით.

11 თებერვალს რუსულ ბანაკში 23 უხუცესი გა-მოცხადდა, რომელთაც კვლავ გაუმეორეს მოთხოვნა, რომ ოთხ დღეში ჩაებარებინათ წინა წლის ხარკი და ეფრემოვის პოლკის 211 ცხენიც დაებრუნებინათ. უხუცესებმა ყველაფრის შეს-რულება აღუთქვეს, ოღონდ ამისათვის 10 დღის ვადა მოითხოვეს. შეთანხმდნენ რა ამაზე, დ.ზ. ორბელიანმა ამავე დროს მიიღო ბრძანება პ. ცი-ციანოვისაგან, რომ, მოთხოვნათა შეუსრულებ-ლობის შემთხვევაში, ჭარისკენ დაძრულიყვნენ და ქიზიყელი ქართველების (სულ 1000 ნაჯახი-ანი ადამიანის) დახმარებით გაეჩეხათ ტყე ალექ-სანდროვის რედუტიდან კატეხამდე, გზის ორი-ვე მხარეს 600 მეტრის მანძილზე. გადაიხადეს რა ხარკის გარკვეული ნაწილი ფულის სახით, ჭა-რელმა უხუცესებმა სიტყვა მისცეს, რომ დანარ-ჩენსაც უმოკლეს დროში მიაწვდიდნენ და ამით

შეაჩერეს გარკვეული დროით რუსული ჯარების შესვლა მათ სოფლებში. ჭარ-ბელაქნელებმა ქედი მოიხარეს რუსული ადმინისტრაციის წინაშე, რაკი შეხედეს, რომ წინააღმდეგობას მათთვის განადგურების მეტი არაფერი მოუტანია; ალისკანდმაც (ალესხანტი) — ჭარელთა მეორე ხელმძღვანელი ზაქათალის ხეობაში მიმდინარე ბრძოლისა, რომელიც გენერალ გულიაკოვის სიკვდილით დასრულდა — ასევე მიმართა თავად პ. ციციანოვს შეწყალების თხოვნით. მთავარსარდალმა მას ავარიაში წასვლა შესთავაზა უხუცესთან — ავარიის ახმედ-ხანთან, რათა მას მიეღო ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება. ეს იყო უკვე 1804 წლის 2 აპრილს, ხოლო 3 აპრილს თბილისში ჩამოვიდნენ დეპუტატები ჭარ-ბელაქნელთა კავშირის ყველა ლეკთა საზოგადოებისაგან და ელისეის სულთნის სამფლობელოდან. მათთან, ბოლოსდაბოლოს, 17 აპრილს მოხდა შეთანხმება, რომლითაც ისინი ვალდებულნი ხდებოდნენ, ყოველწლიურად გადაეხადათ ადრე დაწესებული ხარკი — 220 ფუთი აბრეშუმი; რომელიც მათი მრეწველობის ძირითად ნაწარმს წარმოადგენდა. ამასთან, ლეკებმა პირობა დადეს, რომ აღარ იტყოდნენ უარს რუსეთის ქვეშევრდომობაზე.

1801-1804 წლებში რუსთა შეტევები ლეკებმა მოიგერიეს. ლეკები ორი გზით ცდილობდნენ საქართველოში შეჭრას: პირველი იყო ალაზანზე გადასვლით, ახალციხის მხრიდან, რასაც დროებითი სიმშვიდე მოჰყვა საქართველო-ლეკეთის საზღვარზე. ამ ოპერაციებში ყველა საჯარისო

შენაერთთან ერთად მონაწილეობდა დონელ კაზაკთა სამი პოლკი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში წარმოადგენდა რუსულ მხედრიონს საქართველოში. ესენი იყო: შჩედროვის, ტარასოვისა და ეფრემოვის მხედრიონელები. ნარვის დრაგუნთა პოლკი აქ მოგვიანებით ჩამოვიდა, ამიტომ მთელი სირთულე სასაზღვრო სამსახურისა მათ დააწვა კისერზე. ისინი დისლოცირებულნი იყვნენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებებზე, იცავდნენ რა რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რომელიც ჯერ-ჯერობით დაუცველი იყო ლეკების ხელყოფისაგან საზღვრის საკმაოდ ვიწრო მონაკვეთებზე. ეფრემოვის პოლკი ტარასოვისა და შჩედროვის პოლკების მცირე ნაწილებთან ერთად ჭარ-ბელაქნელ ლეკთა საზოგადოებისა და ელისეის სულთნის საზღვართან იყო, რომელიც ასევე 1803 წლის ბოლოს თავს ესხმოდა საქართველოს; სანამ ეს კაზაკები და ქვეითები არტილერისტებთან ერთად ამ უბანზე მათ შემოტევას უმკლავდებოდნენ, ისინი იმედიანად იცავდნენ ამ მიმართულებას; შჩედროვის პოლკი ქართლში იმყოფებოდა და საზღვარს ახალციხის მხრიდან იცავდა, რაც ასევე ვიწრო იყო და დონელები ახერხებდნენ მის გაკონტროლებას. ტარასოვის პოლკი კი დისლოცირებული იყო ძირითადი ძალებით თბილისში, აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქის დაცვის მიზნით.

რუსული ჯარები საკმარისი იყო მხოლოდ 1804-1813 წლებამდე, რუსეთ-სპარსეთის ომამდე. შემდეგ კი მოხდა მთიელთა საქართველოზე

თავდასხმების არეალის გაფართოება და დონიდან აუცილებელი გახდა კაზაკთა ახალი ნაწილების გამოძახება, რამეთუ იმ დროს მთიელები იქცნენ მეორეხარისხოვან მოწინააღმდეგეებად. კავკასიაში არსებული ძირითადი ძალები და მთელი რუსული ჯარები, ასევე დონელი კაზაკები ამჯერად მიმართული იყვნენ სპარსეთისაკენ. თუმცა ამ პერიოდში არც მთიელები უშვებდნენ შემთხვევას ხელიდან, რომ თავი შეეხსენებინათ საქართველოსთვის, ამიტომ ძალების ნაწილი ყოველთვის იყო მომზადებული მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

***

ცარიზმის ხელისუფლება ცდილობდა, შავი ზღვის სანაპიროების „ველური ხალხისთვის“ — ჩერქეზებისთვის, აბაზგებისთვის და სხვებისთვის, დაენახვებინა „ევროპული მრეწველობისა და ვაჭრობის“ უპირატესობა მონებით ვაჭრობის ბარბაროსობის წინაშე.

60-იანი წლებიდან ტყვეებით ვაჭრობა და მონობა ნელ-ნელა წყდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ სარედაქციო კოლეგია

საზოგადოებრივი აზრი

როგორ გაეგება საქართველო „ჩერქეზულ-ამერიკულ“ მახეში

2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა 95 ხმით საზეიმოდ მიიღო რეზოლუცია ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების თაობაზე. დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, კავკასიოლოგმა მერაბ ჩუხუამ ერთი წლის განმავლობაში მოამზადა. მისი თქმით, საქართველოსთვის გენოციდის აღიარება პრესტიჟული და სამართლიანობის აღდგენის საქმე იქნებოდა.

მაშინდელი საპარლამენტო ნაცელიტა ხოტბას ასხამდა ამ გადაწყვეტილებას, რომლის მიღმა ისინი ფერად მომავალს ხედავდნენ. „როგორც არასდროს, ისე ვარ დარწმუნებული, რომ მეშვიდე მოწვევის პარლამენტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომელსაც ახლა ვქმნით, არის განმსაზღვრელი იმისა, რომ მიხარია და ვამაყობ, რომ ვარ ქართველი“, — თქვა მაშინ **დიმიტრი ლორთქიფანიძემ**. **რუსუდან კერვალიშვილი** კი უფრო შორს წავიდა: „ვგრძნობ, რომ მე ვარ ქართველი და, ამავე დროს, ვარ ჩერქეზი, რადგან თქვენ დღეს იცავთ კავკასიის ხალხთა ინტერესებს“.

ოპოზიციამაც დაუკრა კვერი და „იამაყა“ იმით, რომ საქართველოს პარლამენტი იქნება

პირველი, რომელიც ჩერქეზთა „გენოციდს“ აღიარებს, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ცოტათი რეალურად მოაზროვნეები „ნაციონალების“ პარტიაში მაინც მოიძებნენ. **ხათუნა ოჩიაურმა** განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება „გარკვეულ რისკებსაც შეიცავს, მაგრამ მაინც იქნება სამართლიანი და ღირსეული“. ასევე მმართველი პარტიიდან მისმა კოლეგამ, **რატი სამყურაშვილმა**, ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს გადაწყვეტილება მათი პოლიტიკური გუნდის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი იყო.

ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო, **ჯონდი ბაღათურია** იყო.

ჩერქეზულმა დიასპორამ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების თხოვნით საქართველოს პარლამენტს ოფიციალურად 2010 წელს მიმართა, მაგრამ ეს საკითხი ერთი წლის შემდეგ გადაწყდა. ამ პერიოდში კი პროფესორმა ჩუხუამ შესაბამისი მასალის მოგროვებაც მოახერხა და საქმეც „დროულად“ მოგვარდა.

მსოფლიო მასშტაბით, ჩერქეზთა „გენოციდის“ საკითხი აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს და ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორების წარმომადგენლებს აშშ-მა და ევროკავშირმა გრანტებიც გამოუყვეს. პროცესში დაუფარავად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები, გამოიცა ტენდენციური მასალები ე. წ. ჩერქეზების გენოციდთან დაკავშირებით.

იმავე წლის ნოემბრის ბოლოს, ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „მიჩქმალული ერები — ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები — წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიმართ.

რეზოლუციის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ კი კავკასიური ორგანიზაციების ფედერაციის სამმართველოს წევრმა ხამდან ჩემიროზიმ განაცხადა: „ჩვენ მოვითხოვთ თურქეთისგან, სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ამ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რომლებსაც მთელი მსოფლიო საქართველოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, გასულ კვირას საქართველომ ჩერქეზთა გენოციდი აღიარა, რაც რუსეთის მიმართ აშკარად არამეგობრული ჟესტია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო შეძლებს ჩერქეზთა სათემოს გულის მოგებას. ჩერქეზთა ხოცვა-ჟლეტის დროს ქართველები რუსეთის მეფის ჯარის მხარეზე იყვნენ; გენოციდში ბრალი მათაც მიუძღვით და ამიტომ მათ, უპირველეს ყოვლისა, ბოდიში უნდა მოეხადათ. ამის გარდა, 1992 წლის ომის დროს ქართველებმა აფხაზეთში კვლავ გაიმეორეს თავისი სასტიკი საქციელი: ჩერქეზთა მონათესავე ენა აკრძალეს, ინტელიგენციის წარმომადგენლები ჩახოცეს. არა მგონია, რუსეთმა

აღიაროს გენოციდი, მაგრამ ის ახლა სოჭის ოლიმპიადის მშვიდობიან ჩატარებაზე ფიქრობს“.

ამრიგად, **ჩერქეზები ორმაგ თამაშს ეწევიან: მათ არანაირად არ აძლევს ხელს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, რადგან მხოლოდ რუსეთს აქვს უფლება, შეცვალოს კანონმდებლობა ჩერქეზთა მიმართ.**

ამავე დროს ისინი ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა აიძულონ რუსეთი, შეიცვალოს აზრი. აქეზებენ რუსეთთან არამეგობრულ ურთიერთობაში მყოფ რეჟიმებს, აღიარონ გენოციდი. ჯერჯერობით მხოლოდ საქართველო წამოეგო ამ ანკესს. და **რა მივიღეთ შედეგად? საქართველო ტრამპლინად გამოიყენეს: ჩვენი აღიარების წყალობით გაეროსაც მიაწვდინეს ხმა, ჩვენ კი უხერხულ მდგომარეობაში, ასე ვთქვათ, ხაფანგში აღმოვჩნდით**.

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე.წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ემსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. ამასთან, რა თქმა უნდა, როგორც ეს უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, აშშ თვითონ არ აპირებს, წინა პლანზე გამოჩნდეს და რაიმე „გენოციდი“ აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, მიხეილ სააკაშვილმა პანდორას ყუთს თავი ახადაო, — წერდა მაშინ ყველა გავლენიანი უცხოური გამო-

ცემა და მათ შორის იმ ქვეყნებისაც, დღენიადაგ რუსეთის დაშლა-დაქუცმაცებაზე რომ ოცნებობენ. მიხეილ სააკაშვილი და მისი საპარლამენტო უმრავლესობის წევრები, რატომღაც საქართველოს ინტერესების ხარჯზე, ჩერქეზეთის იმაზე დიდი პატრიოტები გამოდგნენ, ვიდრე თავად ჩერქეზები არიან. არადა, არსებობს უამრავი არგუმენტი იმის დასასაბუთებლად, რომ ეს იყო სააკაშვილის მორიგი მიზანმიმართული პროვოკაცია, რომლის მიზანიც ამერიკის ხელისუფლების გარკვეული წრეების სიამოვნება იყო საქართველოს ინტერესების ხარჯზე. სააკაშვილმა ამით კიდევ ერთხელ დაარტყა რუსეთს და ეს სწორედ ამერიკელი გავლენიანი პოლიტიკოსების დაკვეთით გააკეთა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ სარედაქციო კოლეგია

დალილა ხორავა,
აფხაზეთის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი:
ჩერქეზთა გენოციდის აღიარება შეცდომა იყო

— მოსკოვის გასაღიზიანებლად ასეთი აღიარების გაკეთება ჩვენი მხრიდან მაშინ, როცა ჩვენი ტერიტორიებისა და დევნილების ბედი რუსეთზეა დამოკიდებული, როგორც მინიმუმ, ნაჩქარევი ნაბიჯი იყო. 300 ათასი დევნილი გვყავს და მგონი, ჯობდა ჯერ საკუთარი ქვეყნისთვის მიგვეხედა, ჯერ ამ საკითხების მოგვარების მიმართულებით გვემუშავა, ვიდრე ჩერქეზების გენოციდი გვეღიარებინა.

რუსეთი არის ჩვენი გეოგრაფიული მეზობელი, არის უდიდესი ქვეყანა თავისი მასშტაბით და საქართველომ უნდა შეძლოს, მონახოს მის გვერდით ნორმალური არსებობის საშუალება. თანაც ეს უნდა მოხდეს აუცილებლად მშვიდობიანი გზით. ომითა და იარაღის ჟღარუნით ჩვენ ვერაფერს გავხდებით, ვფიქრობ, რომ 21-ე საუკუნეში, როცა ჩვენს ქვეყანას მრავალი ინტელექტუალი, ჭკვიანი ადამიანი ჰყავს, რომელთაც ისტორიის გადახედვა და მისი ანალიზი შეუძლიათ, აუცილებლად უნდა გამოინახოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების გზა. სხვა შემთხვევაში პრობლემები იქნება მუდმივად. გასათვალისწინებელი ისიც არის, რომ ეს პრობლემები, როგორც წესი, უბრალო ხალხზე აისახება და არა ელიტაზე და ამის ნათელი მაგალითები ჩვენ დღეს, სამწუხაროდ, ათასობით გვაქვს.

ჯონდი ბაღათურია,
„ქართული დასის“ ლიდერი:

ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შეიელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა

სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩერქეზთა გენოციდი აღიარეს ამერიკის ხელისუფლების გარკვეული ჯგუფების გულის მოსაგებად. ამერიკელთა სიმპათიები რომ დაემსახურებინა, სააკაშვილი რუსეთთან ხელოვნურ კონფლიქტებს წარმოშობდა და ესეც ერთ-ერთი მათგანი იყო. დიახ, ამერიკელებს ასიამოვნეს ამითაც — აი, საქართველომ, ამერიკის სტრატეგიულმა პარტნიორმა, რამხელა დარტყმა მიაყენა რუსეთს, ამერიკის მოწინააღმდეგესო. მათი გულის მოგება კი სააკაშვილსა და მის ბანდას ბევრი რამისთვის სჭირდებოდათ. უპირველესად, იმ დანაშაულობების ჩასაფარცხად, „გასაპრავებლად“, რაც მათ წლების მანძილზე ჩაიდინეს ქვეყანაში. ხომ ხედავთ, დღეს, როცა სააკაშვილსა და მის გუნდს ძალიან უჭირს, ამერიკის კონგრესიდან და სენატიდან ხან რომელი დაჯგუფება აქვეყნებს მათ მხარდამჭერ წერილებს და ხან რომელი. ისინი ვალს უბრუნებენ სააკაშვილს და მისი არა მარტო ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გამო მართებთ. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ამერიკე-

ლი პოლიტიკოსების საამებლად, საქართველოსთვის საზიანო არა ერთი ნაბიჯი გადადგა.

ახლა იმ საფრთხეებზე მოგახსენებთ, რომლებიც ჩერქეზთა გენოციდის აღიარებას აუცილებლად მოჰყვება. დღეს ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობს, ეს აღიარება კი მალე გადაულახავ თუ ძნელად გადასალახავ ბარიერად აღიმართება ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. სააკაშვილის ამ პროვოკაციულ საქციელზე დღევანდელ ან სხვა ხელისუფლებას მოუწევს პასუხისმგებლობის აღება. საინტერესო რა არის, იცით? დედამიწის ზურგზე არავის უცვნია ჩერქეზთა გენოციდი, ევროპაში ჩერქეზთა უამრავი სათვისტომო არსებობს, ყველას ლიდერებს ვიცნობ და ჯერ არც ერთს დაუყენებია საკითხი რომელიმე ქვეყნის წინაშე, რომ მან აღიაროს რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდი. მეტიც, ოფიციალურად, ჩერქეზულ დიასპორას თავადაც კი არ უღიარებია რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდი. ახლა მეტი რაღა გითხრათ? „ნაციონალები“ პაპზე მეტად კათოლიკენი გამოდგნენ და რატომ, ეს უკვე გითხარით.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი როცა გაქვს დასაბრუნებელი, როცა იცი, რუსეთის ნების გარეშე ეს პრობლემები ვერ მოგვარდება და ამ დროს რუსეთის მიერ ჩერქეზთა გენოციდს აღიარებ, საკუთარი ქვეყანის მტერი ხარ და სხვა არაფერი. მეტიც, თავად ხომ დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელ ყველა გზას იჭრი, შენს შემდგომ ხელისუფლებასაც უქმნი დამატე-

ბით და, შესაძლოა, გადაულახავ ბარიერს, ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხში.

სააკაშვილი არც კი ფიქრობდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. ჩერქეზთა გენოციდის აღიარებაა ამის მართლა უტყუარი დასტური. მეტიც, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შენელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა და ეს აღიარება ხელოვნურად, სრულიად შეგნებულად დამატებით დაბრკოლებებს ქმნის იმ რთულ გზაზე, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია და რომლის გავლის პირობაც ახალმა ხელისუფლებამ დადო.

აქვე ერთ სერიოზულ საფრთხეზეც მოგახსენებთ, რომელიც ჩერქეზთა გენოციდის აღიარების გამო, ადრე თუ გვიან, კარს მოგვადგება. თურქეთის იმპერიის მიერ 1915 წელს სომეხთა გენოციდი რამდენიმე სახელმწიფომ უკვე აღიარა. საქართველოში საკმაოდ ბევრი სომეხი ცხოვრობს, თანაც კომპაკტურად. ეს ხალხი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან. რომ დაირაზმონ ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს მიადგნენ და მოსთხოვონ, სომხების გენოციდი აღიარეთო, რას ვეუბნებით მერე? ამის კანონიერი უფლება აქვთ და ვერ წაართმევ. საფრანგეთის ხელისუფლებამ აღიარა ჩვენი გენოციდი და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება რატომ არ აღიარებსო, რომ გვეტყვიან, რა უნდა ვუპასუხოთ? სულ მცირე, გენოციდის საკითხის განხილვაზე ხომ ვერ ვეტყვით უარს? უარს ეტყვი და მაშინვე ჩერქეზების გენოციდის აღიარების ფაქტს შეგახსენე-

ბენ და პირში ბურთივით ჩაგჩრიან. ამ საკითხის განხილვას რა შედეგი მოჰყვება, ეს კიდევ ცალკე საკითხია. აღიარებ — თურქეთს გადაიკიდებ, არ აღიარებ და ღმერთმა იცის, აქ, ჯავახეთში რა პროცესებს დაიწყებენ სომხები. მოკლედ, საакაშვილის ამ დანაშულებრივმა გადაწყვეტილებამ საშინაო პრობლემებიც შეგვიქმნა, რუსეთთან ისედაც გაფუჭებული ურთიერთობის კიდევ უფრო გაუარესების გარდა.

კი, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებთანაც დასარეგულირებელი გვაქვს ურთიერთობები, ესეც საჭირო და დროული საქმეა. თუ ამ საქმესაც პრეზიდენტი ითავებს, ძალიან კარგი იქნება. ესეც ხომ საგარეო პოლიტიკის ნაწილია, რაც ახალი პრეზიდენტის მთავარი საზრუნავი იქნება. ვფიქრობ, ეს ახლებური მიდგომა და იდეები საკმაოდ შორსგამიზნულია, კონკრეტულ მიზანს ემსახურება და სურვილი, რომ თუნდაც შეზღუდული უფლებების რანგში საქართველოს ახალ პრეზიდენტს სოლიდური, უმნიშვნელოვანესი ფუნქციები შევძინოთ, ბუნებრივი და მართებულია. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე და საზრუნავი საქართველოს პრეზიდენტისთვის არც უნდა არსებობდეს.

ელიზბარ ჯაველიძე,
აკადემიკოსი, თურქოლოგი:

სააკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე

— ამერიკას ხელს აძლევს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაფუჭება, თორემ თვითონ არასდროს ყოფილა დაჩაგრული ერების დამცველი.

ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ტომია და მათდამი ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. ბევრი რამ გვაკავშირებს კულტურულადაც და ტრადიციებით, მაგრამ საქმე ისაა, რომ წინა ხელისუფლებას ეს სულ არ აინტერესებდა. სააკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე. ამ კაცს საკუთარი ხალხის გენოციდი ჰქონდა გამიზნული. რამდენი რამის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომელი ერთი გავიხსენოთ. ამათი გეგმა იყო ქართველი ერის მოსპობა და ასრულებდნენ კიდეც პირნათლად, რამეთუ ეს ამერიკის მასონური ძალების მიერაა დაგეგმილი. რაც შეეხება აღიარებას, გასაგებია, რა განზრახვით წავიდნენ ამაზე, თავიანთი მოკლე ჭკუით, ვითომ რუსეთს უკბინეს. სინამდვილეში, ფინია რომ სპილოს უყეფს, ისეა ამათი საქმე... კიდევ ვიმეორებ: ჩერქეზები ჩვენი მონათესავე ეთნოსია და მათდამი მხოლოდ პატივისცემა გვმართებს, მაგრამ ეს, რაც გაკეთ-

და, გენოციდის აღიარებას ვგულისხმობ, ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. რა შეიძლება ამას მოჰყვეს მომავალში, კაცმა არ იცის.

ამათ უნდოდათ, საერთოდ დაეშალათ საქართველო. პარლამენტის გადატანაც ქუთაისში ამას ემსახურებოდა, ეს სააკაშვილის უმთავრესი ამოცანა იყო. არსებობს საქართველოს შვიდ ჯუჯა სახელმწიფოდ დაშლის გეგმა და მე პირადად ის ნანახი მაქვს.

ჩვენი მხრიდან ჩერქეზების გენოციდის აღიარებას სომხების გენოციდის აღიარების მოთხოვნაც შეიძლება მოჰყვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს სამუდამოდ მტრად მოვიკიდებთ, თურქეთზე არაფერს ვამბობ. ხოლო რის ფასად შეიძლება დაუჯდეს ჩვენს სახელმწიფოს დაპირისპირება აზერბაიჯანთან, კარგად იცით (გაზი იქნება თუ საწვავი, მოგეხსენებათ, იქიდან შემოდის). გარდა ამისა, მათ ჩვენდამი აქვთ განსაკუთრებით თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. ეს ურთიერთობა თუ გაფუჭდება, ჩათვალეთ, რომ საქართველო განწირულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იზოლაციაში აღმოვჩნდებით და მეორეც, კონფრონტაციას კიდევ ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან ქვეყანა ვეღარ გაუძლებს.

ცალკე თურქ-მესხებზეცაა საუბარი. შესაძლოა, მათაც მოითხოვონ გენოციდის აღიარება. ეს საფრთხეც სავსებით რეალურია. სააკაშვილმა ამ თავისი სულელური ნაბიჯით ერთდროულად რამდენიმე საშიშროების წინაშე დაგვაყენა. ესაა ბომბი, რომელიც, როდის აფეთქდება,

კაცმა არ იცის. თურქ-მესხებს რაც შეეხებათ, საქმე ისაა, რომ თავის დროზე, როცა გასახლება მოხდა, იქ ძირითადად იყვნენ ქართველები, დღეს კი ისინი ქართველები აღარ არიან. მე მახსოვს, ეროვნული მოძრაობის დროს ზვიადი და მერაბი ითხოვდნენ მათ ჩამოსახლებას და მერე, როცა შევიცანით მათი ჩანაფიქრი, რომ თურმე მეჩეთების აშენება და თურქული სკოლების გახსნა სურდათ, კატეგორიული წინააღმდეგი წავედით ყველა. ამათ უნდათ, ეს ძველი ისტორია გააცოცხლონ და საზღვარზე დაასახლონ უცხო ეთნოსი. ამას სხვა არაფერი ჰქვია, თუ არა ერის ღალატი. ასეთივე ღალატია ჩინელების ჩამოსახლებაც. თქვენ იცით, რა ჩანაფიქრი აქვთ თბილისის ზღვაზე. ჩინელების თვისება ისაა, რომ ოჯახში არის თორმეტი ბავშვი. გადაგვჭამენ და ესაა. პირდაპირ მიდის ქართველი ერის გაჩანაგება. ცოტა ხანში უმცირესობაში ვიქნებით. ამას უნდა 20-25 წელიწადი.

სააკაშვილს იმთავითვე ჰქონდა გართულება რუსეთზე და ყველა მისი ნაბიჯი მიმართული იყო ურთიერთობის გამწვავებისკენ. მერე ამერიკელებს მიეცემოდათ სალაპარაკო, აი, რა ბარბაროსები სხედან კრემლში, რა ველურები არიანო. ჩვენ რა შეიძლებოდა მოგვსვლოდა ამ დაპირისპირებაში, ვის აინტერესებდა. მოკლედ, ესენი იყვნენ ისეთი დესტრუქციული ძალა, რომ, ვინც უნდა მოსულიყო რუსეთის ხელისუფლებაში, დიალოგი იქნებოდა შეუძლებელი. აბა, რომელ დიალოგზეა საუბარი, როცა ეს გიჟი პიროვნულ შეურაცხყოფას აყენებდა რუს

პოლიტიკოსებს, მათ შორის პირადად პრეზიდენტ პუტინსაც.

სწორი პოლიტიკით, სწორი ნაბიჯებით ყველაფერი შესაძლებელია. მითუფრო, რომ ჩვენ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს. ზოგიერთი „ნაციონალი“ სიამაყით ამბობდა, ტოლსტოი არ წამიკითხავსო. ტოლსტოისა და დოსტოევსკის მთელი მსოფლიო კითხულობს, ესაა ამათი უმეცრება და უგუნურება. ჰგონიათ, ასეთი სისულელეებით რუსეთს რამეს დააკლებენ. მე ვურჩევ მათ, ილია ჭავჭავაძე წაიკითხონ. ნახონ ერთი, როგორ აფასებდა ის რუსი ხალხის კულტურას.

სავსებით შესაძლებელია, ეს ნაბიჯიც ვაშინგტონთან ყოფილიყო შეთანხმებული. სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერასოდეს აზროვნებდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებები კი არა, ადამიანებს რომ კლავდნენ, ესეც ამერიკის მითითებით ხდებოდა.

მამუკა არეშიძე,
ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ცალსახად რუსეთის გასაღიზიანებლად იყო გამიზნული

— ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ცალსახად რუსეთის გასაღიზიანებლად იყო მოფიქრებული. აბა, რაში სჭირდებოდათ ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის გააქტიურება?! იმისთვის, რომ რუსებისთვის დამატებითი დისკომფორტი შეექმნათ ოლიმპიადის კონტექსტში, ოლიმპიადა ხომ ჩერქეზულ მიწაზე ტარდება — „კრასნაია პოლიანა“ ხომ ჩერქეზული მიწაა, სადაც უბიხები და სხვა ჩერქეზული ტომები ცხოვრობდნენ.

როდესაც ქართული მხარე ჩერქეზთა გენოდის აღიარების გადაწყვეტილებას იღებდა, მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი, თუ კი ვინმემ იცის საქართველოში და არამარტო საქართველოში კავკასიის ისტორია, ერთ-ერთი მეც ვარ. კარგად ვიცი, რაც მოხდა მაშინ ჩერქეზთა მიწაზე, ეს იყო ჩერქეზი ხალხის უდიდესი ტრაგედია გენოციდის ნიშნებით, მაგრამ ეს მთლად ასეც არ იყო: რუსები, ხშირ შემთხვევაში, შეგნებულად იყენებდნენ ერთ ჩერქეზულ ტომს მეორე ჩერქეზული ტომის წინააღმდეგ და ის დახოცილებიც საერთო ომში გავიდნენ. ბოლო ბრძოლაში, რომე-

ლიც „კრასნაია პოლიანაზე“ გაიმართა და იყო მცირე მასშტაბის შეტაკება, რუსეთის მხარეს იბრძოდნენ ქართველებიც, აფხაზებიც, თავად ჩერქეზებიც და სხვა კავკასიელი ხალხებიც. აღნიშნული ბრძოლის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ომის დამთავრების თაობაზე განცხადება გააკეთა. გადამწყვეტ ბრძოლაში აფხაზური რაზმები მონაწილეობდნენ, რომელსაც რუსი ოფიცერი ხელმძღვანელობდა. ისინი ოფიციალური მებრძოლები იყვნენ, მაგრამ უნდა ითქვას და თანაც აუცილებლად, რომ იქ იბრძოდნენ აფხაზი მოხალისეებიც გვარებისა და თემების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩერქეზეთის ომის ყველა დეტალი დაწვრილებით ვიცი, გენოციდის აღიარების სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი; იმიტომ კი არა, რომ ჩერქეზების გენოციდი არ იყო, იმიტომ, რომ ვიცოდი, საქართველოს ხელისუფლების კარზე რიგი დადგებოდა და საქართველოს ხელისუფლება იძულებილი გახდებოდა, უარი ეთქვა, პირველ რიგში, იმ ხალხისთვის, რომელთანაც ახლო, კეთილმეზობლური ურთიერთობები აქვს. ეს იყო ჩრდილოკავკასიელი ხალხების ნაწილი — რომლებიც თავიანთ ტრაგედიას სტალინს, ბერიასა და მათ წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის ხელმძღვანელს, ქართველ გვიშიანს აწერენ. ასე რომ, მათ წინაშე გარკვეულწილად ირიბი პასუხისმგებლობაც გვეკისრება.

შეიძლება ისიც მითხრან, რომ ასეთ ამბებს პოლიტბიურო წყვეტდა და რა შუაშია ან სტალინი, ან ბერიაო, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ერის გონე-

ბაში ხომ ამ ადამიანების გვარები ჩარჩა. ასე რომ, შესაძლებელი იყო, ისინიც კარზე მოგვდგომოდნენ.

ჩვენ უკვე მოგვაკითხეს გენოცის აღიარების მოთხოვნით ქურთებმა, მართალია, მოთელვითი სახე ჰქონდა მათ ამ ინიციატივას, მაგრამ მცდელობა ხომ იყო? ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მხრივ მაინც არის სომხეთის საკითხი, რომელთა გენოციდიც აღიარებულია ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საფრანგეთი და შვედეთი, რომლებმაც გადაწყვეტილება გენოციდის აღიარების შესახებ საპარლამენტო დონეზე მიიღეს. ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება ძალიან რთულ მდომარეობაში რომ აღმოჩნდებოდა, ვიცოდი. სომხებს უფლება აქვთ, თქვან, რომ, თუ ჩერქეზთა გენოციდი აღიარე, რატომ არ უნდა აღიარო სომეხთა გენოციდი, მაშინ, როდესაც მსოფლიოს წამყვანმა ევროპულმა ქვეყნებმა აღიარეს. სომხებმა ისიც კარგად იციან, რომ ამ საკითხს საქართველოს ხელისუფლებას კატეგორიულად ვერ დაუყენებენ, რადგან არის შემაკავებელი ფაქტორები: პირველი ეს არის მათი ეკონომიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით სურსათის მხრივ, მათი კომუნიკაციები საქართველოს ტერიტორიაზე გადის; მეორე ის, რომ საქართველო აზერბაიჯანთან და თურქეთთან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, საქართველო ვერ გააფუჭებს თავის ურთიერთობებს და სტრატეგიულ მოკავშირეებს ვერ დაკარგავს. სომხეთის დღევანდელ ხელისუფლებას ეს ესმის, მაგრამ ხომ შე-

იძლება სომხეთში მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც კატეგორიული იქნება?! ამიტომ არ შეიძლებოდა თავი ასეთ მდგომარეობაში ჩაგვეგდო. საქმე ისაა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც ვერ გამოიწვევს უკან ამ გადაწყვეტილებას, რადგან ქვეყნის პრესტიჟზე უარყოფითად იმოქმედებს.

ქ. თბილისში 2011 წლის 15 ივნისს ჩერქეზი ხალხის ე. წ. გენოციდის აღიარების შესახებ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება

აშკარაა, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ ინიცირებული ჩერქეზული წარმოშობის ხალხთა ე. წ. გენოციდის თემის განხილვა სახელმწიფო სტრუქტურების დონეზე და ამ ე. წ. გენოციდის ოფიციალური და საზეიმო აღიარება პარლამენტის მიერ განპირობებულია საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამად არსებული ურთულესი სიტუაციით. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთს გამოუცხადა ერთგვარი „ცივი ომი“, უკვე დიდი ხანია, ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის მუდმივ ოპონენტებად იქცნენ, რაც ხშირ შემთხვევაში ელემენტარული დიპლომატიური ეთიკის ფარგლებსაც კი სცილდება. კონფერენციის მიზანი მხოლოდ იმის დადგენა იყო, თუ რამდენად შეიძლება, საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა ე. წ. გენოციდთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება იყოს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, ანუ და-

მოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი.

ჩვენ გავითვალისწინეთ საკითხის ამგვარი დასმისთვის შესაძლო კრიტიკა ჩვენი მისამართით. მავანთ შეიძლება უარყონ ჩერქეზი ხალხის საკითხის განხილვის ანტირუსული სარჩული და განაცხადონ, რომ ე. წ. გენოციდის აღიარება ჭეშმარიტების დადგენისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის გაკეთდა, რაც თავისთავად უნდა მოვიაზროთ საქართველოს ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოში საკითხი არ იქნა სიღრმისეულად განხილული, ხოლო ხელისუფლების მიერ მოწვეულ ქართველ მკვლევართა ჯგუფს, რომლის დასკვნების საფუძველზეც პარლამენტმა ფორმალურად აღიარა ე. წ. გენოციდი, არ გააჩნია იმის კომპეტენცია, ამა თუ იმ მოვლენას მისცეს ისეთი პრობლემური კვალიფიკაცია, როგორიც გენოციდია.

რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის, მათ შორის, ყაბარდოს შემოერთება დრამატული, მაგრამ ამასთან მსოფლიო ისტორიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. რუსეთის მიერ კავკასიის მთიანეთის დაპყრობა და ათვისება ოსმალეთის იმპერიის გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, ოსმალეთი კი რუსეთთან ამ გეოპოლიტიკურ ჭიდილში, როგორც ცნობილია, რელიგიურ ფაქტორს აქტიურად იყენებდა. ჩერქეზი ხალხის ზერელე, ფორმალური, მაგრამ მაინც ისლამიზაცია საკმარისი იყო იმისთვის, რომ ისინი რუსეთს აქტიურად დაპირისპირებოდნენ, ოს-

მალური იმპერიის წაქეზებით. რუსეთის იმპერიას ყაბარდო-ჩერქეზთა მიმართ იმაზე მეტი არაფერი ჩაუდენია, რაც არ ჩაუდენიათ ევროპელ კოლონიზატორებს ყველა დანარჩენ კონტინენტზე. დასავლეთის კოლონიზატორული პოლიტიკის პირობებში მსოფლიოში სისხლის ზღვა დადგა, მრავალი ცივილიზაცია და კულტურა გადაშენდა, აღარ არსებობს ბევრი ეთნოსი და ენა, რომლებიც უწინ არსებობდა. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე სახელმწიფოებმა დაიწყონ მსოფლიო ისტორიის ცალკე აღებული ვრცელი ეპიზოდების კვალიფიცირება გენოციდად. გამოდის, რომ მთელი მსოფლიო ისტორია გენოციდის უამრავი ფაქტისგან შედგება, რაც თავად ამ ტერმინის გაუფასურებასა და ნიველირებას ახდენს, არღვევს მის განსაკუთრებულობას, სიმძიმეს უკარგავს მას.

რაც შეეხება ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარების სარგებლობა-მავნებლობას საქართველოსათვის, ჩვენი აზრით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართულ სახელმწიფოს აყენებს რამდენიმე სერიოზული პრობლემის წინაშე, რომლებიც თავს იჩენს როგორც ახლო, ისე შორეულ პერსპექტივაში.

პირველი. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც გამოიჩინა "ორიგინალობა" და აღიარა ე. წ. ჩერქეზთა გენოციდი. მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო საქართველოს მხარს აუბამს. ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს მარგინალიზაციისკენ საერთაშორისო არენაზე.

მეორე. რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოკავკასიელ ხალხებს, მათ შორის, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ადიღელებს — აქვთ საკუთარი ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც მოსკოვის დოტაციებზე არიან დამოკიდებულნი. ამ რესპუბლიკებს არავითარი ინტერესი არ გააჩნიათ, აუმხედრდნენ რუსებს ისტორიულ საკითხებთან დაკავშირებით. თურქეთისა და არაბული ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ჩრდილოკავკასიელებს აქვთ თავიანთი ავტონომიები, სკოლებში მშობლიურ ენებზე განათლების მიღების საშუალება, უმაღლესი სასწავლებლები, ეროვნული კულტურის კერები... მოსწონს საქართველოს ხელისუფლებას თუ არა, ეს ხალხები ლოიალურად არიან განწყობილი რუსეთის მიმართ და არ ამჟღავნებენ ტენდენციას, აჰყვნენ საქართველოს ხელისუფლებას, რაც ისევ და ისევ ამ უკანასკნელს აგდებს უხერხულ მდგომარეობაში და ამით საქართველოს ინტერესები ზარალდება. საქართველო ვარდება ერთგვარად კომიკურ ვითარებაში, როდესაც იგი ცდილობს, ჩრდილოკავკასიელ ხალხებს მოახვიოს თავისი შეხედულებები მათ საკუთარ ისტორიასთან დაკავშირებით. მაგრამ საფრთხე მხოლოდ ამაში არ მდგომარეობს. სავსებით შესაძლებელია, რომ „გენოციდის აღიარებამ" საქართველოს მიმართ აღნიშნული ხალხები უფრო ნეგატიურად განაწყოს, რადგან მათ შეუძლიათ, ეჭვი შეიტანონ ქართული მხარის გულწრფელობაში და იგი მათსა და რუსეთს შორის ეროვნებათაშორის შუღლის ჩამოგდებისა

და პროვოკაციის მცდელობაში დაადანაშაულონ. თბილისში მოწვეული ზოგიერთი უცხოური დიასპორის წარმომადგენლის აზრი ვერ გადაფარავს ჩრდილოკავკასიელთა რეალურ განწყობებს. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია. საქართველოს შეიძლება ბევრად უფრო აქტიურად "შეახსენონ", რომ ჩრდილოკავკასიელთა ძალისმიერი დამორჩილება ხშირ შემთხვევაში ქართველთა ხელით ხორციელდებოდა და აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ხსენებული გადაწყვეტილებით "გენოციდში" ქართველების დადანაშაულების წინაპირობა შეიქმნა.

მესამე. საქართველოს ხელისუფლება არ ითვალისწინებს, რომ რუსეთის იმპერიას თავის დროზე არანაკლებ რთული ურთიერთობა ჰქონდა აფხაზ ეთნოსთან, რომლის დიდი ნაწილი აიყარა და ოსმალეთში გადავიდა. აფხაზებს ისტორიის ეს მონაკვეთიც კარგად ახსოვთ, მაგრამ მთლიანობაში აფხაზები რუსეთის მიმართ მეტად ლოიალურად არიან განწყობილნი და მძიმე ისტორია მათ ხელს არ უშლით, ორიენტაცია რუსეთზე აიღონ და არა საქართველოზე. საქართველოს ხელისუფლების ლოგიკით, თუკი ე. წ. ჩერქეზთა გენოციდი იქნა აღიარებული, მაშინ აფხაზთა მუჰაჯირობაც "გენოციდად" უნდა შეფასდეს. საქართველოს ხელისუფლება აღიარებს "აფხაზთა გენოციდს" თუ არ აღიარებს, იგი 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური და 2008 წლის ქართულ-ოსური ომის შემდეგ ერთობ გროტესკულ ვითარებაშია მოქცეული.

მეოთხე. ჩერქეზთა “გენოციდის” საკითხი 1990-იანი წლებიდან მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ის შექმნილმა საერთაშორისო სტრუქტურებმა წამოჭრეს, ამ პროცესში ძალიან მალე დაუფარავად ჩაერთნენ აშშ-ის სპეცსამსახურების წარმომადგენლები (მაგალითად, პოლ ჰენზე), გამოიცა ტენდენციური მასალები ე. წ. ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით, ადიღეურ-ჩერქეზული დიასპორების წარმომადგენლებს აშშ-მა და ევროკავშირმა გრანტები გამოუყვეს, ...ხოლო 2010 წლის ნოემბრის ბოლოს ამერიკული ჯეიმსთაუნის ფონდისა და ილიას უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „მიჩქმალული ერები — ბოროტმოქმედებები გრძელდება. ჩერქეზები და ჩრდილოკავკასიელი ხალხები წარსულსა და მომავალს შორის“. სწორედ ამ კონფერენციაზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისადმი. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, ვთქვათ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ამ კამპანიის შემადგენელი ნაწილია, არ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და ემსახურება საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად დაძაბვას. ამასთან, რა თქმა უნდა, როგორც ეს უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, აშშ თვითონ არ აპირებს წინა პლანზე გამოჩნდეს და რაიმე “გენოციდი” აღიაროს ჩრდილოეთ კავკასიაში.

მეხუთე. ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარება უხერხულობას ქმნის მეზობელ სომხეთთანაც,

რომლის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია თურქეთში სომეხთა გენოციდის აღიარება. საქართველოში ე. წ. ჩერქეზთა გენოციდის აღიარების საკითხი დააყენეს ჩერქეზთა ერთ-ერთი დიასპორის ცალკეულმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც ოფიციალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში არავითარი სტატუსი არ გააჩნიათ. განსხვავებით ე. წ. ჩერქეზული გენოციდისგან, სომხების გენოციდის აღიარების საკითხს აყენებს სომეხთა სახელმწიფოს (როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის) ოფიციალური ორგანოები და ეს ზოგიერთი სახელმწიფოს პარლამენტმა აღიარა, საქართველოს კი ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს. ჩვენ არ ვაფასებთ, მართებული იქნება თუ არა სომეხთა გენოციდის აღიარება საქართველოს მიერ, მაგრამ ფაქტია, რომ პრიორიტეტი ცალმხრივად მიენიჭა ჩერქეზთა საკითხს. ამ ფონზე "ჩერქეზთა გენოციდის" აღიარებამ შეიძლება სომხეთის, ისევე, როგორც გავლენიანი სომხური დიასპორების გაკვირვება, განაწყენება და გააქტიურება გამოიწვიოს, რაც ქართულ მხარეზე შესაბამისი ზეწოლის პროვოცირებას მოახდენს.

მეექვსე. ლოგიკის მიხედვით, ჩვენი საკუთარი ისტორიის გადასახედიდან უნდა შევაფასოთ გარკვეული ეპიზოდები „გენოციდად". საქართველოში ისტორიული მეხსიერება არ ჩამკვდარა და ერს ახსოვს მრავალსაუკუნოვანი ეროვნული უბედურება, რომელიც საქართველოს ისტორიაში "ლეკიანობის" საერთო სახელწოდებით შე-

ვიდა, როდესაც ჩრდილოკავკასიური ტომები რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სისტემატიურად არბევდნენ ქართულ სამეფო-სამთავროებს და ამან ასეულობით ათასი ქართველის გატაცების, დამონების, ხოცვა-ჟლეტის აურაცხელი ფაქტი განაპირობა. ქართველ ხალხს ისიც ახსოვს, რომ ამ საშინელებისგან ხსნას ქართველი მეფეები რუსეთის იმპერიასთან მჭიდრო თანამშრომლობაში ხედავდნენ და საბოლოოდ სწორედ რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის მიერთებამ შეწყვიტა საქართველოს ხალხისა და მიწა-წყლის დაუნდობელი ძარცვა და გაჩანაგება.

ჩვენ, კონფერენციის მონაწილეები, მივიჩნევთ, რომ ისტორიული მეხსიერების აფორიაქების მცდელობა ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების მიზნით, სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირება და მათი გამოყენება ცალკეული ქვეყნების გეოპოლიტიკურ ინტერესებში კატეგორიულად მიუღებელია. ეს განსაკუთრებით სახიფათოა კავკასიაში — მრავალეროვნულ რეგიონში, რომლის ხალხებს ერთმანეთთან ურთიერთობის რთული ისტორია აქვთ. საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა, კავკასიის რეგიონში შორეული ქვეყნების ინტერესები და მითითებები განახორციელოს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საკუთარ ხალხს და ართულებს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას, რაც ცალსახად მიუღებელია და დაგმობის ღირსია.

სარჩევი

შესავალი 5

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ჩერქეზების ე.წ. გენოციდის აღიარება: მიზანი და შედეგები“ 11

ტარიელ გაგნიძე:
ჩერქეზების გენოციდის წამოწყების მიზანია აგრესიული ისლამისთვის იდეოლოგიური საფუძვლის შექმნა 12

ვალერიან დოლიძე
ისტორია და თანამედროვეობა: ჩერქეზების საკითხი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა სპექტრში 16

ირაკლი უბილავა
ჩერქეზეთის გენოციდის აღიარება, როგორც აშშ-ის კავკასიური პოლიტიკის ნაწილი 75

ნანა დევდარიანი
გენოციდი და დემოგრაფიული კატასტროფა, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტები 94

გიორგი მდივანი
ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარება, როგორც პოლიტტექნოლოგიური ინსტრუმენტი 124

პეტრე მამრაძე:
ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს აქტივობას განაპირობებდა სააკაშვილის ღია მცდელობები, გამოეწვია დესტაბილიზაცია ამ რეგიონში 128

ვიქტორ ცაავა
ჩერქეზების გენოციდის აღიარება და „პოლიტიკური ისლამის“ ამერიკული გეგმა 136

დარეჯან ანდრიაძე
საქართველო და კავკასიური პოლიტიკა – ისტორიული გამოცდილება, დღევანდელი მდგომარეობა, პერსპექტივები 141

საქართველოს და ჩრდილოკავკასიის ურთიერთობის ისტორიისთვის 150

რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი მოქმედებები ჩრდილოკავკასიელთა თავდასხმებისგან დასაცავად 1801-1804 წლებში 187

საზოგადოებრივი აზრი: როგორ გაება საქართველო „ჩერქეზულ-ამერიკულ“ მახეში 254

დალილა ხორავა:
ჩერქეზთა გენოციდის აღიარება შეცდომა იყო 259

ჯონდი ბაღათურია:
ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით სააკაშვილმა ახალ ხელისუფლებას შენელებული მოქმედების ნაღმი დაუტოვა 260

ელიზბარ ჯაველიძე:
სააკაშვილს ჩერქეზები კი არა, თავისი ქვეყანა ეკიდა ფეხზე 264

მამუკა არეშიძე:
ჩერქეზთა გენოციდის აღიარება ცალსახად რუსეთის გასაღიზიანებლად იყო გამიზნული 268

ქ. თბილისში 2011 წლის 15 ივნისს ჩერქეზი ხალხის ე. წ. გენოციდის აღიარების შესახებ გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება 272

ISBN 978-9941-0-5314-6